საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
15 - 21 იანვარი, 2014
№1 (236)

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

«შემოდგომაზე ახალი რევოლუცია მოხდება» 11



12 «თავისუფლების ინსტიტუტს» ჭკუას რომ ვასწავლით, მერე თუნდაც მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან მოგვიყვანონ თავიანთი კუდიანი დამფინანსებლები, ვნახავთ, რას გახდებიან»

## «უწმინდესის გინებას არავის შევარჩენთ!»

## სიცოცხლე ბიძინას შემდეგ 4



«თუ ახალი ხელისუფლება თავის ლეგიტიმურობას მხოლოდ იმაზე დააფუძნებს, რომ ის სააკაშვილის რეჟიმზე ნაკლები ბოროტებაა, დიდხანს ვერ გაძლებს»



## ქართველი ძიუდოისტი აიძულეს, საქართველოს მოქალაქეობაზე ეთქვა უარი 8

ბეთქილ შუკვანი:
ყველაზე დიდი აფერისტი სწორედ ბიძინა ივანიშვილია

«არასდროს ვაპირებ საქართველოს სახელით ასპარეზობას»



## საკვებ პროდუქტებზე გაზრდილი ფასები აღარ დაიკლებს 10



«მინდია გოგოჭური არის მარგველაშვილის მეგობარი ქალბატონის — მაკა ჩიჩუას შვილის — მამო ჩიჩუას ქმარი»

## მარგველაშვილის სიძე საავადმყოფოში ნარკოტიკის ჭარბი დოზით მიღების გამო მოხვდა 3

## «ევროპაში არათუ ემიგრანტები, საკუთარი მოქალაქეები ჰყავთ დაუსაქმებელი» 9



## რას გვიქადის თურქული მარში? 2

თურქეთის ელჩმა აზერბაიჯანში ჟურნალისტებს განუცხადა, რომ, ყარსის ხელშეკრულების თანახმად, თურქეთს აჭარაში ჯარების შეყვანის უფლება აქვს



პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სასურველია, საზოგადოება მუდამ მოითხოვდეს, რომ ახალ ხელისუფლებას უცხო ქვეყნებთან დიალოგის პროცესში, სააკაშვილის რეჟიმისგან განსხვავებით, თავი ღირსეულად ეჭიროს და ეროვნული ინტერესებით ხელმძღვანელობდეს, რაც აუცილებელი წინაპირობაა ყველასთან, მათ შორის თურქეთთან, კეთილმეზობლური და ორმხივად სასარგებლო ურთიერთობის დამყარებისთვის.**



## მაპზე უკეთესი სად არის?

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი ესტონეთში იმყოფება. ვიზიტის ფარგლებში ჩვენი სპიკერი თავის ესტონელ კოლეგას, ენე ერგმას, შეხვდა და შეხვედრის შემდეგ საინტერესო განცხადებაც გააკეთა.**

„საქართველოს კონკრეტული შედეგის — მაპის მოლოდინი აქვს და იმ შემთხვევაში, თუ ეს შედეგი არ დაიდო, მაშინ, შესაძლოა, გარკვეული საფრთხეები ევროინტეგრაციის კუთხითაც გამოიკვეთოს“, — განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ **დავით უსუფაშვილმა.**

**ბატონო დავით, როდემდე უნდა გვაბოლებდეთ, აღარ კმარა? თქვენი ვერაფერი გავიგე, წინა ხელისუფლებამ მაპზე უკეთესი დაგიტოვათ და უკან გვაბრუნებთ?!**



## ახალი კანცელარია

**საქართველოს მთავრობის კანცელარია მთავრობის ადმინისტრაციად გარდაიქმნება. ამის თაობაზე განმარტებას მთავრობის კანცელარიაში აკეთებენ.**

კანცელარიის რეორგანიზაცია ღია და საჯარო მმართველობის ევროპულ მოდელს დაეფუძნება. ადმინისტრაცია მჭიდროდ ითანამშრომლებს საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, ქართველ და უცხოელ ექსპერტებთან; ჩამოყალიბდება და კიდევ უფრო გაძლიერდება პრემიერმინისტრთან არსებული საბჭოები. ადმინისტრაცია ორიენტირებული იქნება სამთავრობო სტრუქტურებს შორის კოორდინაციასა და ეფექტიან მონიტორინგზე. კანცელარია ახალი სტრუქტურის პრეზენტაციას უახლოეს მომავალში გამართავს, — ასეთია განცხადების შინაარსი.

**კანცელარიას ლოზე რომ ჰქონდა შემოვლებული, ხომ გახსოვთ? ჰოდა, გნებავთ, ლობის იქით დააბით, გნებავთ, ლობის აქეთ, ყველა მთავრობა მაინც ერთნაირია.**

# რას უქადის საქართველოს თურქული მარში?

**ორშაბათს, 20 მაისს საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ოფიციალური ვიზიტით თურქეთს ეწვევა. ორი ქვეყნის ურთიერთობებში დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, მხარეები, სავარაუდოდ, შეაფასებენ მას, როგორც მორიგ საეტაპო ნაბიჯს თანამშრომლობის გზაზე, ხოლო პრობლემურ საკითხებზე, თუკი ასეთს შეეხებიან, ფართო აუდიტორიას, დიდი ალბათობით, არაფერს მოუთხრობენ. ოფიციოზის საზეიმო განცხადებები ორი ქვეყნის სამაგალითო მეგობრობის შესახებ ბოლო დროს საგრძნობ დისონანსში შედის ქართული საზოგადოების ნაწილის შეშფოთებასთან, რომელიც საქართველოში, კერძოდ კი აჭარაში, თურქეთის გავლენის სწრაფ და პრაქტიკულად უკონტროლო ზრდას უკავშირდება. ამასთანავე, ვითარება მეზობელ ქვეყანაში კვლავინდებურად დაძაბულია — დიდ ქალაქებში იმართება ხალხმრავალი დემონსტრაციები რადიკალური ლოზუნგებით, სამართალდამცავები კორუმპირებულ ჩინოვნიკებს აპატიმრებენ, ხოლო პრემიერმინისტრის გუნდი, თავის მხრივ, თანამდებობიდან ასობით პოლიციელს ათავისუფლებს. პოლიტიკური კრიზისი ღრმავდება; თურქეთი ტრანსფორმაციის ახალ, საკმაოდ სახიფათო სტადიაში შედის. ჯერჯერობით ძნელი ამოსაცნობია, რით შეიძლება დასრულდეს ეს პროცესი და რა შედეგს მოუტანს საქართველოს.**



## დემოგრაფიას ცრემლების არ სჯერა

2000 წელს თურქეთის მოსახლეობა 63 მილიონს აღემატებოდა, ახლა კი 75 მილიონზე მეტია (2012 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით; გასული წლის ციფრები ჯერ არ გამოქვეყნებულა). მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის ზრდის ტემპი ბოლო დროს შემცირდა, ყოველწლიურად უამრავი ახალგაზრდა სოფლად მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახებიდან (განსაკუთრებით მაღალი შობადობა ქვეყნის აღმოსავლეთ, მათ შორის საქართველოს მოსაზღვრე რეგიონებშია) უკეთესი მომავლის იმედით ქალაქებში ჩადის, მათი ნაწილი კი ემიგრანტი ხდება.

**თურქი მამაკაცის საშუალო ასაკი 28, ქალის კი 29 წელია. სტამბოლი და სხვა დიდი ქალაქები სავსეა 19-25 წლის ახალგაზრდებით, რომელნიც მოსწყდნენ სოფელს, მაგრამ ქალაქში დამკვიდრება ჯერჯერობით ვერ მოახერხეს. ისინი ქმნიან ერთგვარ „პარალელურ სამყაროს“, რომლის ღირებულებები, როგორც წესი, მიუღებელია გაცილებით ლიბერალურ გარემოში გაზრდილი, ვესტერნიზებული ქალაქელებისთვის. ამ ახალგაზრდების ამბიციები და უკმაყოფილება საკუთარი სოციალური სტატუსით ისევე, როგორც „არაბული გაზაფხულის“ ქვეყნებში, მნიშვნელოვან პოლიტიკურ ფაქტორს წარმოადგენს. სტამბოლის ბილგის უნივერიტეტის მონაცემებით, ბოლოდროინდელი საპროტესტო აქციების მონაწილეთა 40%-ის საშუალო ასაკი 25 წელს არ აღემატებოდა.**

მიუხედავად იმისა, რომ მეზობელი ქვეყნის ეკონომიკა ბოლო წლებში აღმავლობის გზას ადგას და ახალი სამუშაო ადგილები ნამდვილად იქმნება, რამდენიმე მილიონი ადამიანი თურქეთის ეკონომიკისთვის კვლავინდებურად „ზედმეტია“. იმის ალბათობა, რომ ჭარბი დემოგრაფიული რესურსი ომში ანიჰილირდება, როგორც ეს წინა საუკუნეებში ხდებოდა, ძალზე მცირეა. შესაძლო სამხედრო ოპერაციები, თუნდაც თურქეთი ჩაერიოს სირიის კონფლიქტში (ამას, როგორც ჩანს, ახლო მომავალში არ გააკეთებს), სავარაუდოდ, დაბალი ინტენსივობის იქნება, მსხვერპლი კი — უმნიშვნელო და არ მოხდება არაფერი ისეთი, რაც მილიონობით ლტოლვილს ქვეყნის დატოვებას აიძულებს.

რაც შეხება ემიგრაციას, **ეკონომიკურმა კრიზისმა მნიშვნელოვნად შეცვალა სიტუაცია გერმანიაში და „ძველი ევროპის“ სხვა ქვეყნებში, სადაც ბოლო ათწლეულებში თურქები აქტიურად სახლდებოდნენ. ადრე „ძირძველი“ ევროპელი არც კი გაიხედავდა იმ არაპრესტიჟული სამუშაო ადგილებისკენ, რომლებსაც ახალჩამოსული თურქები იკავებდნენ, მაგრამ კრიზისმა ამ დამოკიდებულების კორექტირება მოახდინა.** ამასთანავე, „ძველი ევროპის“ კარიბჭეს აწვება ღარიბი ადამინების უზარმაზარი მასა ყოფილი სოციალისტური ბლოკის ქვყნებიდან, მათი უმრავლესობა თანახმაა, მინიმალურ საფასურად ნებისმიერი სამუშაო შეასრულოს. მათ ადაპტაციის პროცესში შეიძლება ნაკლები პრობლემა შეექმნათ, ვიდრე თურქებს, რომელთაც ბოლო წლებში სულ უფრო უჭირთ შერწყმა ევროპულ გარემოსთან და, რაოდენ უცნაურად უნდა გაიჟღეროს, ამის ერთ-ერთი მიზეზი კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებებია. მარტივად რომ ვთქვათ, თუ ადამიანს შეუძლია ყოველდღე „სკაიპით“ ესაუბროს თურქულ პროვინციაში დარჩენილ ოჯახს, იპოვოს ისლამისტურ საიტებზე თანამოაზრეები, რომელნიც იზიარებენ მის შეხედულებებს (მაგალითად, ქალის როლზე ოჯახსა და საზოგადოებაში) და თუ ის, ამასთანავე, სხვა თურქების გარემოცვაში ცხოვრობს და ურთიერთობისთვის უცხო ენის სწავლა ნაკლებად სჭირდება, მისი ინტეგრაცია ევროპულ კულტურულ-ცივილიზაციურ გარემოში მნიშვნელოვნად ფერხდება. აგრეთვე, უნდა გავითვალისწინოთ ევროკავშირის ქვეყნებში ბოლო დროს გამოკვეთილი ტენდენციები, რომლებიც შეიძლება მიგრანტებისთვის ახალი წინაღობების აღმართვით დაგვირგვინდეს.

**იყო დრო, როდესაც თურქული საზოგადოების აღქმაში ახალგაზრდის წასვლა ევროპაში წარმატების** (თურქული სტანდარტით) **მიღწევის რეალურ შანსს, დიდ იმედებს უკავშირდებოდა. ეს წარმოსახვითი სურათი, ისევე, როგორც ევროპული პერსპექტივა ზოგადად, თანდათან სულ უფრო ბუნდოვანი ხდება. ამასთანავე, გაიზარდა ფსიქოლოგიური ფაქტორების როლი, ბევრ ახლგაზრდა თურქს აღარ სურს თავი ევროპაში „მეორე ხარისხის ადამიანად“ იგრძნოს. ზოგიერთი მათგანი კი შეიძლება მოიხიბლოს სწრაფი წარმატების პერსპექტივით მეზობელ ქვეყნებში, სადაც თურქული გავლენა სულ უფრო იზრდება. მატერიალური, ადამიანური და პოლიტიკური რესურსი შედეგიანი ექსპანსიისთვის სუსტ მეზობელ ქვეყნებში თურქეთს ნამდვილად აქვს.**

## ოდესღაც დიდი ყოფილა ოსმალეთი

თუ ჩვენ თურქული ინვესტიციების რუკას შევადგენთ, ვნახავთ, რომ **ყველაზე მეტად თურქებს აინტერესებთ ბულგარეთის როდოპის მხარე, სამხრეთ სერბეთი, ნოვოპაზარის სანჯაყი, მაკედონია** (განსაკუთრებით ის რაიონები, რომლებშიც თურქები და ალბანელები ცხოვრობენ), **ბოსნია და ჰერცოგოვინა, ალბანეთი და კოსოვო** (ხოლო საქართველოში — აჭარა), **ანუ ყველა ის რეგიონი, რომლებშიც მუსლიმანური მოსახლეობის სიჭარბის გამო თურქეთის გავლენა ყოველთვის შედარებით დიდი იყო.** ფორმალურად ამით არაფერი ირღვევა და ამას შეიძლება ლოგიკური ახსნაც მოუძებნო — **თურქ ბიზნესმენებს უადვილდებათ მუშაობა იქ, სადაც კულტურული და ენობრივი გარემო მათთვის უფრო კომფორტულია. მაგრამ ამ ტენდენციის შემდგომმა გაძლიერებამ შეიძლება არასასურველი შედეგები მოიტანოს.**

ქემალისტური მიდგომა საგარეო პოლიტიკის მიმართ, სხვა ყველაფერთან ერთად, სეკულარულ პრინციპზე დაყრდნობას მოითხოვს. მაგრამ **თუ გავლენა ჩამოთვლილ რეგიონებში კვლავინდებურად გაფართოვდება, შესაძლო გართულებების შემთხვევაში, თურქული საზოგადოების ნაწილმა და ისლამისტურმა მედიამ შეიძლება თურქეთის ხელისუფლებას „მუსლიმების დამცველის“ როლი დააკისროს, რომლის შესრულებისგან თავის არიდება გაუჭირდება.** მითუმეტეს იმ პირობებში, როდესაც მის საგარეო პოლიტიკაში ფრთხილ ქემალისტურ ტრადიციას გაცილებით თამამი მიდგომები ცვლიან, რომელთა უკან სულ უფრო ნათლად იკითხება ისლამისტური იდეების გავლენა. **დაბრუნება „ქემალისტურ რელსებზე“ ჯერჯერობით შესაძლებელია, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ მალე საერთაშორისო არენაზე „სულ სხვა თურქეთს“ ვიხილავთ, გაცილებით ამბიციურს და დამოუკიდებელს ძია სემისგან, რომელიც თანდათან ამცირებს უშუალო ჩართულობას რეგიონის საქმეებში.**

ბოლო დროს საგულისხმო პროცესები განვითარდა ბულგარეთში, რომლის საზღვრებს ათეულათასობით სირიელი ლტოლვილი მიადგა. ბულგარელი კომენტატორების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ეს არ არის სპონტანური პროცესი და „დიდი გადასახლებისკენ“ სირიელებს თურქეთის ხელისუფლებამ უბიძგა. ვითარება ბულგარეთში დაძაბულია, სწრაფად იზრდება რადიკალური ნაციონალისტური ჯგუფების გავლენა, ხშირად ხდება შეტაკებები ადგილობრივ და ჩამოსულ ახალგაზრდებს შორის, სასაზღვრო უწყება სასწრაფო წესით აშენებს ნამდვილ „ჩინურ კედელს“ პრობლემურ მონაკვეთებზე, ხოლო ადგილობრივ მედიაში დომინირებს მოსაზრება, რომ **სირიელი ლტოლვილები წარმოადგენენ რესურსს, რომელსაც თურქეთი საკუთარი გავლენის გაზრდისთვის გამოიყენებს. ეს, ალბათ, საქართველოსთვისაც აქტუალურია, რადგან ნებისმიერი მიგრანტი მუსლიმანური ქვეყნებიდან** (ირანელებისა და ქურთების გარდა) **შეიძლება კარგად ორგანიზებული თურქული დიასპორის** (და თურქეთის ხელისუფლების) **გავლენის ქვეშ მოექცეს.**

**რამდენად საშიშია ეს გავლენა? ხომ არ არის ირაციონალური და უსაფუძვლო ქართული საზოგადოების ნაწილის შიში თურქულ ექსპანსიასთან დაკავშირებით? საუბარი ამ თემაზე განსაკუთრებით აქტუალური მას შემდეგ გახდა, რაც მიხეილ სააკაშვილმა პოსტზე ყოფნის ბოლო დღეებში თურქეთის ათასობით მოქალაქეს ქართული პასპორტები დაურიგა.**

თუ სათვალავში ბანალურ ქსენოფობიას არ ჩავაგდებთ, რომელიც ქართული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი არ არის, მაგრამ ბოლო დროს სულ უფრო ხშირად ვლინდება, სავარაუდოდ, მივალთ დასკვნამდე, რომ **ალარმისტებს საქართველოში ერთადერთი** (ვარიაციებით) **ჰიპოთეტური სცენარი აშინებთ — თურქეთის ჩარევა საქართველოს საქმეებში ყარსის ხელშეკრულების საფუძველზე და ამა თუ იმ ფორმით აჭარაზე კონტროლის დამყარება.** შესაძლო საბაბად ბოლო დროს ხშირად განიხილება დაპირისპირება ქართველებსა და აჭარაში დამკვიდრებულ თურქებს შორის, რომლის პროვოცირება უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებისთვის განსაკუთრებულ პრობლემას არ წარმოადგენს.

მართალია, ყარსის ხელშეკრულების მუხლების ინტერპრეტირება სხვადასხვაგვარად შეიძლება, თუმცა თურქეთში, როგორც ჩანს, ყველაზე რადიკალურ ვარიანტებ- ▶

**„მინდია გოგოჭური არის მარგველაშვილის მეგობარი ქალბატონის — მაკა ჩიჩუას შვილის — მაშო ჩიჩუას ქმარი. მაშო ჩიჩუას მარგველაშვილი შვილობილად მოიხსენიებს ერთ-ერთ ინტერვიუში.“**

სკანდალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ საც კი განიხილავენ. ჩვენ შეგვიძლია გავიხსენოთ უახლესი წარსულის ერთი ეპიზოდი — **2004 წლის 14 მარტს ასლან აბაშიძის ძალებმა ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მიხეილ სააკაშვილის კორტეჟი არ შეუშვეს, ამ ლიდერებს შორის დაპირისპირების მორიგი ეტაპი დაიწყო და ვითარება მკვეთრად დაიძაბა. 17 მარტს კი თურქეთის ელჩმა აზერბაიჯანში, უნალ ჩევიკოზმა, ჟურნალისტებს განუცხადა, რომ, ყარსის ხელშეკრულების თანახმად, თურქეთს აჭარაში ჯარების შეყვანის უფლება აქვს.** ეს იყო საკმაოდ რადიკალური, თუმცა ამავე დროს ფრთხილი განაცხადი, რადგან ელჩის რეპლიკის დეზავუირება სავსებით შესაძლებელი იყო. გამორიცხული არაა, რომ ეს ერთგვარი ტესტი გახლდათ; **ანკარას ვაშინგტონისა და მოსკოვის რეაქცია აინტერესებდა. 27 მარტს რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა** (ანუ გაცილებით მაღალი რანგის ფიგურამ, რომლის განცხადების დეზავუირება პრაქტიკულად წარმოუდგენელი იყო) **ჟურნალისტებთან საუბარში შემდეგი რამ თქვა: „ჩვენმა საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაიხსენა ყარსის ხელშეკრულება, რომელსაც ხელი რუსეთის მონაწილეობით მოეწერა. ამ თვალსაზრისით, ჩვენ, გარკვეულწილად, უფლება გვაქვს, თავი ამ ხელშეკრულების გარანტორებად ჩავთვალოთ, რომელშიც ნათქვამია, რომ აჭარა საქართველოს განუყოფელი ნაწილია. ჩვენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ამ პრინციპიდან ამოვდივართ“.** ეს განცხადება, ალბათ, შეიძლება განვიხილოთ, როგორც საკმაოდ მკაფიო გზავნილი თურქებისთვის, იმის თაობაზე, რომ რუსეთი არ დაეთანხმება მათ ცალმხრივ მოქმედებას აჭარაში. რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილს, ლევან ბერძენიშვილის მოგონებებს თუ დავუჯერებთ, ის იმ მომენტში იქცეოდა, როგორც აბსოლუტური გიჟი და ბათუმის საავიაციო დაბომბვას აპირებდა, რითაც აჭარის კრიზისში უცხო ქვეყნების ჩარევის ალბათობას აათმაგებდა. მადლობა ღმერთს, სააკაშვილი შეაჩერეს და ის ეპიზოდი მშვიდობიანად დასრულდა.

დღეს ვითარება შეცვლილია. ნაკლებად სავარაუდოა, 2008 წლის ომის შემდეგ, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ამ ეტაპზე, კრემლმა ასევე მკაფიოდ მიანიშნოს თავის ნეგატიურ პოზიციაზე აჭარაში თურქეთის შესაძლო ჩარევასთან დაკავშირებით. **ᲘᲛ ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲐᲨᲘ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲐᲛᲝᲣᲪᲜᲝᲑᲘᲐ ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ, ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ, ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ, ᲐᲨᲨ-ᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲠᲔᲐᲥᲪᲘᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲖᲔ, ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡ ᲨᲘᲨᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲣᲚ ᲡᲪᲔᲜᲐᲠᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ, ᲐᲚᲑᲐᲗ, ᲡᲐᲕᲡᲔᲑᲘᲗ ᲚᲝᲒᲘᲙᲣᲠᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲩᲐᲘᲗᲕᲐᲚᲝᲡ.**

## ᲓᲐᲮᲣᲠᲔᲗ ᲙᲐᲠᲘ, ᲝᲠᲞᲘᲠᲘᲐ!

**მიუხედავად იმისა, ვინ და რას შესთავაზებს მომავალ კვირას გიორგი მარგველაშვილს თურქეთში, ალბათ, არასასურველია, რომ სააკაშვილს მიბაძოს და ქართული პასპორტების დარიგება განაახლოს.** საზოგადოებრივი აზრი საქართველოში ამისთვის მზად არ არის, **ᲐᲛ ᲜᲐᲑᲘᲯᲡ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲠᲐᲓᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲖᲠᲓᲐ ᲓᲐ, ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ, ᲔᲗᲜᲘᲙᲣᲠ ᲜᲘᲐᲓᲐᲒᲖᲔ ᲘᲜᲪᲘᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲔᲠᲘᲐ ᲛᲝᲰᲧᲕᲔᲡ,** როგორც ეს ახლახან ბულგარეთში მოხდა. ამასთანავე, **ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ, ᲐᲚᲑᲐᲗ, ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲤᲘᲥᲠᲓᲔᲡ „ᲦᲘᲐ ᲙᲐᲠᲘᲡ“ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲔᲑᲖᲔ ᲓᲐ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲛᲐᲗᲘ ᲒᲐᲓᲐᲮᲔᲓᲕᲐ ᲛᲝᲐᲮᲓᲘᲜᲝᲡ. ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲐ ᲣᲪᲮᲝᲔᲚ ᲘᲜᲕᲔᲡᲢᲝᲠᲔᲑᲡ ᲚᲐᲛᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲐᲚᲣᲠ ᲤᲘᲒᲣᲠᲔᲑᲐᲓ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲩᲔᲜᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲡᲣᲠᲕᲔᲚᲘᲐ, ᲓᲐᲕᲯᲓᲔᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲕᲐᲐᲜᲐᲚᲘᲖᲝᲗ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲖᲝᲒᲐᲓᲐᲓ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲪᲮᲝᲔᲚᲔᲑᲘᲡ** (მათ შორის თურქების, ერაყელების და ა. შ.) **ᲛᲪᲘᲠᲔ ᲘᲜᲕᲔᲡᲢᲘᲪᲘᲔᲑᲘ ᲡᲐᲔᲭᲕᲝ ᲙᲐᲖᲘᲜᲝᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲝᲠᲓᲔᲚᲔᲑᲨᲘ.** გვჭირდება თუ არა ასეთი ინვესტიციები საერთოდ? კიდევ რამდენი სირიელი და ერაყელი ლტოლვილი შეგვიძლია მივიღოთ? რამდენი უცხოელი შეიძლება დასახლდეს საქართველოში, რომელიც რეზინის ნამდვილად არაა და ასიათასობით მიგრანტს ვერ დაიტევს? შემდგომმა ცვლილებებმა სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფის თანაფარდობაში შეიძლება დესტაბილიზაცია გამოიწვიოს. ყოველივე ეს ეროვნული უსაფრთხოების პრობლემებია, რომელთა გადაჭრა, ერთის მხრივ, კანონის სრული დაცვით, მეორე მხრივ კი, საქართველოს უზენაესი ინტერესების გათვალისწინებით უნდა მოხდეს; პროცესის მიშვება თვითდინებაზე დაუშვებელია.

**ქართული საზოგადოების კონსერვატიული და ნაციონალისტური ნაწილი, სამწუხაროდ, სერიოზულად არ აღიქვამს საფრთხეს, რომელიც აგრესიული სტიქიური ნაციონალიზმისგან მომდინარეობს და საუბარს ამ თემაზე მხოლოდ ლიბერალი ოპონენტების ისტერიკად განიხილავს. ლიბერალები კი, თავის მხრივ, სერიოზულად არ აღიქვამენ საფრთხეს, რომელიც მიგრანტების რაოდენობის განუხრელ ზრდას და საქართველოში უცხო ქვეყნების, მათ შორის თურქეთის, პოზიციების სწრაფ გაფართოებას უკავშირდება. შესაძლოა, შეცდომას ორივე მხარე უშვებს.**

შექმნილ სიტუაციაში ყველა პრობლემის მყისიერი მოგვარების უნივერსალური რეცეპტი არ არსებობს და ყველაზე გონივრული, ალბათ, ისეთი სტრატეგიის არჩევა იქნება, რომლის ფარგლებში საზოგადოება ეტაპობრივად აიძულებს ხელისუფლებას, გადადგას მცირე, ფრთხილი და გააზრებული ნაბიჯები, რომლებიც თანდათან, ქვეყნის მოკრძალებული რესურსებიდან გამომდინარე, შეამცირებს საფრთხეებს, რომელიც უკონტროლო მიგრაციისგან და უცხო სახელმწიფოების გავლენის უზომო ზრდისგან მომდინარეობს. რაც მთავარია, **ᲡᲐᲡᲣᲠᲕᲔᲚᲘᲐ, ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ ᲛᲣᲓᲐᲛ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲓᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲮᲐᲚ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲣᲪᲮᲝ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲘᲐᲚᲝᲒᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲨᲘ, ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲠᲔᲟᲘᲛᲘᲡᲒᲐᲜ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲘᲗ, ᲗᲐᲕᲘ ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚᲐᲓ ᲔᲭᲘᲠᲝᲡ ᲓᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲗ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲓᲔᲡ,** რაც აუცილებელი წინაპირობაა ყველასთან, მათ შორის თურქეთთან, კეთილმეზობლური და ორმხივად სასარგებლო ურთიერთობის დამყარებისთვის.

**ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲛᲝᲜᲘᲐᲕᲐ**

# ᲛᲐᲠᲒᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲘᲫᲔ ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲨᲘ ᲙᲝᲙᲐᲘᲜᲘᲡ ᲭᲐᲠᲑᲘ ᲓᲝᲖᲘᲗ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲛᲝᲮᲕᲓᲐ

**14 იანვარს, გამთენიისას, რესპუბლიკურ საავადმყოფოში საქართველოს პრეზიდენტის — გიორგი მარგველაშვილის მეგობარი ქალის — მაკა ჩაჩუას სიძე (ქალიშვილის ქმარი) — მინდია გოგოჭური და მისი მეგობარი თორნიკე კაჭარავა უგონო მდგომარეობაში მიიყვანეს. ექიმებმა ორივე მათგანს ნარკოტიკული ნივთიერების გადაჭარბებული დოზით მიღება დაუდგინეს. რესპუბლიკური საავადმყოფოს ერთ-ერთმა თანამშრომელმა, რომელმაც ვინაობის გამხელისგან თავი შეიკავა, მედიასაშუალებებს განუცხადა: „მინდია გოგოჭური მეგობართან ერთად, რომლის გვარიც კაჭარავაა, დილის საათებში შემოიყვანეს რესპუბლიკურ საავადმყოფოში, ორივე მათგანი ნარკოტიკული თრობის ქვეშ იმყოფებოდა. გოგოჭურს პულსიც კი არ ესინჯებოდა, ისეთ მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. საავადმყოფოს მორიგე ექიმმა ფაქტის შესახებ პოლიციას აცნობა, მოგვიანებით კი ორივე მათგანი რეანიმაციულ განყოფილებაში მოათავსეს. მათი ვინაობა მხოლოდ მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც საავადმყოფოში გიორგი მარგველაშვილის დაცვის წევრი და მაკა ჩიჩუა მოცვივდნენ. გოგოჭურსა და კაჭარავას გადაუდებელი დახმარება ჩაუტარდათ, დიაგნოზიც დასმულია — კოკაინის გადაჭარბებული დოზით მიღება“. ეს ინფორმაცია რესპუბლიკური საავადმყოფოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროს ᲜᲐᲢᲐᲚᲘᲐ ᲮᲣᲠᲪᲘᲫᲔᲡᲗᲐᲜ გადავამოწმეთ:**



**— ქალბატონო ნატალია, არიან თუ არა თქვენს საავადმყოფოში პაციენტები გოგოჭური და კაჭარავა?**

— თუ დამელოდებით, გადავამოწმებ. თუ მართლაც მკურნალობენ ეს ადამიანები ჩვენს კლინიკაში, მაშინ წერილობით უნდა მიმართოთ მათ, არიან თუ არა თანახმა მათი მკურნალობის მიზეზების გასაჯაროებისა.

**რამდენიმე წუთში ნატალია ხურციძე ასეთი პასუხით დაბრუნდა:**

— თქვენ უნდა მოიძიოთ პაციენტის ახლობელი, მისგან აიღოთ ოფიციალური ნებართვა და, თუ ამას მოიპოვებთ, ჩვენი საავადმყოფო ამ პაციენტების საავადმყოფოში ყოფნას თუ არყოფნას გაასაჯაროებს. სხვანაირად არ გვაქვს უფლება, ინფორმაცია დავადასტუროთ ან უარვყოთ, რადგან ჩვენ პაციენტის უფლებებსაც ვიცავთ.

**ნატალია ხურციძესთან დამშვიდობების შემდეგ რესპუბლიკურ საავადმყოფოში რამდენიმე ექიმს გამოველაპარაკეთ. ერთ-ერთმა მათგანმა, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა, გვითხრა, რომ მინდია გოგოჭური კვლავ რეანიმაციულ განყოფილებაში იმყოფება.**

## ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲘᲐ ᲒᲝᲒᲝᲭᲣᲠᲘ?

**ეს პიროვნება გახლავთ საქართველოს პრეზიდენტის — გიორგი მარგველაშვილის ახლობელი ქალის — მაკა ჩაჩუას შვილის — მაშო ჩიჩუას მეუღლე. აღსანიშნავია, რომ 2011 წლის 17 ოქტომბერს, დღის სამ საათზე, რუსთაველის გამზირზე, უამრავი მოწმის თვალწინ მოკლული 23 წლის ზურაბ ტარყაშვილის საქმეში მინდია გოგოჭურის სახელიც ფიგურირებდა. აი, რას ყვება მოკლულის დედა, ქალბატონი ᲗᲐᲛᲘᲚᲐ ᲙᲝᲭᲚᲐᲛᲐᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ:**

— ჩემი ზუკა დავით რუსიშვილმა, ირაკლი აგლაძემ, ივერი გოგბერაშვილმა, დავით ჯოხაძემ (რომლის ბიძაშვილი, ცნობილი კრიმინალი სოსო ჯოხაძე იუსტიციის მინისტრის — თეა წულუკიანის მეგობარია; ეს გავრცელებული ფოტოებითაც დადასტურდა) და გიორგი მარგველაშვილის სიძემ — მინდია გოგოჭურმა მოკლეს. **ᲛᲘᲜᲓᲘᲐ ᲒᲝᲒᲝᲭᲣᲠᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲒᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘᲡ — ᲛᲐᲙᲐ ᲩᲘᲩᲣᲐᲡ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ — ᲛᲐᲨᲝ ᲩᲘᲩᲣᲐᲡ ᲥᲛᲐᲠᲘ.** მაშო ჩიჩუას მარგველაშვილი შვილობილად მოიხსენიებს ერთ-ერთ ინტერვიუში.

ის, რომ გოგოჭური ჩემი შვილის მკვლელია, იცის როგორც პოლიციამ, ისე პროკურატურამ. ეს ვიდეომტკიცებულებებითაც დასტურდება. **ᲒᲐᲛᲝᲛᲫᲘᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘ ᲒᲕᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘᲐᲜ, ᲠᲝᲛ ᲖᲣᲙᲐ ᲛᲝᲙᲚᲐ ᲒᲝᲒᲝᲭᲣᲠᲛᲐ — ᲛᲐᲠᲒᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲝᲑᲘᲚᲘᲡ ᲥᲛᲐᲠᲛᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲞᲘᲠᲐᲓ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲨᲘ ᲒᲕᲔᲣᲑᲜᲔᲑᲘᲐᲜ, ᲠᲝᲛ ᲒᲝᲒᲝᲭᲣᲠᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲐᲡ ᲕᲔᲠ ᲬᲐᲣᲧᲔᲜᲔᲑᲔᲜ.** რაც შეეხება დავით ჯოხაძეს, რომელსაც იუსტიციის მინისტრი მფარველობს, მას ჩემი შვილის მკვლელობის გამო კი არა, დანაშაულის შეუტყობინებლობის გამო ეძებენ.

ზუკას მკვლელობისთვის დღეს მხოლოდ სამი პირია გასამართლებული — დავით რუსიშვილი (რუსიშვილი ნაფიცმა მსაჯულებმა დამნაშავედ ცნეს და მოსამართლეს სასჯელის დამძიმების რეკომენდაციით მიმართეს — მიესაჯა 21 წელი), ივერი გოგბერაშვილი (მას 24 წელი მიუსაჯეს) და ძებნილ ირაკლი აგლაძე (მას 31 წელი მიუსაჯეს). ჩემი შვილი ზუკა მისი მკვლელობის დღეს ლაღიძის ქუჩაზე, სახლთან იდგა. მას კონსერვატორიის მხრიდან სამი შეიარაღებული პირი — ივერი გოგბერაშვილი, ირაკლი აგლაძე და დავით რუსიშვილი — დაესხა თავს. ზუკა რუსთაველის მიმართულებით გაიქცა. სამივე სროლით მისდევდა. რუსთაველზე, „ლუტეციასთან“, პოლიციელმა ბარათელმა ზუკა დაიჭირა (მან მოგვიანებით განაცხადა, რომ ეგონა, ზუკას პოლიციელები მისდევდნენ). ბარათელის მიერ დაჭერილ ზუკას დავით ჯოხაძემ ზურგში ესროლა, რომელიც ჩემ შვილს რუსთაველზე გოგოჭურთან და ნიკა ასლანიშვილთან ერთად ელოდებოდა.

დაჭრილი ზუკა გაექცა ბარათელს, მაგრამ მას წინ მკვლელების მეგობარი ნიკა ასლანიშვილი დახვდა და გააკავა. ამ დროს ზუკას მინდია გოგოჭურმა ესროლა, იარაღი რუსთაველზე დააგდო და გზა გადაკვეთა – „თბილისი მარიოტის“ მხარეს გაიქცა. შემდეგ წაქცეულ და დაჭრილ ზუკას აგლაძემ, გოგბერაშვილმა და რუსიშვილმა ტყვიები დაახალეს.

მეტიც, **2013 ᲬᲚᲘᲡ ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲨᲘ ᲒᲔᲠᲒᲔᲗᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ ᲔᲡᲠᲝᲚᲔᲡ ᲕᲘᲜᲛᲔ ᲑᲐᲩᲝ ᲡᲘᲠᲐᲫᲔᲡ, ᲐᲛ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘᲡ ᲩᲐᲓᲔᲜᲘᲡᲐᲡ ᲒᲝᲒᲝᲭᲣᲠᲡ ᲐᲮᲚᲓᲜᲔᲜ ᲙᲐᲭᲐᲠᲐᲕᲐ ᲓᲐ ᲨᲐᲛᲐᲗᲐᲕᲐ. ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔ ᲛᲐᲠᲒᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲘᲫᲔᲐ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲓᲐᲣᲙᲐᲕᲔᲑᲘᲐᲗ.**

**ამ საკითხზე კომენტარი ვთხოვეთ შსს-სა და პრეზიდენტის პრესსამსახურების უფროსებს — ᲜᲘᲜᲝ ᲒᲘᲝᲠᲒᲝᲑᲘᲐᲜᲡᲐ და ᲨᲐᲚᲕᲐ ᲠᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲡ.**

**— ქალბატონო ნინო, შს სამინისტრო თუ ფლობს ინფორმაციას გიორგი გოგოჭურის შესახებ, რომელზეც ამბობენ, რომ ნარკოტიკების გადამეტებული დოზით მიღების გამო საავადმყოფოში მოხვდა?**

— ამის თაობაზე ინფორმირებული არ ვარ, თუმცა კანონის წინაშე ყველა თანასწორია.

**— ნარკოტიკების მოხმარება დღეს როგორ ისჯება კანონით?**

— პირის მიერ ნარკოტიკების პირველ ჯერზე მოხმარებისთვის სისხლის სამართლის კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებულია ჯარიმა 500 ლარის ოდენობით ან პატიმრობა 30 დღით. თუ რომელი შეუფარდოს, ამაზე სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას. მეორედ მოხმარების შემთხვევაში, სისხლის სამართლის კოდექსის 277-ე მუხლით ნარკოტიკების მომხმარებელი ისჯება სამუშაო დღეებში საზოგადოების სასარგებლოდ 120-დან 180 დღემდე მუშაობით ან თავისუფლების აღკვეთით ერთ წლამდე ან 1000-ლარიანი ჯარიმით. ამასაც სასამართლო გადაწყვეტს.

**— ზურაბ ტარყაშვილის დედა თამილა კოჭლამაზაშვილი მისი შვილის მკვლელობაში მინდია გოგოჭურს ადანაშაულებს. საუბარია გოგოჭურის მიერ ბაჩო სირაძის დაჭრაზეც...**

— ტარყაშვილის საქმეზე სამი ადამიანია გასამართლებული. მეტს ვერაფერს გეტყვით. ეს პროკურატურის პრეროგატივაა.

**ᲨᲐᲚᲕᲐ ᲠᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘ, საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახურის უფროსი:**

— ჩვენ თანავუგრძნობთ ყველა შვილმკვდარ დედას, თუმცა რა განმარტება უნდა გავაკეთოთ ამ საკითხზე? ყველაფერი გამოძიებული და დადგენილია.

**— რაც შეეხება მინდია გოგოჭურის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მოხვედრას...**

— ამ საკითხზე კომეტარს არ გავაკეთებ!

**ესაუბრა
ᲜᲘᲜᲝ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ**

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**თუ ახალი ხელისუფლება თავის ლეგიტიმურობას (არა ფორმალურს, არამედ რეალურს) მხოლოდ იმაზე დააფუძნებს, რომ ის სააკაშვილის რეჟიმზე ნაკლები ბოროტებაა, დიდხანს ვერ გაძლებს... საჭიროა მეტი გულწრფელობა, პატიოსნება და მუდმივი კონტაქტი ხალხთან. უკეთესი რეცეპტი ჯერ არავის გამოუგონია.**

# სიცოცხლე ბიძინას შემდეგ

**საახალწლო ლეთარგია, როგორც იქნა, დასრულდა და საზოგადოებამ თვალი გაახილა. ერთი შეხედვით, ყველაფერი ძველებურადაა — ქვეყანაში არაფერი შეცვლილა, მაგრამ ეს მაინც სულ სხვა ეტაპია. მიხეილ სააკაშვილის, მოგვიანებით კი ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ „დიდი დაპირებების ეპოქა“ ან, თუ გნებავთ, „ილუზიების ხანა“ ისტორიის კუთვნილებად იქცა და ამიერიდან ცხოვრება რეალობაში მოგვიწევს, ისეთში, როგორიც ის, სამწუხაროდ, არის. ბედნიერი მომავლის წარმოსახვითი სურათი ამიერიდან, სავარაუდოდ, გაცილებით მოკრძალებულ როლს შეასრულებს და საზოგადოების განწყობაზე შედარებით მცირე გავლენას მოახდენს.**



**მიხეილ სააკაშვილის, მოგვიანებით კი ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ «დიდი დაპირებების ეპოქა» ან, თუ გნებავთ, «ილუზიების ხანა» ისტორიის კუთვნილებად იქცა და ამიერიდან ცხოვრება რეალობაში მოგვიწევს**

გამოჩენილმა ფსიქოლოგმა უოლტერ მიშელმა 1972-ში სტენფორდში ასეთი ექსპერიმენტი ჩაატარა — 3-5 წლის ბავშვს ზეფირს აძლევდა, ეუბნებოდა, რომ, თუ 15 წუთის განმავლობაში არ შეჭამდა, დამატებით ამდენივეს მიიღებდა და ოთახში მარტო ტოვებდა. ბავშვების უმრავლესობა ცდუნებას ვერ უძლებდა, მაგრამ დაახლოებით 30% მოთმინებით ელოდა, თუ როდის გაივლიდა დათქმული დრო. 15 წლის შემდეგ დადგინდა, რომ ბავშვები, რომლებმაც ტესტი წარმატებით გაიარეს, ექსპერიმენტის სხვა მონაწილეებზე უკეთ სწავლობდნენ, მშობლებთან და თანატოლებთან გაცილებით დალაგებული ურთიერთობა ჰქონდათ და, საერთოდ, უფრო წარმატებულები იყვნენ. ზოგადად, ნებისყოფას და დროში დაშორებული მიზნის მიღწევაზე მუშაობის უნარს შეიძლება „ცივილიზაციის ძრავა“ ვუწოდოთ. უოლტერ მიშელის ექსპერიმენტის ზოგიერთი კომენტატორი წერდა, რომ სწორედ ამან მოუტანა კრომანიონელებს გამარჯვება ნეანდერტალელებზე და კაცობრიობა პროგრესული განვითარების გზაზე დააყენა. არცთუ დიდი ხნის წინ ფსიქოლოგებმა ექსპერიმენტის პირობები გაართულეს. ბავშებს ფანქრები და ქაღალდი მისცეს, ხატვის დაწყება სთხოვეს და დაჰპირდნენ, რომ ცოტა ხანში კიდევ ერთ ლამაზ ფანქარს ან სხვა ჯილდოს მოუტანდნენ. ბავშვების ნახევარი განგებ მოატყუეს და არაფერი მისცეს. შემდეგ დაიწყო ექსპერიმენტის მეორე სტადია, ზეფირით; ყველა მოტყუებულმა ბავშვმა ზეფირი დაუყონებლივ შეჭამა.

თუ საქართველოში შექმნილ სიტუაციას ამ ექსპერიმენტის კონტექსტში განვიხილავთ, ალბათ, მივალთ დასკვნამდე, რომ ექსპერიმენტატორებმა მთელი ზეფირი შეჭამეს და ფანქრები მოიპარეს. **ადამიანის უნარი, მომავალზე იმუშაოს, არამხოლოდ უზრუნველყოფს ზოგადად კაცობრიობის თუ კონკრეტული ქვეყნის წინსვლას, არამედ ქმნის სივრცეს პოლიტიკური მანიპულაციისთვის, საზოგადოების მოტყუებისთვის.** როდესაც ის აღმოაჩენს, რომ მოატყუეს (ადრე თუ გვიან აუცილებლად მიხვდება), ბუნებრივად მიდის დასკვნამდე, რომ პირობითი „ზეფირი“ დაუყონებლივ უნდა შეჭამოს მანამ, სანამ უკანასკნელ ლუკმას მოჰპარავენ. **იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც მზად არიან, უარი თქვან დღევანდელ კვერცხზე ხვალინდელი ქათმის გამო, კატასტროფულად მცირდება და სწორედ ამ დროს ჩერდება ქვეყნის განვითარება, ქრება „საერთო საქმის“ განცდა,** ხოლო დომინანტური იდეა დარჩენილი ზეფირის სასწრაფო გადანაწილება ხდება.

ცოტაც გავიჭირვოთ და... „როდესაც კომუნიზმს ავაშენებთ“, „როდესაც დამოუკიდებლობას მოვიპოვებთ“, „როდესაც ომს მოვიგებთ“, „როდესაც კორუფციას დავამარცხებთ“, „როდესაც ქვეყანას გავამთლიანებთ“, როდესაც სააკაშვილს ჩამოვაგდებთ“, „როდესაც კოჰაბიტაციას დავასრულებთ“, „როდესაც სამართლიანობას აღვადგენთ“, „როდესაც ნატოსა და ევროკავშირში შევალთ“, — ამბობდნენ ისინი და ამასობაში ჭამდნენ ზეფირს, იპარავდნენ ფანქრებს და ამის გამო საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს მსგავს ლოზუნგებსა და შესაბამის დაპირებებზე უმწვავესი ალერგია გამოუმუშავდა; მას პოლიტიკური ელიტის პატიოსნების აღარ სჯერა.

ამ მედალს ორი მხარე აქვს. **რა თქმა უნდა კარგია, რომ საზოგადოებას არარეალისტური დემაგოგიური დაპირებების მიმართ იმუნიტეტი გაუძლიერდა, მაგრამ უდავოდ ცუდია, რომ ამავე დროს მოხდა დროში დაშორებული მიზნებისკენ ერთობლივი სწრაფვის იდეის დევალვირება, რომ მასზე ორიენტირებულ ადამიანებს სულელებად თვლიან, რომ ელიტასა და დანარჩენ მოსახლეობას შორის ნდობა აღარ არსებობს.** ეს განვითარებას აფერხებს და საზოგადოებას სარგებლის მყისიერ მიღებაზე ორიენტირებულ ურდოს ამსგავსებს. ქვეყანა, რომელშიც დომინირებს კითხვა „სადაა ჩემი ზეფირი?“ (შესაბამისი განწყობით) სტრატეგიულად განწირულია.

**ამ კრიზისული ვითარების სწრაფი გამოსწორების რეცეპტი არ არსებობს. პროცესი, სავარაუდოდ, მცირე და სავსებით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმით უნდა დაიწყოს.** მაგალითად, **ერთის მხრივ, ჩვენ გვყავს ჩინოვნიკები, რომელნიც ვერ ისვენებენ და საბიუჯეტო სახსრებით ახალ სამსახურებრივ მანქანებს, „აიფონებს“ და სხვა ძვირადღირებულ აქსესუარებს ყიდულობენ, იღებენ უაზროდ დიდ პრემიებს და შტატებს ბერავენ. მეორე მხრივ კი, გაეროს ბავშვთა ფონდის „იუნისეფის“ მონაცემებით, საქართველოში 77 ათასი ბავშვი უკიდურეს სიღარიბეში — დღეში 2 ლარზე ცხოვრობს, „ფარდობით სიღარიბეში“ კი 200 ათას ბავშვზე მეტი (დღეში 3 ლარზე). ყოველწლიურად იღუპება ხუთ წლამდე ასაკის 800 ბავშვი, მათ შორის 300 სიცოცხლის პირველსავე თვეებში, კვებასთან დაკავშირებული პრობლემების გამო.** ჩინოვნიკების თავგასულობას ქვეყანაში, სადაც მსგავსი რამ ხდება პრივილეგიებთან დაკავშირებით, სავარაუდოდ, უნდა ეწოდოს არა უბრალოდ უსინდისობა, არამედ სოციალური გენოციდის ხელშეწყობა; როდესაც მათ ახალ ჯიპებს ვუყურებთ, სასურველია, უპირველესად, ის სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მყოფი ბავშვები გავიხსენოთ.

„მესამე მხრივ“, ჩვენ გვყავს ახალგაზრდა პრემიერმინისტრი თავის გუნდთან ერთად, რომელიც ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ საკუთარი გავლენა და რეიტინგი გაზარდოს. განხილულ საკითხთან დაკავშირებით, ხელისუფლება დაგვპირდა, რომ საკითხს პოლიტსაბჭოზე განიხილავდა და ახალი მანქანების შეძენის სტანდარტებს შეიმუშავებდა; პრობლემის გადაწყვეტა ისევ ბუნდოვან მომავალს დაუკავშირდა. **საინტერესოა, ვინ უშლის ხელს პრემიერს, შექმნას სპეციალური კომისია მთავრობისა და საზოგადოების წარმომადგენელთა მონაწილეობით, რომელიც შეისწავლის სახელისუფლო სტრუქტურების მიერ გამოცხადებული ტენდერების გონივრულობას, აგრეთვე, პრემიებისა და გაბერილი შტატების საკითხს, შეიმუშავებს ხარჯების ოპტიმიზაციასთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს და ანგარიშს საზოგადოებას ჩააბარებს? კონკრეტული პრობლემა-კონკრეტული ნაბიჯი-კონკრეტული შედეგი — ალბათ, სწორედ ამ ალგორითმზე დგას ნაყოფიერი და, ამავე დროს, პოპულარული პოლიტიკა.** შესაძლოა, პრემიერმინისტრს ჩინოვნიკების გაღიზიანება არ სურს ან კიდევ, უნდა, რომ პრივილეგიების თემა ამა თუ იმ მაღალჩინოსნის წინააღმდეგ საჭირო მომენტში გამოიყენოს, როგორც ხელკეტი, მაგრამ განხილული ვარიანტი მას, სავარაუდოდ, გაცილებით მეტ ქულას მოუტანს. **საზოგადოება პრობლემის გადაწყვეტას მოუთმენლად ელოდება და პროცესში სიამოვნებით ჩაერთვება.**

მეორე კონკრეტული ამოცანა ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება, უკიდურეს გაჭირვებაში მცხოვრებთა მდგომარეობის შემსუბუქებაა. ამ პრობლემის გადაწყვეტას გაცილებით დიდი შრომა სჭირდება, მაგრამ არაფერია შეუძლებელი იმაში, რომ ამ კატასტროფულ, მართლაც რომ აფრიკულ მაჩვენებლებს დავშორდეთ. საზოგადოება მსგავს ნაბიჯებს არ ივიწყებს. **როდესაც იტალიაში 60-იან წლებში ჩატარდა კვლევა (მათ შორის) იმის დასადგენად, თუ დადებითს რას ხედავდა მოსახლეობა მუსოლინის მმართველობის პერიოდში, ერთ-ერთ მთავარ პლიუსად დასახელდა ის, რომ დიქტატორმა ბავშვთა მაღალი სიკვდილიანობა დაამარცხა და მუდამ მშიერი, მაწანწალა იტალიელი ბავშვი, რომელსაც ასე კარგად ვიცნობთ XIX საუკუნის ლიტერატურიდან, ისტორიის კუთვნილებად აქცია. მიუხედავად იმისა, რომ მუსოლინი თანამედროვე იტალიისთვის სრულიად მიუღებელი ფიგურაა და ქვეყანას უამრავი უბედურება მოუტანა, ეს წარმატება ერმა არ დაუვიწყა.**

ასეთი თემა უამრავია; საინტერესოა, რა არის დღეს უფრო მნიშვნელოვანი და რა მოიტანს უკეთეს შედეგს: გლობალური დაპირებები საყოველთაო კეთილდღეობისა და სამართლიანობის დამკვიდრებასთან დაკავშირებით თუ კონკრეტული, შედარებით ლოკალური მიზნების დასახვა და მათი მიღწევა რეალისტურ პერსპექტივაში? ალბათ, მეორე გზა უფრო პროდუქტიულია, თანაც ამის გარეშე ვერ აღდგება ნდობა საზოგადოებასა და ხელისუფლებას (ზოგადად, პოლიტიკურ ელიტას) შორის და ვერ გაცოცხლდება დროში დაშორებულ პერსპექტივაზე მუშაობის სურვილი, ნებისყოფასთან და შესაბამის უნარ-ჩვევებთან ერთად.

**ნებისმიერი ერის ცხოვრებაში შეიძლება დადგეს მომენტი, როდესაც ლიდერი, როგორც უინსტონ ჩერჩილი თავის დროზე, ვერაფერს შესთავაზებს „სისხლის, ოფლისა და ცრემლის“, მძიმე ომისა და შრომის გარდა. დღევანდელი საქართველო ამისთვის მზად არ არის.** მას, შესაძლოა, აკლია სწორედ ის ძნელადაღსაწერი თვისებები, რომლებიც უოლტერ მიშელის ექსპერიმენტში მონაწილე ბავშვების 30%-მა გამოავლინა, მარტივად რომ ვთქვათ, ის, რაც ერს ბიომასისგან განასხვავებს.

**თავის დროზე „ნაციონალებს“ ვერ წარმოედგინათ, რა მოხდება მას შემდეგ, რაც სააკაშვილი თანამდებობას დატოვებს, შემდეგ კი მათი ოპონენტები ვარაუდობდნენ, რომ ივანიშვილის გადადგომისთანავე ქართულ პოლიტიკაში ლოკალური მასშტაბის აპოკალიფსი მოხდება.** ერთნიც და მეორენიც თავის შიშნარევ კითხვებს ისე სვამდნენ, თითქოს ცდილობდნენ, დაედგინათ, „არის თუ არა სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ“; პოლიტიკურ ჯოჯოხეთში მოხვდებიან თუ პირიქით — სოციალურ სამოთხეში. არადა, მოვლენათა განვითარება გაცილებით პროზაული გამოდგა, ცხოვრება ჩვეულებრივ გაგრძელდა თავისი პრობლემებით და გაჭირვებით. საზოგადოება, როგორც ადამიანი მძიმე დაავადების შემდეგ, თავიდან სწავლობს სიარულს, ლაპარაკს, (ჯერჯერობით მოკრძალებული) მიზნების დასახვას და მათ მიღწევას. **ყველაფერს, რაც აქამდე ხდებოდა, არსებითი მნიშვნელობა აღარ აქვს** (რაც წარსულში ჩადენილი დანაშაულების პატიებას სულაც არ ნიშნავს), **დაავადებით გამოწვეული საშინელი ტკივილი იყო ეს თუ ცეცხლოვანი ხილვები ძლიერი ტკივილგამაყუჩებლის მიღების კვალობაზე წარსულში დარჩა და ყველაფერი სუფთა ფურცლიდან იწყება. საინტერესოა, რამდენად ადეკვატურად აღიქვამს ხელისუფლება და საზოგადოება ამ მომენტის ფსიქოლოგიურ და, აქედან გამომდინარე, პოლიტიკურ მნიშვნელობას.**

**თუ ახალი ხელისუფლება თავის ლეგიტიმურობას** (არა ფორმალურს, არამედ რეალურს) **მხოლოდ იმაზე დააფუძნებს, რომ ის სააკაშვილის რეჟიმზე ნაკლები ბოროტებაა, დიდხანს ვერ გაძლებს.** მისივე ინტერესებშია, გამოიმუშაოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და თანამშრომლობის სრულიად ახალი სტილი და, მასთან ერთად, თუნდაც მოკრძალებული მიზნების დასახვა და მათ მიღწევაზე მუშაობა დაიწყოს. ეს სწორედ ახლა უნდა გააკეთოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ჩამოყალიბდება მორიგ პარაზიტულ ნეოფეოდალურ დაჯგუფებად, რომელიც მხოლოდ იმ მომენტამდე გაძლებს, ვიდრე ფართო მასები სასახლეში არ შეუვარდებიან და დაპირებული თუ მიტაცებული ზეფირის დაბრუნებას არ მოსთხოვენ. რაოდენ ბანალურად უნდა გაიჟღეროს, **საჭიროა მეტი გულწრფელობა, პატიოსნება და მუდმივი კონტაქტი ხალხთან. უკეთესი რეცეპტი ჯერ არავის გამოუგონია.**

იმერლიშვილს ბოკერიას სიგარეტის სუნით გაჟღენთილი მანქანა არ მოეწონა და ასე იმართლა თავი, სხვებს კი, უბრალოდ, მადა გაეხსნათ და „თხა თხაზე ნაკლებიო“... მხოლოდ 1 წელიწადში „ოცნების“ მინისტრებმა სააკაშვილის ჩინოვნიკებს გადაუსწრეს ფუფუნებით ბიუროკრატიულ ხარჯებში ბიუჯეტიდან ფულის ფლანგვაში.

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ქართული ოცნების» მზარდი autoრიტეტი

## მთავრობის შავ ჯიპებში 90 მილიონი დაიხარჯა

**ლექსუსები, პრადოები, ჰაი-კლასის ავტომობილები ივანიშვილის დანატოვარი ხელისუფლების დიადი გატაცება აღმოჩნდა. „ცალ-ცალი კალოშით“ მოსული თანამდებობის პირები წინამორბედების სავარძლებსა და სამსახურებრივ ავტომანქანებს აღარ დასჯერდნენ და ბიუჯეტის სახსრებით ახალი ჰაი-კლასის მანქანების შეძენა დაიწყეს.**



**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის, ავთანდილ ბერიძის, მიერ ძვირადღირებული „პრადოს“ შეძენასთან დაკავშირებული სკანდალი ყველას გახსოვთ,** თუმცა იგი ერთადერთი არაა, ვისაც ძვირადღირებული ავტომობილის შეძენის სურვილი გაუჩნდა. **174 ათას ლარად ღირებული ჯიპი შეიძინა აწ უკვე ყოფილმა მთავარმა პროკურორმა — ოთარ ფარცხალაძემ. 78 ათასი ლარის ღირებულების „ტოიოტა პრადო“ და პირადი მოხმარების საგნები იყიდა უშიშროების საბჭოს მდივანმა ირინე იმერლიშვილმა,** რომელიც პარლამენტში ყოფნისას უკრაინის ყოფილი პრეზიდენტის სტუმრობისას აბანოში ყოფნის ხარჯებს აფრიალებდა, თავად კი ბოკერიას დანატოვარ მანქანაში ჩაჯდომა არ იკადრა.

**შავი ჯიპების ეპოპეა**

უწოდეს „ახალგაზრდა იურისტებმა“ კვლევას, რომლის თანახმადაც **ორწელიწად-ნახევარში სახელმწიფო დაწესებულებებმა ავტომანქანების შესაძენად 90 მილიონი ლარი დახარჯეს. 2011 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის ივლისის ჩათვლით, სხვადასხვა საჯარო დაწესებულებამ 2146 ავტოსატრანსპორტო საშუალება შეისყიდა, რომელთა საერთო ღირებულებამ 61 მილიონ 439 ათას 788 ლარი, 16 მილიონ 545 ათას 81 დოლარი და 110 ათასი ევრო შეადგინა.** საია-ს მონაცემებით, **საჯარო უწყებებმა 2011-13 წლებში ავტომობილების შესაძენად 90 მილიონი დახარჯეს. მათ შორის, შსს-მ ძვირადღირებული „მინიკუპერები“ და „ტოიოტა ჰაილუქსები“ იყიდა.**

**ახალი მთავრობის მიერ ავტოპარკის განახლების მიზნით დახარჯული თანხა ათეულობით მილიონია.** მხოლოდ „ბათუმელების“ მიერ გადამოწმებული დოკუმენტების მიხედვით, **2013 წლის იანვრიდან დღემდე შსს-ს მანქანებში 22 მილიონზე მეტი ლარი დაიხარჯა. შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის მთავარ სამმართველოში ავტოპარკი ბოლოს 2012 წლის დეკემბერში განაახლეს.**

> **«მაღალი კლასი შეიძლება დიპლომატიურ სამსახურს და რამდენიმე თანამდებობას ესაჭიროებოდეს, მაგრამ ამ ღატაკ ქვეყანაში გაჭირვებული ხალხის გადასახადებით ასიათასიანი მანქანების ყიდვა ცოტა უხერხულია»**

სამმართველომ 72 ათას ლარად ღირებული ავტომანქანა „ტოიოტა ლენდკრუიზერ პრადო“ იყიდა. შპს „ტოიოტა ცენტრ თბილისსა“ და სამმართველოს შორის ავტომანქანის მიწოდებაზე დადებულ ხელშეკრულებას სამმართველოს ხელმძღვანელი **ვალერიან თელია** აწერს ხელს. არადა, **აჭარის სამმართველოში ჯერ კიდევ 2012 წლის თებერვალში შეიძინეს 108 ათას 700 ლარად „ტოიოტა ლენდკრუიზერ 200“.** რატომ თქვა წინამორბედის ახალ მანქანაზე უარი ახალმა პოლიციის უფროსმა და სად წავიდა ეს მანქანა, უცნობია.

**2013 წლის მეორე ნახევარში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ავტოპარკინგის განახლების მიზნით 6 მილიონ 444 ათას 450 ლარი დახარჯა.** ამ თანხაში არ შედის დეპარტამენტების მიერ შესყიდული მანქანებისთვის გადახდილი თანხა. შესყიდვების დოკუმენტების მიხედვით ირკვევა, რომ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისთვის, საჭირო მანქანების გარდა, უწყება ძვირადღირებულ მანქანებსაც ყიდულობს, სავარაუდოდ, თანამდებობის პირებისთვის. მაგალითად, „ნეტგაზეთის“ ინფორმაციით, **სამინისტროს მომსახურების სააგენტომ 2013 წლის აპრილში 630 ათასი ლარი დახარჯა და ცხრა „ტოიოტა ჰაილენდერი“ შეიძინა — თითოეულში 70 ათასი ლარი გადაიხადა.** ამის შემდეგ სააგენტომ დამატებით 43 ათას 700 ლარად ღირებული სამი ერთეული „ტოიოტა ჰაილუქსი“ და სამი ერთეული „ტოიოტა ლენდკრუიზერ პრადო“ შეისყიდა, თითოეული 63 ათას ლარად. ამას მოჰყვა კიდევ ორი, 93 ათას ლარად ღირებული „ლენდკრუიზერ პრადო“. 2013 წლის აპრილში სააგენტომ „ტოიოტა ლენდკრუიზერ 200“-ც იყიდა — ამ მანქანაში სამინისტრომ 121 ათას 700 ლარი გადაიხადა. სააგენტო წელს ძვირადღირებულ მანქანებში, რითაც, სავარაუდოდ, თანამდებობის პირები ისარგებლებენ, 600 ათასი ლარის დახარჯვას ისევ გეგმავს.

**ახალი ავტომანქანები 2013 წელს საქართველოს პროკურატურასაც უყიდია. მან კომპანია „ჯი თი მოტორსისგან“ 485 ათასი ლარის ღირებულების ავტომანქანები შეიძინა. 2013 წლის ივლისში ახალ მანქანებში ფული საქართველოს იუსტიციის სამინისტრომაც დახარჯა. სამინისტრომ „იბერია ავტო ცენტრისგან“ ორი ერთეული „შკოდა“ შეიძინა, რაც, ჯამში, 82 ათასი ლარი დაჯდა.**

**ახალი მანქანები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროშიც გამოჩნდა. სამინისტრომ 2013 წლის თებერვალში 15 ათას 619 ლარად ღირებული „ვოლკსვაგენ პასატი“ და 42 ათას 121 ლარად ღირებული „კია სერატო“ შეიძინა.** მანქანების შეძენის ხელშეკრულებას ახლანდელი მინისტრი თამარ სანიკიძე აწერს ხელს, თუმცა ირკვევა, რომ სამინისტროს მაშინ „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი ხელმძღვანელობდა.

**სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მთლიანობაში 1 მილიონ 841 ათას 40 ლარი დახარჯა ავტოპარკის გასაახლებლად.** ახალი ავტომობილები მინისტრის მოადგილეებს ჩამოურიგეს, ხოლო ძველი, როგორც ირკვევა, სამინისტროს დაქვემდებარებულ საჯარო იურიდიულ პირებს გადაეცათ.

**კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომაც 2013 წლის სექტემბერში ორი ერთეული „ტოიოტა კოროლა“ შეისყიდა. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ კი 2013 წლის მაისში 2 ერთეული მსუბუქი ავტომანქანა შეიძინა, რაშიც, ჯამში, 78 ათას 500 ლარი გადაიხადა.** კახა კალაძის სამინისტრომ არჩევანი „შკოდა ოქტავიაზე“ შეაჩერა.

**საგარეო საქმეთა სამინისტრომ ხუთი ერთეული სედანის ტიპის „ჰიუნდაი ელექტრა“ შეისყიდა, რაშიც მთლიანობაში 137 ათას 400 ლარი გადაიხადა. 11 „სედანი“ იყიდა საქართველოს პარლამენტმაც.**

**სახელმწიფომ 2013 წლის პირველ 6 თვეში საწვავის შესასყიდად უკვე დახარჯა 159 მილიონ 336 ათას 748 ლარი. ავტომანქანების რემონტში კი მთავრობას 20 მილიონ 713 ათას 902 ლარი აქვს ათვისებული.** არადა, ყველა არასამთავრობო თუ ჟურნალისტური კვლევიდან ჩანს, რომ სააკაშვილის ხელისუფლება სამსახურებრივი ავტომანქანების შეძენაზე არანაკლებ თანხებს ხარჯავდა, ეს ავტომობილები რამდენიმეჯერ ტელევიზიითაც გვაჩვენეს და ზურგზე არც ერთ ყოფილ მაღალჩინოსანს არ მოუკიდებია. რატომ აღარ იკადრეს აღნიშნულ, თითქმის ახალ ავტომობილებში ჩასხდომა „ქართული ოცნების“ ახლადგამომცხვარმა მაღალი თანამდებობის პირებმა?

**იმერლიშვილს ბოკერიას სიგარეტის სუნით გაჟღენთილი მანქანა არ მოეწონა და ასე იმართლა თავი, სხვებს კი, უბრალოდ, მადა გაეხსნათ და „თხა თხაზე ნაკლებიო“... მხოლოდ 1 წელიწადში „ოცნების“ მინისტრებმა სააკაშვილის ჩინოვნიკებს გადაუსწრეს ფუფუნებით ბიუროკრატიულ ხარჯებში ბიუჯეტიდან ფულის ფლანგვაში.**

ანალოგიურად მოიქცნენ თბილისის საკრებულოშიც: „საქართველო და მსოფლიომ“ გაარკვია, რომ, მაგალითად, მხოლოდ 2013 წელს, მიუხედავად იმისა, რომ 2012-ში სრულად იყო განახლებული საკრებულოს ავტოპარკი და არც საკრებულოს დამატებია ახალი წევრები, საკმაოდ ძვირადღირებული ახალი ავტომანქანები შეიძინეს: „ჰიუნდაი ix35“ — 37 ათას 515 ლარად, ასევე „კია ოპტიმას“ 44 ათასლარიანი ავტომობილი, ასევე 6 ცალი „ჰიუნდაი ელანტრას“ ძვირადღირებული ავტომანქანები შეისყიდეს.

**„მაღალი კლასი შეიძლება დიპლომატიურ სამსახურს და რამდენიმე თანამდებობას ესაჭიროებოდეს, მაგრამ ამ ღატაკ ქვეყანაში გაჭირვებული ხალხის გადასახადებით ასიათასიანი მანქანების ყიდვა ცოტა უხერხულია; ცოტა იმ ხალხზეც იფიქრეთ, რომელთა ჯიბიდანაც ყიდულობთ ამ ყველაფერს — გაგვძვრა სული ამ გადასახადებში!“**

— ასეთია სოციალურ ქსელში საქართველოს მოქალაქეების გამოხმაურება თანამდებობის პირების მისამართით, მაგრამ, როგორც ჩანს, ჩინოვნიკების ჯიპების დაბურულ მინებსა და აწეულ ფანჯრებში უბრალო ხალხის ხმა ვერ აღწევს.

**გიორგი გაჩეჩილაძე**



# მარგველაშვილი გამოჩნდა

**საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ავსტრალიის თანამეგობრობის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს — იან დევიდ გრინჯ ბიგსს შეხვდა. იან დევიდ გრინჯ ბიგსის დიპლომატიური მისია საქართველოში დასრულდა და საქართველოს პრეზიდენტთან აუდიენცია გამოსამშვიდობებელ ხასიათს ატარებდა.** აღნიშნულ შეხვედრაზე სახელმწიფოთა შორის არსებული ურთიერთობები განიხილეს. აღინიშნა, რომ ორი ქვეყანა კვლავაც განაგრძობს საერთაშორისო სამართლის პრინციპების პატივისცემასა და თანამშრომლობას გაეროს ფორმატის შესაბამისად.

**კარგია მერე, ჩვენ არ გვხვდება და ავსტრალიელებს მაინც შეხვდეს.**

# ცოცხები და ქაჯები

საშობაო ეპისტოლესთან დაკავშირებით ატეხილ აჟიოტაჟს დიდი ქართველი რეჟისორი, რობერტ სტურუა „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე გამოეხმაურა და შემდეგი შინაარსის წერილი გაავრცელა:

**„ის უცნაური ქაჯები თავზე რომ გაჯდნენ 10 წელი, პატარა წინააღმდეგობა მაინც გაგეწიათ! ახლა მაინც მოდით გონს, ხალხო! რა დროს მიტინგებია ორსულობის წინააღმდეგ, ჯერ ბოროტება და ცოცხები ამოგლიჯეთ საკუთარი სულებიდან“.**

**მაესტრო, სულების რა გითხრათ, მაგრამ ცოცხები იმდენს სიამოვნებს, ძალით თუ ამოვგლეჯთ, თორემ ისე ახალ პარტიას ელიან თურმე.**




# ვიაგრა და კუტუნიო

რუსულ ჯგუფ „ვიაგრას“ ახალი შემადგენლობა ბათუმს ესტუმრა. მათ ევროპის მოედანზე კონცერტი გამართეს და, იმის მიუხედავად, რომ ცივი ამინდი იყო, კონცერტს მაყურებელთა სოლიდური რაოდენობა დაესწრო და რამდენიმე ადამიანი გაშიშვლდა კიდეც.

**ასეა. როცა მიშა იყო ხელისუფლებაში, კუტუნიო ჩამოყავდა, ამათ კიდევ — „ვიაგრა“... აშკარად არის ამაში ლოგიკა.**

საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

პოზიცია

**„უნდა გავაცნობიეროთ, რომ დასავლეთის მოიმედეობამ ჩვენი ქვეყანა უკვე დაანგრია არამარტო ტერიტორიულად, არამედ ეკონომიკურად, ზნეობრივად, სულიერად... ჩვენ თუ მიმართულება და ორიენტირები არ შევცვალეთ, ჩვენი ქვეყნის დაშლის უკვე დაწყებული პროცესი, შესაძლებელია, გაგრძელდეს და ბოლომდეც მივიდეს. აი, ასეთი კატასტროფის წინაშე დგას ჩვენი სამშობლო."**

# ნატო თუ... ქვეყნის დაქუცმაცება?

**არც თუ ისე დიდი ხანია, რაც ქვეყანაში ახალი რეალობა დამყარდა, თუმცა ჯერაც ვერავინ იტყვის, რით უნდა აიხსნას ეს — ქვეყანაში მიმდინარე პროცესებით თუ ქვეყნის წინაშე მდგარი გამოწვევებით. კიდევ ერთხელ მივიღეთ ნატოსგან ტრივიალური ფრაზა „აუცილებლად მიგიღებთ, ვერ გეტყვით, როდის". რა გამოწვევები დგას საქართველოს წინაშე და რამდენად მზად არის მთავრობა ამ გამოწვევებისთვის? „საქართველო და მსოფლიოს" ესაუბრა პარტია „ნეიტრალური საქართველოს" თავმჯდომარე ვალერი კვარაცხელია.**



ვალერი კვარაცხელია:

## ჩვენ ჩვენი ხელისუფლება არ გვყავს, ეს ამერიკელების მიერ ხელდასმული ხელისუფლებაა

— ის იმედები, რომლებიც დაკავშირებული იყო „ქართული ოცნების" მოსვლასთან, პრაქტიკულად, გაცრუვდა. ის, რომ აშკარად გამოხატული ფაშისტური მიდრეკილებების რეჟიმი ჩაანაცვლა ხელისუფლებამ, რომელსაც არ აქვს ასეთი მიდრეკილებები, ძალიან კარგია; კარგია ისიც, რომ პოლიციელს ქუჩაში აღიქვამ არა როგორც დამთრგუნავ ძალას, არამედ როგორც წესრიგის დამცველს, მაგრამ ეს სულაც არ არის საკმარისი იმ პრობლემების გადასაჭრელად, რომლებიც საქართველოს წინაშე დგას.

**— კონკრეტულად რომელ პრობლემებს გულისხმობთ?**

— საქართველოს წინაშე დგას ორი ძირითადი პრობლემა — დარღვეული ტერიტორიული მთლიანობა და ეკონომიკის სავალალო მდგომარეობა. მოსახლეობის მესამედი საცოდავად ლუკმაპურის საძებნელადაა გაქცეული საზღვარგარეთ. „ოცნების" წინასაარჩევნო დაპირებების მიუხედავად, რომ ხელისუფლებაში მათი მოსვლის შემდეგ ეკონომიკა გაჯანსაღდებოდა, პირიქით ხდება: ლარის კურსი განაგრძობს ვარდნას. ჩვენ ხომ ვიცით, ეს რასაც ნიშნავს! ლარის კურსის ვარდნა მაშინვე იწვევს პროდუქციის გაძვირებას არა ვარდნის შესაბამისად, არამედ გაათმაგებულად. შეიძლება ხელოვნური ჩარევებით, გარკვეული ფინანსური ინექციებით გარკვეული პერიოდის შემდეგ ეს დაარეგულირონ და ლარი საწყის მდგომარეობას დაუბრუნონ, მაგრამ ფასები არავითარ შემთხვევაში აღარ დაბრუნდება საწყის მდგომარეობაში, რის შედეგადაც მოსახლეობა უმძიმეს ვითარებაში აღმოჩნდება.

ეკონომიკის გაჯანსაღების რა გზა არსებობს? — პროდუქციის წარმოებას პლუს გასაღების ბაზრის მოპოვება. „ოცნების" ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ რუსეთმა, მართალია, ქართულ პროდუქციას ბაზარი გაუხსნა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ბევრი არაფერი გვაქვს გასატანი, მხოლოდ ღვინო, ბორჯომი, ცოტაოდენი ციტრუსი და... მორჩა, რეალურად ჩვენ ხომ არაფერს ვაწარმოებთ. ის, რომ ჩვენი ღვინო შევა რუსულ ბაზარზე, შეიძლება რაღაც სიკეთის მომტანი იყოს, მაგრამ ქართული ეკონომიკური პრობლემების გადამწყვეტი ვერ იქნება. ეკონომიკის აღორძინება რთული და კომპლექსური საკითხია. ასეთი მიდგომა კი არ ჩანს. ივანიშვილი აცხადებდა, ას ქარხანას ავაშენებთო... არ ვიცი, სად შენდება ქარხნები ისე, რომ ხალხი ამას ვერ ხედავს.

ბევრს დავდივარ ქვეყნის დასავლეთსა და აღმოსავლეთ რეგიონებში, მაგრამ ეს მშენებლობები არ ჩანს, რომელიმე ქარხნიდან ამომავალი კვამლი მე არ მინახავს და ის ფაქტი, რომ ქვეყანაში აღარ არის ფაშისტური რეჟიმი, ამ მდგომარეობის საპირწონე სულაც არაა.

**— გასაგებია, რომ „ქართული ოცნებაც" წინამორბედივით ბევრს იტყუება, მაგრამ რა ვქნათ?**

— საჭიროა მიდგომების შეცვლა. საშინაო და საგარეო ურთიერთობები ერთმანეთთანაა დაკავშირებული და ერთ დიალექტიკურ მთლიანობას წარმოადგენს. არჩეული უნდა იქნას ერთმანეთის შემავსებელი და ერთმანეთის განმაპირობებელი რეალური საგარეო და საშინაო პოლიტიკური გზა და მიმართულება. ის გზა, ის კურსი, ის პოლიტიკა, რომელსაც საქართველო უკანასკნელი მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ადგა, დამანგრეველი აღმოჩნდა. წინასწარ ამის განჭვრეტა და დანახვა, რა თქმა უნდა, ძნელი იყო, მაგრამ ახლა, როდესაც საქართველო უკვე სამ ნაწილად დაშლილი და ეკონომიკურად გაპარტახებული ქვეყანაა, ამის დაუნახაობა ძნელია.

აკვიატებული იდეები ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციაზე, საქართველოსთვის ყოვლად უპერსპექტივოა. დღეს საქართველოს ნატოში გაწევრიანების თეორიული შანსიც კი აღარ არსებობს. ძალიან საინტერესო იყო მედვედევის ინტერვიუ, რომელიც მან „რუსთავი 2"-ის კორესპონდენტს მისცა. კითხვაზე — შეგვიშლის თუ არა რუსეთი ხელს ნატოში გაწევრიანების საკითხში? — მედვედევმა უპასუხა, რომ რუსეთი ხელს ვერ შეგიშლით, რადგან რუსეთი არ არის ამ ორგანიზაციის წევრი, მაგრამო... და, აი, ამ მაგრამის შემდეგ იწყება საინტერესო — თვითონ ნატო შეგიშლით ხელს ამაშიო. ხოლო გაშიფვრა იმისა, თუ რა იგულისხმა რუსეთის პრემიერმინისტრმა, პოლიტიკაში ჩახედული ნებისმიერი ადამიანისთვის ოდნავი სირთულეც კი არ არის.

**— ეს საკითხი იქნებ მეტად გავუშიფროთ საზოგადოებას?**

— პატარა საქართველო არ ითვალისწინებს რუსეთის ინტერესებს, მაგრამ დასავლეთის დიდმა სახელმწიფოებმა და ნატომ შესანიშნავად იციან, რომ რუსეთის ინტერესების გაუთვალისწინებლობა არც თუ ისე ადვილი საქმეა. ამიტომ ისინი, უპირველესად, სწორედ რუსეთის ინტერესების გათვალისწინებით, თავიანთ რიგებში ვერ მიგიღებენო. ნატოში ახალი წევრის მიღება ხდება კონსენსუსის წესით და რამდენიც უნდა მოინდომოს ამერიკამ, ევროპული ქვეყნები არ წავლენ ასეთ ღია კონფრონტაციაზე რუსეთთან. ვიცი, მკითხავთ: ბალტიისპირეთის რესპუბლიკები ხომ შევიდნენ ნატოში და მაშინ რატომ არ შეუშალა ხელი რუსეთმა და რატომ არ გაითვალსიწინა რუსეთის ინტერესები ნატომო? ელცინის რუსეთი სხვა რუსეთი იყო, რომელიც პირდაპირ ამერიკული დირექტივებითა და ამერიკული სცენარით იმართებოდა. პუტინის რუსეთი აბსოლუტურად სხვა რუსეთია. დღეს რუსეთი სხვა პოლიტიკური სიდიდე და სხვა პოლიტიკური მოთამაშეა. რუსეთი იბრუნებს ზესახელმწიფოს არამარტო სტატუსს, არამედ რეალურ მდგომარეობასაც, იბრუნებს გავლენის სფეროებსაც და ეს გამოჩნდა უკრაინის მაგალითზე. ამ ქვეყანაში როდესაც ერთმანეთს დაეჯახა რუსეთისა და ევროპის ინტერესები, უკრაინის ხელისუფლებაც და მოსახლეობის უდიდესი ნაწილიც მიხვდა, რომ ევროკავშირის ასოცირებული წევრობის არჩევის შემთხვევაში უკრაინის ეკონომიკის კრახი გარდაუვალი იქნებოდა. აქვე უნდა ითქვას იმის შესახებაც, რომ საბაჟო კავშირი და ევრაზიული კავშირი ხდება ძალიან რეალური. ამ მიმართულებით სერიოზული ნაბიჯები გადადგეს რუსეთმა, ბელარუსმა, ყაზახეთმა, სომხეთმა, ყირგიზეთმა. წარმოიდგინეთ, რა უკიდეგანო იქნება ეს ეკონომიკური სივრცე, როდესაც მას უკრაინაც შეუერთდება. არადა, ყველაფერი აქეთკენ მიდის, მიუხედავად იმისა, რომ აშშ და ევროპა ამას გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევენ.

პრაგმატული მოსაზრებები ყოველთვის ჯაბნის ხოლმე პოლიტიკურ ოცნებებსა და ილუზიებს. ჩვენც უნდა გავითვალისწინოთ ეს რეალობა. რა შეიძლება ჩვენთვის იყოს კატეგორიულად მიუღებელი? — მხოლოდ ორი რამ: პირველი, რაც დაარღვევს ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას და მეორე, რაც დაემუქრება ჩვენს პოლიტიკურ სუვერენიტეტს. აი, ამ ორი მომენტის გარდა ყველაფრის განხილვა და ყველაფერზე საუბარი შესაძლებელია. ჩვენ იმის შიშში კი არ უნდა ვიყოთ, რომ ვინმე მომავალში დაემუქრება ჩვენი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას, არამედ უნდა გავაცნობიეროთ, რომ დასავლეთის მოიმედეობამ ჩვენი ქვეყანა უკვე დაანგრია არამარტო ტერიტორიულად, არამედ ეკონომიკურად, ზნეობრივად, სულიერად... ჩვენ თუ მიმართულება და ორიენტირები არ შევცვალეთ, ჩვენი ქვეყნის დაშლის უკვე დაწყებული პროცესი, შესაძლებელია, გაგრძელდეს და ბოლომდეც მივიდეს. აი, ასეთი კატასტროფის წინაშე დგას ჩვენი სამშობლო.

**«ის გზა, ის კურსი, ის პოლიტიკა, რომელსაც საქართველო უკანასკნელი მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ადგა, დამანგრეველი აღმოჩნდა»**

ჩვენ უნდა გვეყოს გამბედაობა იმის აღიარებისთვის, რომ საქართველოს ხელისუფლებამ 2008 წლის აგვისტოში რუსეთს სხვა გამოსავალი, პრაქტიკულად, არ დაუტოვა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, არ არის ძნელი იმ დასკვნამდე მისვლა, რომ დღევანდელ მსოფლიოში არ არსებობს ძალა, რომელიც რუსეთს აიძულებს, გადახედოს ამ საკითხს. ასეთი ძალა მხოლოდ ჩვენ გვაქვს. ესაა რუსეთთთან საერთო ინტერესების გათვალისწინების გზა, რა გზაზეც გადის რუსეთის მხრიდან საქართველოს ინტერესების გათვალისწინება. ვიმეორებ: ამას ალტერნატივა არ გააჩნია!

**— ნატოში ვერ შევდივართ... ან ნატო რატომ გვატყუებს, ან ხელისუფლება? რას გვერჩიან?**

— რამდენიც უნდა ამტკიცონ ჩვენთან გამოგზავნილმა ამერიკელმა სოციოლოგებმა, რომ საქართველოს მოსახლეობის სამოცდაათი პროცენტი ნატოში გაწევრიანებას უჭერს მხარსო, რეალობა მაინც ისაა, რომ ეპოქალურ ანაქრონიზმად ქცეულ ამ მიმართულებას მხარს მხოლოდ პოლიტიკურად ანგაჟირებული ჯგუფები და ბეცი ადამიანები უჭერენ. დასავლეთმაც, ნატომაც და საქართველოს ხელისუფლებამაც იცის, რომ მათ ნატოში გაწევრიანებას არც მოსახლეობის მხარდაჭერა აქვს და რომ ეს ყბადაღებული დაპირებები — მალე მიგიღებთ ალიანსშიო — არის სიცრუე, მაგრამ დასავლეთი და ნატო იმიტომ გვატყუებენ, რომ სხვა მიმართულებით არ გავიხედოთ. იციან, რომ თავიანთ რიგებში ვერ მიგვიღებენ, მაგრამ აცხადებენ, ოდესმე მიგიღებთ, ჩვენი კარი თქვენთვის ღიაო. როდესაც ხარ სიცრუის ტყვეობაში, მაშინ ალტერნატიულ გზას არ ეძებ. არადა, ალტერნატიული გზა საძებნი აღარც არის, ეს რეალობა შექმნილია და უკვე კარსაა მომდგარი, საბაჟო კავშირი, ევრაზიული კავშირი და ა. შ. რაც შეეხება ჩვენს ხელისუფლებას, ის იმიტომ გვატყუებს, რომ ჩვენი ხელისუფლება კი არ არის, ამერიკული ხელისუფლებაა, ამერიკელების მიერ თავსმოხვეული და ამერიკელების მიერ ხელდასმული ხელისუფლება.

**— ირკვევა, რომ ამერიკამაც მოახდინა ჩვენი ოკუპაცია?! ყველა მთავრობა ამერიკის „ხელდასმულია"...?**

— ამერიკელები, როდესაც რომელიმე ქვეყანაში შედიან, ტკბილი სიტყვით და არა დაბომბვით, ხუთი ძირითადი კომპონენტით მუშაობენ: მოჰყავთ თავიანთი ხელისუფლება, თავიანთი ოპოზიცია, თავიანთი მედია, თავიანთი არასამთავრობოები, თავიანთი სპეცსამსახურები. აი, ეს ხუთი კომპონენტი აბსოლუტურად გამართულად, კარგად აწყობილი საათივით მუშაობს. ყველაფერი ჰარმონიულად და შეთანხმებით ხდება. ივანიშვილის ნათქვამი, შუა უნდა გაიკრიფოსო, იმას ნიშნავდა, რომ უნდა ჩამოყალიბდეს ორი პოლიტიკური ძალა, რომლებიც გაფორმდებიან, როგორც ხელისუფლება და როგორც ოპოზიცია, რომლებსაც შეიძლება ერთმანეთი სძულთ კიდეც, მაგრამ სინამდვილეში იმართებიან ერთი პოლიტიკური ცენტრიდან და საქართველოში, ქართული საქმის ნაცვლად, ამერიკულ საქმეს აკეთებენ.

ესაუბრა
**ქეთი ხომერიკი**

„როცა ვამბობთ, ჩვენი ისტორიული არჩევანი არის დასავლური ოჯახი და აქეთკენ უნდა ვისწრაფვოდეთო, შევხედოთ, რა მდგომარეობაში არიან იქ მყოფი სახელმწიფოები. არჩევანი ხომ რაციონალურ გათვლებს უნდა ეფუძნებოდეს. ჰოდა, ვისწავლოთ სხვის შეცდომებზე, თორემ საქართველოს ნამდვილად არ აქვს იმის ფუფუნება, ექსპერიმენტები ატაროს...“

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ავთანდილ უნგიაძე: «ნულოვანი ტოლერანტობა» და პატიმრებისადმი არაადამიანური მოპყრობა ევროკავშირის პირდაპირი რეკომენდაცია იყო

**პატრიარქის საშობაო ეპისტოლესთან დაკავშირებით „ულტრალიბერალ უფლებადამცველთა სამიტის“ მიერ ატეხილ აჟიოტაჟისა და ეკლესიის წინააღმდეგ აგორებული ახალი კამპანიის შესახებ „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ ხელმძღვანელი ავთანდილ უნგიაძე.**



**— ბატონო ავთანდილ, პატრიარქის ეპისტოლე ეკლესიაზე „ლიბერალების“ მორიგი შეტევის მიზეზი გახდა. ეს, ალბათ, გასაკვირი არავისთვის იყო, მაგრამ, როგორ ფიქრობთ, რეალურად რა ძალები დგანან ამ კამპანიის უკან?**

— პატრიარქის ეპისტოლეს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ ურთულეს დროში, როცა, ფაქტობრივად, დარტყმის ქვეშ დგას ერის თვითმყოფადობა, ტრადიციები და სულიერება, ეს იყო გამომაფხიზლებელი მიმართვა ხალხისადმი, რომელმაც უნდა გამოაღვიძოს საზოგადოება. მე ადრეც ვთქვი და კიდევ ვიმეორებ: **რატომ გააღიზიანა ამ ეპისტოლემ ფსევდოლიბერალები? პასუხი ცალსახაა: იმიტომ, რომ მათ ძალიან კარგად იციან, რამდენად დიდია მისი უწმინდესობის გავლენა და ავტორიტეტი სრულიად ერისთვის. მათი მიზანია, ჩაკლან ეს ნდობა, ავტორიტეტი და სიყვარული.**

რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, რა ძალები დგას ამის უკან, შემიძლია, პირდაპირ გითხრათ, რომ ესაა ევროკავშირი. სამწუხაროდ, ჩვენი პოლიტიკური ელიტა, დაწყებული 90-იანი წლებიდან დღემდე, ერთმნიშვნელოვნად აცხადებს, რომ საქართველოს ისტორიული არჩევანი არის დასავლური ფასეულობები. კი, ბატონო, დასავლური კულტურის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, მაგრამ რას გულისხმობს ის, ხომ უნდა ვიცოდეთ?! ზერელე და ბრმა მინდობამ, რომელიც რეალურ ცოდნაზე არ იქნება დამყარებული, ქვეყანა შეიძლება დაღუპოს. მით უფრო, დღეს ჩვენ ვხედავთ, რა სჭირს თვითონ ევროპას, რა უბედურება დაატეხა საკუთარ თავს და სანამდე მიიყვანა რიგი სახელმწიფოები იმ ფსევდოლირებულებების დაცვამ.

**— სულ რაღაც 15-20 წლის წინ საქართველოში, ალბათ, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ სოდომ-გომორის ცოდვით შეპყრობილთა კრიტიკა ვინმეს აგრესიას გამოიწვევდა. როგორ ფიქრობთ, სანამდე შეიძლება მივიდეს ეს „პროგრესი“, დავეწევით ევროპას?**

— ეს საფრთხე უკვე კარსაა მომდგარი და მე არ ვფიქრობ, რომ 20-30 წელი დასჭირდება აქ იმის ლეგალიზებას, რაც ახლა ევროპაში ხდება. მხედველობაში მაქვს პედოფილია, ინცესტი და ა. შ. გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ამ მხრივ დღეს ევროპის კვალდაკვალ მივდივართ...

**— თუმცა ამასწინათ ფილიპ დიმიტროვმა განაცხადა, — ევროკავშირში შესასვლელად ერთსქესიანი ქორწინებების დაკანონება აუცილებელი არ არისო.**

— ეს არის ფარსი და მტკნარი ტყუილი. კიდევ ვიმეორებ: ამ ყველაფრის უკან დგას ევროკავშირი. გაიხსენეთ, რა განცხადება გაავრცელა ამასწინათ უნგრეთის ხელისუფლებამ — ევროკავშირმა ვერაგულად მოგვატყუაო, ანუ, ისინი უკვე მიხვდნენ, რა უბედურებაში გაჰყვეს თავი, როცა ამ ორგანიზაციაში შევიდნენ და ამიტომ მოლაპარაკებისთვის ელჩებს უგზავნიან რუსებს, რათა რამე უშველონ. ამდენად, **როცა ვამბობთ, ჩვენი ისტორიული არჩევანი არის დასავლური ოჯახი და იქეთკენ უნდა ვისწრაფვოდეთო, შევხედოთ, რა მდგომარეობაში არიან იქ მყოფი სახელმწიფოები. არჩევანი ხომ რაციონალურ გათვლებს უნდა ეფუძნებოდეს. ჰოდა, ვისწავლოთ სხვის შეცდომებზე, თორემ საქართველოს ნამდვილად არ აქვს იმის ფუფუნება, ექსპერიმენტები ატაროს...**

**— თქვენ თქვით, რომ ევროკავშირის წარმომადგენლების განცხადება იმის თაობაზე, რომ ამ ორგანიზაციის წევრობა ჩვენს ეროვნულ ფასეულობებს საფრთხეს არ უქმნის, ფარსია. ვთქვათ, დავიჯერეთ ეს განცხადებები და შევედით, როგორ ფიქრობთ, მერე რა იქნება?**

— ამის ნათელი მაგალითია საბერძნეთი, — რა იყო ის ევროკავშირში შესვლამდე და რა მიიღო შესვლის შემდეგ. მინდა გითხრათ, რომ თითქმის ყველა წამყვანი დარგი, იქნებოდა ეს გემთმშენებლობა, ტვირთგადაზიდვები თუ სხვა, რაზეც იდგა ამ ქვეყნის ეკონომიკა, მოკვდა; ხოლო რაც დარჩა, სოფლის მეურნეობის ზოგიერთი დარგი, — ფორთოხალი, ზეთისხილი და ა.შ. ისიც დაღუპვის პირასაა. ანუ ფაქტობრივად გაანადგურა ევროკავშირმა საბერძნეთი ეკონომიკურად და სახელმწიფო დაიყვანა ნულზე. არაფერს ვამბობ იმ საშინელ კანონებზე, რომლებიც მიაღებინეს მათ უდიდესი ზეწოლის შედეგად.

**«ჩვენ არ გავჩუმდებით, ყველა საშუალებით შევეწინააღმდეგებით საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას»**

**— საკუთარი წევრი სახელმწიფოს ეკონომიკური განადგურება რაში აძლევს ხელს ევროკავშირს?**

— საქმეც ესაა. შენ უნდა იყო მომხმარებელი და არა — მწარმოებელი. თუ ეკონომიკურად არ იქნები ძლიერი, ვერ იქნები დამოუკიდებელი; და თუ ვერ იქნები დამოუკიდებელი, შენი პოლიტიკური წონაც შემცირდება. ასეთი სახელმწიფოს მართვა ბევრად იოლია. ასე რომ, მათი ჩანაფიქრი გასაგებია. ისე, გლობალურად რომ შევხედოთ, ევროკავშირი ამერიკის შეერთებული შტატების დანამატია, რომელსაც ის მართავს გერმანიის საშუალებით.

**— მართლმადიდებელი მრევლი რომ ფსევდოლიბერალურ ღირებულებებთან კომპრომისზე არ წავა, ეს, ალბათ, ყველასთვის დღესავით ნათელია. როგორ ფიქრობთ, რა ძალადობრივი ფორმები შეიძლება მიიღოს მომავალში „დემოკრატიული დასავლეთის“ ზეწოლამ ჩვენს სულიერებაზე?**

— წინა ინტერვიუში, რომელიც თქვენს გაზეთში დაახლოებით ორი თვის წინ გამოქვეყნდა, ვისაუბრეთ იმაზე, რომ საქართველოში, ფაქტობრივად, მოხდა ხელისუფლების გადაბარება, თორემ იდეოლოგიური თვალსაზრისით არაფერი შეცვლილა. **ეს ხელისუფლებაც ასრულებს იმავე დაკვეთას, რომელსაც „ნაცმოძრაობა“ ასრულებდა, და მათი მთავარი ამოცანა, დანიშნულება არის წინამორბედის გეგმის ბოლომდე მიყვანა.** ახლა თქვენ ზეწოლის ფორმებზე მკითხეთ და, ჩემი აზრით, პირველი, რაც განხორციელდება, იქნება საკანონმდებლო ცვლილებები, რომელთაც ისინი უწოდებენ ჰარმონიზაციას. ამის შედეგად შეიქმნება სერიოზული ბერკეტები და მერე უკვე შემოგვიტევენ კანონის ძალით. მაგალითად, ევროპის რიგ ქვეყნებში ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ მოხდა ანტიჰომოსექსუალური პროპაგანდის კრიმინალიზაცია. და ეს, იცით, რას ნიშნავს? თუ ვინმე კრიტიკულ აზრს გამოთქვამს სექსუალური უმცირესობების მიმართ, მას სჯიან. მსგავსი ნიშნები ჯერჯერობით აქ არაა, მაგრამ ვფიქრობ, ეს სავსებით რეალურია. ამიტომ საზოგადოება მზად უნდა იყოს ნებისმიერი გამოცდისთვის, გამოწვევისთვის, რომლებიც ახლა შეიძლება მზადდებოდეს და წინ დაგვხვდეს სერიოზულ დაბრკოლებად.

**— თქვენ თქვით, რომ ევროკავშირი ქართულ ტრადიციებს საფრთხეს უქმნის. მაგრამ თვითონ ევროპაც ხომ მრავალსაუკუნოვანი ქრისტიანული ოჯახია. საინტერესოა, იქ რა ბედი ეწია იმ ტრადიციებს?**

— ეს უკვე აღარაა ის ევროპა, ჭეშმარიტ ქრისტიანულ ღირებულებებზე რომ იდგა. გოეთემ ჯერ კიდევ როდის მიანიშნა ეშმაკისთვის სულის მიყიდვის საფრთხეზე, როდესაც „ფაუსტი“ დაწერა. ნახეთ იმავე ბერძნებს რა უქნეს, რა წნეხში მოაქციეს სარწმუნოების გამო. ახლა, მაგალითად, საფრანგეთში იღებენ კანონს, რომლის თანახმადაც მათ — ბერძნებს პატრიოტიზმის გამოხატვის უფლება არ აქვთ...

**— მიზეზი?**

**— ამ პატრიოტიზმის გამოხატვამ, შესაძლოა, თურქი გაანაწყენოსო. ეს ხომ აბსურდია და მარაზმი? აწი ჩვენ შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა: თუკი საბერძნეთს არ იღებენ იმ ევროპულ ოჯახში თავისი ტრადიციებით, შენ, ვინც ბევრად უფრო სუსტი ხარ ეკონომიკურად და საერთოდ, ყველა თვალსაზრისით, მიგიღებენ?! მოგცემენ დამკვიდრებისა და განვითარების საშუალებას?!** აი, ამ საკითხებზე თუ არ დავფიქრდით და ისე გადავდგით ნაბიჯები, ამას მოჰყვება კატასტროფული შედეგები. მერე თავში ხელის წაშენა და გულზე მჯიღისცემა ვერ გამოგვიყვანს მდგომარეობიდან.

**— თქვენი აზრით, საზოგადოებამ უარი უნდა თქვას ევროინტეგრაციაზე?**

— უპირველესად, ქართველმა ხალხმა უნდა გაიაზროს, რას ნიშნავს ეს ინტეგრაცია ჩვენთვის და რას მივიღებთ. ჩემი აზრით, ამას კარგი არაფერი მოჰყვება, ამიტომ **ჩვენ არ გავჩუმდებით, ვამხელთ მათ, ვინც მომხრეა საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების და ყველა მეთოდით, ყველა საშუალებით შევებრძოლებით ამ პროცესს. ვიმეორებ: ამ ორგანიზაციაში შესვლა საქართველოსთვის იქნება საბოლოოდ დასამარება და დაღუპვა ზნეობრივად.** რაც შეეხება მატერიალურ კეთილდღეობას, ამ თვალსაზრისითაც მითებში იმყოფება ჩვენი საზოგადოება, იმიტომ, რომ არანაირი ეკონომიკური სამოთხე იქ არ არის; პირიქით, კრიზისია და ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, იტალიაში, უკვე დგას იქიდან გამოსვლის საკითხი.

**— დღესდღეობით ჩვენი საზოგადოება იმყოფება მძლავრი პროპაგანდის ზეწოლის ქვეშ, რომ რუსეთი არის მტერი და ევროპა მისგან დაცვის ერთადერთი გზაა. თქვენი აზრით, ასეთ პირობებში ხალხი შეძლებს სწორი გადაწყვეტილების მიღებას?**

— ქრისტიანული რელიგია, რომელმაც დღემდე მოიყვანა საქართველო, ნებისმიერ პროპაგანდაზე ძლიერია. მთავარია, თვითონ ხალხმა არ დაკარგოს ეს გზა და სწორი არჩევანის გაკეთება შევძლოთ.

აქვე, რადგან არჩევანი ვახსენე, **გვაქვს დოკუმენტი, რომელიც ცხადყოფს, თუ რა რეკომენდაციებს აძლევდა ევროკავშირი წინა ხელისუფლებას. იმავე „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკაც, რომელსაც სააკაშვილი ატარებდა, ამ რეკომენდაციების შედეგი იყო.** თავის დროზე ჩვენ ამას ყველაფერს დეტალურად გავაცნობთ ფართო საზოგადოებას და ყველა გაიგებს, „ნაცმოძრაობის“ ძალადობრივი ხელისუფლება საიდან იღებდა მთავარ იდეურ საზრდოს. მერე ხალხმა თვითონ განსაჯოს, რომელი გზაა ჭეშმარიტი და რომელი — დამღუპველი. ერის არჩევანს, მის ნებას წინ ვერაფერი დაუდგება!

**«თუკი საბერძნეთს არ ილებენ იმ ევროპულ ოჯახში თავისი ტრადიციებით, შენ, ვინც ბევრად უფრო სუსტი ხარ ეკონომიკურად და საერთოდ, ყველა თვალსაზრისით, მიგიღებენ?! მოგცემენ დამკვიდრებისა და განვითარების საშუალებას?»**

ესაუბრა **ჯაბა ჭვანია**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

სკანდალი

**„საქართველოში, ალბათ, კარგა ხანს არ ჩამოვალ. რადგან უკვე აზერბაიჯანის მოქალაქის პასპორტი ავიღე, იაპონიიდან პირდაპირ იქ ჩავალ... როგორც კი შეჯიბრებაზე გავალ, გპირდებით, არა მხოლოდ ძიუდოს ფედერაციაზე, არამედ ამჟამინდელ მთავრობაზეც გესაუბრებით.“**



# ქართველი ძიუდოისტი აიძულეს, საქართველოს მოქალაქეობაზე ეთქვა უარი

**ძიუდოისტმა ბეთქილ შუკვანმა 2012 წლის ოლიმპიადა სპორტის იმჟამინდელი მესვეურებისადმი პროტესტის ნიშნად დატოვა. მან ჯერ კიდევ ლონდონში ყოფნისას განაცხადა, რომ არაჯანსაღმა ქართულმა პოლიტიკამ სპორტშიც შეაღწია და ამის ერთ-ერთი მსხვერპლი თვითონაც არის. შუკვანმა ზემოქმედებასა და უყურადღებობაში სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა იმჟამინდელი მინისტრი ლადო ვარძელაშვილი და ტყვიის სროლის ფედერაციის პრეზიდენტი გია უდესიანი დაადანაშაულა, რის გამოც ოლიმპიურ თამაშებს გამოეთიშა. იმხანად „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა მომხდარი დაუკავშირეს იმას, რომ ბეთქილ შუკვანი, ოქროს მედლის მოპოვების შემთხვევაში, გამარჯვებას „ქართულ ოცნებას“ მიუძღვნიდა. საქართველოს ოლიმპიური ნაკრები სამშობლოში ბეთქილ შუკვანის გარეშე დაბრუნდა — ძიუდოისტი მათ არ ჩამოჰყოლია. იგი მოგვიანებით მეგობრებს დახმარებით დაბრუნდა თბილისში და, უსაფრთხოების მიზნით, ბიძინა ივანიშვილის სახლში რამდენიმე თვის განმავლობაში ცხოვრობდა. დღეს კი ყველაფერი სხვაგვარადაა — ბეთქილი ახალ მთავრობაზეც განაწყენებულია, საქართველოს ძიუდოს ფედერაციაზე რომ არაფერი ვთქვათ. შედეგად, 24 წლის ძიუდოისტმა საქართველოს დატოვება გადაწყვიტა. არადა, ჩვენი ქვეყანა გაივსო ჩინელებით, თურქებით, ნიგერიელებითა და სხვა უცხოტომელებით, ქართველებს კი სამშობლოდან გადახვეწას აიძულებენ...**



## ბეთქილ შუკვანი: ესენი სააკაშვილის ხელისუფლებაზე უარესები არიან!

**ბეთქილ შუკვანმა**, რომელსაც იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში დავუკავშირდით, „საქართველო და მსოფლიოს“ შეკითხვებს უპასუხა:

— საქართველოს ნაკრები დავტოვე, რადგან ბევრი რამ დამაბრალეს და ძალიან დიდი პრობლემები შემიქმნეს. ამიტომაც ამიერიდან სხვა ქვეყნის სახელით ვიასპარეზებ. ამჟამად ტოკიოში შეკრებაზე ვიმყოფები. დისკვალიფიკაციის ვადაც დაახლოებით ორ თვეში გამდის და, როგორც კი პირველ შეჯიბრებაზე ვიჭიდავებ, გპირდებით, ექსკლუზიურ ინტერვიუს პირველს თქვენ მოგცემთ.

**— მაინც რა დაგაბრალეს?**

— **როგორც კი შეჯიბრებაზე გავალ, გპირდებით, არა მხოლოდ ძიუდოს ფედერაციაზე, არამედ ამჟამინდელ მთავრობაზეც გესაუბრებით**. ამჯერად კი საუბრისგან თავს შევიკავებ.

**— იაპონიიდან საქართველოში ჩამოხვალთ?**

— **საქართველოში, ალბათ, კარგა ხანს არ ჩამოვალ. რადგან უკვე აზერბაიჯანის მოქალაქის პასპორტი ავიღე, იაპონიიდან პირდაპირ იქ ჩავალ.**

**— ბეთქილ, საქართველოს სახელით აღარ იასპარეზებთ?**

— არა, რადგან საქართველოს პასპორტი აღარ მაქვს, თანაც უკვე აზერბაიჯანის ძიუდოს ნაკრების წევრი ვარ.

საქართველოს სახელით ასპარეზობას არასდროს ვაპირებ.

**— სააკაშვილის ხელისუფლებაზე განაწყნებელი რომ იყავით, ყველასთვის ცნობილია, მაგრამ ახალმა ხელისუფლებამ რა გაწყენინათ?**

— ესენი სააკაშვილის ხელისუფლებაზე უარესები არიან.

**— ვიცი, რომ ბიძინა ივანიშვილის სახლში 6 თვის განმავლობაში ცხოვრობდით. ბატონი ბიძინა არაფერში დაგეხმარათ?**

— ყველაზე დიდი აფერისტი სწორედ ეგ არის. გპირდები, როცა საქართველოში ჩამოვალ, ყველაფერზე ვისაუბრებ.

**— აკი საქართველოში აღარ აპირებთ ჩამოსვლას?**

— მარტში სპორტის სასახლეში იმართება ტურნირი, რომელშიც აუცილებლად ვიასპარეზებ.

**— აზერბაიჯანის სახელით?**

— ბედის ირონიაა, მაგრამ ასეა. არადა, უამრავი ქვეყნიდან მქონდა შემოთავაზება, მათი სახელით მეასპარეზა, მაგრამ აზერბაიჯანი ვარჩიე, რადგან გაცილებით კარგ პირობებს დამპირდნენ, თანაც ჩემი ავსტრიელი მწვრთნელი აზერბაიჯანის ძიუდოს ნაკრების მთავარ მწვრთნელად გადავიდა.

**ბეთქილ შუკვანის განცხადებაზე კომენტარისთვის და იმის გასარკვევად, რა მიზეზით დატოვა სპორტსმენმა საქართველოს ძიუდოს ნაკრები, საქართველოს ძიუდოს ფედერაციის სპორტულ დირექტორს — ზურაბ უსუფაშვილს დავუკავშირდით:**

— შუკვანმა საქართველოს ძიუდოს ნაკრები შარშან გაზაფხულზე თავისი სურვილით დატოვა.

**— იგი ამბობს, რომ ძიუდოს ფედერაციამ რაღაცები დააბრალა...**

— თვითონ თქვა, რომ რამე დავაბრალეთ? ეს ძალიან დიდი სისულელეა, მსგავსი არაფერი ყოფილა და ჩვენთვისაც არაფერი უთქვამს.

**— შუკვანმა განაცხადა, რომ ამიერიდან არა საქართველოს, არამედ აზერბაიჯანის სახელით იასპარეზებს...**

— ის აზერბაიჯანის სახელით ვერ იასპარაზებს, რადგან ძიუდოს ფედერაციას ამის ნებართვა არ მიუცია, თუმცა შუკვანს ამის სურვილი ჰქონდა. რა, იასპარეზა უკვე რომელიმე ქვეყნის სახელით?

**— ამჟამად შეკრებაზე ტოკიოში იმყოფება. როგორც გვითხრა, ორ თვეში დისკვალიფიკაციის ვადა ეწურება და შემდეგ იასპარეზებს აზერბაიჯანის სახელით.**

— ჩვენ არანაირი სურვილი არ გვაქვს, ადამიანთა უფლებები და სურვილები შევზღუდოთ. ვისაც სად მოესურვება, იქ წავა და იასპარეზებს, მაგრამ ოფიციალურად ძიუდოს ფედერაციას ამის უფლება შუკვანისთვის არ მიუცია. ის შეიძლება ელოდება ამას, მაგრამ ჯერჯერობით ასე არ არის.

**— რატომ არის შუკვანი დისკვალიფიცირებული?**

— რამდენადაც ვიცი, მისთვის დისკვალიფიკაცია არავის მიუცია.

**ესაუბრა**
**ნინო მაისურაძე**

# ნიგერია გაბრწყინდება!

## საქართველოში უმუშევრობის ბუმია, ამ დროს კი ნიგერიაში წლიურად 4 მილიონ დოლარს აგზავნიან

**ნემსის ყუნწში ძაფი, ალბათ, ყველას გაგიყრიათ. პრინციპი მარტივია — მთავარია, ძაფი ნემსის ყუნწში ოდნავ შეაძვრინო და მერე იცოცხლე — მიდის და მიდის. ნემსისა და ძაფის ამბავი ძალიან ჰგავს ნიგერიელთა თავგადასავალს საქართველოში. ჯერ იყო და შავი კონტინენტის წარმომადგენლები კანტიკუნტად ჩანდნენ და თბილისს ეგზოტიკას მატებდნენ, მერე ერთ-ერთი შავკანიანი ვარაზისხევში გამოჩნდა და მათხოვრობა დაიწყო, შემდეგ სამრეცხაოებშიც იმატა მათმა რიცხვმა, ახლა კი ისე ჩაეწერნენ ქალაქის ყოველდღიურობაში, რომ, ქუჩაში რამდენიმე თუ არ შეგხვდა, შეიძლება ძებნა დაუწყო. ისე არ გამიგოთ, თითქოს უცხოელთა საწინააღმდეგო მქონდეს რამე, პირიქით, უხდება კიდეც რამდენიმე ფერადკანიანი აქაურობას, მაგრამ...**



ნიგერიელი მეფე რიჩარდ არიზე

ეროვნული ბანკის მონაცემებით, **2010 წელს საქართველოდან ნიგერიაში განხორციელებულმა ფულადმა გზავნილებმა სულ რაღაც 76.3 ათასი დოლარი შეადგინა. 2011 წელს ეს ციფრი 212.6 ათას დოლარამდე გაიზარდა, 2012-ში საქართველოდან ნიგერიაში 1.2 მილიონი დოლარი გადაირიცხა, შარშან კი ეს ციფრი 4 მილიონამდე ავიდა.** რა გამოდის? საქართველოში უმუშევრობის ბუმია, ამ დროს კი სხვა ქვეყნის მოქალაქეები არიან დასაქმებულნი და, სხვა ქვეყნებზე რომ არაფერი ვთქვათ, ნიგერიაში წლიურად 4 მილიონ დოლარს აგზავნიან.

როგორც ჩვენი პრეზიდენტი იტყოდა — **„ეტა რაზ!“.**

გასულ კვირაში პეკინის ქუჩაზე ერთ-ერთი ნიგერიელი სცემეს — საფულე და ოქროულობა წაართვეს და თავგატეხილი რესპუბლიკურ საავადმყოფოშიც მიიყვანეს. ამ ამბავს თბილისში მყოფი ნიგერიის მეფე გამოეხმაურა. პრინციპში, რალა მყოფი, რიჩარდ არიზე საქართველოში, 20 წელზე მეტია, ცხოვრობს და, როგორც თავისი ქვეყნის ერთ-ერთი დიდგვაროვანი, აქაურებმა მეფედ აკურთხეს. რიჩარდს ცოლად ქართველი ხათუნა ხონელიძე ჰყავს და ეს ქალბატონი ახლა ნიგერიელთა ლოლო, ანუ დედოფალია. სიმართლე გითხრათ, მეგონა, ლოლო კაცი იქნებოდა, მაგრამ რას გაუგებ ნიგერიულ ენას. ჰოდა, იმას მოგახსენებდით, რომ მეფე რიჩარდმა (ლომგულში არ აგერიოთ) განაცხადა, — სასწრაფოდ დაიცავით ჩვენი უფლებები, თორემ ნიგერიელებზე თავდასხმა გახშირდა და ამას არ მოვითმენთო.

**რა თქმა უნდა, საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია, აქ მყოფი ყველა მოქალაქის უფლება დაიცვას, მაგრამ მეფე რიჩარდს ვეტყვი, რომ მან არ იცის, რა არის ნამდვილი ცემა და, თუ უნდა გაიგოს, ვალერი გელაშვილს ჰკითხოს, ის მოუყვება.** სხვათა შორის, მეფის რა გითხრათ, მაგრამ, **საზოგადოების მოწოდების მიუხედავად, გელაშვილის სასიკვდილოდ გამეტების ფაქტი დღემდე გამოუძიებელია და, ნიგერიელის ცემასთან ერთად ამაზეც თუ იზრუნებს ჩვენი ხელისუფლება, კარგი იქნება.**

ბოლოს და ბოლოს, მეფე ჩვენც გვყავს და მაინცდამაინც ის ხომ არ უნდა შევაწუხოთ, ხელისუფლებას რომ მიმართოს, ქართველებზე იზრუნეთო. ჩვენს მეფეს ისედაც ბევრი საზრუნავი აქვს — აქეთ რაინდების სიგელებია დასარიგებელი, იქით სამეფო კარის ვებგვერდი სპონსორს ეძებს და კიდევ ვინ მოთვლის, რამდენი საჭირბოროტო საკითხია გადასაჭრელი. ისე, **ნიგერიელთა მეფეს შორენა არ ჰყავს და ჩვენს მეფეს კი ჰყავს... ნუ, ხომ ჰყავდა... ჰოდა, ო-„ლოლო“ ნიგერიელებს!**

ისევ პრეზიდენტს დავესესხები და — **„ეტა დვა!“.**

აფრიკის ზოგიერთ ტომს საინტერესო ჩვეულება აქვს — ვიდრე ისინი რაიმე ნივთს სხვას მოუღერებენ, ბოდიშს უხდიან, აქაოდა, ტკივილი უნდა მოგაყენოთო. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, ბოდიშს ნივთს უხდიან და არა იმ ადამიანს, რომელსაც ეს საგანი უნდა ჩაარტყან და აფრიკულად ეს ყველაფერი ასე ჟღერს: **მუგუნინი ბა!**

წელან ნემსისა და ძაფის ამბავი ტყუილად არ მიხსენებია და ისე ჩანს, „მუგუნინი ბა“ უკვე ნათქვამია და ვის როდის მოხვდება, კაცმა არ იცის.

**ესეც „ტრი“,** ჩემო გიორგი!

**და ხანდახან რომ გაიხსენო, პრეზიდენტი რომ გქვია, არ იქნება ცუდი. აგერ, ნიგერიელებს მეფე ჰყავთ, მეფე!**

**დავით მინდიაშვილი**

**P. S. სხვათა შორის, აფრიკის კონტინენტის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა დაიჩივლა, თქვენ ვარდისფერები იბადებით, მერე თეთრდებით, გარდაცვლილები შავდებით, ჩვენ კი ცხოვრების მთელ ეტაპზე შავები ვართ და ფერადკანიანებს რატომ გვეძახითო?! მე ამის პასუხი არ მაქვს.**

ტრიბუნა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**„ემიგრანტები, რომლებიც ლეგალურად ცხოვრობენ ევროპაში, წლების განმავლობაში ვერ ახერხებენ მუშაობას. მაგალითად, ადრე თუ ევროპელი მშენებლობაზე ან შავ სამუშაოზე უარს ამბობდა, დღეს ამაზეც თანახმაა.“**

**ნუგზარ სულაშვილი:**

# ევროპაში არათუ ემიგრანტები, საკუთარი მოქალაქეები ჰყავთ დაუსაქმებელი

**ქართველმა ემიგრანტმა ნუგზარ სულაშვილმა საქართველო ცხრა წლის წინ იძულებით დატოვა. დღეს ის საქართველო-საფრანგეთის თანამეგობრობის ასამბლეის აღმასრულებელი დირექტორი, ქალაქ ბერჟერაკის მერიის მრჩეველთა საბჭოს წევრი და ევროპის ტრანსნაციონალური კრიმინალური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კოალიციის ექსპერტ-კონსულტანტია. ახლახან, 9 წლის შემდეგ, ნუგზარ სულაშვილი პირველად ჩამოვიდა საქართველოში. როგორია ემიგრანტის თვალით დანახული საქართველო და რა შეიცვალა ცხრა წლის განმავლობაში ქვეყანაში, ამის თაობაზე ნუგზარ სულაშვილი თავის შთაბეჭდილებებს „საქართველო და მსოფლიოს“ უზიარებს.**

**— ბატონო ნუგზარ, თქვენ ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურს ხელმძღვანელობდით, მაგრამ 2004 წელს იძულებული გახდით, ქვეყანა დაგეტოვებინათ. რა მოხდა მაშინ?**

— იმ პერიოდში ტრეფიკინგის შემთხვევები საქართველოში ძალიან ხშირი იყო, ე. წ. საქონელს (ასე ეწოდება იურიდიული ტერმინოლოგიით), ძირითადად, იღებდნენ ქვეყნები: აშშ, საბერძნეთი და თურქეთი. იმ პერიოდში ბევრი იყო ბავშვთა ტრეფიკინგის, ქვეყნის ფარგლებს გარეთ ახალშობილთა გაყვანის ფაქტები.

**— ეს ბავშვები გაშვილების მიზნით გაჰყავდათ თუ დანაშაულის კვალმა მათი ორგანოებით ვაჭრობამდე მიგიყვანათ?**

— ოფიციალურად ეს ბავშვები გაშვილების მიზნით გაჰყავდათ, მაგრამ, როცა დეტალურად გავეცანით ინფორმაციას, გამოიკვეთა, რომ ამ ბავშვების შესახებ, რომლებიც ვითომდა გაშვილების მიზნით გაიყვანეს ქვეყნიდან, შესაბამისი იურიდიული დოკუმენტაცია არ ფორმდებოდა და ჩვენ საშუალება არ გვქონდა, მათი შემდგომი ბედი გამოგვეკვლია, რადგან ამ ბავშვების კვალი ქრებოდა. **ბავშვთა ტრეფიკინგის შემდეგ წინა პლანზე წამოიწია პროსტიტუციაში ქალთა იძულებით ჩაბმის ფაქტები, რომელთაც საკმაოდ მასშტაბური ხასიათი ჰქონდა. ამ საქმეში აქტიურად მონაწილეობდა არამხოლოდ შსს და უშიშროება, არამედ პარლამენტის რამდენიმე წევრიც, რომლებიც დამნაშავეთა ჯგუფებს მფარველობდნენ.** ეს ინფორმაცია კონფიდენციალური იყო, ამიტომ არ შეიძლებოდა იმ პერიოდში მათი ვინაობის დასახელება. ამას სჭირდებოდა სერიოზული გამოძიება, რომელსაც იმ პერიოდში შესაბამისი კანონმდებლობის არარსებობაც ართულებდა. ძირითადი ინფორმაცია, რომელიც თავს იყრიდა ჩვენთან, შემდგომი გადამოწმებისა და გამოძიების მიზნით ეგზავნებოდა შსს-ს, უშიშროების სამინისტროსა და პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტს, რომელსაც იმხანად როლანდ გილიგაშვილი ხელმძღვანელობდა, თუმცა არც ერთი საქმის გამოძიება არ დაწყებულა.

**თვითონ ჩვენი ორგანიზაციის თანამშრომლები ხშირად ხდებოდნენ მაფიოზური კლანების ძალადობის მსხვერპლნი. ჩემს ოჯახზეც განხორციელდა შეიარაღებული თავდასხმა. სამი საათის განმავლობაში მძევლად ვყავდით. პოლიციამ მხოლოდ ერთი დამნაშავის დაკავება მოახერხა და საინტერესოა, რომ ეს ადამიანი, ვინმე კუტალაძე, პოლიციის მაიორი აღმოჩნდა. აღიძრა სისხლის სამართლის საქმეც, მაგრამ 2 თვეში საქმე დაიხურა და შს სამინისტროს არქივებიდანაც გაქრა. ეს კუტალაძე არც დაუკავებიათ.** ამის შემდეგ საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა გაასაჯაროა რამდენიმე დეპუტატის ვინაობა. მახსოვს, ერთ-ერთი, ვინმე ოთარ ღორჯომელაძე, „აღორძინების“ გუნდიდან იყო და ვფიქრობ, როგორც ოპოზიციური პარტიის წევრი, „გაიმეტეს“ და დაასახელეს მისი ვინაობა.

**— თუმცა თქვენ ქვეყნის დატოვება მოგიწიათ 2004 წელს. როდესაც მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით ხელისუფლებაში უკვე ახალი გუნდი მოვიდა, ვითარება მაინც არ შეიცვალა?**

— საქმეც ის არის, რომ **ზუსტად 2004 წელს მოხდა ჩემი 10 წლის ქალიშვილის გატაცების მცდელობა, მაგრამ ისე გამოვიდა, რომ ეს საქმეც თვე-ნახევარში გააქრეს.** ჩემი ბევრი ახლობელი იყო ხელისუფლებაში, თუნდაც ვანო მერაბიშვილი, რომელთანაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში ვთანამშრომლობდი კიდეც, როდესაც ის მიწის მესაკუთრეთა ასოციაციის წევრი გახლდათ, მაგრამ **ხელისუფლების წარმომადგენლებმა, მათ შორის, იმდროინდელმა სახალხო დამცველმა, გულგრილი დამოკიდებულება გამოიჩინეს. ჩემი ოჯახი სრულიად დაუცველი აღმოჩნდა.** აღსანიშნავია, რომ ქვეყნიდან ჩემი წასვლის შემდეგ ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურომაც შეწყვიტა საქმიანობა.

**— დღეს საქართველო-საფრანგეთის თანამეგობრობის ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი ხართ. ვიცი, რომ ურთიერთობა გაქვთ ქართველ ემიგრანტებთან. რა პრობლემები აქვთ და როგორ ირჩენენ საფრანგეთში მცხოვრები ქართველები თავს?**

— ევროპასა და ამერიკაში ქართული ემიგრაცია ძალიან სუსტია. აღსანიშნავია, რომ, როდესაც ქართველები საკუთარ ქვეყანას ტოვებენ, არ არიან მოტივირებულები, უცხო ქვეყანაში თავი დაიმკვიდრონ. მათი მიზანია, გარკვეული პერიოდის განმავლობაში სხვადასხვა გზით, ძირითადად, ქურდობით ან პატიოსანი შრომით, რისი საშუალებაც მიეცემათ, ორიოდე კაპიკი მოაგროვონ და სამშობლოში დაბრუნდნენ. თუმცა ემიგრაციაში ისე სწრაფად გადის დრო, რომ ეს ადამიანები თავიანთი ცხოვრების ყველაზე ქმედუნარიან ეტაპს უცხოეთში ატარებენ.

ემიგრანტების ძირითად ნაწილს, 90-95%-ს, უხდება ყველაზე „შავი სამუშაოს“ შესრულება. სწორედ ეს არალეგალები არიან ყველაზე მეტად დაუცველები, თუნდაც ჯანმრთელობის მხრივ. **ბევრი ქართველი ემიგრანტი ძალიან იოლად განკურნებადი დაავადებებით იღუპება. მაგალითად, ბევრჯერ მომხდარა, რომ ბრმა ნაწლავი ასტკივებია ადამიანს, მაგრამ იმის გამო, რომ არ ჰქონდა ფინანსური საშუალება, ექიმთან მისული იყო ან არალეგალობის გამო სამსახურის დაკარგვის შეეშინდა, დაიღუპა.**

**— საფრანგეთმა საქართველო იმ ქვეყნების სიაში შეიყვანა, რომლებშიც ადამიანის ფუნდამენტური უფლებები დაცულია და პოლიტიკური ნიშნით დევნა არ ხდება. შესაბამისად, ქართველები პოლიტიკურ თავშესაფარს საფრანგეთში ველარ მიიღებენ. რამ გამოიწვია საფრანგეთის მთავრობის ეს გადაწყვეტილება?**

— ეს ყველაფერი საქართველოში მიმდინარე კოჰაბიტაციის პროცესმა გამოიწვია, ვინაიდან, თუ ქვეყანაში კოჰაბიტაციაა, გამოდის, რომ პოლიტიკური ნიშნითაც არავინ იდევნება, თუმცა გამონაკლისის დაშვება ყოველთვის ხდება.

**— საქართველოში საზოგადოების ნაწილს ევროკავშირში გაწევრიანების დიდი მოლოდინი აქვს, განსაკუთრებით ეს სასაზღვრო რეჟიმის გამარტივებას ეხება. ბევრი იმედოვნებს, რომ თავისუფლად შეძლებს ევროპის ქვეყნებში გამგზავრებას, მაგრამ რას მიიღებს ამით რიგითი ქართველი? ევროპას თავისი გასჭირვებია და სამუშაო ადგილების პრობლემაც აქვს...**

— ევროკავშირში გაწევრიანება ისე მარტივი არ არის, როგორც ზოგიერთს ჰგონია. **მეღიმებოდა ხოლმე იმ განცხადებებზე, რომელთაც პარაფირების ხელშეკრულების შესახებ თუნდაც ზოგიერთი პოლიტიკოსისგან ვისმენდი. მგონი, ზოგიერთმა წარმოიდგინა, რომ უკვე ევროკავშირის წევრი ქვეყანა ვიყავით.**

ევროპას სერიოზული კრიზისი აქვს შრომის ბაზარზე და საკმაოდ ბევრი დაუსაქმებელი ჰყავს; განსაკუთრებით ესპანეთს, იტალიას, საბერძნეთს, სადაც შრომითი მიგრაცია ყველაზე მაღალი იყო. აღმოჩნდა, რომ ამ ქვეყნებმა სერიოზული ეკონომიკური კრიზისი განიცადეს და ევროპაში არათუ ემიგრანტები, საკუთარი მოქალაქეები ჰყავთ დაუსაქმებელი. რა თქმა უნდა, რაღაც დოზით შეღავათი იქნება ჩვენი მოქალაქეებისთვის, ქვეყნიდან გასვლა და ვიზების მიღება რომ არ გაურთულდებათ, მაგრამ იმის **ილუზია, რომ საქართველოდან უცხოეთში წასულთაგან ბევრი მოახერხებს დასაქმებას, არ უნდა გვქონდეს. ემიგრანტები, რომლებიც ლეგალურად ცხოვრობენ ევროპაში, წლების განმავლობაში ვერ ახერხებენ მუშაობას. მაგალითად, ადრე თუ ევროპელი მშენებლობაზე ან შავ სამუშაოზე უარს ამბობდა, დღეს ამაზეც თანახმაა.**

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

# ჩასვით, თორემ დაბრუნდება!




**„ქართული ოცნების“ ლიდერებს თუ დავუჯერებთ, შანსი იმისა, რომ მიხეილ სააკაშვილი და „ნაციონალური მოძრაობა“ ხელისუფლებაში დაბრუნდებიან, ნულის ტოლია. სხვათა შორის, ამასვე ამბობდა სამოქალაქო სექტორში წასული ბიძინა ივანიშვილიც. მოსახლეობა თავდაპირველად სკეპტიკურად უყურებდა პოლიტიკურ სამარეში გასტუმრებული „ნაციონალური მოძრაობის“ რეანიმაციას, მაგრამ, „იმერული ესკიზებისა“ არ იყოს, „მიცვალებული ადგა“ და, ჩვენი ინფორმაციით, იმერელი ბიძინაც გაოცებული კითხულობს: „რაის მიცვალებული ადგაო?“.**

„ნაციონალური მოძრაობა“, კარგა ხანია, ამდგარია და თან როგორი ამდგარი. ამომრჩევლისთვის ტვინის გამორეცხვის პარალელურად, ყოფილი ხელისუფლების ნაცნობი თუ უცნობი სახეები სოციალურ ქსელებშიც აქტიურობენ და იმას, რის გამოც ამომრჩეველმა ხმა „ქართულ ოცნებას“ მისცა, ანუ სამართლიანობის აღდგენას უკვე „ნაციონალები“ ითხოვენ. მათ ეს თემა სახუმაროდ აქვთ ქცეული და მართლებიც არიან — ხელისუფლება, პრაქტიკულად, ვერ ახერხებს ვერც ერთი იმ ბრალდების დამტკიცებას, რომელთაც ისინი ოპოზიციაში ყოფნისას ახმაურებდნენ. მაგალითად, **თუ გია ბარამიძე თინა ხიდაშელისთვის, დავით უსუფაშვილისა და თუნდაც ეკა ბესელიასთვის 2011 წელს მკვლელი იყო, ახლა კოლეგაა და მასთან კონსტრუქციული დიალოგი „მოსულა“.** „ნაციონალების“ ერთ-ერთი დამფინანსებელი დავით ბეჟუაშვილი ახლა თურმე კეთილსინდისიერი ბიზნესმენია, გარდაბნის რაიონში ათას ჰექტარზე მეტი მიწის ნაკვეთების მფლობელი გიორგი ფეიქრიშვილი (რომელიც გარდაბნის რაიონში წლების განმავლობაში „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე იყო), ახლა „ქართულ ოცნებას“ თურმე არჩევნების მოგებაში ეხმარება...

რეალურად **არც ერთ „ნაციონალს“ ყოფილი პარტიისთვის არ უღალატია. უფრო მეტიც, მათ ძველი თავისუფლება და ძველი დრო ენატრებათ და ერთი სული აქვთ, ფარა როდის მობრუნდება, კოჭლი ცხვრებივით ისევ წინ რომ მოექცნენ მას. არც შინაგან საქმეთა სამინისტროს ძველი თანამშრომლები მალავენ, რომ „ნაციონალების“ პერიოდში უფრო მეტი „ვლასტი“ ჰქონდათ; ის „დუბინკები“, ჯერ ვანომ და მერე ბაჩომ რომ ჩამოურიგათ, კარგად აქვთ გადანახული, რამეთუ „ნაციონალების“ ხელისუფლებაში დაბრუნებისა სჯერათ და მერე ამ „დუბინკებით“ ქართველი ერის დასჯასა და შურისძიებას აპირებენ.**

ხელისუფლება კი მშვიდად არის, რადგან, მისი აზრით, მთავარი საფრთხე — მიხეილ სააკაშვილი საქართველოდან წასულია. არადა, თუ ხელისუფლება სააკაშვილს მთავარ საფრთხედ აღიქვამს, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრთათვის ის მთავარი იმედია და ძალიან დიდი სისულელე და გულუბრყვილობა იქნება იმის დაჯერება, თითქოს მიშა ამერიკაში მართლა ლექციების წასაკითხად წავიდა. რეალურად ის ხელისუფლებაში დაბრუნების გზებს ეძებს და, იმ სანაცნობო წრეს თუ გავითვალისწინებთ, რომელიც მან 9 წლის განმავლობაში შეიძინა ქართული ფულით, ნებისმიერ დონეზე გასვლა და საუბარი არ უნდა გაუჭირდეს. კარგად მოგეხსენებათ, რომ **საქართველოს ხელისუფლება წლების განმავლობაში ამერიკელების დაკრულზე ცეკვავს. ამდენად, არ არის გამორიცხული, ოკეანის გაღმიდან სააკაშვილმა ისევ „მიშა მაგარია“ შეაკვეთინოს და, სავარაუდოდ, ამ მელოდიას კოალიციაში შემავალი არაერთი ლიდერი ააყოლებს ხმას.**

კითხვა — უნდა გასამართლდეს თუ არა სააკაშვილი, პრაქტიკულად? — არც უნდა დაისვას, რადგან სწორედ ამ მოლოდინით, სწორედ ამ იმედით მივიდა ხალხი 2012 წლის არჩევნებზე და, ახლა ეს მოლოდინი თუ გაუცრუვდა, ყველაფრის მიმართ ინტერესს დაკარგავს, ამომრჩეველი არჩევნებზე, უბრალოდ, აღარ ივლის და ეს სწორედ „ნაციონალური მოძრაობის“ წისქვილზე დაასხამს წყალს.

ორი ვარიანტია — **ან „ქართულმა ოცნებამ“ უნდა აღიაროს, რომ, რასაც წლების განმავლობაში ამბობდნენ, ტყუილი იყო და ხელისუფლებაში მოსვლის გამო „ნაციონალურ მოძრაობას“ ცილს სწამებდნენ, ან არადა, უნდა დაამტკიცონ ის, რასაც ამბობდნენ, და რეჟიმი, რომელიც 9 წელი მართავდა ქვეყანას, უნდა გასამართლდეს.** უნდა გასამართლდეს სააკაშვილიც, რადგან თევზი თავიდან ყარს, თუ არადა, ის აუცილებლად დაბრუნდება და, როგორ უნდა ცოცხების გამოყენება, კიდევ ერთხელ გვანახებს.

**დავით მინდიაშვილი**

ეკონომიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ეროვნული ბანკისა და ეკონომიკური გუნდის პოლიტიკის ნდობა არ შეიძლება, ეკონომისტთა გარკვეულ ჯგუფებს ნდობა დაკარგული აქვთ, რადგან ისინი ბევრ მნიშვნელოვან პროცესებს ვერ გაუმკლავდნენ და შესაბამისად, ვერც ინფლაციურ პროცესებს გაუმკლავდებიან."**

# რამაზ გერლიანი: საკვებ პროდუქტებზე გაზრდილი ფასები აღარ დაიკლებს

**ეკონომიკის ვარდნაზე თავიდან ძალიან ბევრმა ექსპერტმა დაიწყო საუბარი, მაგრამ შემდეგ დროდადრო ყველამ გაჩუმება არჩია.**
**რამდენიმე დღის წინ, როგორც ჩანს, „ჭირმა თავი არ დამალა" და ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა შემაშფოთებელი განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ ინფლაცია იზრდება, თუმცა, როგორც მთავრობებს საქართველოში სჩვევიათ, მისი ფრაზები ჩვეულებრივი მოკვდავებისთვის გაურკვეველი იყო.**
**„საქართველო და მსოფლიო" ქადაგიძის ფრაზების ხალხისთვის გასაგებ ენაზე „გადმოსათარგმნად" და 2014 წლის ეკონომიკური ვითარების პროგნოზირებისთვის ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს რამაზ გერლიანს დაუკავშირდა.**



— პარლამენტმა 2013 წლის 11 დეკემბერს მიიღო დადგენილება, რომელშიც საუბარია, რომ 2014-2016 წლებში ინფლაცია 6-5 პროცენტს შორის უნდა მერყეობდეს, ანუ ეროვნულმა ბანკმა ისეთი პოლიტიკა უნდა გაატაროს, რომ ინფლაციის მაჩვენებელი წლიურად 6-5 პროცენტი იყოს. ეროვნული ბანკის მიერ გატარებული პოლიტიკა დღემდე არასაკმარისი აღმოჩნდა, რადგან რეფინანსირების სესხებით არ შეიძლება დავარეგულიროთ მონეტარული პრობლემა. სესხების რეფინანსირების გარდა, არსებობს სხვა პოლიტიკაც: სადეპოზიტო სერთიფიკატები, მთავრობის ფასიანი ქაღალდები, სავალუტო ინტერვენციები და ა. შ. ამის გაგება მკითხველისთვის ცოტა ძნელია.

თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ, **თუ ეროვნული ვალუტა ინფლაციისკენ წავა, ეროვნული ბანკი მზად არ არის, პროცესი შეაჩეროს, ის ვერ მოახერხებს დარეგულირებას. მან შარშან დეფლაციის კონტროლიც კი ვერ შეძლო. ისიც შესაძლოა, რომ პროცესები ხელოვნურად იყოს გამოწვეული.**

**— რას ნიშნავს „პროცესები ხელოვნურად იყოს გამოწვეული"?**

— ეროვნული ბანკი ბოლომდე არ იყენებდა ბერკეტებს, რომლებითაც შეძლებდა დეფლაციური პროცესის დარეგულირებას.

**— შესაძლებელია, რომ საბოტაჟი იყოს?**

— კი, ამ აზრსაც აქვს არსებობის უფლება. მთავრობასა და ეროვნულ ბანკს შორის მეტი კოორდინაცია იყო საჭირო, რათა ეს პროცესები არ მისულიყო საშიშ ფორმულამდე. რამდენადაც ვიცი, მთავრობა ახლა მიხვდა ამას, მაგრამ ცოტა დაგვიანებულია. პარლამენტის მიერ მიღებული კანონი ეროვნულ ბანკს შეზღუდავს, რათა ასეთ პროცესებში უმნიშვნელო წვლილი შეიტანოს; კანონის თანახმად, ეროვნული ბანკი ვალდებული იქნება, სწორი და პრობლემის გადამჭრელი ზომები მიიღოს.

**არ არის გამორიცხული, რომ 2014 წელი მძიმე აღმოჩნდეს, ინფლაციური ტალღა გამძაფრდეს და ამან ეკონომიკას სერიოზული ზიანი მიაყენოს.**

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ პრობლემას წარმოადგენს ინფლაცია იმ ადამიანებისთვის, რომელთაც სესხი დოლარში აქვთ და ხელფასი — ლარში, ეს სინამდვილეს შეესაბამება და ამაშიც დამნაშავე ეროვნული ბანკია, რადგან, თავის დროზე სწორი პოლიტიკა რომ გაეტარებინა, ასე ნამდვილად არ მოხდებოდა. ეროვნული ბანკი გამუდმებით იმაზე საუბრობს, რომ მცოცავი კურსი გვაქვს და ეს ბაზარი ჩარევებისგან განთავისუფლებულიაო, მაგრამ ისინი მაინც ერევიან და საწინააღმდეგოს აკეთებენ.

**— ამ თემაზე ასე ხმამაღლა საუბარს ერიდებოდნენ, ნუთუ მდგომარეობა იმდენად საგანგაშოა, რომ აღიარეს?**

— ამ თემაზე ეკონომისტები ხშირად ვსაუბრობდით, ეროვნულ ბანკს ვაკრიტიკებდით, მაგრამ არავინ ისმენდა. **დღეს კი, საბოლოოდ სანამ არ გაიჭედნენ, სანამ ეკონომიკური ვარდნა თვალნათლივ არ დაინახეს, არც მმართველი გუნდის წევრებმა და არც ექსპერტებმა ხმა არ ამოიღეს.**

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის განცხადება ერთგვარად დამამშვიდებლად ჟღერს და ეს ასეც უნდა იყოს, აბა, სხვა რა გზა აქვთ!

**ეროვნული ბანკისა და ეკონომიკური გუნდის პოლიტიკის ნდობა არ შეიძლება, ეკონომისტთა გარკვეულ ჯგუფებს ნდობა დაკარგული აქვთ, რადგან ისინი ბევრ მნიშვნელოვან პროცესს ვერ გაუმკლავდნენ და შესაბამისად, ვერც ინფლაციურ პროცესებს.**

**ხელისუფლებაში მყოფი ეკონომიკური გუნდი არ იყენებს იმ რესურსს, რომლის გამოყენებაც კომბინირებულად არის შესაძლებელი. საკითხავია ისიც, სურთ კი იმ პოლიტიკის გამოყენება, რომლითაც ეკონომიკას დაეხმარებიან?**

ხელისუფლების ხელშია ღია ბაზრებზე ოპერაციების ჩატარება, ეროვნულ ბანკს იმასაც არ სთხოვენ, რომ დანარჩენ ბანკებს მოსთხოვოს რეზერვი და კრედიტები მასთან შეინახოს, რითაც გარკვეულ მანიპულირებას მოახდენს. ასევე, ეროვნულ ბანკს ერთდღიანი სესხებისა და დეპოზიტების ოპერაციების განხორციელებაც შეუძლია და არ იყენებს; შეუძლია სავალუტო აუქციონების გამოყენებაც, არსებობს გირაოს სახეობებიც და ეს მეთოდიც გამოუყენებელია.

ეროვნულ ბანკთან ერთად ეს გადაწყვეტილება შესაბამისმა საბჭომ უნდა მიიღოს, ისინი არასრულფასოვნად მუშაობენ.

**— როგორ ფიქრობთ, ქვეყანას სუსტი ეკონომიკური გუნდი ჰყავს?**

— ეკონომიკურ გუნდს ევალება, რომ კოორდინირებულად იმუშაოს ეროვნულ ბანკთან ერთად, მაგრამ, თუ ეს არ გამოსდით, მაშინ საქმეში უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო უნდა ჩაერთოს და სწორედ მან უნდა დაავალდებულოს ეროვნული ბანკის მესვეურები, გაატარონ რეალური, ქვეყნისთვის სასარგებლო პოლიტიკა, მაგრამ, ალბათ, **ძნელია, ვინმეს დაავალოს რაიმეს გაკეთება, როდესაც თავად სახელისუფლო გუნდს არ აქვს მოწესრიგებული ეს საკითხი და არ გააჩნია სამოქმედო გეგმა.**

**— როგორი იქნება 2014 წელი?**

— საკვებ პროდუქტებზე გაზრდილი ფასები, რომლებიც თითქოს მხოლოდ საახალწლო ვაჭრობას უკავშირდება, ინფლაციის გამო აღარ დაიკლებს, რაც სავალალო მდგომარეობაში ჩააგდებს მოსახლეობას. **ინფლაციისგან გამოწვეული ზარალის 46 პროცენტი მოდის სურსათზე, რასაც მოსახლეობა განსაკუთრებულად გრძნობს.**

ეკონომიკური გუნდი თუ სწორ პოლიტიკას გაატარებს, მაშინ 2014 წელი ცუდი არ იქნება, მაგრამ, სამწუხაროდ, რამდენადაც ინფორმაციას ვფლობთ, სწორი პოლიტიკის გეგმა არც ეკონომიკურ გუნდს გააჩნია და არც მთავრობას.

**— ე. ი. ცუდი წელი გვექნება.**

— დიახ, 2014 წელი სახარბიელო და საიმედო ეკონომიკისთვის ნამდვილად არ იქნება.

**ესაუბრა**
**ეკა ნასყიდაშვილი**

# «ნაციონალები» ირაკლი შოთაძის წინააღმდეგ ახალ სკანდალს ამზადებენ

**საქართველო კვლავ მთავარი პროკურორის გარეშეა. ოთარ ფარცხალაძის მიერ თანამდებობის დატოვების შემდეგ ხელისუფლება ახალი მთავარი პროკურორის დასახელებას არ ჩქარობს და საამისო მიზეზიც აქვს — კიდევ ერთი შეცდომა საკმარისი იქნება, დადასტურებულად ითქვას ის, რაზეც კულუარებში აქტიურად საუბრობენ, რომ დღევანდელ ხელისუფლებას კვალიფიციური კადრების აშკარა დეფიციტი აქვს.**



**ფარცხალაძის მემკვიდრედ კახი კახიშვილის კანდიდატურა განიხილებოდა, მაგრამ, დიდი ალბათობით, კახიშვილი ამ თანამდებობას ვერ ეღირსება, რადგან, რბილად რომ ვთქვათ, ის არ არის „ქართული ოცნების" გუნდის წევრი, უფრო ზუსტად კი, არც ერთი გუნდის წევრი არ არის და, გენპროკურორად ყველა ხელისუფლებას შინაური კაცი რომ სჭირდება, საქართველოში ჩვეულებრივი ამბავია.**

**მეორე კანდიდატად კი ირაკლი შოთაძე დასახელდა. ფარცხალაძის მიერ პროკურატურაში მიყვანილი და ლაშა ნაცვლიშვილის ადგილზე დანიშნული შოთაძე გენერალური პროკურორის მოვალეობას ახლაც ასრულებს, მაგრამ ცხადია, რომ ის პრაქტიკულად არაფერს აკეთებს და ელოდება იმის გარკვევას, ვისზე დადებს ფსონს ხელისუფლება.**

ხელისუფლების გადაწყვეტილებას ელოდებიან „ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლებიც. პარლამენტარმა ნუგზარ წიკლაურმა უკვე განაცხადა, შოთაძის დანიშვნა პირდაპირი მინიშნება იქნება, რომ ფარცხალაძე თანამდებობიდან არ წასულაო.

შოთაძე ფარცხალაძის მოყვანილი კადრია და, მისი დანიშვნის შემთხვევაში, გენერალურ პროკურატურას ისევ ფარცხალაძე გააკონტროლებს, — ასეთია წიკლაურის განცხადების შინაარსი, თუმცა თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ფარცხალაძე პროკურატურაში ვეღარაფერს გააკონტროლებს, რადგან ხელისუფლებას ხელს არ აძლევს ამ თემის კიდევ ერთხელ წამოწევა.

ჩვენი წყაროს ინფორმაციით, **წიკლაურმა განცხადება შეგნებულად გააკეთა იმისთვის, რათა ხელისუფლებას ეგონოს, რომ „ნაციონალურ მოძრაობას" შოთაძის მაკომპრომეტირებელი მეტი არაფერი აქვს. არადა, სასამართლოდან უკვე გამოთხოვილია მასალები კონკრეტულ საქმეზე, რომელშიც ბრალდების მხარეს სწორედ შოთაძე წარმოადგენდა.** საქმე რიგითი რომ იყოს, შესაძლოა, „ნაცმოძრაობას" არც ეაქტიურა, მაგრამ, **როცა საუბარი ნიკა ლომინაძის მკვლელობასა და სამუდამო პატიმრობამისჯილ გიორგი გვიჩიანსა და ნიკა ჩემიაზეა, ცხადია, საპარლამენტო ოპოზიცია სერიოზული სკანდალისთვის ემზადება.**

ნიკა ლომინაძე 2002 წლის 13 აგვისტოს მოკლეს, 2006 წლის მარტში კი დანაშაული გახსნილად გამოცხადდა და მკვლელობის დამკვეთად „თბილგაზის" ყოფილი გენერალური დირექტორი გია გვიჩიანი დასახელდა. მას და ნიკოლოზ ჩემიას, როგორც ამ საქმის ერთ-ერთ მონაწილეს, სამუდამო პატიმრობა მიესაჯათ და ისინი სასჯელს დღემდე იხდიან. გვიჩიანისა და ჩემიას გასამართლება ნოდარ გვიჩიანის ჩვენების საფუძველზე მოხდა. ნოდარ გვიჩიანი, რომელიც გია გვიჩიანს ენათესავება, სამართალდამცავებმა ნარკოტიკული ნივთიერების შეძენა-შენახვა-გასაღების ფაქტზე დააკავეს; თავისუფლება მან მას შემდეგ მიიღო, რაც სამართალდამცავებს ლომინაძის მკვლელობის საქმის გახსნა შესთავაზა და ხელი გვიჩიანსა და ჩემიას დაადო. საქმეში კიდევ ორი არაპირდაპირი მოწმე იყო, რომლებმაც დანაშაულიც აღიარეს და მსუბუქი სასჯელიც მიიღეს, ხოლო გვიჩიანმა და ჩემიამ ბოლომდე უარი თქვეს აღიარებაზე და მათ სამუდამო პატიმრობა ერგოთ.

**ამ საქმეში სახელმწიფო ბრალმდებელი ოფიციალურად ანზორ ხვადაგიანი გახლდათ, თუმცა მისი სტაჟიორი შოთაძე იყო, სასამართლოზე სიტყვითაც გამოდიოდა, ხვადაგიანის არყოფნის დროს პროცესზე ბრალდების ინტერესებს იცავდა და, რაც მთავარია, საბრალდებო დასკვნაზე მისი ხელმოწერაც არის.**

დღევანდელი მდგომარეობით, ახალი გარემოებების აღმოჩენის გამო, სააპელაციო სასამართლომ ჩემიასა და გვიჩიანის საქმის ხელახლა განხილვა დაიწყო. ძალიან დიდი შანსია იმისა, რომ ორივე მათგანი გამართლდეს, რადგან, როგორც ახლა ირკვევა, **პროკურატურამ ამერიკის ფედერალური გამოძიების ბიუროს ის დასკვნა დამალა, რომელიც გვიჩიანისა და ჩემიას უდანაშაულობას ამტკიცებს.** ლოგიკას რომ მივყვეთ, **შეუძლებელია ამ დასკვნის შესახებ ხვადაგიანსა და შოთაძეს არ სცოდნოდათ და რა გამოდის? — მათ იცოდნენ, რომ ორ უდანაშაულო ადამიანს სამუდამო პატიმრობას უსჯიდნენ და საბრალდებო დასკვნას ხელი მშვიდად მოაწერეს.**

სწორედ ამ ამბავზე აპირებენ „ნაციონალები" ხმაურის ატეხვას და არად დაგიდევენ იმას, რომ ხელისუფლებაში იმხანად თავად იყვნენ და არაერთი უდანაშაულო ჩასვეს ციხეში. ახლა კი ამბობენ, გამოიძიეთ, დაგვიმტკიცეთ და პასუხი მოგვთხოვეთო და, **თუ ასეთ საქმეებზე პასუხი არავის მოსთხოვეს და სამართლიანობის აღდგენა არ დაიწყო, ახალი მხატვრული ფილმის გადაღება მოგვიწევს ძველი სათაურით „ლონდრე"!**

**დავით მინდიაშვილი**

„თუ „ქართულმა ოცნებამ“ ასე გააგრძელა, თუ ღარიბაშვილმა რადიკალური ცვლილებები არ განახორციელა, შემოდგომაზე ახალი რევოლუცია მოხდება... როცა ადამიანს წაართმევ საარსებო წყაროს, დატოვებ თავშესაფრის გარეშე და მიიყვან იქამდე, რომ, ფაქტობრივად, დასაკარგი არაფერი აქვს, მერე იმისგან ყველაფერს უნდა ელოდე — კვერცხებსაც, ქვებსაც და ტყვიასაც.“

სამართალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ვასილ ჭიჭინაძე:

# შემოდგომაზე ახალი რევოლუცია მოხდება

ბოლო დროს განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება დიპლომატი ვასილ ჭიჭინაძე.

**— ბატონო ვასილ, რეალურად რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობაში მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი ჩვენი საგარეოპოლიტიკური კურსია, ფაქტია, რომ მოსკოვს ალიზიანებს საქართველოს სწრაფვა ნატოსკენ...**

— ერთი რამ უნდა გავიგოთ: **ნატო და რუსეთი ერთად არაფრით გამოვა. მარტივად რომ ვთქვათ, არჩევანი ასეთია: ან რუსეთთან ვმეგობრობთ და ნატოს ვეუბნებით უარს, ან პირიქით.** სხვანაირად მუდმივად ერთი ადგილის ტკეპნით ვიქნებით დაკავებულნი და ქვეყანაც ვერასოდეს იპოვის თავის რეალურ ადგილს მსოფლიო გეოპოლიტიკურ ასპარეზზე.

**— უკვე რამდენიმეჯერ შეხვდნენ ერთმანეთს ზურაბ აბაშიძე და გრიგორი კარასინი. თქვენი აზრით, ამ ხნის განმავლობაში პირველ პირებს შორის უნდა შემდგარიყო თუ არა შეხვედრა?**

— ეს აუცილებელიც კი იყო, იმიტომ, რომ კარასინისა და აბაშიძის დონეზე არ წყდება სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი საკითხები. ჩემი აზრით, წელიწად-ნახევარი საკმარისი დროა იმისთვის, რომ პირველი პირების შეხვედრა მოემზადებინათ, თუმცა ვფიქრობ, საქართველო ჯერ ამისთვის მზად არ არის...

**— კონკრეტულად რას გულისხმობთ?**

— ხელისუფლებას არ აქვს ჩამოყალიბებული გეგმა და სტრატეგია. როგორც ჩანს, ან იციან, რომ არსებული კურსით და პოლიტიკით აზრი არ აქვს მოლაპარაკებებს და, უბრალოდ, ფეხს ითრევენ.

**— სხვათა შორის, „ნაცმოძრაობის“ ლიდერთა განცხადებები და პროგნოზები, რომ კოალიციის პოლიტიკას ქვეყანა ეკონომიკური კრიზისისკენ მიჰყავს, ნელ-ნელა მართლდება: უმუშევართა რაოდენობა იზრდება, ინფლაციის დონე მატულობს, დაპირებები კვლავ შეუსრულებელია... თქვენი აზრით, რითაა ეს განპირობებული?**

— ფაქტი ერთია: ამ წელიწადნახევარში, რაც ხელისუფლება შეიცვალა, სოციალური ფონი ოდნავადაც არ გაუმჯობესებულა. თუ გაუმჯობესდა, გამოვიდნენ და გვითხრან, რაში გამოიხატება ეს. რაც შეეხება ლარის კურსს, რომელიც თქვენ ახსენეთ, გამოვიდა ამასწინათ ერთი მინისტრი და ბრძანა, ზამთარია და ამიტომაა კურსი დავარდნილიო. ეს, რა თქმა უნდა, სასაცილოა, ზამთარი ადრეც ყოფილა, მაგრამ ასეთი ინფლაცია არ იყო. ვფიქრობ, აქ სასწრაფოდ ქმედითი ზომებია მისაღები, რაღაც უნდა შეიცვალოს, თორემ, ასე თუ გაგრძელდა, ეს ვარდნა შეიძლება იქამდე მივიდეს, რომ კრიზისს კი არა, ეკონომიკურ კატასტროფას მივიღებთ. მერე გამოვლენ „ნაციონალები“ და ნიშნისმოგებით გეტყვიან, ხომ გეუბნებოდითო...

**— საზოგადოებაში რომ უკმაყოფილების მუხტი დღითიდღე იზრდება, ამას ყველა კვლევა და მონაცემი ცხადყოფს. როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია, პროცესებმა ქუჩაში გადაინაცვლოს და ფართომასშტაბიანი საპროტესტო გამოსვლები ვიხილოთ?**

— არ მინდა, მკითხაობასავით გამომივიდეს, მაგრამ პირველ რიგში ჩვენ მიზეზებზე უნდა ვისაუბროთ — რატომაა ხალხი უკმაყოფილო და რატომ ეცემა კოალიციის რეიტინგი დღითიდღე? მარტივ მაგალითს გეტყვით: **1 ოქტომბრის წინასაარჩევნო პერიოდში ბიძინა ივანიშვილი აცხადებდა, არც ერთ ქართულ ოჯახს გამოსახლება არ დაემუქრებაო. ჩატარდა ის არჩევნები და 74 ათასი ოჯახი გამოსახლების მოლოდინშია.** სხვათა შორის, ამაზე დღეს არავინ წერს. არ ვიცი, ბანკების ერიდებათ თუ რა ხდება, მაგრამ ხალხმა უკვე კვერცხები ესროლა პარლამენტს. ახლა გეკითხებით: **ის 74 ათასი ოჯახი, სულ ცოტა, 200 ათასი კაცი ხომაა? ეს 200 ათასი კაცი რომ გარეთ გამოყარო, ლტოლვილად გრჩება. სად მიგყავს, რას უშვები ამ ხალხს?!**

**— ფიქრობთ, რომ ეს მიზანმიმართული პოლიტიკაა?**

— მე არ ვიცი, ამას რა დავარქვა, ეს ან საბოტაჟია, ან იმდენად, ბოდიში და, უგუნური ხალხია ხელისუფლებაში, რომ ვერ აცნობიერებენ, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამ ყველაფერს.

**— თუკი პრემიერმა ღარიბაშვილმა მნიშვნელოვან ცვლილებები არ განახორციელა და იგივე მდგომარეობა დარჩა, როგორ ფიქრობთ, რა ვითარება გვექნება 2014 წლის ბოლოს?**

**— თუ „ქართულმა ოცნებამ“ ასე გააგრძელა, თუ ღარიბაშვილმა რადიკალური ცვლილებები არ განახორციელა, შემოდგომაზე ახალი რევოლუცია მოხდება.** ვიღაცას შეიძლება გაეცინოს ამაზე, მაგრამ ეს სავსებით რეალურია, იმიტომ, რომ არსებობს რაღაც ზღვარი, სანამდეც ითმენს საზოგადოება. იმის მერე უკვე პროცესები ხდება უმართავი, ვერანაირი დაშოშმინება და უკმაყოფილების ჩაცხრომის მცდელობა ჭრელა-ჭრულა დაპირებებით შედეგს ვერ მოიტანს.

**— ეს გასაგებია, მაგრამ ქართული საზოგადოება, ალბათ, ჯერ არაა იმ ზღვრამდე მისული.**

— არაა და ღმერთმა ნუ ქნას, მიიყვანონ, თორემ გითხარით და კიდევ ვიმეორებ, მოხდება რევოლუცია. ოღონდ ისეთი კი არა, 2003-ში რომ იყო, არამედ ნამდვილი. მე უცნაურს და გაუგონარს არაფერს ვამბობ, გაიხსენეთ, როგორ მოხდა საფრანგეთის რევოლუცია ან რუსეთში, 1917-ში; პარალელებს არ ვავლებ, მაგრამ, **როცა ადამიანს წაართმევ საარსებო წყაროს, დატოვებ თავშესაფრის გარეშე და მიიყვან იქამდე, რომ, ფაქტობრივად, დასაკარგი არაფერი აქვს, მერე იმისგან ყველაფერს უნდა ელოდე — კვერცხებსაც, ქვებსაც და ტყვიასაც.**

**— როგორ ფიქრობთ, „ოცნების“ რეიტინგის ვარდნა „ნაცმოძრაობისთვის“ ხელისუფლებაში დაბრუნების შანსს ნიშნავს?**

— „ნაცმოძრაობის“ შანსებზე გამიჭირდება საუბარი, იმიტომ, რომ, რაც მათ 9 წლის მანძილზე აკეთეს, პოლიტიკური თვითმკვლელობა იყო, მაგრამ, კიდევ ვიმეორებ, თუ „ოცნება“ ასე გააგრძელებს, საპრეზიდენტო არჩევნებში ხომ 62 პროცენტი მიიღეს, მომავალში 30 პროცენტის მიღებაც გაუჭირდებათ. ეს ცხადია. გარკვეულწილად ხდება „ნაციონალების“ რეინკარნაცია და მეტიც, ამით მათ მიეცემათ საშუალება, უფრო აქტიურად მიიღონ მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესებში და წარმოაჩინონ თავიანთი თავი მთავარ ოპოზიციურ ძალად...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

მამუკა ნოზაძე:

# ახალი ხელისუფლებაც «თავისუფლების ინსტიტუტის» მონაა!



**„საქართველო და მსოფლიოს“ წინა ნომერში დაიბეჭდა წერილი „რატომ შემოვიდა ივანიშვილი პოლიტიკაში, რატომ შემოიკრიბა დისკრედიტებული პოლიტსუბიექტები და რატომ გავიდა ნაადრევად თამაშიდან?“.
ამ პუბლიკაციას საზოგადოებაში დიდი გამოხმაურება და მითქმა-მოთქმა მოჰყვა. ჩვენ მაშინ კონფიდენციალურ წყაროსთან ერთად ადვოკატ მამუკა ნოზაძესაც ვთხოვეთ კომენტარი, თუმცა ვერ შევძელით აღნიშნული თემის მასთან ერთად გაშლა ისე, რომ არ დაგვეკარგა კონფიდენციალური წყაროს მიერ მოწოდებული ძირითადი აქცენტები. სხვათა შორის, ხელისუფლების მხრიდან ამ თემას არანაირი კომენტარი არ მოჰყოლია.
როგორც ჩანს, გარიგების (და არა არჩევნების შედეგად) რომ გადმოიბარა ხელისუფლება „ოცნებამ“, ეს არც ისე მნიშვნელოვანი თემაა მათთვის ან დუმილი ამ შემთხვევაშიც თანხმობის ნიშანია. „საქართველო და მსოფლიოს“ ადვოკატი მამუკა ნოზაძე ესაუბრა.**

**— მამუკა, თქვენ დაადასტურეთ წინა ნომერში ჩვენი წყაროს მიერ მოწოდებული ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ სწორედ ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების საააგენტოს დავალებით მოვიდა ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში და მოიყვანა ხელისუფლებაში ამ სააგენტოს მიერ მართული ვაიპოლიტიკოსები; რომ ეს სააგენტო, კარგა ხანია, მართავს ბოკერიასა და მის გუნდს, ყველასთვის ცნობილ „თავისუფლების ინსტიტუტს“. მოდით, საზოგადოებისთვის უკეთ გასაგები გავხადოთ, რას წარმოადგენს ეს სტრუქტურა, მივყვეთ ფაქტებს.**

**თავდაპირველად გავიხსენოთ, რომ ივანიშვილის დეპუტატობის კანდიდატების (ხიდაშელი, სანიკიძე, ძიძიგური...) გასვლის შანსები პარლამენტში  მინიმალური იყო. იმთავითვე ხომ არ იყო ჩაფიქრებული, რომ ივანიშვილს საპარლამენტო უმრავლესობა არ უნდა ჰყოლოდა?**

— დიახ, ივანიშვილმა თავიდანვე შემოიკრიბა ის პოლიტიკოსები, რომლებსაც დაბალი რეიტინგი ჰქონდათ და ადვილად სამართავნი იყვნენ (შუა გაკრიფა), და ეს გადაწყვეტილება სწორედ იმ გარე ძალასთან, კერძოდ, უკვე საზოგადოებისთვისაც კარგად ცნობილ ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოსთან, კონსულტაციების შედეგად მიიღო. მეცინებოდა, კაცმა საარქივო პერსონაჟებიც კი ამოიღო ნაფტალინიდან და გააცოცხლა. რა თქმა უნდა, ყველაფერი თავიდანვე დაგეგმილი იყო, უბრალოდ, გეგმის კორექტირება მოუწიათ (ციხის კადრების გამო). ახლა ჩემთვის ისიც დაუჯერებელია, რომ დღეს ივანიშვილი თითქოს პოლიტიკიდან წასულია და არ ერევა მასში. დარწმუნებული ვარ, ერთ ნაბიჯსაც ვერ გადადგამს ღარიბაშვილი ივანიშვილთან შეუთანხმებლად.

**— თქვენი ინფომაციით, ვინ იქნება მომავალი მთავარი პროკურორი?**

— პროკურორის როლის შემსრულებელი, ყოფილი პროკურორის პირველი მოადგილე, შოთაძე, რომელიც, მინდა გითხრათ, ფარცხალაძის კადრია. და თუ გამართლდა ჩემი პროგნოზი და შოთაძე დაინიშნა მთავარ პროკურორად, ჩათვალეთ, რომ იგივე სიტუაცია გაგრძელდება, ანუ უკანონოდ დაპატიმრებულნი ციხეებში დარჩებიან, ხოლო სახელმწიფოს სახელით მკვლელები და მოძალადეები გარეთ გამოვლენ. ეს იქნება კიდევ ერთი პირდაპირი დასტური იმისა, რომ **„ქართული ოცნება“ გარიგებულია „ნაცმოძრაობასთან“. სხვათა შორის, გამოგდებული პროკურორებიც აღიარებენ იმას, რომ გახმაურებული საქმეების გამოძიება არავის სურდა.** ივანიშვილს არ უნდა, რომ ამ თანამდებობაზე იყოს მიუკერძოებული პიროვნება, მაგ: კახა კახიშვილი, რადგან ამ შემთხვევაში მათი უკანონო ქმედებებიც გამოაშკარავდება. ფარცხალაძისნაირი დისკრედიტებული ადამიანი რომ დანიშნეს პროკურორად, მაშინვე მივხვდი, რომ ეს შეგნებულად გააკეთეს, რადგან ამით დამატებით სალაპარაკოს მისცემდნენ „ნაცებს“.

ვფიქრობ, ამ უნიათო ადამიანების დამსახურებით „ნაცები“ ან სახეშეცვლილი, ან იგივე ფორმით ხელისუფლებაში დაბრუნდებიან. „ნაცებს“ ამერიკელებისგან აქვთ დავალებული, ცოტა ხანი მხოლოდ პიარი აწარმოონ ქვეყნის შიგნით, რაშიც ეს ხელისუფლებაც ხელს უწყობს (ალბათ, ამათაც იგივე დაავალეს), ამით ძალიან კარგად იხსნება ფარცხალაძის ინციდენტი. თან მარტო პროკურატურას ნუ დავაბრალებთ ამ გარიგებას. გაიხსენეთ, ივანიშვილმა კუბლაშვილს უთხრა: დემოკრატი ხარ და კარგი სისტემა შექმენიო. ეს, ცხადია, ივანიშვილმა ამერიკელების დავალებით უთხრა. **როგორ შეიძლება სასამართლო სისტემა კარგად აღიქვა იმ ქვეყანაში, რომელშიც თავად ივანიშვილმა ვერ მიაღწია სამართლიანობას და დღევანდელი პრემიერმინისტრის სიმამრთან დაკავშირებით ხშირად აპელირებს პარლამენტი, რომ თამაზაშვილის მიმართ თურმე რამდენი უკანონობა ჩაიდინა სასამართლომ. იქნებ გამახსენოთ, რომელმა სასამართლომ გამოუტანა ეს უკანონო განაჩენი? იქნებ თამაზაშვილის გარდა სხვების მიმართაც არის გამოტანილი უკანონო განაჩენები?**

**— საქართველოში უნდა ჩამოყალიბებულიყო ორპარტიული სისტემა – „ნაცები“-„ოცნება“, ამერიკის ეროვნული უაფრთხოების სამსახურის გეგმის თანახმად, რაც, მგონი, შესრულდა (ამ ეტაპზე მაინც). რას გვეტყვით ამაზე? აქვე გკითხავთ: ბოკერიამ რა მიიღო სანაცვლოდ?**

— ორი პარტიაა. შუა გაიკრიფა. ეს სურდა ივანიშვილსაც... ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტო საკმაოდ სერიოზული სამსახურია. დიახ, მისი გეგმა შესრულებულია. ამ სააგენტომ ყველაფერი იცის იმის თაობაზე, თუ რა ხდება საქართველოსნაირ ქვეყნებში. ქმნის ფონდებსა და არასამთავრობოებს, რომელთაც უკვეთავს გამოკვლევებს, ისიც კი იცის, ქვეყანა რით სუნთქავს და რა არის იმისთვის მნიშვნელოვანი — რა უნდა გაუკეთოს, ამიტომ არ უჭირს მართვა, შესწავლილი აქვს ეს ყველაფერი. ეს ფონდები რეალურ კვლევებს აწვდიან ამ სააგენტოს (აქ კი ხალხის დასანახად სხვა შედეგებს დებენ), შესაბამისად, იღებენ სხვადასხვა გადაწყვეტილებას. ყველგან არიან მოდებულნი, რომელ ორგანიზაციაში რომელი ავტორიტეტი გამოიყენონ და რა დროს გამოიყენონ ან შეცდომაში როგორ შეიყვანონ კარგი რეპუტაციის მქონე ადამიანი, კარგად იციან. მათი გავლენის ქვეშ არის დღეს საქართველო. **ახალი ხელისუფლებაც „თავისუფლების ინსტიტუტის“ მონაა. ბოკერიამ რა მიიღო, გარდა იმისა, რომ დარჩა პოლიტიკაში? ჯერ ერთი ხელშეუხებელია, მეორეც: მომავალშიც ძალიან ბევრს მიიღებს პოლიტიკური კარიერის მხრივ. მნიშვნელოვანია ის, რომ ახალი ხელისუფლება ხშირად იღებს ბოკერიასგან კონსულტაციებს და ბრძანებებსაც კი საერთაშორისო ურთიერთობებთან დაკავშირებით.**

ესაუბრა
**ქეთი ხომერიკი**

ჰკა მაგათა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„კანონი „სახალხო დარბაზმა“ კი არა, „თავისუფლების ინსტიტუტმა“, „იდენტობამ“, ნინია კაკაბაძემ და მისმა მსგავსმა პროვოკატორებმა დაარღვიეს. ჩვენ კი კანონსაც და ერის ღირსებასაც ვიცავდით. დიახ, ჩვენი პატრიარქი ერის ღირსება, სინდისი, ნამუსი და სიყვარულია და, რა დოზითაც შეურაცხყვეს, იმ დოზით გვქონდა რეაქცია.“**

# უწმინდესის გინებას არავის შევარჩენთ!

**9 იანვარს ორგანიზაცია „სრულიად საქართველოს სახალხო დარბაზის“ და „თავისუფლების ინსტიტუტის“, აგრეთვე, არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობის“ წევრები ერთმანეთს სიტყვიერად და ფიზიკურად დაუპირისპირდნენ. „სახალხო დარბაზის“ წევრები საპატრიარქოსთან შეიკრიბნენ და, პატრიარქისთვის შობა-ახალი წლის მილოცვის მიზნით, კონცერტი გამართეს, ხოლო არასამთავრობო ორგანიზაციების წევრები პატრიარქის ეპისტოლეში სუროგაციის შესახებ გამოთქმული თვალსაზრისის გასაპროტესტებლად მივიდნენ. ინციდენტის შემდეგ „სრულიად საქართველოს სახალხო დარბაზის“ წევრები სამართალდამცავებმა დააკავეს და წვრილმანი ხულიგნობის მუხლით გაასამართლეს. თორნიკე და ევგენი ქავთარაძეები და სანდრო ზაუტაშვილი ასლარიანი ჯარიმის შემდეგ გაათავისუფლეს, ვეფხია ღვალაძე კი სიტყვიერი გაფრთხილებით გამოუშვეს.**
**9 იანვრის ინციდენტზე „სრულიად საქართველოს სახალხო დარბაზის“ წარმომადგენლები გვესაუბრებიან.**







**გოდერძი ოთარაშვილი, „სრულიად საქართველოს სახალხო დარბაზის“ თავმჯდომარე:**

— უწმინდესის მიერ ბრწყინვალე საშობაო ეპისტოლეს წაკითხვის შემდეგ გადავწყვიტეთ, რომ საპატრიარქოსთან ჩვენი ორგანიზაციის ახალგაზრდულ-ფოლკლორულ ჯგუფებს პატარა კონცერტი გაემართათ და უწმინდესისა და წმინდა სინოდისთვის შობის დღესასწაული ასე მიგველოცა. მართლაც, შევიკრიბეთ საპატრიარქოსთან. ახალგაზრდები გალობდნენ, ხალხურ საკრავებზე უკრავდნენ, როდესაც მოულოდნელად მოცვივდნენ ლგბტ-ს წარმომომადგენლები, ანტიქართველები და დაიწყეს ჩვენი პროვოცირება. გვესროდნენ გამომწვევ რეპლიკებს, აუგად მოიხსენიებდნენ პატრიარქს... ამ პროვოკაციას ჩვენი ორგანიზაციის რამდენიმე ახალგაზრდა წევრი წამოეგო და მოხდა შეხლა-შემოხლა.

**უწმინდესის გინებას არავის შევარჩენთ, რადგან ჩვენი პატრიარქის გინება მხოლოდ ილია მეორის გინებას არ ნიშნავს. უწმინდესი ჩვენი ღირსების, სარწმუნოებისა და ქართველობის სინონიმია. როდესაც პატრიარქზე აუგს ამბობენ, ეს ქართველი ერის შეურაცხყოფაა.** იმ პროვოკატორი ლიბერალებისა თუ ანტიქართველების გინება ჩვენი სარწმუნოების შეურაცხყოფად მივიღეთ და ამიტომ მოხდა ჩვენ შორის შეხლა-შემოხლა. დიახ, ისინი სატანისტები არიან და ჩვენი პროვოცირება მოახერხეს, თუმცა არაფერს ვნანობთ. თუმცა, იმას ვნანობთ, რომ მუშტი უფრო ძლიერად არ მოვდეთ და ბოლომდე არ გადავუარეთ. ამის გაკეთება შეგვეძლო, მაგრამ თავი მხოლოდ იმიტომ შევიკავეთ, რომ საპატრიარქოს წინ ვიდექით. ისევ ჩვენს ერსა და უწმინდესს ვეცით პატივი. რაც მთავარია, **უფლის დახმარებით სატანისტებს ანტიმართლმადიდებლური აქცია ჩავუშალეთ. დიახ, ანტიმართლმადიდებლური აქცია ვერ ჩაატარეს და ვეღარც ჩაატარებენ, რადგან სიცოცხლეს არ დავიშურებთ ჩვენი სარწმუნოებისა და სამშობლოს დასაცავად.**

ქართველები ვართ და **ჩვენი უზენაესი კანონი უფალი და სამშობლოა.** სხვა კანონი ჩვენთვის არ არსებობს. კონსტიტუციის მიხედვით, ქართველი ერი უუფლებო არსებები, მონები ვართ, რასაც არასდოს შევეგუებით, რადგან კონსტიტუცია ქართველი ერის საკეთილდღეოდ უნდა იყოს დაწერილი და არა — საწინააღმდეგოდ. როგორ შეიძლება, ჩვენს ქვეყანაში ვიღაც ურჯულოებმა თავიანთი აზრი ასეთი ბინძური ფორმებით გამოხატონ და ჩვენ ხმა არ ამოვიღოთ?! **როგორც ჩანს, ამ ულმერთოებმა არ იციან, რომ მართლმადიდებლობა ყველასა და ყველაფრისთვის თავის დახრას არ ნიშნავს. მართლმადიდებლობა მებრძოლი სარწმუნოებაა და, ეს ბრძოლა ხმლით წარიმართება თუ სიტყვით, მნიშვნელობა არ აქვს.** ჩვენ სწორედ რწმენამ გადაგვარჩინა. მართლმადიდებლობა გაიგივებულია ჩვენს ღირსებასა და ქართველობასთან, რომელსაც ნინია კაკაბაძისგან, სოროსებისა და მათნაირებისგან ყოველთვის დავიცავთ.

**— რას აპირებთ?**

**— სარჩელს ვამზადებთ „თავისუფლების ინსტიტუტის“, მათი მომხრეების, აგრეთვე, ნინია კაკაბაძის წინააღმდეგ, რომელმაც მოაწყო პროვოკაცია და გამოიწვია ინციდენტი.** ამით გავაფრთხილებთ იმ ულმერთოთა ორგანიზაციებს, რომლებსაც, ამდენი ხანია, ვუთმენთ, რომ აღარ მოვითმენთ და მათ წინააღმდეგ მთელ ერს გამოვიყვანთ! **„თავისუფლების ინსტიტუტს“ ჭკუას ვასწავლით და მერე თუნდაც მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან მოგვიყვანონ თავიანთი კუდიანი დამფინანსებლები, ვნახავთ, რას გახდებიან!** ქართველი მართლმადიდებლის მუშტი ნაცრად აქცევს ნებისმიერ ულმერთოს. ძალიან ცუდად გვეხუმრებიან ე. წ. დემოკრატები. ისინი პასუხს აგებენ ღვთისა და ქართველი ხალხის წინაშე. სამწუხაროდ, **ამ ადამიანებს, მიუხედავად იმისა, რომ სატანური დაჯგუფება „ნაცმოძრაობა“ აღარ არის ხელისუფლებაში, საპარლამენტო უმრავლესობაში ჰყავთ მხარდამჭერები. გარდა ამისა, ფინანსდებიან უცხოეთიდან, იღებენ გრანტებს და, რასაც ავალებენ, თვალდახუჭული ასრულებენ.**

არადა, ნინიებსა და მისნაირებს სულაც არ აინტერესებთ პატრიარქის გინება. ისინი ამ ყველაფერს მხოლოდ ფულის გამო აკეთებენ. ეს ადამიანები ულმერთოთა მონები არიან. და თუ ჩვენი კანონმდებლობა ამათ არ გაასამართლებს, ალბანეთიდან ჩამოვიყვანთ მოსამართლეებს და შარიათის კანონით გავასამართლებინებთ.

## «ქართველი მართლმადიდებლის მუშტი ნაცრად აქცევს ნებისმიერ ულმერთოს!»



**თინათინ დოგრაშვილი, „სრულიად საქართველოს სახალხო დარბაზის“ სამსახურის ხელმძღვანელი:**

— **როდესაც საპატრიარქოსთან პროვოკატორები მოცვივდნენ, ერთ-ერთმა ქალმა მომახალა: თქვენს პატრიარქს ექსპლუატაციის ვადა გაუვიდაო.** ამ შეურაცხყოფის მოსმენას მერჩია, ვინმეს სახეში სილა გაეწნა. „თავისუფლების ინსტიტუტი“, მათგან მართული „იდენტობა“ და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები თავიანთი ქმედებებით წლების განმავლობაში სრულიად საქართველოს შეურაცხგვყოფდნენ. მათ მიერ მოწყობილი პროვოკაციის გამო ჩვენი ორგანიზაციის წევრებს წვრილმან ხულიგნობაში დასდეს ბრალი და დააჯარიმეს, ულმერთო პროვოკატორები კანონის უზენაესობას პატივს რომ არ სცემენ, ეს არ არის დანაშაული?! სახელმწიფოსა და საპატრიარქოს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად და არსებული კანონით, პატრიარქი არის ხელშეუხებელი და არავის აქვს პატრიარქის შეურაცხყოფის უფლება. არადა, **როგორც კი უწმინდესი დაასრულებს ქადაგებას, ეს არასამთავრობო ორგანიზაციები მაშინვე თავს ესხმიან როგორც საპატრიარქოს, ასევე მართლმადიდებელ მრევლს. დიახ, ეს ადამიანები პატრიარქს ქადაგებას უკრძალავენ.**

ამიხსენით, პატრიარქზე თავდასხმა კანონიერია? კანონი, „სახალხო დარბაზმა“ კი არა, „თავისუფლების ინსტიტუტმა“, „იდენტობამ“, ნინია კაკაბაძემ და მსგავსმა პროვოკატორებმა დაარღვიეს. ჩვენ კი კანონსა და ერის ღირსებას ვიცავდით. დიახ, **ჩვენი პატრიარქი ერის ღირსება, სინდისი, ნამუსი და სიყვარულია და, რა დოზითაც შეურაცხყვეს, იმ დოზით გვქონდა რეაქცია.** ძალადობისა და დაპირისპირების მომხრენი ნამდვილად არ ვართ, მაგრამ **ეს არსებები შვილებს ზნეობრივად და მორალურად რომ გვირყვნიან, ამას არ ვაპატიებთ. ეს ადამიანები იმიტომ გავიდნენ თავს, რომ მათ ძლიერი მფარველები ჰყავთ როგორც ხელისუფლებაში, ისე საზღვარგარეთ თავიანთი უცხოელი ლობისტებითა და უზარმაზარი გრანტებით.**

ასევე, შევიტანთ სარჩელს და მოვითხოვთ, პასუხი გაგვცენ, თუ ვინ და რა მიზნით აფინანსებენ ულმერთოთა არასამთავრობო ორგანიზაციებს.

ყველაზე ცუდი ისაა, რომ **მათი მფარველი „ნაციონალური მოძრაობა“ ჩამოშორდა ხელისუფლებას, თუმცა დღევანდელ ხელისუფლებაში უხვად ჰყავთ მფარველები, მათ შორის რესპუბლიკური პარტია, რომელიც მხარს უჭერს ათასგვარ სისაძაგლეს, ერთსქესიანთა ქორწინებით დაწყებული.** გარდა ამისა, დღეს მთავრობაში უხვად არიან „თავისუფლების ინსტიტუტის“ ყოფილი წევრები. ამის ერთ-ერთი „თვალსაჩინო“ მაგალითი თამარ კორძაიაა. სამწუხაროდ, დღევანდელ მთავრობაში ერთი მუჭა ეროვნული ძალაა, რომელსაც უმრავლესობის წევრებივე უპირისპირდებიან, მაგრამ ეს ყველაფერი დროებითია, ვერ მოგვერევიან, რადგან ჩვენი ორგანიზაციის დევიზია „ერი და ბერი — საქართველოს სადარაჯოზე!“. დიახ, დროა, ერი და ბერი გავერთიანდეთ და ერთ მუჭა ეროვნულ ძალას, რომელიც დღეს არის მთავრობაში, გვერდით დავუდგეთ.

საზოგადოება აქტიურად უნდა იყოს ჩართული ყველა მნიშვნელოვან პოლიტიკურ პროცესში. ასევე ვამზადებთ ორ სარჩელს ნინია კაკაბაძისა და უცნობი ქალის წინააღმდეგ, რომლებმაც იმ დაპირისპირებისას განაცხადა, რომ პატრიარქი სიძულვილსა და ძალადობას ქადაგებსო. ამ სიტყვებისთვის, პატრიარქის შეურაცხყოფისა და მომავალი თაობის შეცდომაში შეყვანისთვის კანონის წინაშე ისინი პასუხს აგებენ. დამნაშავენი სწორედ ესენი იყვნენ და არა ჩვენი ორგანიზაციის წევრი ბიჭები, რომლებიც ას-ასი ლარით დააჯარიმეს. როდესაც შეურაცხყოფაზე არ რეაგირებ, ეს ნიშნავს, რომ ღირსება დაკარგული გაქვს, ხოლო ღირსებადაკარგული ადამიანი პიროვნება აღარ არის. თუ ადამიანისთვის ყველაფერი სულერთია, ეს იმას ნიშნავს, რომ სრულფასოვანი პიროვნება არ არის. ჩვენს ორგანიზაციაში კი სრულფასოვანი, ღირსეული და შემდგარი პიროვნებები მუშაობენ, რომლებიც ნინიებს თავს არ დაუხრიან.

**სანდრო ზაუტაშვილი, „სრულიად საქართველოს სახალხო დარბაზის“ წევრი:**

— საპატრიარქოსთან 15 წუთის დაწყებული იყო კონცერტი, როდესაც უცხო პიროვნებები მოცვივდნენ და პატრიარქის შეურაცხმყოფელი პლაკატები ააფრიალეს. ჩვენ კი ირონიულად გვესროდნენ ფრაზებს, თქვენ არ ხართ მართლმადიდებლები და პატრიარქს ვადა გაუვიდაო. აი, აქედან დაიწყო ჩვენი დაპირისპირება.

**— ამ დაპირისპირების შემდეგ თქვენ დაგაკავეს...**

— მიუხედავად იმისა, რომ მათთვის ხელი არ დამირტყამს, წვრილმანი ხულიგნობის მუხლი წამიყენეს და ადმინისტრაციული ჯარიმის სახით ასი ლარის გადახდა დამაკისრეს. ამას ყურადღებას არ ვაქცევ, რადგან ყოველთვის დავიცავ საქართველოს სიწმინდეს — კათოლიკოს-პატრიარქს.



**სერგი ბერიაშვილი, „სრულიად საქართველოს სახალხო დარბაზის“ ახალგაზრდული ფრთის ხელმძღვანელი:**

— სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის ახალგაზრდა წევრები, რომლებიც საპატრიარქოსთან მოგვიცვივდნენ, კარგად იყვნენ ნავარჯიშები პროვოკაციის მოსაწყობად. სამწუხაროდ, მასმედიის საშუალებების დიდი ნაწილი ასეთ ადამიანებს რეკლამას უკეთებენ. ისინი თითქოს იჩაგრებიან და უმცირესობაში არიან. ტელევიზიების უმრავლესობამ ისე წარმოაჩინა მომხდარი, თითქოს ისინი იდგნენ მშვიდობიანად და ჩვენ მივუცვივდით. **რეალურად რაც მოხდა, არავის უთქვამს, არც ის კადრები უჩვენებიათ, რომლებშიც ეს ადამიანები უცენზურო სიტყვებით უწმინდესის დისკრედიტაციას ცდილობდნენ. „სახალხო დარბაზის“ წევრები პირობას ვდებთ ქვეყნისა და ერის წინაშე, რომ ამის საშუალებას არავის მივცემთ.** არ ვართ მუშტიკრივის მომხრენი, მაგრამ ასეთი ხალხი მუშტის ღირსი ნამდვილად არის. „იდენტობის“ მსგავს არასამთავრობო ორგანიზაციებს მოვუწოდებ, რომ დროზე მოეგონ გონს. ეს მათთვის იქნება კარგი.

ესაუბრა
**ნინო მაისურაძე**

„დღეს ერთ-ერთი უდიდესი გამოწვევაა პორნოინდუსტრია, სერიალები, რომლებმაც უამრავი ადამიანი მიაჯაჭვა ეკრანს, განსაკუთრებით ბოლო დროს საქართველოში პოპულარული გახდა თურქული სერიალები, რომლებმაც ახალი ცნობიერება დანერგეს მოსახლეობაში, ფაქტობრივად, პირდაპირ მიმდინარეობს მაჰმადიანობის ქადაგება და პროპაგანდა, ამიტომ სწორედ ასეთი ეპისტოლეები ემსახურება ერის გამოფხიზლებას...“

რელიგია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# დასავლეთის მიზანია, როგორმე დაამცროს ეკლესიის დიდი ავტორიტეტი

**საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საშობაო ეპოსტოლეს იმ ნაწილმა, რომელშიც პატრიარქმა სუროგაციისა და ხელოვნური განაყოფიერების გზით დაბადებულ ბავშვებზე ისაუბრა, საზოგადოების ერთ ნაწილში დიდი ვნებათაღელვა, მეორე ნაწილში კი დაბნეულობა გამოიწვია. მათვის გაუგებარი აღმოჩნდა, რატომ იყო ასეთი მკაცრი პატრიარქი ამ გზით უკვე დაბადებული ბავშვებისა და მათი ოჯახების მიმართ. განმარტება წმინდა მარინეს ეკლესიის წინამძღვარს, დეკანოზ დავითს (ისაკაძეს) ვთხოვეთ.**

— პატრიარქის საშობაო ეპისტოლე ეკლესიის სწავლებაზეა დაფუძნებული და მასში მხოლოდ პატრიარქის პირადი შეხედულებები არ არის გადმოცემული. ეკლესიას საუკუნეების მანძილზე აქვს პოზიცია, რომ მხოლოდ და მხოლოდ ღვთივკურთხეული ოჯახის შვილები არიან ღმერთის მიერ ნაკურთხნი, ხოლო ყოველგვარი სიახლე ამ სფეროში, იქნება ეს სუროგაცია თუ ხელოვნური განაყოფიერება, ღვთის ნებას უპირისპირდება.

**— მამაო, ყველაზე მეტი აღშფოთება გამოიწვია ტერმინმა „პრობლემატური ბავშვი“, რას გულისხმობდა პატრიარქი?**

— სუროგატი დედა ფულზე ყიდის ბავშვს, რომელსაც 9 თვე მუცლით ატარებს და, როგორც გამოუყენებელ ნივთს, ისე იშორებს. ასეთ ადამიანს უკვე უდიდესი პიროვნული ტრაგედია აქვს. სუროგატ დედას დედობის გრძნობა აღარ გააჩნია. რაც შეეხება სინჯარით გაჩენილ ბავშვებს, მეცნიერებიც ადასტურებენ, რომ ამ დროს არაერთი ემბრიონის განადგურება ხდება. არადა, ეს ემბრიონი უკვე სული და ხორცია. შემდგომში ეს ცოდვა გადადის ბავშვებზე და მათ აუცილებლად უჩნდებათ სულიერი პრობლემები. ეკლესია ცდილობს, სიყვარულით შეაგონოს დედებს, ნუ წავლენ ასეთ ნაბიჯზე, თორემ თვით ამ ბავშვებს საზოგადოებაში არანაირი დისკრიმინაცია არ ემუქრებათ.

აღსანიშნავია, რომ **სუროგაცია აკრძალულია ავსტრიაში, გერმანიაში, იტალიაში, ნორვეგიაში, შვეციაში, აშშ-ის ორ შტატში, საფრანგეთში, შვეიცარიაში. მხოლოდ 5 ქვეყანაშია დაშვებული კომერციული სუროგაცია და მათ შორისაა საქართველო.** სამართლის თვალსაზრისით, სუროგატ დედებთან დაკავშირებული პრობლემა მთელ მსოფლიოში ითვლება ყველაზე უფრო სადისკუსიო და ნაკლებად დარეგულირებულ ქმედებად. **ფაქტობრივად, ქალი გამოყენებულია, როგორც ფასიანი ინკუბატორი. კომერციული მიზნებით სუროგაციის აკრძალვის შესახებ ნათქვამია 1985 წელს მსოფლიო სამედიცინო ასოციაციის მიერ ბრიუსელში მიღებულ დეკლარაციაში. რა, ჩვენ ყველა ევროპულ ქვეყანაზე წარმატებულები ვართ?**

ამ შემთხვევაში, ერთის მხრივ, საზოგადოების გარკვეული ნაწილის მხრიდან ადგილი ჰქონდა ეკლესიურ გაუნათლებლობას, რაკი ვერ მიხვდა, რაზე იყო საუბარი; მეორე მხრივ, დავინახეთ ჩასაფრებული არასამთავრობო ორგანიზაციების ქმედება, რომლებიც ფულს ეკლესიასთან დაპირისპირებაში იღებენ.

**— მაგრამ არ შეიძლებოდა განცხადების სხვა ფორმა მოძებნილიყო, თუნდაც იმიტომ, რომ ჩასაფრებულ ადამიანებს ამდენი სალაპარაკო არ გასჩენოდათ?**

— ადამიანს უნდა ჰქონდეს საეკლესიო განათლება, ეს ყველაფერი რომ გაიგოს. როდესაც ადამიანს ეკლესიური განათლება გააჩნია, ის ეპისტოლეში დამაბრკოლებელს ვერაფერს დაინახავდა. თუ ვინმეს კითხვა გაუჩნდა, დაესვა, მაგრამ არა ასეთი აგრესიით, ტრანსპარანტებით რომ ლამის საპატრიარქოში შევარდნას რომ ცდილობდნენ. და ეს ადამიანები გაჰყვირიან, რომ დემოკრატები არიან და რაღაც ფასეულობები გააჩნიათ?!

**— რატომ ეწინააღმდეგება ეკლესია სუროგაციას, ეს ხომ მეცნიერული პროგრესის ნაწილია?! დაავადებებს ხომ ვმკურნალობთ და არ შეიძლება ესეც უშვილობასთან ბრძოლის ერთ-ერთ გზად ჩაითვალოს?**

— ყველაფერი ღვთის ნებაა და, როდესაც ასეთი მეთოდებით ხდება შვილის გაჩენა, მომავალში ეს აუცილებლად იჩენს თავს, ამიტომ ასეთი სახით პრობლემის გადაჭრა ყოვლად მიუღებელი და დაუშვებელია.

**— მაგრამ, მამაო, როგორ მოიქცნენ ადამიანები, რომლებიც, წლებია, მკურნალობენ და შვილი მაინც არ ჰყავთ? რატომ არ უნდა მიმართონ მათ სუროგაციას ან ხელოვნურ განაყოფიერებას, თუ ეს მათთვის ერთადერთი შანსია შვილის ყოლის?**

— როდესაც ადამიანი ღვთის ნების საწინააღმდეგოდ მიდის და რაიმე ახალს იგონებს, მაშინ ეს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ღვთის ნებას. ამ შემთხვევაში კი ცოდვის ჩადენის შედეგად ხდება ბავშვის გაჩენა.

**— თუ ეკლესიური სწავლებიდან ამოვალთ, ღვთის ნების გარეშე არაფერი ხდება. გამოდის, ღმერთი უშვებს ამ ბავშვების დაბადებას?**

— დიახ, ეს ღვთის დაშვებით ხდება, თუმცა საღვთო ისტორიიდან ერთ მაგალითს მოგიყვანთ: წინასწარმეტყველ სამოელს ხალხი დაჟინებით სთხოვდა, მეფე გვინდაო. მან იცოდა, რომ ეს ერს კარგს არაფერს მოუტანდა, მაგრამ, რადგანაც ძალიან შეაწუხეს, ილოცა და ღმერთმა დაუშვა მეფე და იმ მეფეს ერქვა საული. სწორედ ამ მეფემ დაიწყო საკუთარი ხალხის დევნა. ხალხმა გამოითხოვა ღმერთისგან ეს სასჯელი.

აქვე მინდა განვაცხადო, ეკლესია ამბობს, რომ ეს ცოდვაა, მიუღებელია ჩვენთვის, მაგრამ თავად ადამიანმა უნდა გადაწყვიტოს როგორ მოიქცევა.

გამოდის, ქალბატონი თამარ ჩუგოშვილი და ისეთ განცხადებებს აკეთებს, თითქოს ეკლესია სუროგატ დედებსა და ბავშვებს დევნის და მათ დისკრიმინაციას ახდენს. **თამარ ჩუგოშვილი იქნება ეს თუ გიგი უგულავა, არსებობს საზოგადოების ერთი ჯგუფი, რომელიც ყოველთვის ეკლესიის წინააღმდეგ ილაშქრებს, იქნება ეს სუროგაციის თემა თუ მრუშობა, მათთვის მნიშვნელობა არ აქვს.**

**— თქვენ ბრძანებთ, რომ ეკლესია თავის აზრს აფიქსირებს და ის არავის არაფერს აძალებს. თუნდაც არ ეთანხმებოდე პატრიარქს, ბუნებრივია, მას აქვს გამოხატვის თავისუფლება. ამის მიუხედავად, პატრიარქის ეპისტოლეს საზოგადოების ერთი ნაწილის მწვავე პროტესტი მოჰყვა. სასულიერო პირები წინა ხელისუფლებას აკრიტიკებდით და ეკლესიის შევიწროებაში სდებდით ბრალს. ეს პროცესები კვლავაც გრძელდება. რას უნდა მივაწეროთ ეს?**



მამა დავითი (ისაკაძე):

**ამერიკიდან და ევროპიდან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები, მათ შორის ზოგიერთი სასულიერო პირიც, მიზანმიმართულად ესხმიან თავს ეკლესიას**

— გიგი უგულავა, თამარ ჩუგოშვილი და ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ახლაც გამოირჩევიან ეკლესიისა და ეროვნული ცნობიერების წინააღმდეგ მიმართული ბრძოლით, წინა ხელისუფლების დროსაც ანალოგიურად იქცეოდნენ. ეს ერთი და იგივე ჯგუფია. თამარ ჩუგოშვილი საიას — ოდიოზური, ნეოკომკავშირული არასამთავრობო ორგანიზაციის ერთ-ერთი წარმომადგენელია. **საია „თავისუფლების ინსტიტუტისგან“ არაფრით განსხვავდება. ამ ასოციაციის ყველა წევრი ერთნაირად აზროვნებს.**

**— ბოლო დროს სასულიერო პირების მხრიდანაც ვისმენთ კრიტიკულ მოსაზრებებს. მაგალითად, მღვდელმონაზონი ილია ვაშაკიძე ეკლესიის ლუსტრირებას ითხოვს. მართლა საჭიროა თუ არა ახალი რუის-ურბნისი?**

— მე დამაინტერესა, გამერკვია, სად მსახურობდა ეს მღვდელმონაზონი და აღმოჩნდა, რომ ის არც ერთ ეპარქიაში არ მსახურობს. ამ ადამიანს აბსოლუტურად ანტიეკლესიური ცნობიერება აქვს. ის არის ლიბერალი, მოდერნისტი პიროვნება, რომლისთვისაც უცხოა ეკლესიის სწავლება, დოგმატიკა, კანონები. თუ მას რაიმე საკითხი აინტერესებს, შეუძლია ეს ყველაფერი ეკლესიის წიაღშივე გაარკვიოს. ეკლესიაში არსებობს ზნეობის კომისია, რომელიც, უკვე რამდენიმე წელია, მუშაობს. თუ გამოვლინდება ფაქტები, რომლებიც ეკლესიისთვის მიუღებელია, ზოგიერთ მღვდელს ეპიტიმია ეკისრება. **ვფიქრობ, ეს პროცესი მართულია და ზოგიერთი სასულიერო პირი იმ ოდიოზურ არასამთავრობო ორგანიზაციებთან არის დაკავშირებული, რომლებიც თავს ესხმიან ეკლესიას.**

**— ბოლო პერიოდში ასევე მოდური გახდა სოციალურ ქსელებში ეკლესიისა და პატრიარქის ლანძღვა და კრიტიკა. რატომ გაძლიერდა ამგვარი ბრძოლა ეკლესიის წინააღმდეგ? ვინ ცდილობს დღეს ეკლესიის დისკრედიტაციას?**

— მიმდინარეობს ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლა. მე შეგახსენებთ ზბიგნევ ბჟეზინსკის ცნობილ გამონათქვამს — ჩვენ დავამარცხეთ კომუნიზმი, ახლა უნდა დავამარცხოთ მართლმადიდებლობა. სწორედ **დასავლეთის მიზანია, ის დიდი ავტორიტეტი, რომელიც ეკლესიას გააჩნია, როგორმე დაამცროს. აქედან გამომდინარე, ამერიკიდან და ევროპიდან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები, მათ შორის ზოგიერთი სასულიერო პირიც, მიზანმიმართულად ესხმიან თავს ეკლესიას.**

**— „ყველა დროში ქრისტიანობას თავისი გამოწვევები ჰქონდა, მაგრამ თანამედროვე პოსტმოდერნისტული ეპოქა გამოირჩევა მეგაგამოწვევებით“, — განაცხადა პატრიარქმა საშობაო ეპისტოლეში. რას გულისხმობდა პატრიარქი?**

— დღეს მსოფლიოში უამრავი გამოწვევაა; თუნდაც გამოწვევები, რომლებიც შეეხება ემანსიპაციის სწავლებას, გენდერულ თანასწორობას, ფემინიზმს, მამათმავლობის ისე წარმოჩენას, თითქოს ეს ნორმალური მოვლენაა; ასევეა ნარკოტიკები, სათამაშო ბიზნესი, რომელმაც არაერთი ოჯახი დაანგრია და არაერთი ადამიანი გაანადგურა. ჩვენ ბევრჯერ მოვუწოდეთ ამა თუ იმ ხელისუფლებას, ან აეკრძალა სათამაშო ბიზნესი, ან სადმე გარეუბანში მაინც გადაეტანა. რადგან სხვა გზა ცდუნებისთვის თავის არიდებისა ველარ მოვძებნეთ, ჩვენ, სასულიერო პირები, არაერთხელ შევსულვართ ასეთ დაწესებულებაში და გვითხოვია იქ მოთამაშეებისთვის, გარეთ გამოსულიყვნენ, მაგრამ მეორედ იქ აღარ გვიშვებდნენ.

ისიც გამოწვევაა, როდესაც სოციალურ ქსელებში ზოგიერთი ახალგაზრდა გაშმაგებით თავს ესხმის პატრიარქს, უფროსი ასაკის ადამიანებს, იმ ღირებულებებს, რომლებიც ჩვენთვის ძვირფასია. განსაკუთრებით აქტიურობენ ახალგაზრდა მწერლები, რომლებიც დღეს ბრძოლის ავანგარდში არიან. სოციალისტური წყობილების დროსაც კი, მახოვს, თავისებური რიდი არსებობდა უფროსის მიმართ, ასე ვერავინ გაბედავდა შეურაცხყოფის მიყენებას. **დღეს ერთ-ერთი უდიდესი გამოწვევაა პორნოინდუსტრია, სერიალები, რომლებმაც უამრავი ადამიანი მიაჯაჭვა ეკრანს, განსაკუთრებით ბოლო დროს საქართველოში პოპულარული გახდა თურქული სერიალები, რომლებმაც ახალი ცნობიერება დანერგეს მოსახლეობაში, ფაქტობრივად, პირდაპირ მიმდინარეობს მაჰმადიანობის ქადაგება და პროპაგანდა, ამიტომ სწორედ ასეთი ეპისტოლეები ემსახურება ერის გამოფხიზლებას...**

**„გიგი უგულავა, თამარ ჩუგოშვილი და ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ახლაც გამოირჩევიან ეკლესიისა და ეროვნული ცნობიერების წინააღმდეგ მიმართული ბრძოლით, წინა ხელისუფლების დროსაც ანალოგიურად იქცეოდნენ“**

ესაუბრა **შორენა ციქვარაშვილი**

ვაი ქვეყნისაგან
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## „სააკაშვილმა თავის დამფინანსებლებს, პირველ რიგში სოროსს, ასიამოვნა და ქართველებს ამიტომაც თავს მოგვახვია ეს დროშა და გერბი...“


ავთანდილ კახნიაშვილი

# საქართველოს სახელმწიფო გერბი ანტიმართლმადიდებლურია!

**„ყველაზე დიდი გამოგონება ქვეყანაზე ანბანი, ჰიმნი და დროშაა, რადგან სამთავე თავისუფლების სათავეა“ — ამ ფრაზას ნოდარ დუმბაძის „თეთრი ბაირაღების“ გმირი ძია ისიდორე ამბობს. ანბანზე არა, მაგრამ სახელმწიფო დროშაზე, გერბსა და ჰიმნზე საქართველოში განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. საზოგადოების ნაწილს მიაჩნია, რომ საქართველოს გერბზე წმინდა გიორგი მარცხნივ არის მიბრუნებული და არასწორად არის გამოსახული, კანონიკურ ხატებზე კი პირიქითაა. ამტკიცებენ, რომ სახელმწიფო ხუთჯვრიანი დროშა ქართული კი არა, კათოლიკურია. რა უნდა ვიცოდეთ სახელმწიფო სიმბოლიკის შესახებ და რატომ არის შესაცვლელი ქართული დროშა, გერბი და ჰიმნი — ამ საკითხზე სამართლის დოქტორი, პროფესორი ავთანდილ კახნიაშვილი გვესაუბრება:**






## წმინდა გიორგი კანონიკურ ხატზე და სახელმწიფო გერბზე სხვადასხვანაირადაა გამოსახული

— **სამწუხაროდ, საქართველოში უაღრესად დაბალი სამართლებრივი კულტურაა. ასი მოქალაქიდან 99-ს კონსტიტუცია წაკითხულიც არ ექნება.** საქართველოს დღევანდელ სახელმწიფო სიმბოლიკაზეც 100-დან, ალბათ, სულ რამდენიმე კაცს თუ აქვს წარმოდგენა. არადა, შეუძლებელია, რომელიმე ევროპული სახელმწიფოს მოქალაქეს საკუთარი ქვეყნის სახელმწიფო სიმბოლოებზე არ ჰქონდეს ინფორმაცია. სხვათა შორის, **საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, სახელმწიფო სიმბოლოები ისეთ მნიშვნელოვან სიმბოლოებად არის აღიარებული, რომ მათი შემოღება ორგანული კანონით უნდა ხდებოდეს. ამასთანავე, კანონპროექტს განმარტებითი ბარათიც უნდა ახლდეს, რომელშიც ნორმის მიღების აუცილებლობა იქნება დასაბუთებული.** „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ სახელმწიფო სიმბოლიკა ისე ნაუცბათევად შეიცვალა, რომ „გამარჯვებული ხალხისთვის“ არაფერი უკითხავთ. 2004 წლის 14 იანვარს პარლამენტის შენობაში ძალით შეიყვანეს შევარდნაძის დროინდელი დეპუტატები, რომლებსაც კონსტიტუციური უფლებამოსილება 2003 წლის 22 ნოემბერს შეუწყდათ (ახალი პარლამენტი 2004 წლის მარტში აირჩიეს) და სააკაშვილის ინაუგურაციისთვის „ხუთჯვრიანი დროშა“ ისე სახელდახელოდ „დააკანონებინეს“, რომ არც მისი წარმომავლობა იცოდნენ და არც ზუსტი აღწერილობა. არადა, კარგა ხნით ადრე **პროფესორი გურამ შარაძე ცდილობდა, ემცნო საზოგადოებისთვის ხუთჯვრიანი დროშის კათოლიკური წარმომავლობა, ხოლო ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ინტერნეტში შეეძლო მოეძებნა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მრავალსაუკუნოვანი საქართველოს ახალი „ოფიციალური“ სიმბოლო სინამდვილეში კათოლიკური ჯვრის ერთ-ერთი მოდიფიკაციაა, რომელიც მე-13 საუკუნეში შეიქმნა.**

საგულისხმოა, რომ 2001 წელს, როდესაც, საკრებულოს გადაწყვეტილებით, მერიის შენობის თავზე აღმართეს ხუთჯვრიანი დროშა, სააკაშვილმა ეს დროშა დავით აღმაშენებლის სახელს დაუკავშირა. არადა, ამას არც ერთი ქართველი მეცნიერი არ ადასტურებს — ყველა ხაზს უსვამს, რომ ჯერჯერობით არ ვიცით, როგორი იყო „გორგასლიან-დავითიანი“ დროშა (აკაკი ბაქრაძე, სიმონ გამსახურდია, ნუკრი შოშიაშვილი, მარიკა ლორთქიფანიძე, როინ მეტრეველი, მალხაზ აფრიდონიძე, აპოლონ სილაგაძე და სხვანი). სამაგიეროდ, **ხუთჯვრიანი დროშის თაობაზე მსოფლიოში საერთო პოზიცია აქვთ, რომელსაც ქართველი მეცნიერებიც იზიარებენ და საჯაროდ ამბობენ, რომ ხუთჯვრიანი კომპოზიცია ჯვაროსნულ ეპოქაში შეიქმნა და რომ ის „კათოლიკური სამყაროს მაინტეგრირებელი სიმბოლოა“** (თედო დუნდუა, „ძელი ცხოვრებისა“, თბილისი 2000).

— **ქართველი ჰერალდიკოსები ამტკიცებენ, რომ ხუთჯვრიანი დროშა ქართული სიმბოლოა და მე-14 საუკინის რუკებზეც აღნიშნულია, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გამოიყენებოდა.**

— ეს არის პორტოლანები, საზღვაო რუკები მე-14 საუკუნის იტალიელი ზღვაოსნებისა, რომლებსაც მონიშნული ჰქონდათ ის ქალაქები (თბილისი და სოხუმი), სადაც მოქმედებდა კათოლიკური მისიები. ამაზე მეცნიერები აღარ დავობენ, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ იმ რუკებზე სწორი (იერუსალიმური) ჯვრებია გამოსახული, ხოლო ტამპლიერთა ორდენის სიმბოლო იერუსალიმის ჯვრის ერთ-ერთი მოდიფიკაციაა. გარდა ამისა, ამიხსნან, **რა კავშირშია მე-14 საუკუნის რამდენიმე რუკაზე თბილისის თავზე დასმული ხუთჯვრიანი ნიშანი და დავით აღმაშენებლის დროინდელი საქართველოს სახელმწიფო დროშა. მაჩვენონ ერთი ნაშრომი მაინც, რომელშიც ერთმნიშვნელოვნად იქნება აღწერილი დავით აღმაშენებლის დროშა ან სადმე მოიძიონ ასეთი დროშის ნიმუში.** იტალიელ ზღვაოსანთა იმავე რუკებზე ხუთჯვრიანი სიმბოლოები დასმულია სირიის, ყირიმის, სომხეთის, იორდანიისა და სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე არსებულ ქალაქებზეც... კარგი, ვთქვათ, ქართველებმა ვერ შემოვინახეთ „ხუთჯვრიანი დროშის“ ნიმუშები, ნუთუ მტერმა ნადავლის სახითაც ვერ იგდო ხელთ ერთი ცალი მაინც?!

— **თუ ხუთჯვრიანი დროშა ქართული არ არის, რატომ დაამტკიცეს ის სახელმწიფო დროშად?**

— ამ დროშას 1991 წლიდან მონარქისტული პარტია იყენებდა, ოღონდ სწორჯვრებიანს, ხოლო ამ ფორმის ხუთჯვრიანი დროშა საქართველოში პირველად მხოლოდ 1995 წელს „მოქალაქეთა კავშირის“ ღონისძიებებზე გამოჩნდა, ხოლო 21-ე საუკუნეში „ნაციონალურმა მოძრაობამ“ გახადა პოპულარული. **ახლახან წავიკითხე გიორგი მარგველაშვილის ოფიციალურ ვებგვერდზე ხუთჯვრიანი დროშა, სავარაუდოდ, გიორგი ბრწყინვალის დროს არის მიღებულიო. ამანაც ორი საუკუნით აქეთ გადმოიჩოჩა. ამიტომ, ამდენ უხერხულობას რომ არ წავაწყდეთ, უნდა შეიკრიბოს სპეციალური კომისია, ჩამოვყალიბდეთ, აზრი საზოგადოებას უნდა ვკითხოთ და ახალ სიმბოლოს მივიღებთ თუ ძველი დარჩება, ყოველ შემთხვევაში, დროშის შინაარსი უნდა ვიცოდეთ.**

— **ისტორიკოსების ნაწილი ამტკიცებს, რომ საქართველოს ხუთჯვრიანი დროშა მასონურია...**

— ტამპლიერთა ორდენის ბაზაზე წარმოიშვნენ მასონები, რომლებსაც მართლმადიდებლები გულზე არ ეხატებათ. ისტორიული წყაროებიც გვამცნობს, რომ **ამ დროშის წარმომავლობა არის კათოლიკურ-ჯვაროსნული.** ღმერთმა ყველას ხელი მოუმართოს, მაგრამ მე, ქართველს, მინდა ეროვნული დროშა, რომელზეც ასახული იქნება ჩემი ქვეყნის წარსული, ვიზუალურად კარგად აღსაქმელი და არა — ჯვაროსნულ-დამპყრობლურ-ბარბაროსული სიმბოლოებით გაჯერებული. ამის გარდა, იერუსალიმში 5 ჯვრის გამოსახულება ხუთ სამსჭვალისს ნიშნავს, რომლებითაც ქრისტე გააკრეს ჯვარზე.

— **ეს ყველაფერი წინა ხელისუფლებას უვიცობით მოუვიდა თუ განზრახ გააკეთა, რომ სახელმწიფო დროშა არაქართული ყოფილიყო?**

— მგონია, რომ **სააკაშვილმა თავის დამფინანსებლებს, პირველ რიგში სოროსს, ასიამოვნა და ამიტომაც მოგვახვია ქართველებს თავს ეს დროშა.**

— **რაც შეეხება საქართველოს გერბს...**

— სხვათა შორის, 1999 წელს პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომ აღდგეს ისტორიული დროშა, ხოლო გერბი — „კვართიან-დავითიანი“. მართალია, დეპუტატებს დროშის თაობაზე მკაფიო წარმოდგენა არ ჰქონდათ, მაგრამ იმაზე მაინც შეთანხმდნენ, რომ გერბზე ქრისტეს კვართი და დავით აღმაშენებლის მეფობის სიმბოლოები აუცილებლად უნდა ყოფილიყო გამოსახული. მაინტერესებს, საქართველოს ამჟამინდელ გერბზე რა არის „კვართიან-დავითიანი“? როგორც სპეციალისტები განმარტავენ, ჩვენს გერბზე გამოსახულია ბურგუნდიის მეფის გვირგვინი და არ არის ასახული ისეთი რამ, რაც მხოლოდ საქართველოსთან იქნებოდა დაკავშირებული.

— **საქართველოს გერბზე, საპატრიარქოს გერბისგან განსხვავებით, წმინდა გიორგის გამოსახულება რატომ არის მარცხნივ შებრუნებული?**

— **ნებისმიერ ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში შებრძანდით და ნახავთ, რომ ყველა ფრესკასა თუ ხატზე წმინდა გიორგი მარჯვნივ არის შეტრიალებული. დააკვირდით ჩვენს სახელმწიფო გერბს, რომელზეც წმინდა გიორგი მარცხნივ არის შეტრიალებული, და ურჩხულიც მარცხნივ არის გამოსახული, რომელსაც მარჯვენა ხელით განგმირავს გიორგი. დააკვირდით, როგორი უხერხული მოქმედებაა გამოსახული.** ანუ, წმინდა გიორგის მარჯვენა ხელი ცხენის კისრის აქეთ აქვს გადმოწეული და ისე კლავს ურჩხულს. ესეც კურიოზულ სიტუაციას ქმნის. მსოფლიო ჰერალდიკოსების თქმით, სიმბოლოს, რომელიც სიკეთეს გამოსახავს, თუ საპირისპირო მხარეს შეატრიალებ, უკვე ბოროტების მნიშვნელობას იძენს, ანუ სიმბოლოს, რომელიც თავისი შინაარსით მისდევს მტერს, თუ მოატრიალებ, ნიშნავს, რომ გამორბის. აი, ეს იდეა და ჩანაფიქრი დევს ჩვენს გერბში, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლებამ შეუქმნა ქვეყანას. ეს ჩემი მოგონილი არ არის, ჰერალდიკოსებისგან მსმენია, რომ, როდესაც გერბზე მცირე, თუნდაც უმნიშვნელო დეტალი იცვლება, ამას სათანადო დასაბუთება სჭირდება, ვინაიდან არსებითად იცვლება სიმბოლოს შინაარსიც. მაგალითად, ფაშისტური სვასტიკა ტოტებჩამოტეხილი ჯვარია და წარმართულ ხანაში სიკეთეს განასახიერებდა. გერმანელმა „ნაციონალებმა“ კი საპირისპირო მხარეს შეაბრუნეს და ბოროტების სიმბოლოდ აქციეს. ბორჯღალის შებრუნებით გამოსახვამ ქართული კუპონი რა დღეში ჩააგდო, ყველას კარგად ახსოვს. პირველი ქართული უნივერსიტეტის სიმბოლოს „რევოლუციური ტრანსფორმირების“ შედეგიც უკვე ჩანს —შველს რქები დაადგეს, სხეულზე ურთიერთსაპირისპირო მიმართულების სპირალები დაამატეს და „მოაჩუქურთმეს“...

ისე, თუ გავიხსენებთ, ვინ დააფინანსა ე. წ. ვარდების რევოლუცია, ქართულ „ნაციონალურ“ სიმბოლოებთან დაკავშირებული ბასტი ბუბუ ლოგიკურია. გარდა ამისა, სასურველია, სახელმწიფო გერბი ორიგინალური იყოს და საქართველოს ისტორიასთან ერთად დღევანდელ დღეს ან მომავალსაც ასახავდეს. **საქართველოს გერბზე ქართულ ენაზე შესრულებულ წარწერას თუ არ გავითვალისწინებთ, ვერავინ მიხვდება, რომ საქართველოზე და რესპუბლიკურ პოლიტიკურ წყობაზეა მინიშნება. იმ ფაქტს კი, რომ 2004 წლის ოქტომბერში ნაუცბათევად მიღებული გერბი 2005 წლის ივლისში „ნაციონალებმა“ ისევ შეცვალეს და სადევიზე ბაფთაზე ჯვრები დაამატეს, ხოლო ვაზის ფოთოლი ლეღვის ფოთლით შეცვალეს, ძნელია, გონივრული ახსნა მოუძებნო.**

— **საქართველოს ჰიმნზე რას ფიქრობთ?**

— ამ შემთხვევაშიც პარადოქსთან გვაქვს საქმე. **საქართველო არის ერთადერთი ქვეყანა, რომლის სახელმწიფო ჰიმნში ქვეყნის სახელი არ არის ნახსენები. როდესაც ტექსტში წერია ორ ზღვას შუაო, კონსტიტუციაში წერია, რომ საქართველოს ტერიტორია განისაზღვრება 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით. თუ ასეა, სად ვართ ორ ზღვას შუა? თუ შავ ზღვას და თბილისის ზღვას გულისხმობენ? უცხოელი რომ ისმენდეს, საქართველო ისევ ნიკოფსიიდან დარუბანდამდე ეგონება გადაჭიმული. არადა, ქალაქი გორი ვერ დაგვიცვია, ყურისძირში გაგვივლეს საზღვარი.** ან რას ნიშნავს სიტყვები: „წილნაყარია ღმერთთანა“? რა, ღმერთს ვუთანაბრებთ საქართველოს? ან ცისკრის ვარსკვლავი რა არის? ეს ხომ ვენერასა და ასევე ლუციფერის სიმბოლოა, რომელიც მატყუარების ღმერთი იყო. და რაც მთავარია: „დიდება თავისუფლებას, თავისუფლებას დიდება“. სიტყვა თავისუფლება მესმის გამოხატვის, სიტყვის, არჩევანის თავისუფლებად, არჩევა სარწმუნოების და ა. შ. და ამ თავისუფლებას ვუმღერით, როდესაც ენა, მამული და სარწმუნოება მაქვს? ხედავთ, რამხელა დაფიქრება სჭირდება ამ ყველაფერს?

წინა ხელისუფლებამ დროშაშიც მოგვატყუა, გერბშიც და ჰიმნშიც. დროა, გამოვფხიზლდეთ, რადგან საუბარი სახელმწიფოს სიმბოლოებზე და არა მეზობლის ბოსტანზე. დროა, ახალმა ხელისუფლებამ ამაზე სერიოზულად იფიქროს. შექმნას სახელმწიფო კომისია, გამოცხადდეს კონკურსი. თუ ეს საკითხი რეფერენდუმზე არ გავა, ლეგიტიმურმა პარლამენტმა სიმბოლოები კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით მაინც უნდა მიიღოს, ხოლო თუ ხალხი ან პარლამენტი საქართველოს სახელმწიფო დროშად ხუთჯვრიანს აირჩევს, საზოგადოებას მისი შინაარსი ხომ მაინც უნდა აუხსნან?! საქართველოს მოქალაქემ ის მაინც ხომ უნდა იცოდეს, ჯვაროსნების შთამომავალია თუ ტამპლიერების გეგმების ხორცშესხმას აპირებს?!

ესაუბრა
**ნინო მაისურაძე**

**მითი იმის შესახებ, რომ რესპუბლიკელები განათლებულები არიან და ქვეყანას სიკეთეს მოუტანენ, მხოლოდ ილუზიაა, რადგან სულიერებითა და ქართული ტრადიციებით გაჯერებული ცნობიერების მქონე რიგითი ქართველი ერთგულია იმ იდეისა, რომელმაც აქამდე მოიტანა საქართველო. რესპების ხელით ქართული ოცნების განხორციელება კი ისეთივე მითია, როგორც დემოკრატია მსოფლიოში.**

პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რესპუბლიკელების ხელით ქართული ოცნების ახდენა მითია!

**ქალაქში ანეკდოტი დადის: რესპუბლიკელებმა ყველა ოცნება აისრულეს და ქართულ საზოგადოებას 3 თითის კომბინაცია უჩვენესო. რათაო? — ეკითხება იმედგაცრუებული მეოცნებე, განა ჩვენ ქართულად არ ვოცნებობთო? — სწორედ ამიტომო, — უპასუხებს რესპი და, როგორც მდაბიოებს სჩვევიათ, მედიდურად, ზემოდან გადმოხედავს მეოცნებეს.**



ბატონმა ბიძინამ ქართულ პოლიტიკაში ჩართვა სამშობლოს დაკარგვის საფრთხით ახსნა და გვერდით დაიყენა ძალა, რომელმაც, როგორც ცნობილია, 2004 წელს აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების მზადყოფნა გამოთქვა, რაც დაბეჭდილია ქართულ-აფხაზური კონფერენციის მასალებში: „Аспекты грузино-Абхазского конфликта“ (том 9), Москва, 2004г. ასე რომ, სამშობლოს დაკარგვის საფრთხეს, „ნაცების“ გარდა, რესპებიც ქმნიან. ისინი მზად არიან დედასამშობლოსგან აფხაზეთის მოწყვეტისთვის. აი, ამბობს ამჟამინდელი ე. წ. სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი ქართველების შესახებ: „Их спрашивают в первую очередь, поэтому их надо как-то нейтрализовать, это было-бы одно из самых главных задач нашего проекта“.

**ძველი ხელისუფლების ნარჩენები და ახალი ხელისუფლების დასავლური ფრთა მზად არიან, ერთგულება დაუმტკიცონ არაქართულ ძალებს საქართველოს დანაწევრების ხარჯზე, რაშიც საკუთარ ინტერესებს ხედავენ.** ნატოევროკავშირით დემაგოგიას თავი ვერ და არ დაანება ახალმა ხელისუფლებამ, რადგან **არ არსებობს ამის პოლიტიკური ნება, ნება ქართველი კაცისა, რომ ჩვენს სამშობლოში ქართველი ხალხის ოცნება ასრულდეს და არა ევროპელების ან ამერიკელების. ქართულ საზოგადოებას არანაირი ვალდებულება არ აუღია ამერიკის ხელისუფლების წინაშე. არც ამერიკის და არც საქართველოს ხელისუფლებას არაფერი გაუკეთებიათ ქვეყნის ეროვნული განვითარებისთვის.** ისე, ნუ დაგვავიწყდება, რომ ჰიტლერს 4000 აქტიური მხარდამჭერი ჰყავდა, რომელთა უმრავლესობა მეცნიერი და აკადემიკოსი იყო. მაგრამ სულიერებასა და ზნეობას მოკლებული განათლება ისევე ანგრევს ქვეყანას, როგორც გერმანიის შემთხვევაში მოხდა, ამიტომ მითი იმის შესახებ, რომ რესპუბლიკელები განათლებულები არიან და ქვეყანას სიკეთეს მოუტანენ, მხოლოდ ილუზიაა, რადგან სულიერებითა და ქართული ტრადიციებით გაჯერებული ცნობიერების მქონე რიგითი ქართველი ერთგულია იმ იდეისა, რომელმაც აქამდე მოიყვანა საქართველო. **რესპების ხელით ქართული ოცნების განხორციელება კი ისეთივე მითია, როგორც დემოკრატია მსოფლიოში.**

ქართველი ხალხი ნუთუ ისეთი ბნელი და უვიცია, რომ გიორგი მარგველაშვილის მიერ ჯერ კიდევ მინისტრის რანგში გაკეთებულ განცხადებას დაიჯერებს, თითქოს ქართველები ავღანეთში საქართველოსთვის იბრძვიან?! **„აისაფის“ ფონდში 1,5 მილიონი ჩარიცხეს, არადა, გაეროს ბავშვთა ფონდის მონაცემებით, 1-დან 5 წლამდე ასაკის ბავშვთა შიმშილით სიკვდილიანობის მიხედვით მსოფლიოში პირველ ადგილზე ვართ! განა ქართველი საჯიშე ბიჭები უჯიშოთა სკამების გადასარჩენად უნდა იღუპებოდნენ? უცხოურ მისიაში მონაწილეობით ქართველებიც ხომ ოკუპანტებად აღიქმებიან?!** მარგველაშვილისავე განცხადებით, უცხოელ პედაგოგთა გავლენით, ქართველებმა თურმე სუფთა ინგლისურით უნდა ისაუბრონ. **ქართველი მხოლოდ სუფთა ქართულით უნდა საუბრობდეს და ამაზე ჯერ კიდევ განათლების მინისტრის რანგში უნდა ეზრუნა ამჟამინდელ პრეზიდენტს, რამეთუ დიდმა ქართველმა ბრძანა: რა ენა წახდეს, ერი დაეცესო! ენაწამხდარი ერი კი სამშობლოს ვერ შეინარჩუნებს.** ბატონ ყოფილ მინისტრს იმთავითვე უნდა ეზრუნა სასწავლო პროგრამიდან ქართული მენტალიტეტისთვის მიუღებული „უნარ-ჩვევების“ ამოღებაზე და ცხოველთა მწვრთნელებისთვის ან, უკეთეს შემთხვევაში, რომელიმე ქვეყნის უნარშეზღუდულთა საზოგადოებისთვის გადაცემაზე.

**ლიბერალური მიდგომები ზნეობრივი აკრძალვების, მართლმადიდებლური და ტრადიციული ფასეულობების წინააღმდეგ არის მიმართული.**

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ აშშ-ის მრავალ შტატში (ოჰაიოს, მისისიპის, მონტანას, ლუიზიანის და სხვ.) მკაცრი სასჯელია დაწესებული ჰომოსექსუალურ და სხვა არაბუნებრივ ურთიერთობებზე, აკრძალულია ჰომოსექსუალთა მიერ ბავშვის შვილად აყვანა, სკოლის სახელმძღვანელოებში მსგავსი საკითხების დეკლარირება და პროპაგანდა. ეს ყოველივე მიანიშნებს, რომ **უცხოელი ემისრები ლგბტ საზოგადოების დაცვის მიზნითა და ქართველი მოსახლეობის გახრწნა-გადაგვარებისა და მართლმადიდებლური სარწმუნოების წაბილწვის მიზნით საქართველოს უქნევენ თითს.** 2012 წელს საქართველოს ხელისუფლებამ ევროსაბჭოსგან მიიღო დოკუმენტი სახელმძღვანელოდ და დასანერგად. **ევროპის საბჭოს რეკომენდაციებში საუბარია სექსორიენტაციის საფუძველზე დისკრიმინაციის აღმოფხვრის თაობაზე და მითითებულია, რომ სასკოლო სახელმძღვანელოებში დასაშვებია სექსის საკითხების ჩართვა, ხოლო ოჯახურ ღირებულებებსა და ზნეობაზე საუბარი იგნორირებულია.**

ჩვენი ხელისუფლებისთვის ლგბტ-ს უკანალი ეროვნული განძია, განძს კი დაცვა და მოფრთხილება სჭირდება, ამიტომაც **შემუშავდა ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტი, რომლის თანახმადაც შემოღებული იქნება „თანასწორობის დაცვის ინსპექტორის“ თანამდებობა, რომელიც ლგბტ-თა უფლებებს დაიცავს.**

**ქართული ეროვნული და მართლმადიდებლური სარწმუნოებისთვის უცხო კანონების მიღება ერს თვითგანადგურებისკენ უბიძგებს.**

სწორედ ამის მაგალითია რუმინეთი და ბულგარეთი, რომელთა მოსახლეობა მთავრობამ, ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით, უკეთესი ცხოვრების იმედით გააბრიყვა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის კრედიტით საგარეო ვალი გაუზარდა. ანალოგიური მდგომარეობაა საბერძნეთშიც, რომლის საგარეო ვალი, როგორც გაზეთი „ტოვიმა“ აღნიშნავს, 2013 წლის ბოლოსთვის 321 მილიარდ ევრომდე გაიზარდა. ილახება იმ ადამიანთა უფლებები, რომლებიც სამშობლოს მიმართ სიყვარულს გამოხატავენ. კანონი ასეთ ადამიანებს დევნის, რადგან თურმე მსგავსი გამოვლინება მუსლიმთა უფლებებს ლახავს. **საბერძნეთში მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიად არის გამოცხადებული, მაგრამ ბერძნები იდენტობას კარგავენ, რადგან ხელისუფლება ხალხს უპასუხისმგებლოდ მოექცა ცრუ იდეალების რეკლამირებით. ამით მთავრობამ ძალაუფლება შეინარჩუნა, მაგრამ ხალხის სიძულვილი დაიმსახურა.**

ევროკავშირში გაწევრიანებულ 27 ქვეყანას, რომლებიც ეროვნული თავისუფლებისა და ეკონომიკური მდგრადობისკენ ილტვოდნენ, უკვე კრედიტორები მართავენ, როგორც ვალებით დაკაბალებულ ქვეყნებს.

ევროკავშირის მისიის შეფასებით, 84 მილიონი ადამიანი სიღარიბის ზღვარს მიღმაა და ეს კრიზისი კიდევ დიდხანს გაგრძელდება.

ცხოვრება მნიშვნელოვნად გაძვირდა ბალტიისპირეთშიც.

გარდა ეკონომიური სიდუხჭირისა, ევროკავშირის ქვეყნებში ლეგალური პროსტიტუცია ყვავის, რითაც ბიუჯეტი ივსება და ქვეყნის ღირსება კნინდება. **იმედი მაქვს, ქვეყნის ხელისუფლება საქართველოს ბორდელიზაციით არ აპირებს ქვეყნის ხაზინის შევსებას.** ჩვენი ხელისუფლება ევროპულ „ფასეულობებზე“ დემაგოგიური საუბრებით საქართველოს მოსახლეობას კვლავ სამშობლოს დაკარგვის საფრთხის წინაშე აყენებს ზემოაღნიშნული ქვეყნების მსგავსად, მით უფრო, რომ **ევროკავშირს ძველი ევროპის ღირებულებებისა აღარაფერი შერჩა და ის დავალებები, რომლებიც ვილნიუსის ხელშეკრულების შედეგად მივიღეთ, ქართულ ეროვნულ ცნობიერებას უფრო დაგვაშორებს. ID ბარათებიც ევროსაბჭოს რეკომენდაციის შედეგია.**

ხელისუფლებას ქართველ საზოგადოებაზე მეტად უცხოელი ემისრები ემშობლიურება და მათ მიერ ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევა ნორმად მიაჩნია. კანონის უზენაესობას რომ აღიარებდნენ ის ვაჟბატონები, საქართველოსა და უკრაინაში კრიმინალი ექსმაღალჩინოსნების განთავისუფლების მოთხოვნით არ გამოვიდოდნენ და მათ კანონზე მაღლა არ დააყენებდნენ.

დიდ პატივს მივაგებ ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს, მაგრამ პროფესიონალიზმის გარეშე, მხოლოდ სანდოობით კადრების შერჩევა ხელისუფლების ნების აღსრულებაზე მეტყველებს. ბევრ კითხვას აჩენს 2011-2013 წლებში, შსს-ს ინფორმაციით, 327 ადამიანის გაუჩინარებაც.

გენპროკურორის ყოფილი მოადგილის, ვენედი ბენიძის, ინფორმაციით, ამერიკის **ყოფილი ელჩი რიჩარდ მაილსი მაგიდაზე მუშტებს აბრახუნებდა და იმუქრებოდა: იზოლაციაში მოგაქცევთ, დედას გიტირებთ, თუ ბასილ მკალავიშვილს არ დაიჭერთო.**

ამჟამად რიჩარდ ნორლანდის ჩარევით, უცხოელებისთვის ქართული მიწის მიყიდვაზე მორატორიუმი გამოაცხადეს. ქართული საზოგადოების პატივისცემას არ იმსახურებს ის ხელისუფლება, ქართველის სისხლით შენარჩუნებულ ქართულ მიწას უცხოელებზე რომ გაყიდის, ქვეყნის ხერხემალს — გლეხს პრობლემებს შეუქმნის და პუტინის მსგავს სახელმწიფო მეთაურს მანატრებინებს, როგორც საკუთარი ქვეყნის ინტერესების დამცველს. **მხოლოდ 2012 წელს 40 ათასი უცხოელი ჩამოსახლდა საქართველოში, რაც იდენტობის შენარჩუნების ხელშემშლელი ფაქტორია. სავიზო რეჟიმის გაუქმებამ გამოიწვია უცხო ჯიშის თავისუფლად შემოსვლა საქართველოში,** რომელთა შორის, შსს-ს ინფორმაციით, **მრავალ დანაშაულში, მათ შორის მკვლელობის მცდელობაში, ბრალდებულმა არაერთმა კრიმინალმა საქართველო თავშესაფრად გაიხადა.** უნდა გაუქმდეს კანონი ორმაგი მოქალაქეობის შესახებ და ყველა უცხოელი გავიდეს ქვეყნიდან. ფულზე გაყიდულმა ნაძირლებმა კი, გნებავთ, ჰომოფობი მიწოდონ და, გნებავთ, — ქსენოფობი, არ მაღელვებს, რადგან, უპირველესად, ჩემი ერისა და ქვეყნის სატკივარი მტკივა.

**სსრკ-ისგან თავისუფალ საქართველოში იგნორირებულია მოსახლეობის პრობლემებზე ზრუნვა და მაღალჩინოსნები ძვირადღირებული მანქანების შეძენითა და საკუთარი თავისთვის პრემიების გამოწერით არიან დაკავებულნი. მეტიც, გაუნათლებელი ლიბერასტები ებრძვიან სტალინს, რომელიც მოქალაქეთა წერილებს კითხულობდა, ეხმარებოდა მათ და რომელსაც საკუთარ კეთილდღეობაზე არასოდეს უფიქრია.**

სოსო ჯუღაშვილის გულისხმიერებაზე საკუთარი ოჯახის მაგალითითაც ვიმსჯელებ. მამიდაჩემი — ლია თამაზაშვილი იგონებს: სტალინს ძალიან უყვარდა ხალხური სიმღერები, მათ შორის „შაშვი კაკაბი შეიბნენ“. პაპაჩემმა — გიორგი თამაზაშვილმა, საქართველოს I დეკადის ინიციატორმა და სულისჩამდგმელმა, ჯილაურის გუნდი რუსეთში ჩაიყვანა. იგი გახლდათ პეტროგრადში იურიდიული განათლებამიღებული პიროვნება და გურჯაანის მოსამართლედ მუშაობდა. გიორგი თამაზაშვილი სოსო ჯუღაშვილის თანამებრძოლი იყო და გასაბჭოებამდე ჟანდარმებმა ამის გამო დააპატიმრეს. სოსო ჯუღაშვილის ადგილსამყოფელი რომ არ გათქვა, თავდაყირა დაკიდებულს, ქვემოდან ცეცხლი შეუნთეს. სახედამწვარი გიორგი სოსო ჯუღაშვილმა ხაშურში მალაქია თურმანიძესთან წაიყვანა და უმკურნალა.

მახსოვს, სტალინის გარდაცვალების დღეს ბებიაჩემი — ეკატერინე თამაზაშვილი ისე გულამოსკვნით ქვითინებდა, რომ გულუბრყვილო შეკითხვით მივმართე — მამა უფრო გიყვარს თუ სტალინი-მეთქი?

**მივესალმები პუტინის განცხადებას, რომ რუსეთი კავკასიიდან წასვლას არ აპირებს. სწორედ მისმა ძალისხმევამ გადაარჩინა უკრაინა, მსოფლიოში ხორბლის მწარმოებელი მეორე ქვეყანა 50-მილიონიანი მოსახლეობით, რითაც ევროპას მსუყე ლუკმა დააკარგვინა. ევროკავშირი უკრაინაში დაუბეგრავი საქონლის შეტანას გეგმავდა, რაც ქვეყნის წარმოების სრულ კრახს გამოიწვევდა.**

**მტკიცედ მწამს, რომ ევრაზიული გაერთიანება ისევ გადაგვარჩენს დემოგრაფიულად, შეგვინარჩუნებს იდენტობას და ჩვენი თანამემამულეებიც დაბრუნდებიან საქართველოში.**

საერთაშორისო საინფორმაციო საშუალებების, ბრიტანული გამოცემა „თაიმსისა“ და „ფორბსის“ ინფორმაციით, პუტინი მსოფლიოში ერთ-ერთ გავლენიან პირად დასახელდა.

საზოგადოების მასობრივი გამოშტერების საშუალებამ, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა თავის ერთ-ერთ გადაცემაში „წითელი ზონა“ საბჭოთა პერიოდი შეადარა ნებაყოფლობით მონობას, რომელსაც ხალხი შეეჩვია. ვისაც იმ პერიოდში უცხოვრია, მმართველობის სისტემის შეცდომებიც ახსოვს, მაგრამ შედარებასაც შეძლებს დღევანდელ ყოფასთან, როცა კეთილდღეობის სანაცვლოდ, ხელისუფლების ლანძღვის უფლება მოვიპოვეთ მხოლოდ, რომელსაც თავად მონური ფსიქოლოგიის მქონე ხელისუფლების მიერ მასობრივად გამოშტერებული ადამიანების იძულებით დამონებას დავარქმევდი: **გაყალბებული არჩევნები; რეფერენდუმის გარეშე დასავლური ორიენტაციის დაკანონება; იძულებითი ჩიპიზაცია; არასამართლებრივი სახელმწიფო; კანონზე მაღლა დაყენებული კრიმინალი მაღალჩინოსნები; ქართული ენის დაკნინება; იძულებითი მიგრაცია აბორიგენი მოსახლეობისა და თურქი-მესხების ჩამოსახლება; ქართული მიწების გაყიდვა სახელმწიფოს მიერ მოსახლეობის ნების საწინააღმდეგოდ; ხუდონჰესის მშენებლობა და ძირძველი მოსახლეობის სისხლ და ოფლჩაღვრილი ტერიტორიიდან აყრა და კიდევ ერთი უმშვენიერესი რეგიონის დაკარგვა სრულიად საქართველოსთვის. სვანეთი მხოლოდ სვანების კუთვნილება არ არის და თუნდაც ერთი ოჯახის ტკივილად არ ღირს პროექტი, რომელიც სამშობლოს დაგვაკარგვინებს და რამდენიმე ადამიანის გამდიდრებას მოემსახურება.**

მახსოვს მოგონებები ბიძინა ივანიშვილზე: საზღვარგარეთ ყოფნისას წაქცეული ბავშვი წამოაყენა უცხოელმა და შეკითხვაზე — სადაური ხარ? — ჭორვილელიო, იყო პასუხი. ეს ტკივილიანი სიყვარულია მშობლიური მიწისა, რომელსაც ყველა ქართველი განიცდის.

საქართველო ჩვენი სამშობლოა და არა ხელისუფლების მიერ პრივატიზებული ტერიტორია, რომელსაც მათი ნებითვე ვკარგავთ. საუკუნეობით დაგროვილმა საფრთხემ და ტკივილმა სწორედ ამიტომ ამოხეთქა ლექსად ქართველი კაცის გულიდან:

**„სამშობლოს**
**არვის წავართმევთ,**
**ჩვენც ნურვინ შეგვეცილება,**
**თორემ ისეთ დღეს დავაყრით,**
**მკვდარსაც კი გაეცინება“.**

**იზა თამაზაშვილი,**
ფილოლოგი,
აღმოსავლეთმცოდნე

თოხშაბათიდან თოხშაბათამდე
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამერიკის შეერთებულ შტატებს ყველაზე აგრესიულ სახელმწიფოდ თვლიან არა მხოლოდ მისდამი ანტაგონისტურად განწყობილ ქვეყნებსა და ამერიკული სამხედრო ინტერვენციით დაზარალებული ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის სახელმწიფოებში, არამედ ნატოს წევრი რამდენიმე ქვეყნის მოსახლეობაც, მაგალითად, თურქეთისა და საბერძნეთის.**

# აშშ — მშვიდობის ნომერი პირველი მტერი

**დამოუკიდებელი კვლევითი კომპანიების საერთაშორისო კონსორციუმის — Gallup International Association-ის მიერ ჩატარებული ყოველწლიური კვლევის მიხედვით, მსოფლიოს ყოველი მეოთხე მკვიდრი (24%) დარწმუნებულია, რომ დღეს ჩვენს პლანეტაზე მშვიდობის მთავარი საფრთხე ამერიკის შეერთებული შტატებია. გელაპის მიერ ჩატარებულ კვლევაში 65 ქვეყნის რესპონდენტები მონაწილეობდნენ.**




კვლევის შედეგების მიხედვით, ყველაზე აგრესიულ სახელმწიფოებს შორის მეორეა პაკისტანი, რომელსაც მშვიდობისთვის საფრთხედ გამოკითხულთა 8 პროცენტი მიიჩნევს. ყველაზე საშიში ქვეყნების სამეული კი ჩინეთმა დააგვირგვინა (6%). მეოთხე ადგილი კი გაიყო ოთხმა სახელმწიფომ — ავღანეთმა, ირანმა, ისრაელმა და ჩრდილოეთ კორეამ (5-5%).

აღსანიშნავია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს ყველაზე აგრესიულ სახელმწიფოდ თვლიან არა მხოლოდ მისდამი ანტაგონისტურად განწყობილ ქვეყნებსა და ამერიკული სამხედრო ინტერვენციით დაზარალებული ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის სახელმწიფოებში, არამედ ნატოს წევრი რამდენიმე ქვეყნის მოსახლეობაც, მაგალითად, თურქეთისა და საბერძნეთის.

**თვით აშშ-ის მოქალაქეთა 13 პროცენტი დარწმუნებულია, რომ მათ ქვეყანას ყველაზე მეტად შეუძლია დაარღვიოს გლობალური სტატუს კვო.**

# სააკაშვილის ბიძამ და თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა საქართველოს კუთვნილი იარაღი გაყიდეს

## ვინ გააქრო 50 მილიონ ლარად შეძენილი საქართველოს ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა

უფლებადამცველმა ირაკლი კაკაბაძემ და ამერიკულმა ორგანიზაცია IMTD-Georgia-მ წარმოადგინეს დოკუმენტები, რომლებიდანაც, მათი განცხადებით, ნათლად ჩანს, რომ 2005-2012 წლებში საქართველოში მოქმედებდა ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ჯგუფი, რომელსაც სათავეში ედგნენ მიხეილ სააკაშვილის ბიძა თემურ ალასანია და მისი ახლობელი ერიკ გუდისი.





ამ ჯგუფმა დააფუძნა ოფშორული კომპანია Bel Trading, რომელიც საქართველოსთვის განკუთვნილ შეიარაღებას თბილისის აეროპორტიდან და ფოთის პორტიდან მესამე ქვეყნებში აგზავნიდა.

Bel Trading-ის საშუალებით 2007 წელს (ომამდე ერთი წლით ადრე) ძალიან საეჭვო ვითარებაში გაქრა 50 მილიონ ლარად შეძენილი საქართველოს ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა, რომელიც უკრაინის გავლით იყო შეძენილი. არსებული დოკუმენტებით ირკვევა, რომ **დაუდგენელი მესამე ქვეყნების მფლობელობაში გადავიდა საქართველოსთვის განკუთვნილი დაახლოებით 10-დან 15 მილიარდამდე ღირებულების სამხედრო ტექნიკა.**

**ალასანია-გუდისის ბიზნესტანდემმა თბილისის აეროპორტის ხელში ჩაგდება ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების შემდეგ, 2005 წელს, ოფშორული კომპანიების საშუალებით მოახერხეს.**

არსებული მასალების ანალიზის შედეგად ჩანს, რომ ადგილი ჰქონდა მასშტაბურ ელიტურ კორუფციას სააკაშვილის ადმინისტრაციის ელიტურ ნაწილებში.

როგორც ირაკლი კაკაბაძემ განაცხადა, იკვეთება ბაჩო ახალაიას, ვანო მერაბიშვილის, გივი თარგამაძისა და სხვათა თანამონაწილეობა ამ უკანონო ოპერაციებში.

აღსანიშნავია, რომ იარაღის უკანონო ვაჭრობაში ბრალი ედება თავდაცვის ყოფილ მინისტრ დავით კეზერაშვილს, რომელიც 2014 წლის 14 ოქტომბერს ფრანგმა სამართალდამცველებმა დააკავეს და მის საქმეს მალე განიხილავს საფრანგეთის სასამართლო. კეზერაშვილს შეიძლება ბრალი იარაღით მოვაჭრე ვიქტორ ბუტთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობაში დასდონ.

**საქართველო კი კეზერაშვილს 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ სენაკის ბაზიდან 5000 ერთეული ამერიკული ცეცხლსასროლი იარაღის „ემ-4“-ის გაყიდვაში ადანაშაულებს. ეს იარაღი საქართველოს ნატომ გადმოსცა „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამის ფარგლებში.**

ამერიკული ორგანიზაცია IMTD და მშვიდობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია Transcend International აპირებს, იარაღით უკანონო ვაჭრობის საკითხები დასვას გაეროში, ევროკავშირსა და შეერთებული შტატების კონგრესში.

# აეროპორტისთვის გამსახურდიას სახელის მინიჭებას ღარიბაშვილის მთავრობა ეწინააღმდეგება





**31 იანვარს „თავისუფალი საქართველო“ თბილისის საკრებულოს სხდომაზე თბილისის აეროპორტისთვის ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭების საკითხის განხილვას მოითხოვს.**

პარტია „თავისუფალი საქართველოს“ განცხადებით, აეროპორტისთვის ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭებას ღარიბაშვილის მთავრობა ეწინააღმდეგება. თბილისის აეროპორტისთვის ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭების ინიციატივით კახა კუკავამ თბილისის საკრებულოს ორი წლის წინ მიმართა, მაგრამ საკითხი ჩავარდა. იმხანად ამის წინააღმდეგი მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლება იყო.

**„მას შემდეგ, რაც უმრავლესობა შეიცვალა, საინიციატივო ჯგუფის სახელით განმეორებით მივმართეთ საკრებულოს ანალოგიური ინიციატივით. ამის შემდეგ, ირაკლი ღარიბაშვილის თხოვნით, საკითხის განხილვა 4-ჯერ გადაიდო. პარალელურად ისმოდა დაპირება, რომ უმრავლესობა მხარს უჭერს ინიციატივას და საკითხი დადებითად გადაწყდება, თუმცა აეროპორტისთვის ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭება ხელოვნურად ჭიანურდება.**

**ეს არის საქართველოს პირველი პრეზიდენტისა და იმ ეროვნული ფასეულობების შეურაცხყოფა, რომელსაც ის მთელი ცხოვრება ემსახურებოდა. მით უფრო სირცხვილია ამგვარი რამ, როცა დედაქალაქში არსებობს ჯორჯ ბუშის, ჰოლბრუკის, ალიევისა და კაჩინსკის ქუჩები, რეიგანის ძეგლი, სამხედრო გადატრიალების ორგანიზატორების პანთეონები. ფარისევლობაა, რომ სწორედ იმ დღეს, როცა საკითხის განხილვა მოიხსნა დღის წესრიგიდან, გიორგი მარგველაშვილი ზვიად გამსახურდიას საფლავზე ავიდა მისთვის „პატივის მისაგებად“. მაშინ, როცა ცოტა ხნის წინათ ხელისუფლების წევრებმა პომპეზურად აღნიშნეს გარდაცვლილ ზურაბ ჟვანიას იუბილე, საინტერესოა, რომელიმე მათგანს თუ გაახსენდება საქართველოს პირველი პრეზიდენტის 75 წლის იუბილე“,** — ნათქვამია პარტიის განცხადებაში.

# განადგურდა!

**კარგა ხანია, „ნაციონალური მოძრაობა“ იმ კადრების გამოქვეყნებას ითხოვს, რომლებზეც თითქოსდა ასახულია, როგორ გაჰყავთ ღამის სამ საათზე ივანე მერაბიშვილი მატროსოვის ციხიდან და როგორ მიჰყავთ გაურკვეველი მიმართულებით** (შემდეგ მერაბიშვილმა თქვა, რომ ის ოთარ ფარცხალაძესთან მიიყვანეს). სოზარ სუბარმა ხელისუფლების სახელით განაცხადა, რომ ჩანაწერები საგამოძიებო ორგანოებს აქვთ, თუმცა პარლამენტარ **დავით საყვარელიძეს** ამის არ სჯერა.





**„ის კადრები, რომლებიც გამოძიებისთვის გახდებოდა არგუმენტი იმისა, რომ დამტკიცებულიყო ვანო მერაბიშვილის ციხიდან გამოყვანისა და მასზე ზეწოლის ფაქტები, სოზარ სუბარმა გაანადგურა“,** — განაცხადა საყვარელიძემ.

**ეჰ, დავით, დავით, კადრები კი არა, ამხელა ქვეყანა გაანადგურეთ და ჯერჯერობით პასუხსაც არავინ გთხოვთ.**

# ცვლილებები მომსახურების სააგენტოში

**შსს-ს მომსახურების სააგენტოში სხვადასხვა ცნობის გაცემის ვადები და მომსახურების ღირებულება შეიცვალა.** კერძოდ, დაინტერესებულ პირს ნასამართლეობის შესახებ ცნობის მიღება შეეძლება 1 სამუშაო დღის შემდეგ — 25 ლარად. 3 სამუშაო დღის შემდეგ — 15 ლარად, ხოლო ამ ცნობის გაცემა 5 სამუშაო დღის შემდეგ უფასოა.



ცვლილებები ასევე შეეხო საქართველოს საზღვრის გადაკვეთის, პირის უგზოუკვლოდ დაკარგვის გამოძიების გამოცხადების, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ და კანონმდებლობით განსაზღვრული წესით საქართველოს შსს-ს მონაცემთა ბაზაში დაცული ინფორმაციის შესახებ ცნობების დაჩქარებული წესით გაცემის ღირებულებას. ასეთი ცნობის გაცემა 1 სამუშაო დღის შემდეგ ეღირება 25 ლარი, სამი სამუშაო დღის შემდეგ — 15 ლარი.

## ამერიკულმა კომპანია MCDONALD'S-მა თავის ოფიციალურ ინტერნეტგვერდზე (WWW.ABOUTMADONALDS.COM) აფხაზეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ მოიხსენია და ამ „დამოუკიდებელი სახელმწიფოს“ ბაზარზე შესვლის სურვილი გამოთქვა.

თოხმაბათიდან თოხმაბათამდე
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საპროტესტო აქციები McDonald's-ის წინააღმდეგ




**შობა-ახალი წლის დღეებში ამერიკელებმა საქართველოს სიურპრიზი მოუმზადეს. ამერიკულმა კომპანია McDonald's-მა თავის ოფიციალურ ინტერნეტგვერდზე (www.-aboutmadonalds.com) აფხაზეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ მოიხსენია და ამ „დამოუკიდებელი სახელმწიფოს“ ბაზარზე შესვლის სურვილი გამოთქვა.**

**McDonald's-მა** კონკურსიც კი გამოაცხადა თავისი წარმომადგენლების შესარჩევად ადგილობრივ ბიზნესსუბიექტებსა და ინდივიდებს შორის. „ჩვენ განვიხილავთ ყველა კანდიდატურას და დავუკავშირდებით იმ ადამიანებს, რომლებიც სათანადოდ დააკმაყოფილებენ ჩვენს მოთხოვნებს“, — ნათქვამია კომპანია McDonald's-ის განცხადებაში. საქართველოში McDonald's-ის წარმომადგენელი თემურ ჭყონია კი ამბობს, რომ მას ამ კომპანიასთან უნიკალური ხელშეკრულება აქვს გაფორმებული და მისი ნებართვის გარეშე საქართველოს ტერიტორიაზე კომპანიის ობიექტების აშენება არ მოხდება. **13 იანვარს თბილისში რესტორან McDonald's-ის შესასვლელთან ინგლისურ ენაზე გაჩნდა საპროტესტო შინაარსის წარწერა: „აფხაზეთი საქართველოა!“, საპროტესტო აქციები იგეგმება ქუთაისსა და ბათუმშიც.**

# ბაჩო ახალაიასა და მეგის ქარდავას ბრალი დაუმძიმდათ





**შს ყოფილ მინისტრ ბაჩანა ახალაიასა და თბილისის №7 საპყრობილის ყოფილ დირექტორ მეგის ქარდავას, რომელზეც ძებნაა გამოცხადებული, რუსთავის №1 სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან პატიმართა მასობრივი გაქცევის მომზადების აღიარების მისაღებად პატიმრების წამების ფაქტზე ბრალი დაუმძიმდათ.**

**ამის შესახებ საქართველოს მთავარ პროკურატურაში საგანგებო ბრიფინგზე განაცხადეს.**

„სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №1 დაწესებულების პატიმარმა გია გორგაძემ დაწესებულების დირექტორს აცნობა, რომ ერთ-ერთი პატიმრისგან მიიღო შეთავაზება ციხიდან გაქცევაზე და მზადყოფნა გამოთქვა, ეთანამშრომლა ციხის ადმინისტრაციასთან. ამ საკითხზე გორგაძეს ციხეში უშუალოდ შეხვდა ბაჩანა ახალაია და შეუთანხმდა, რომ ციხიდან შესაძლო გაქცევის მომზადების ალკვეთაში მას დაეხმარებოდა გია გორგაძის ძმა — შოთა გორგაძე.

2006 წლის 12 იანვარს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის მიერ, მისი მაშინდელი დირექტორის, დათა ახალაიას, ხელმძღვანელობით, დაიგეგმა და ჩატარდა სპეცოპერაცია, რომლის მიმდინარეობისას თბილისში, ნავთლუღის ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე საეჭვო გარემოებებში ლიკვიდირებული იქნენ პატიმარ გია გორგაძის ძმა – 1988 წელს დაბადებული შოთა გორგაძე და მისი მეგობრები: 1985 წელს დაბადებული რომან სურმანიძე და 1983 წელს დაბადებული მარად ართმელაძე, რომლებიც, თითქოსდა პატიმართა მასობრივი გაქცევის მიზნით, გეგმავდნენ რუსთავის №1 საერთო რეჟიმის დაწესებულებაზე შეიარაღებულ თავდასხმას.

სპეცოპერაციის დასრულებისთანავე, სპეცრაზმის თანამშრომლების თანხლებით, ბაჩანა ახალაია და მეგის ქარდავა მივიდნენ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №1 დაწესებულებაში, სადაც პატიმრები: გია გორგაძე, დავით ლექვთაძე, ვალერიან პაპავა, მიხეილ მანდარია, მამუკა ბეჭვაია და ბერდია მესხი ეზოში გამოიყვანეს და დაიწყეს მათი უმოწყალოდ ცემა. ამის შემდეგ მათ, ბაჩო ახალაიას მითითებით, გაახდევინეს ტანსაცმელი და ავტომანქანით გაიყვანეს დაწესებულების ტერიტორიის გარეთ; შეიარაღებულმა სპეცრაზმელებმა, ახალაიას ბრძანებით, თოვლსა და ტალახში განაგრძეს პატიმრების ცემა“, — ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

# «ცივი ომის დამქაშებს არ ვაჭამოთ ხინკალი!»

**ჟურნალ „ფორბსში“ გამოქვეყნდა ინგლისელი ჟურნალისტის, უილიამ დანბარის სტატია სათაურით „რატომ აღარ შევჭამ ხინკალს არასოდეს: ქართული კერძების სავალალო მდგომარეობა“, რომელშიც ავტორი ქართულ კერძებს ომს უცხადებს და ქართველებს მენტორული ტონით მოგვიწოდებს, რომ „თვალი გავახილოთ და ვიგრძნოთ უცხო სუნელის სუნი“. სრულად გთავაზობთ ამ სტატიას, რომელიც ყველა ქართველმა უნდა წაიკითხოს:**



„ნებისმიერმა ადამიანმა, რომელიც ერთხელ მაინც ყოფილა საქართველოში, იცის, რომ აქ კარგი საჭმელია. ხალხი სტუმართმოყვარეა, მთები — ლამაზი და საჭმელიც — გემრიელი. ეს აქსიომად ჩამოყალიბდა. ჰოდა, ქართველებიც ზედმეტად დარწმუნებულნი არიან ამაში და ქვეყანაც სავსეა ქართული რესტორნებით, რომლებიც, თავის მხრივ, ქართველი ხალხით არის სავსე. ჩემს უგულობას მიზეზი აქვს: მე ვარ ადამიანი, რომელსაც წლების განმავლობაში ძალიან ბევრჯერ გაუცრუვდა იმედი და ვსვამ კითხვას — **იქნებ ეს ყველაფერი ტყუილია? იქნებ ქართული საჭმელი სინამდვილეში ძალიან მოსაბეზრებელია და ჩვენ, უბრალოდ, ისე გავისიგრძეგანეთ ქართული საჭმლის განსაკუთრებულობის იდეა, რომ მართლაც ვიწამეთ მისი?**

ვფიქრობ, ქართველები ზედმეტად გაანებივრეს კომპლიმენტებით მათ სამზარეულოსთან დაკავშირებით. 200 წლის განმავლობაში ქართული სამზარეულო რუსულ სამზარეულოს უწევდა მეტოქეობას და ჩვენ, ყველამ, კარგად ვიცით რუსული სამზარეულოს ამბავი. საბჭოთა კავშირის დროს გამხმარი ხაჭაპურიც კი მადის აღმძვრელად გამოიყურებოდა ხორციანი ჟელეს კატასტროფასთან შედარებით, სახელად „ხალადეცი“. და ის ფაქტი, რომ ქართველები ეროვნული სალათების მომზადებისას მაიონეზს არ იყენებდნენ, ალბათ, საბჭოთა ჩაგვრისგან სულის მოთქმას ჰგავდა.

აი, სწორედ აქედან ირევა ყველაფერი. უცხოელი სტუმრები საქართველოში მოსკოვის გავლით ჩამოდიან, ვიტამინ C-ზე დახარბებულები და ღორის ქონითა და არყით დაბეჩავებულები. მათ, ვინც გაყინულ ჩრდილოეთში კვირების განმავლობაში უშედეგოდ ეძებდა არამჟავე კიტრს, ქართული სამზარეულო ნამდვილ აღთქმულ მიწად ეჩვენებოდათ და, შესაბამისად, გულწრფელად ეუბნებოდნენ თავიანთ მასპინძლებს: თქვენი საჭმელი ძალიან გემრიელია, გაცილებით უკეთესი, ვიდრე რუსეთში.

მაგრამ **გქონდეს უკეთესი საკვები, ვიდრე რუსულია, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი უმაგრესია, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ იგი რუსულ საჭმელზე უკეთესია. მეტწილად, ქართული კერძები მარტივია** (ამას ვამბობ მე, ადამიანი ინგლისიდან, აგრეთვე, „მარტივი სამზარეულოს“ ქვეყნიდან) და თვალი გავუსწოროთ სიმართლეს — **არჩევანი წარმოუდგენლად შეზღუდულია.** ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მე ხაჭაპურის წინააღმდეგი ვარ, უბრალოდ, მე არ მინდა მისი ყოველდღიურად ჭამა, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც **ამ გაღმერთებული ყველის ღვეზელის შემთხვევაში, ერთადერთი ამაღელვებელი სიახლე შეიძლება იყოს ის, რომ ყველს მის ზედაპირსაც დაურთავენ, ან (ჩშშშ...!) შიგთავსს კარტოფილს დაამატებენ. ამ დროს, ცხადია, ჯობს, რაიმე სხვას გაუსინჯო გემო. ხინკალი? ცომში გახვეული ხორცი — განა რამე ისეთია, რაზეც ინგლისში ვინმეს მოვუყვები?**

თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ საქართველოს კარგი კერძები არ გააჩნია. მიყვარს საცივი, ნაკლებად ცხიმიანი აჯაფსანდალი და ცხარე ხარჩო. ჩიხირთმა მშვენიერი წვნიანია და კარგი გულიანი ჩანახიც საუცხოოა ზამთრის ღამეს. აი ვწერ და ჩემი მუცელიც ხმებს გამოსცემს. თუმცა ფაქტია, რომ **იმ ადგილების ჩამოსათვლელად, სადაც ამ კერძებს გემრიელად მიირთმევ, ერთი ხელის თითებიც საკმარისია. და ჩვენც წყალწყალა ლობიოსა და მლაშე ტყემლის ოკეანეში ვიძირებით.**

ქართულ რესტორნებში მოსიარულეებმა თვალი უნდა გაახილონ და იგრძნონ უცხო სუნელის სუნი: თქვენ ვერასოდეს მიიღებთ ისეთ საკვებს, როგორსაც იმსახურებთ (თუმცა ქართულ სამზარეულოს ამის დიდი პოტენციალი აქვს) თუ მუდმივად კმაყოფილი იქნებით იმით, რომ ყოველდღე მიირთვათ კიტრისა და პომიდვრის სალათი, თუნდაც ნიგოზმოყრილი. ქართულმა რესტორნებმაც უნდა შეცვალონ მუშაობის პრინციპები და შეეშვან გავრცელებული კერძების ერთმანეთისგან უაზროდ გადაღებას, თუ არა და, ხალხს მობეზრდება მსგავსი ტიპის კვება და გადავლენ Wendy's-ში. მე მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე საკმარი ხინკალი უკვე მივირთვი და, აგრეთვე, ბოსტნეულით სხვა უამრავ რამესაც მოამზადებ, გარდა ფხალისა. აი, ღვინოზე კი გადაკრული სიტყვა არ დამცდება...“

**გადაჭარბებული არაფერი ვარგა: არც მასპინძლობა, მაგრამ ხომ არ სჯობდა, ინგლისელ ჟურნალისტს, რომლის სამშობლოც არც ისე გემრიელი პუდინგითაა ცნობილი, საკუთარი ქვეყნის სამზარეულოსთვის შეეხედა კრიტიკული თვალით და ჩვენთვის თავი გაენებებინა?!**

**ინგლისელი ჟურნალისტის გონების ამ „ნაჟურში“ ნათლად ჩანს მისი ზიზღნარევი დამოკიდებულება არა მხოლოდ ქართული კერძების, არამედ ყოველივე ქართულის (რუსებზე აღარაფერს ვამბობთ) მიმართ.** მის „ნააზრევში“ გამოსჭვივის წუხილი, რომ საქართველო სავსეა ქართული რესტორნებით, ეს რესტორნები კი — ქართველებით; რომ საქართველო სავსე არ არის უცხოური რესტორნებითა და უცხოელებით. უილიამ დანბარს, რომელიც კარგა ხანია, ცხოვრობდა საქართველოში და ქართული კერძებით იკვებებოდა, ეტყობა, ქართველი მასპინძლები ზედ გადაჰყვნენ (სტუმარმასპინძლობის ტრადიცია ხომ ოდითგან სისხლში გვაქვს გამჯდარი), მაგრამ ინგლისელმა, იმის ნაცვლად, რომ მადლიერი დარჩენილიყო, ქართული კერძების ძაგება დაიწყო. არადა, ქართველისთვის ხომ მნიშვნელოვანია ქართული სუფრა, კერძები, სადღეგრძელოები, ტრადიციები...

**ისტორია მეორდება. ეს ყველაფერი 30 წლის წინანდელ ამბავს ჰგავს, როდესაც მწერალმა ოტია იოსელიანმა რუსი კოლეგა ვიქტორ ასტაფიევი საქართველოში მოიპატიჟა, გულითადად გაუმასპინძლდა და მთელი საქართველო მოატარა. საქართველოდან წასულმა ასტაფიევმა კი ორი წლის შემდეგ, 1986 წელს, ჟურნალ „ნაშ სოვრემენნიკში“ გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც ქართველები ავადმყოფ ერად მოგვიხსენია...** ასეა — გადაჭარბებული არაფერი ვარგა: არც მასპინძლობა, მაგრამ ხომ არ სჯობდა, ინგლისელ ჟურნალისტს, რომლის სამშობლოც არც ისე გემრიელი პუდინგითაა ცნობილი, საკუთარი ქვეყნის სამზარეულოსთვის შეეხედა კრიტიკული თვალით და ჩვენთვის თავი გაენებებინა?! მაგრამ არა — კოლონიზატორის სულისკვეთებით გამსჭვალულმა უცხოელმა ხომ ყოველივე ნაციონალური უნდა შეგვიგინოს და გვასწავლოს, რა უნდა ვჭამოთ, რა ჩავიცვათ, რა დავლიოთ და, საერთოდ, როგორ ვიცხოვროთ?!

**P.S. „რატომ აღარ შევჭამ ხინკალს არასოდეს“ — აი, დარდი! არ შეჭამ და ნუ შეჭამ! ჩვენ კი ისლა დაგვრჩენია, ანსამბლ „ივერიის“ სიმღერის სიტყვები გავიხსენოთ: „ცივი ომის დამქაშებს არ ვაჭამოთ ხინკალი“.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ყოველწლიურად ვარსკვლავ-ზოლოვან არმიაში ათიათასობით სექსუალური დანაშაული ხდება და მათი რაოდენობა განუხრელად იზრდება. 2011 წელს დაფიქსირდა 22 800 შემთხვევა, 2012 წელს — 26 000.

# სექსუალური ძალადობის ამერიკული სკანდალები

**პენტაგონმა „აფეთქა“ პრესა შოკისმომგვრელი მონაცემებით. აღმოჩნდა, რომ მთელი წლის მანძილზე ამერიკის არმიაში სექსუალურ ნიადაგზე ძალადობის 26 ათასი დანაშაული მოხდა. სხვა მხრივ 2013 წელს საზარელი რეკორდები არ დაუმყარებია, მან მხოლოდ დაადასტურა ამერიკაში სექსუალური დანაშაულების რაოდენობის მზარდი ტენდენცია...**




## სექსუალური ძალადობა ჯარში

მაისში სექსუალური ძალადობის ბრალდებით დააკავეს პოდპოლკოვნიკი ჯეფრი კრუშინსკი, რომელიც ამერიკული სამხედრო საჰაერო ძალების პირად შემადგენლობაში სექსუალური ძალადობის პროფილაქტიკის პროგრამაზე იყო პასუხისმგებელი. მანამდე გაუპატიურებაში დამნაშავედ სცნეს „ძია სემის“ კიდევ ერთი შევარდენი — პოდპოლკოვნიკი ჯეიმს ვილკერსონი. სიმბოლურია, რომ ეს ძალადობები განხორციელდა ტეხასის ავიაბაზა „Lackland Air Force Base“-ზე, ჯერაც ჩაუმცხრალი სკანდალის ფონზე. შეგახსენებთ, იქ სამოცზე მეტი ახალწვეული ქალი გააუპატიურეს. ამ საქმის გამო სერჟანტი ლუის უოკერი 20 წლით გამოკეტეს ციხეში, მაგრამ დანარჩენი ათი ეჭვმიტანილის მიმართ გამოძიება ჯერ კიდევ გრძელდება...

**ფაქტების ზეწოლით პენტაგონის მეთაური იძულებული გახდა, ელიარებინა უმწვავესი პრობლემის არსებობა, მაგრამ კონგრესში, ჩაკ ჰეიგელის მოხსენების მიხედვით, პრობლემა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ვიდრე სამხედრო ექსპერტები ვარაუდობდნენ.** ყოველწლიურად ვარსკვლავ-ზოლოვან არმიაში ათიათასობით სექსუალური დანაშაული ხდება და მათი რაოდენობა განუხრელად იზრდება. 2011 წელს დაფიქსირდა 22 800 შემთხვევა, 2012 წელს — 26 000. ძირითადად, საუბარია ქალებზე ძალადობაზე: **დღეს რეალობა ისეთია, რომ ყოველი მეათე ქალი, რომელიც ამერიკის სამხედრო ფორმას ჩაიცვამს, საკუთარი არმიის წევრების მხრიდან გაუპატიურების მსხვერპლი ხდება.**

## გარყვნილების ბუდე უძველეს უმაღლეს სასწავლებელში

**ჯერ კიდევ 2011 წელს პენსილვანიის შტატის უნივერსიტეტის საფეხბურთო მწვრთნელი, ვინმე ჯერალდ არტურ სანდასკი ბრალდებულ იქნა ბიჭებზე სექსუალური ძალადობისთვის და ამ ქმედებას იგი 15 წლის განმავლობაში იმეორებდა.** 2012 წლის ოქტომბერში მოძალადე დამნაშავედ სცნეს ბრალდების 45 ეპიზოდის მიხედვით და 60 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. 2013 წელი იმით დაიწყო, რომ მან აპელაციაზე უარი მიიღო. ამასთან, შემდგომი გამოძიებისას ახალი არასასურველი დეტალები გამოიკვეთა.

მაგალითად, გაირკვა, რომ აშშ-ის ერთ-ერთი უძველესი და პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებლის პრეზიდენტი და ვიცეპრეზიდენტი გრემ სპენიერი და გერი შულცი, ასევე სპორტული დირექტორი ტიმ კერლი ჯერ კიდევ 1998 წლიდან საქმის კურსში იყვნენ, რომ სანდასკი ბავშვებს სასტიკად ეპყრობოდა. მაგრამ მათ ყველა ღონე იხმარეს, რომ ინფორმაციას არ გაეჟონა, მიუხედავად იმისა, რომ ამით ბავშვების უსაფრთხოებას აყენებდნენ კითხვის ნიშნის ქვეშ.

უნივერსიტეტს ჩამოერთვა ყველა სპორტული ჯილდო და სერიოზული ჯარიმაც დაეკისრა, ზემოხსენებული ჩინოვნიკები კი სულ ახლახან წარსდგნენ სასამართლოს წინაშე და უახლოეს დღეებში მათ განაჩენსაც გამოუტანენ.

## პედოფილი მასწავლებლების საქმე

ამის პარალელურად მთელი წლის განმავლობაში არ ჩამცხრალა კიდევ ერთი სკანდალი, რომლის ეპიცენტრში აშშ-ის კიდევ ერთი უძველესი სასწავლებელი — გორაცია მანის სკოლა აღმოჩნდა. ეს სკოლა არჩევს სტუდენტებს ნიუ იორკის პრესტიჟულ კოლეჯში შესასვლელად.

**სკანდალმა 2012 წლის ივნისში იფეთქა, როდესაც „ნიუ იორკ თაიმსში“ გამოქვეყნდა ინტერვიუ ყოფილ სტუდენტ ამოს კამილთან, რომელიც სკოლის პედაგოგების მხრიდან მოსწავლეებზე მრავალჯერადი სექსუალური ძალადობის შესახებ საუბრობდა. ინციდენტები 20 წლის მანძილზე გრძელდებოდა.** სკანდალის ცენტრალური ფიგურებიდან ზოგი ცოცხალიც კი აღარ იყო, მაგრამ სტატიას ფართო რეზონანსი მოჰყვა. ავტორის სახელზე რედაქციაში ათასობით წერილი და კომენტარი მივიდა. ამ წერილების ნახევარი სკოლის ყოფილმა სტუდენტებმა, მასწავლებლებმა და ადმინისტრატორებმა გააგზავნეს, მათ შორის იყვნენ პედოფილების მსხვერპლნიც. ორი კვირის შემდეგ ტეკ იანგ ლინმა, რომელიც სკოლაში მღვდელიც იყო და ინგლისურის მასწავლებელიც, აღიარა, რომ სტუდენტებთან სექსუალური კავშირი ჰქონდა.

**2013 წლის შუა პერიოდში სკანდალმა აპოგეას მიაღწია: სექსუალურ ძალადობაში დაადანაშაულეს თვრამეტი მასწავლებელი. ვინაიდან სკოლაში პედოფილების აქტიურობის პერიოდი ოთხ ათწლეულს მოიცავდა, მსხვერპლებმა გადაწყვიტეს, არ მოეთხოვათ მოძალადეების სისხლისსამართლებრივი დევნა და ფინანსური კომპენსაციების მოთხოვნით შემოიფარგლნენ...**

ანალოგიური სკანდალი მოხდა ივლისშიც, როდესაც სასამართლომ Yeshiva University-ის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ სარჩელი დაარეგისტრირა. მოსარჩელე იყო ოცი ადამიანი, რომლებიც ამ საპატივცემულო ებრაულ-ამერიკული უნივერსიტეტის კედლებში გაიზარდნენ 1971-დან 1989 წლამდე. ისინი ირწმუნებიან, რომ თავის დროზე ბინძური სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი გახდნენ მასწავლებლების მხრიდან, მაგრამ სასწავლებ- ▶

# აშშ-ში ზღაპრული ცხოვრება არ არის

**ვინ ცხოვრობს კარგად ამერიკაში? — როგორც აღმოჩნდა, ერთეულები. ოჯახის საშუალო შემოსავალი იქ დაახლოებით წელიწადში 50 ათასი, ანუ თვეში 4 ათასი დოლარია. ამ ხელფასს უნდა გამოაკლოთ გადასახადები და სამედიცინო დაზღვევა (300 დოლარი თვეში, პლუს სტომატოლოგის 60 დოლარი დამატებით), ასევე წვრილმანი გადასახადები მანქანის სადგომისა და სხვათა გამო. საერთო ჯამში ხელფასიდან დაახლოებით 2700 დოლარი რჩება. აქედან დაახლოებით 750 დოლარი ბინის გადასახადია, 80 — დენის, 50 — წყლის, 500 — პროდუქტების, 100 — ტელეფონების, 300 — ბენზინის, 100 — ავტოდაზღვევის. ეს არის მინიმუმი, ყოველგვარი ზედმეტი ნებივრობის გარეშე.**



ამერიკაში ცხოვრობს მილიონობით ძირძველი ამერიკელი, რომელთაც ფინანსური მდგომარეობის გამო განათლებაზე ხელი არ მიუწვდებათ

გარდა ამისა, რეგულარულად ჩნდება 200-300 დოლარის ოდენობის დაუგეგმავი ხარჯები სკოლაში ფულის შეგროვების ან სადმე გამგზავრების გამო. დღის განმავლობაში სახლიდან წაღებული ბუტერბროდებით დანაყრება გაცილებით იაფია, ვიდრე სასადილოში სიარული, რაც თვეში 150 დოლარი მაინც ჯდება. საბოლოოდ ხელფასიდან 500-600 დოლარი რჩება.

ამ ხელფასზე ცხოვრობს მთელი ამერიკა. რატომ? ყველაფერი მარტივია. იქ საბავშვო ბაღში ერთი ბავშვის ტარება თვეში 600 დოლარი ღირს. ვისაც ორი შვილი ჰყავს, სახლში ზის, რადგან თვეში 1500 დოლარზე მეტი ხელფასიდან არ დარჩება. **ამიტომ ამერიკელების მნიშვნელოვანი ნაწილი შინ ზის და შვილებს ზრდის, ვიდრე 5 წელი არ შეუსრულდებათ, მაგრამ ამით პრობლემა არ გვარდება. სკოლა მთავრდება 14:45 საათზე, თუ ამ დროს ბავშვს არ მიაკითხავს მშობელი, ეს ბავშვი ავტომატურად მოხვდება გახანგრძლივებულ განყოფილებაში, რაც დღეში დამატებით 6 დოლარი ღირს.**

გაგრძელება კიდევ უფრო მხიარულია: **სამედიცინო დაზღვევა მთელ ხარჯებს არ ანაზღაურებს, ფარავს მაქსიმუმ 80%-ს. ექიმმა მხოლოდ რომ შემოგხედოს, 40 დოლარი უნდა გადაუხადო, თუ სტაციონარში მოხვდი, ვალებიდან შეიძლება მრავალი წელი ვერ ამოხვიდე. საქმე ისაა, რომ დაზღვევის შემთხვევაში საავადმყოფოები სპეციალურად ბერავენ ფასებს.**

აშშ-ის კიდევ უფრო საინტერესო თავისებურება ფასიანი განათლებაა. მაგალითად, ალაბამის უნივერსიტეტი ერთ სემესტრში 3500 დოლარს ითხოვს. მაგრამ ეს ერთ-ერთი ყველაზე დაბალრეიტინგული და შესაბამისად იაფფასიანი უნივერსიტეტია ქვეყანაში. თანაც ეს ფასი მხოლოდ ადგილობრივებს ეხებათ, დანარჩენ სემესტრებში 12 000 დოლარს იხდიან. ზემოხსენებული ხელფასისა და ხარჯის გათვალისწინებით ნათელია, რომ მშობლები მრავალი წლის განმავლობაში ვერ გადაიხდიან შვილების სწავლის საფასურს.

**ასე რომ, ამერიკაში ზღაპრული ცხოვრება არ არსებობს. კი, მათ ჰყავთ მანქანები, მაგრამ ამ ქვეყანაში მანქანის გარეშე ცხოვრება შეუძლებელია. საზოგადოებრივი ტრანსპორტი მხოლოდ დიდ ქალაქებში არსებობს, სამსახურამდე მისაღწევად კი ხშირად მრავალი მილია გასავლელი.**

ცხადია, მრავალი ადამიანი იტყვის, რომ აშშ-ში ხელფასი შესაძლოა 70 ათას დოლარსაც შეადგენდეს ▶

ᲛᲝᲬᲛᲔᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲗ, ᲥᲐᲚᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲨᲕᲘᲚᲡ ᲘᲧᲔᲜᲔᲑᲓᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲒᲐᲜᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲗᲐᲜ ᲡᲔᲥᲡᲡ ᲐᲘᲫᲣᲚᲔᲑᲓᲐ ᲛᲐᲡ. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ, ᲓᲔᲓᲐ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲢᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲡᲐᲮᲕᲔᲚ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲕᲘᲓᲔᲝᲡ ᲘᲜᲐᲮᲐᲕᲓᲐ ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲨᲘ.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ლის ხელმძღვანელობამ დაარწმუნა ისინი, რომ მდუმარედ შეგუებოდნენ ბედს. სარჩელში ირწმუნებიან, რომ რამდენიმე ათწლეულის მანძილზე სასწავლებლის დირექტორები და სპონსორები მალავდნენ საზოგადოებისგან მასწავლებლების მოსწავლეებზე სექსუალური ძალადობის ფაქტებს. სარჩელის თანხა 380 მილიონ დოლარს შეადგენს.

### ᲒᲐᲜᲐᲩᲔᲜᲘ ᲒᲐᲛᲮᲠᲬᲜᲔᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ

იანვარში ნიუ-გემპშირში გაიხსნა სასამართლო პროცესი ლიზა ბირონის საქმესთან დაკავშირებით. **ქალს ბრალი ედება საკუთარი ქალიშვილის გახრწნაში, მოზრდილ მამაკაცებთან სექსის იძულებაში და საბავშვო პორნოგრაფიის გავრცელებაში. მოწმეების განცხადებით, ქალი საკუთარ შვილს იყენებდა, როგორც ობიექტსა და საგანს და სხვადასხვა მამაკაცთან სექსს აიძულებდა მას. ამასთან, დედა შვილის სექსუალური კონტაქტების ამსახველ ყველა ვიდეოს ინახავდა კომპიუტერსა და ტელეფონში.** ბრალდების წაყენების შემდეგ გირაოთი გათავისუფლებული ბირონი მოწმეებს ემუქრებოდა და სთხოვდა, ჩვენებები მის სასარგებლოდ შეეცვალათ. როდესაც სასამართლოს ხელში ჩაუვარდა ვიდეო, რომელზეც დედა-შვილის სექსუალური კონტაქტი იყო ასახული, ბირონი განაჩენის გამოტანამდე დააკავეს.

ბოლოს და ბოლოს 22 მაისს ფედერალურმა მოსამართლემ, პოლ ბარბადორომ, გამხრწნელს 40 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

**ასე რომ, შარშან სექსუალური სკანდალები და მათი შედეგები ამერიკულ საზოგადოებას რეგულარულად და ყველგან თან სდევდა.**

fbii.org

◀ და მეტსაც. მართალია, მაგრამ ეს მხოლოდ იმდენად ძვირადღირებულ ქალაქებში ხდება, სადაც ყველაზე იაფი ბინა 2000 დოლარი ღირს და სადაც, საბოლოო ჯამში, ხელფასიდან იგივე რჩება, რაც ზემოთ იქნა აღნიშნული. ცხადია, არიან მაღალი შემოსავლების მქონე ოჯახებიც, მაგრამ საშუალო ფენა სწორედ ასე ცხოვრობს.

**რაც მთავარია, ამ გათვლებში გათვალისწინებულია ოჯახი, რომელშიც ოთხი სულია და მათ შორის 2 ბავშვი. ერთი სულისთვის თვეში 4000 დოლარი უკვე საკმაოდ ნორმალური ხელფასია და, ალბათ, ამიტომაცაა, რომ ამერიკაში თეთრკანიანი მოსახლეობა უკვე გადაშენების ზღვარზეა.**

**ამერიკაში ცხოვრობს მილიონობით ძირძველი ამერიკელი, რომელთაც ფინანსური მდგომარეობის გამო განათლებაზე ხელი არ მიუწვდებათ.** ისინი და მათი შვილები ვერასდროს გამოიმუშავებენ თვეში 800-2000 დოლარზე მეტს. მათ გარდა ამერიკაში ცხოვრობს მიგრანტების კოლოსალური რაოდენობა და მათი ხელფასი 800 დოლარს, სავარაუდოდ, ვერასდროს გადააჭარბებს.

sdelanounih.ru

# ᲑᲐᲠᲐᲙ ᲝᲑᲐᲛᲐ: Error 404

**რასაც უნდა მოჰკიდოს ხელი აშშ-ის ახლანდელმა ადმინისტრაციამ, მას აუცილებლად გამოსდის მხოლოდ „Obamacare“ და „Shutdown“.**



ამერიკაში გადასახადები წმიდათაწმიდაა, ამიტომ ნებისმიერი პრობლემა, რომელიც მათ დარიცხვას ან გადახდას უკავშირდება, ფართო რეზონანსს იწვევს და ნამდვილი სტიქიური უბედურების ხასიათს იღებს. სწორედ ამ მდგომარეობის ზღვარზეა ახლა გადასახადების გადამხდელების მონაცემთა ახალი ბაზის ირგვლივ შექმნილი სიტუაცია. ბაზას ამერიკის საგადასახადო სამსახური (IRS) ჯერ კიდევ 2012 წლის სექტემბერში უპირებდა ამოქმედებას.

მას შემდეგ ფისკალური რესურსი, რომელსაც აშშ-ის მოქალაქეებისთვის საჭირო ინფორმაციისა და დოკუმენტების მოპოვება უნდა უზრუნველეყო, ასეც არ მიუყვანიათ ფუნქციონალურ მდგომარეობამდე. **ᲘᲛᲣᲨᲐᲕᲐ ᲠᲐ ᲡᲣᲚ ᲠᲐᲦᲐᲪ ᲔᲥᲕᲡᲘ ᲡᲐᲐᲗᲘ ᲡᲐᲢᲔᲡᲢᲝ ᲠᲔᲟᲘᲛᲨᲘ, ᲑᲐᲖᲐᲛ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲐᲗᲕᲚᲘᲚᲘ ᲘᲧᲝ 30 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲔᲠᲗᲓᲠᲝᲣᲚ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐᲖᲔ ᲓᲐ ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲢᲕᲘᲠᲗᲕᲘᲡᲐᲡ 400 000 ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲔᲠᲗᲓᲠᲝᲣᲚᲐᲓ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲖᲔ, ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲐ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡᲛᲐ ᲨᲔᲛᲥᲛᲜᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲗᲐᲕᲨᲘ ᲘᲪᲔᲡ ᲮᲔᲚᲘ.**

გაირკვა, რომ რესურსის მასალებში საჭიროა მილიონობით შესწორების შეტანა, ბაზის მხოლოდ ნახევრის შემოწმებამ კი გამოავლინა ათასზე მეტი სისტემური ნაკლი და შეცდომა. IRS-ის ამ შვილობილის გონებაზე მოყვანა, რომლის საწყისი ღირებულება 47 მილიონ დოლარს შეადგენდა, ყველაზე მიახლოებული გათვლებით ამერიკელ გადასახადების გადამხდელებს დაახლოებით ამდენივე დაუჯდებათ. **ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲘᲫᲚᲔᲕᲐ ᲘᲛᲘᲡ ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲗᲕᲘᲗ ᲐᲛ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲓᲐᲜᲐᲮᲐᲠᲯᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲔᲡ ᲑᲐᲖᲐ ᲝᲓᲔᲡᲛᲔ ᲐᲛᲣᲨᲐᲕᲓᲔᲑᲐ.**

იმ საგადასახადო რეფორმის კვალდაკვალ, რომლის შემადგენელ ნაწილსაც წარმოადგენს IRS-ის ზემოხსენებული არაკონდიციური ბაზა, ცალსახად ამუხრუჭებს საიმიგრაციო რეფორმაც. ამერიკელი პოლიტიკოსებისა და ექსპერტების უმეტესობა თანხმდება იმაზე, რომ უახლოეს მომავალში 1300-გვერდიანი კანონპროექტი თეთრ სახლთან და კონგრესთან შეთანხმებული ვერ იქნება. NBC News-ის დირექტორ ჩაკ ტოდის თქმით, ბარაკ ობამას ადმინისტრაცია მზად არ არის ამ დოკუმენტისთვის, ევაჭროს წარმომადგენელთა პალატაში რესპუბლიკელ უმრავლესობას თავისი სხვა „თავის ტკივილის“ — „ხელმისაწვდომი სამედიცინო დახმარების“ შესახებ კანონის გამო, რომელიც ხალხში „Obamacare“-ის სახელითაა ცნობილი.

ბარაკ ობამას მიერ წამოწყებული კიდევ ერთი რეფორმა, ჯანდაცვის რეფორმა, სამართლიანად ითვლებოდა იმ პროგრამის საკვანძო მომენტად, რომლითაც ის ოვალურ კაბინეტში ადგილის მოსაპოვებლად მიდიოდა. ახლა ეს რეფორმა იმავე პროგრამაში ყველაზე სუსტ რგოლად ითვლება და აშშ-ის 44-ე პრეზიდენტის რეიტინგის მიზანმიმართული ვარდნის უმთავრეს მიზეზს წარმოადგენს. და აქ მთავარი სულაც არ არის რეფორმის იდეა. იდეა მშვენიერია: აშშ-ის ჯანდაცვის სისტემაში, რომელიც გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან არ შეცვლილა, „კაპიტალური რემონტის“ ჩატარება და მოსახლეობის კიდევ 15%-ის (ანუ დამატებით 32 მილიონი ადამიანის) სამედიცინო დაზღვევით უზრუნველყოფა. საქმე ამ იდეალური იდეების განხორციელებამ გააფუჭა, უფრო კონკრეტულად კი საიტმა HealthCare.gov, რომლის ვირტუალურ გვერდებზე აშშ-ის ყველა მოქალაქეს უნდა შეძლებოდა, შეეძინა ან გადაეცვალა უკვე არსებული დაზღვევის პოლისები.

**ᲖᲔᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲘᲢᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲔᲑᲘᲪ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲝᲜᲔᲖᲔ 1 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ ᲐᲛᲣᲨᲐᲕᲓᲐ ᲓᲐ ᲣᲛᲐᲚ ᲓᲐᲤᲘᲥᲡᲘᲠᲓᲐ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲘᲒᲘᲕᲔ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ, ᲠᲐᲪ IRS-ᲘᲡ ᲑᲐᲖᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ. ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲠᲘᲪᲮᲝᲕᲐᲜᲘ ᲒᲐᲣᲛᲐᲠᲗᲐᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲘᲛ 20 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲓᲐᲜ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲣᲙᲕᲔ ᲔᲬᲕᲘᲕᲜᲔᲜ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲚᲣᲠ „ᲡᲐᲓᲐᲖᲦᲕᲔᲕᲝ ᲑᲘᲠᲟᲐᲡ“ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲤᲝᲠᲛᲔᲑᲚᲐᲓ, ᲡᲐᲡᲣᲠᲕᲔᲚᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ 10%-ᲖᲔ ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲛᲐ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲐ. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ, ᲧᲝᲕᲔᲚᲛᲐ ᲛᲔᲮᲣᲗᲔᲛ „OBAMACARE“-ᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲓᲐᲖᲦᲕᲔᲕᲐ ᲓᲐ ᲕᲔᲠ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲒᲐᲔᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘᲜᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲜᲐᲪᲕᲚᲝ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲡᲘ.**

ბარაკ ობამას პიესის პრემიერის წარუმატებლობას უმალ ჩაეჭიდნენ მისი პოლიტიკური ოპონენტები წარმომადგენელთა პალატის რესპუბლიკური ფრთიდან. ნოემბრის დასაწყისში ენერგეტიკისა და ვაჭრობის კომიტეტის თავმჯდომარემ ფრედ აპტონმა საიტს „უვარგისი“ უწოდა და ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურების მინისტრი კეტლინ სებელიუსი გულგრილობაში დაადანაშაულა.

## ᲯᲐᲜᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲐ ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲡ ᲓᲔᲤᲘᲪᲘᲢᲡ 530 ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲘ ᲓᲝᲚᲐᲠᲘᲗ ᲒᲐᲖᲠᲓᲘᲡ

მალე ეს კამპანია კონფუზიდან სკანდალში გადაიზარდა და მინისტრი იძულებული გახდა, თანამოქალაქეებისთვის ბოდიშები ეხადა: „თქვენ უკეთესს იმსახურებთ, მე ბოდიშს გიხდით და პასუხს ვაგებ თქვენ წინაშე ამ პრობლემების აღმოფხვრაზე. მთელ ძალისხმევას დავხარჯავ, რომ საიტის ამუშავების შემდეგ კვლავ დავიმსახურო თქვენი ნდობა“.

ამის შემდეგ დადგა დრო, უვარგისი საიტის გამო თავად ბარაკ ობამას მოეხადა ბოდიშები: „ყველაფერს გავაკეთებთ მათ დასახმარებლად, ვინც მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ“, — პირობა დადო პრეზიდენტმა და დასძინა, რომ ქვეყნის მთავრობას მძიმე სამუშაო ელოდა წინ, მაგრამ არც სებელიუსს და არც ობამას არ აუხსნიათ თანამოქალაქეებისთვის, თუ რატომ არ დაიტესტა ამით საიტი წინასწარ ან რატომ ანდეს მისი შექმნა არა სამამულო კომპანიას, არამედ კანადურ YGI-ს. იქნებ სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ სამუშაოების ღირებულება საბოლოოდ წინასწარ დაგეგმილზე სამჯერ მეტი აღმოჩნდა?! საუბარია 292 მილიონ დოლარზე — ამდენი დაჯდა ზემოხსენებული რესურსი ნაცვლად წინასწარ გათვლილი 93,7 მილიონი დოლარისა.

ცხადია, საიტ Healthcare.gov-ის სამუშაო კონდენციამდე მიყვანისთვის საჭირო ხარჯები არაფერია ამერიკის ბიუჯეტის იმ ხარჯებთან შედარებით, რომლებსაც თავად Affordable Care Act-ის რეალიზაცია ითხოვს. აშშ-ის კონგრესის საბიუჯეტო სამმართველოს მონაცემების თანახმად, 10 წელზე გათვლილი „Obamacare“ ამერიკის გადასახადების გადამხდელთა ჯიბეს 1,76 ტრილიონი დოლარით შეამსუბუქებს. და როგორც ჯერ კიდევ 2012 წელს დაითვალეს ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტის თანამშრომლებმა, **ᲯᲐᲜᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲐ ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲡ ᲓᲔᲤᲘᲪᲘᲢᲡ 530 ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲘ ᲓᲝᲚᲐᲠᲘᲗ ᲒᲐᲖᲠᲓᲘᲡ.**

როდესაც საქმე ამხელა ფულს და საკუთარ პრესტიჟს ეხება, უნებურად ნებისმიერ ხავსს ეჭიდები. დადო რა პირობა, რომ საიტი წლის დასასრულამდე სრული სვლით ამუშავდებოდა, ობამას ადმინისტრაციამ სამუშაოდ მოუხმო არა მხოლოდ ტექნიკურ სპეციალისტებს, არამედ ამერიკელი ცელებრიტების მთელ არმიას ამერიკული პოპ-როკ-ჯგუფის „ Maroon 5“-ის სოლისტის, პლანეტის ყველაზე სექსუალური მამაკაცის, ადამ ლევინის, მეთაურობით. 16 სხვადასხვა ინტერნეტსერვისის წყალობით, დაახლოებით ასი მილიონი ამერიკელის მომცველი ამ მძლავრი პიარკამპანიის მთავარი მიზანი იყო, დაერწმუნებინათ ეს ადამიანები, 2014 წლის 31 მარტამდე შეეძინათ სადაზღვევო პოლისები „Obamacare“-ის ფარგლებში.

იმავე გზით მიაღწია ობამამ მეორე ვადით პრეზიდენტობას — აქტიურ ვირტუალურ ცხოვრებას შეუდგა 16 ინტერნეტსერვისზე. საინტერესოა, რომ Healthcare.gov-თან დაკავშირებული პირველივე პრობლემებისას მის რეკლამირებაში ჩართული ვარსკვლავების უმეტესობამ თავიანთი პიარმენეჯერების რჩევით ჩრდილში დგომა აირჩიეს. და მათი გაგება შეიძლება.

საინტერესოა, საკმარისი იქნება თუ არა ამერიკელი ვარსკვლავების რაოდენობა იმისთვის, რომ მათი ავტორიტეტით დაიჩრდილოს ყველა ის შეცდომა, რომელთაც ბარაკ ობამას ადმინისტრაცია უშვებს, ადმინისტრაცია, რომლის შავბნელმა აურამ უკვე მიაღწია საერთაშორისო კოსმოსური სადგურის ამერიკულ სეგმენტამდეც კი.



fbii.org

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დაიწყო თვით მოსალოდნელი სტიქიური უბედურებების მონიტორინგის სისტემების ლიკვიდაციაც კი, ისეთებისაც კი, როგორიცაა მდინარეების წყალდიდობები და ვულკანური სამსახურები სეისმურად არამდგრად რაიონებში. დროთა განმავლობაში შემცირება უზარმაზარ მასშტაბებს იღებდა: პირველ წელიწადს 85 მილიარდი დოლარი და 110 მილიარდი დოლარი ყოველ მომდევნო წელს.**

# როგორ იქცა ამერიკა მესამე სამყაროს ქვეყნად



**ახლა ქუჩებში გაცილებით უფრო ბნელა, რადგან მუნიციპალურ მთავრობებს განათებისთვის სულ უფრო იშვიათად აქვთ ფული. ნაციონალური პარკები, უკვე ზედიზედ რამდენიმე წელია, იკეტება. ზოგიერთი მათგანი უკვე ნაწილ-ნაწილ იყიდება მათზე, ვინც ბევრს გადაიხდის. ავარიული ან უკვე ჩამონგრეული ხიდების შესახებ ახალი ამბები ჩვეულებრივ ყოველდღიურობად იქცა.**

ჰაერი ერთიმეორის მიყოლებით ყველა ქალაქის თავზე მძიმდება, ბავშვებს შორის ასთმისა და ფილტვის დაავადებების რაოდენობამ კატასტროფულად იმატა, რადგან დაფინანსება, რომელიც გარემოს დაცვის სააგენტოს მიერ დადგენილი ატმოსფეროს სისუფთავის სტანდარტების შენარჩუნებას უზრუნველყოფდა, შორეულ წარსულში დარჩა. სახალხო განათლება შეკვეცილია მინიმუმამდე, რაც კარგ სკოლებს ფუფუნების საგნად აქცევს და, განათლების სამინისტროს მონაცემებით, ყოველი ხუთი მოსწავლიდან ორი საშუალო განათლებას ვერ მიიღებს.

**აი, ასეთი იქნება ამერიკა 2023 წელს, ანუ 10 წლის შემდეგ, გამომდინარე იქიდან, რაც პირველად დაიწყო ბიუჯეტის ყოველმხრივი შეკვეცა, ეგრეთ წოდებული სეკვესტრირება.** ეს გაგრძელდება მთელი 10 წლის მანძილზე და არ დაიშვება გამონაკლისები თვით ეფექტური, ამერიკის ეკონომიკური ჯანმრთელობისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მიმართულებებისთვის, რომლებსაც ისედაც არ ჰყოფნიდა დაფინანსება. მაგალითად, პროფესიული სწავლებისა და ინფრასტრუქტურის ობიექტების რემონტისთვის. სხვაგვარად ვერც იქნებოდა.

**თუ 2023 წლიდან დაბრუნდებიან წარსულში, 2013 წელში, ანუ იმ პერიოდში, როდესაც სეკვესტრი ამოქმედდა, ნახავენ, რომ იმ დროს არავინ იცოდა, კონკრეტულად როგორი იქნებოდა მისი გავლენა, თუმცა მთელს პოლიტიკურ სპექტრში ყველა თანხმდებოდა, რომ ეს გავლენა აუცილებლად ცუდი იქნებოდა. მოხდა ისე, რომ ნგრევის პირველი ნიშნები, რომლებმაც ათ წელიწადში ამერიკა მესამე მსოფლიოს ქვეყნად აქცია, შესაძლებელი იყო, შემჩნეულიყო ძალიან მალე — შემცირების დაწყებიდან სულ რაღაც სამი თვის შემდეგ.**

დროის ამ მოკლე მონაკვეთში რამდენიმე სამთავრობო დაწესებულება, ისეთი, როგორიცაა სამოქალაქო ავიაციის ფედერალური სამმართველო (FAA), რეისების დაყოვნების გამო გაჩაღებული სკანდალის შემდეგ ითხოვდა და მიიღო კიდეც განსაკუთრებული გამონაკლისი. ბუნებრივია, თავდაცვის სამინისტრო თავისი საბრალო 568 მილიარდი დოლარით 2013 წლის ბიუჯეტში ასევე შეუერთდა ელიტურ სიას. მეორე მხრივ, არავინ დაინდო განათლების, გარემოს დაცვისა და სამეცნიერო კვლევებისთვის განკუთვნილი თანხები და მრავალ საზოგადოებაში ამის შედეგი გასაოცრად მალე სახეზე იყო.

**მდგრადი სახელმწიფო ინვესტიციები გასულ საუკუნეში აშშ-ის აყვავების გასაღები იყო. მაშინ ისინი ითვლებოდა „სოციალური კონტრაქტის“ ძირითად ნაწილად, ასევე ეკონომიკის ანბანურ ჭეშმარიტებად. როგორც იმ პერიოდში თითქმის ყველასათვის იყო ცნობილი, მოქალაქეები იხდიდნენ გადასახადებს, რათა დაეფინანსებინათ ღირსეული ინიციატივები, რომლებსაც ეფექტურად და ადეკვატურად ვერ დააკმაყოფილებდა მხოლოდ კერძო სექტორი.**

მაგალითად, ძვირი ჯდება სამეცნიერო კვლევები. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ქვეყანა უდიდესი თანხების ინვესტირებას ახორციელებდა შტატებს შორის ავტობანებში და იმაში, რაც მსოფლიოში განათლების საუკეთესო სისტემად იყო აღიარებული. კარგად დაფინანსებულ სახელმწიფო ლაბორატორიებში ჩატარებულმა კვლევებმა განაპირობა ისეთი გამოგონებები, როგორიც ინტერნეტია. ამის შედეგად გაჩენილი მსოფლიო კლასის ინფრასტრუქტურა, განათლებული სამუშაო ძალა და ტექნოლოგიური რევოლუცია ასაზრდოებდა ჯანსაღ კერძო სექტორს.

## მკაცრი ეკონომიის ციებ-ცხელება

21-ე საუკუნის პირველ წლებში „მკაცრი ეკონომიის“ სასარგებლოდ გაჩენილ მთელ რიგ შეთითხნილ არგუმენტებს ათწლეულობით ატრიალებდნენ და ამან ნაციის ცნობიერება მთლიანად მოიცვა. 2011-2012 წლებში კონგრესმა, რომელსაც, როგორც ჩანდა, ჯერ კიდევ ძალიან ცოტა რამ შეეძლო, ტრილიონობით დოლარი ჩაუშვა იმაში, რასაც შემდეგ „დეფიციტის შემცირება“ დაარქვეს.

სეკვესტრირება ამ განსაკუთრებული დაავადების უცნაური და კერძო შემთხვევა იყო. **ის საყოველთაო შემცირებები, რომლებიც 2011 წლის აგვისტოში დაამტკიცეს და 2013 წლის 2 იანვრიდან განახორციელეს, იყო ის შავი ღრუბელი, რომელიც კონგრესის თავზე გაჩნდა. სეკვესტრი განკუთვნილი იყო არა იმისთვის, რომ მოქმედებაში მოსულიყო, არამედ მხოლოდ იმისთვის, რომ აეძულებინა კანონმდებლები, მოესმინათ გონების ხმისთვის — გამოემუშავებინათ ნაკლებად შემაშფოთებელი გეგმა ათი წლის მანძილზე 1,2 ტრილიონი დოლარის დეფიციტის აღმოსაფხვრელად.** როგორც ახლა უკვე ცნობილია, ისინი ასეც ვერ მოვიდნენ გონზე და სეკვესტრი სინამდვილეში ძალაში შევიდა. მართალია, შემდეგ კონგრესს შეეძლო ამ სეკვესტრის ყოველწლიურად გაუქმება, მაგრამ ქვეყანა უკან აღარ მიბრუნებულა.




ეს იმას არ ნიშნავს, რომ ფედერალური ხარჯების ამ დონეზე შეკვეცა 2013 წელს გამომფიტველად იქცა, მაგრამ უამისოდაც დასუსტებულ ეკონომიკას ნებისმიერი შეკვეცა დააზარალებდა. სეკვესტრი თავიდანვე ყველაფრის გამანადგურებლად იქცა, რადგან ყველა სახელმწიფო ხარჯი განახლებადი ენერგიის შესახებ, კვლევების გრანტებიდან დაწყებული იმუნოდეფიციტის ვირუსის ტესტებით დასრულებული, უნდა შემცირებულიყო ერთნაირი დოზით, თითქოს ეს ყველაფერი მოსაშორებელი ზედმეტი ქონი იყო.

**დაიწყო თვით მოსალოდნელი სტიქიური უბედურებების მონიტორინგის სისტემების ლიკვიდაციაც კი, ისეთებისაც კი, როგორიცაა მდინარეების წყალდიდობები და ვულკანური სამსახურები სეისმურად არამდგრად რაიონებში. დროთა განმავლობაში შემცირება უზარმაზარ მასშტაბებს იღებდა: პირველ წელიწადს 85 მილიარდი დოლარი და 110 მილიარდი დოლარი ყოველ მომდევნო წელს. საბოლოო ჯამში, ეს ათ წელიწადში ტრილიონ დოლარზე მეტის შეკვეცას ნიშნავდა იმ სეკვესტრებზე დამატებით, რომლებიც უკვე ხორციელდებოდა.**

იმ მომენტიდან, რაც კანონმდებლებმა სეკვესტრი კანონის სახით დაამტკიცეს, მათ ერთ წელიწადზე მეტი ჰქონდათ, რომ გონს მოსულიყვნენ, მაგრამ მათ თითიც არ გაუნძრევიათ ალტერნატიული გეგმის შესამუშავებლად და კარს მომდგარი ქაოსის ნიშნები ვერც კი შენიშნეს, ვიდრე ვადის ამოწურვამდე სულ რამდენიმე დღე არ დარჩა. ამის შემდეგ მათ საკუთარ თავს კიდევ ორიოდე თვე მისცეს — 2013 წლის 1 მარტამდე — რათა როგორმე მისულიყვნენ შეთანხმებამდე, რომელსაც მაინც ვერ მოაბეს თავი. ეს ყველაფერი უკვე ძველი ისტორიაა, მაგრამ ამ სისულელის ხელნაწერები ათი წლის შემდეგაც მიიქცევს ყურადღებას.

თუ ვინმეს ახსოვს, ისინი ტვიტერში ჭიკჭიკებდნენ, როდესაც რომი იწვოდა. წარმომადგენელთა პალატის სპიკერი ჯონ ბეინერი, მაგალითად, გზავნიდა ათობით ტვიტს, რათა ეთქვა, რომ ყველაფერზე პასუხისმგებელნი დემოკრატები იყვნენ. „პრეზიდენტმა შემოგვთავაზა სეკვესტრი, შემდეგ 18 თვე ჰქონდა, რომ შემცირებებში პრიორიტეტები განესაზღვრა, მაგრამ არაფერი გააკეთა“, — წერდა იგი და თავადაც, როგორც წესი, არაფერს აკეთებდა.

თავის მხრივ, სენატის უმრავლესობის ლიდერი გარი რიდი საპასუხო ტვიტში წერდა: „ჯერ კიდევ არ არის გვიან, თავიდან ავიცილოთ სახიფათო სეკვესტრი, რომელსაც რესპუბლიკელების უმრავლესობამ მისცა ხმა“. და ეს იქცა მაგალითად ათწლიანი ამერიკული პოლიტიკური ჩიხისთვის, რომელიც ათი წლის შემდეგაც ვერ დაიძლევა.



**ამერიკის რიგ შტატებში სამსახურებიდან დაითხოვეს სახელმწიფო ადვოკატები, რის გამოც ნაკლებშეძლებული ადამიანებისთვის მართლმსაჯულება მიუწვდომელი გახდა**

## ნგრევის დასაწყისი

1 მარტიც დადგა... მერე ამ დღემაც ჩაიარა და საბიუჯეტო გილიოტინამაც დაშვება დაიწყო. **თავიდან ყველაფერი არც თუ ისე ცუდად იყო. შემცირებები იმდენად საყოველთაო არ იყო, როგორსაც ელოდნენ. მაგრამ შემცირება საფუძვლიანი უნდა ყოფილიყო — 2013 წლისთვის 85 მილიარდი დოლარი — და ზუსტად არავინ იცოდა, თუ რა შეიძლებოდა დამართნოდა ცალკე აღებულ თითოეულ პროგრამას.**

აპრილში, სეკვესტრის დაწყებიდან ერთ თვეზე მეტი ხნის შემდეგ, თეთრმა სახლმა გამოაქვეყნა მომავალი წლის საბიუჯეტო პროექტი, ყოველწლიური ეპატაჟური დოკუმენტი, რომელიც ჩვეულებრივ მიმდინარე წლის ფედერალური ხარჯების შესახებ დეტალურ ინფორმაციას შეიცავს. მაგრამ დოკუმენტების ათასობით გვერდზე ბიუჯეტი არ ითვალისწინებდა სეკვესტრს და ამიტომაც მოიცავდა უაზრო ციფრებს, რადგან თვით თეთრ სახლსაც კი არ შეეძლო ზუსტად ეთქვა, თუ რა გავლენას მოახდენდა ეს შემცირებები მთელი ქვეყნის მასშტაბით პროგრამებსა და სახელმწიფო ინვესტიციებზე.

დიდხანს ლოდინი არ გახდა საჭირო შედეგების დასანახად. სამთავრობო დაფინანსების ნაწილის დაკარგვის შედეგად მთელმა რიგმა ონკოლოგიურმა კლინიკებმა ავადმყოფების მიღება შეწყვიტეს, საოჯახო ძალადობის თავშესაფრებმა შეკვეცეს მოღვაწეობა. **მთელ რიგ შტატებში სამსახურებიდან დაითხოვეს სახელმწიფო ადვოკატები, რის გამოც ნაკლებშეძლებული ადამიანებისთვის მართლმსაჯულება მიუწვდომელი გახდა.**

სახელმწიფო სკოლებიდან მასწავლებლები დაითხოვეს. დაბალი შემოსავლების მქონე ოჯახების ბავშვებისთვის განათლებისა და სამედიცინო პროგრამები შეიკვეცა, ზოგიერთ შტატში მიზნობრივი კონტინგენტის გარკვეულმა რაოდენობამ საერთოდ დაკარგა წვდომა ამ პროგრამების მიმართ. **ალიასკაზე დაიხურა ნარკოლოგიური კლინიკა. მთელი ქვეყნის მასშტაბით ღატაკი მო-** ▶

**„ვიჯექი და ვფიქრობდი: ობამა არ ენდობა გენერალ პეტრეუსს, არ ენდობა პრეზიდენტ ყარზაის, არ ენდობა საკუთარ სტრატეგიას და არ თვლის ავღანეთში მიმდინარე ომს თავისად. მისთვის ყველაზე მთავარი იყო ავღანეთიდან წასვლა“.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ ხუცებისთვის სადილების რაოდენობა 4 მილიონით შემცირდა.**

როდესაც დაიწყო ავიადისპეჩერების შემცირებაც და აეროპორტებში რეისების შეფერხების გამო უსასრულო რიგები დადგა, ხალხი განრისხდა. ვაშინგტონში კანონმდებლებმა, რომლებსაც, როგორც წესი, ჩიხში იმწყვდევდა ხოლმე ყველა უბრალო პროცედურა, წარმოუდგენელი ტემპები განავითარეს და სულ რაღაც ხუთ დღეში მიიღეს სპეციალური კანონი პრობლემის გადასაჭრელად. პრობლემა შემდეგნაირად გადაიჭრა: ავიადისპეტჩერების შემცირებების თავიდან ასაცილებლად ნებადართულ იქნა აეროპორტების რემონტის, რეკონსტრუქციისა და მოდერნიზაციისთვის განსაზღვრული ფონდების ათვისება.

**ამის შემდეგ, ცხადია, გამონაკლისი მოითხოვა პენტაგონმაც. საუბარია პლანეტა დედამიწის სამხედრო მონსტრზე, რომელზეც 2013 წელს მსოფლიო სამხედრო ხარჯების 40% მოდიოდა, რომელიც მისი 10 სამხედრო მოწინააღმდეგის საერთო დანახარჯებს აღემატება. მანაც მოითხოვა შემცირების გარკვეული ნაწილისგან გათავისუფლება.**

ხორცის გადამამუშავებელი დარგის სანიტრები, ავიაკომპანიები და თავდაცვის სამინისტრო განსაკუთრებული მოპყრობის ობიექტები გახდნენ, თუმცა ნაციის დანარჩენ ნაწილს ამდენად არ გაუმართლა. საშუალო და მცირედ უზრუნველყოფილი ფენის ოჯახების ბავშვების ცხვირწინ დაიხურა ყველანაირი შესაძლებლობების ფანჯარა. ახალგაზრდები, მოხუცები და ღარიბები გაქრობადი რესურსების მიმართ წვდომის გარეშე დარჩნენ. **საუბარია უბრალო სამედიცინო დახმარებასა და უბრალოდ ცხელ სადილზე. შტატების ფედერალური გრანტები ამოიწურა და შტატების ბიუჯეტებში შემცირდა ფული პირველი რიგის ადგილობრივი საჭიროებებისთვის, პოლიციელებიდან დაწყებული ქუჩების მოკრძალებული განათებით დამთავრებული.**

თუ 2023 წლიდან გადმოხედავენ ქვეყანას, რომელიც ახლა პერმანენტული კრიზისის მდგომარეობაშია, ცხადი იქნება, რომ რუბიკონი 2013 წელს იქნა გადალახული. მაშინ ჯერ კიდევ იყო შანსი, თავიდან აეცილებინათ საყოველთაო საბიუჯეტო შემცირება, რომელიც გაანადგურებდა სოლიდურ სახელმწიფო ინვესტიციებზე დაფუძნებულ ნაციონალურ წყობას. იმ 2013 წლის გზაგასაყარზე ზოგიერთი იბრძოდა მკაცრი ეკონომიის წინააღმდეგ. წააგეს რა ის ბრძოლა, სხვებმა უფრო გონივრულ მიდგომას მიმართეს: **დაეხურათ საგადასახადო ხვრელები ან შეემცირებინათ ფლანგვა ჯანდაცვაში, ან შემოეღოთ გადასახადი ნახშირორჟანგის გამოფრქვევაზე, ან შეემცირებინათ არამართლზომიერი ხარჯები პენტაგონში. მაგრამ ამ ყველაფრის შესახებ ძალზე ცოტა და ძალზე მცირე გავლენის მქონე ამერიკელები გაჰყვიროდნენ, ამიტომაც ვაშინგტონს, უბრალოდ, ვერ მისწვდა ხმა.**

polismi.ru

# პენტაგონის ექსმეთაურმა სამხედრო საიდუმლო გასცა და ობამას შესახებ მთელი სიმართლე თქვა

**აშშ-ის თავდაცვის ყოფილი მინისტრი რობერტ გეიტსი ემზადება თავისი წიგნის წარსადგენად, რაც, როგორც ამბობენ, ედვარდ სნოუდენის გამოაშკარავების შემდეგ ყველაზე მასშტაბურ სკანდალად იქცევა.**



იმ გენერლის გულახდილი მემუარები, რომელმაც ბუშთანაც მოასწრო მუშაობა და ობამასთანაც, ასახავს პრეზიდენტების არც თუ მარტივ ურთიერთობებს უცხოელ კოლეგებთან და საკუთარ მინისტრებთან, ასევე მათს სამხედრო და დიპლომატიურ შეცდომებს, საბედისწეროსაც კი. პენტაგონის ფანჯრებიდან თეთრი სახლის ხედი შემაძრწუნებელი აღმოჩნდა.

მკაცრი გადაწყვეტილებების მომხრე გეიტსი ობამას ადანაშაულებს ყოყმანის გამო ავღანეთის ომის მის მიერვე არჩეულ სტრატეგიაში.

**ექსმინისტრი იხსენებს ობამას გამოხდომას ავღანეთში აშშ-ისა და ნატოს ძალების მორიგი მეთაურის მიმართ.**

**„ვიჯექი და ვფიქრობდი: ობამა არ ენდობა გენერალ პეტრეუსს, არ ენდობა პრეზიდენტ ყარზაის, არ ენდობა საკუთარ სტრატეგიას და არ თვლის ავღანეთში მიმდინარე ომს თავისად. მისთვის ყველაზე მთავარი იყო ავღანეთიდან წასვლა“,** — წერს მემუარებში რობერტ გეიტსი.

თავდაცვის მინისტრი გეიტსი საბოლოო ჯამში ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვინც თანამდებობა ობამას გაპრეზიდენტების შემდეგაც შეინარჩუნეს.

თავად ობამა მას ორ ადმინისტრაციას შორის ხიდს უწოდებდა, მაგრამ საბოლოო ჯამში გეიტსმა წააგო ბიუროკრატიულ ბატალიებში ვიცეპრეზიდენტ ჯო ბაიდენის მიერ სამხედრო მოსამსახურეების წინააღმდეგ გაჩაღებულ ომში.

**თავად გეიტსი ჯო ბაიდენზე წერს: „ეს ღირსეული ადამიანია. მაგრამ თითქმის ყველა საკითხში, რომლებიც საერთაშორისო პოლიტიკას ან ნაციონალურ უსაფრთხოებას ეხებოდა, ტყუოდა. რაც შეეხება ადმინისტრაციის შიგნით შექმნილ მდგომარეობას, მისმა ხელმძღვანელობის უნარმა მიკრომენეჯმენტი და ოპერატიული ჩარევა მისი მუშაობის მთავარ მეთოდად აქცია“.**

ექსმინისტრმა თბილად მოიხსენია სამხედროები და აღნიშნა, რომ სურს, არლინგტონის სასაფლაოზე იმ ჯარისკაცების გვერდით დაასაფლაონ, რომლებიც თავად გაუშვა ავღანეთსა და ერაყში.

პენტაგონის ბებერი ქორი თავს ყველაზე კომფორტულად მასთან სულიერად ახლობელ ჰილარი კლინტონთან გრძნობდა. კლინტონი გულახდილ საუბრებში აღიარებდა, რომ წინასაარჩევნოდ ერაყის ომის გამო ბუშის ადმინისტრაციის კრიტიკა მხოლოდ პოლიტიკური თამაშის ნაწილი იყო. საოცარია, რომ სწორედ იმავეს ეუბნებოდა გეიტსს ობამა, მაგრამ, როგორც კი საქმე აუცილებელი ძალების გამოყოფამდე მიდიოდა, კვლავ ყველაფერი იცვლებოდა.

თეთრი სახლი არ დაეთანხმა გეიტსის მემუარებში ასახულ ხედვას, თავად პრეზიდენტმა კი ჯო ბაიდენის დაცვა გადაწყვიტა და მადლობა გადაუხადა მას ბენ ლადენის ლიკვიდაციისთვის და ჯანდაცვის რეფორმის საკითხებში დახმარებისთვის.

თუმცა ამ არანაკლებ საყოყმანო საკითხებზე მოგონებები ჯერჯერობით საკუთარ რიგს ელოდება.

vesti.ru

# აშშ-ის ფლოტის სამხედრო გემები თვალსა და ხელს შუა «დნებიან»

**2011 წელს აშშ-ის ფლოტმა აღმოაჩინა „აგრესიული“ კოროზია სამხედრო გემ LCS Independence-ის ძრავის ირგვლივ. პრობლემა იმდენად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რომ იძულებულნი გახდნენ, ხომალდი, რომელსაც ჯერ ერთი წელიც არ შესრულებოდა, სასწრაფოდ გაემწესებინათ დოკში კორპუსის ნაწილების შესაცვლელად.**



როგორც გაირკვა, 125-მეტრიანი სამხედრო გემი, ფაქტობრივად, თვალსა და ხელს შუა „დადნა“ დიზაინში ერთი რამის გაუთვალისწინებლობის გამო, რომელსაც თავისი ტექნიკური სახელწოდებაც კი აქვს — „გალვანური კოროზია“. სამოქალაქო მეცნიერები მას უბრალოდ ელექტროლიზს უწოდებენ. ეს ხდება მაშინ, როდესაც ორი სხვადასხვა ლითონი ერთმანეთთან ელექტრონული კონტაქტის შემდეგ სხვადასხვა სიჩქარით იწყებს კოროზირებას.

**„ეს ნიშნავს, რომ ლითონი არა მხოლოდ იჟანგება, ქრება კიდეც“, — ამბობს Independence-ის პრობლემის შესახებ ფლოტის ანალიტიკოსი რეიმონდ პრიტჩეტი.**

უნდა აღინიშნოს, რომ ამ კლასის საბრძოლო გემების (LCS) ბედი არც თუ სახარბიელო აღმოჩნდა. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ფლოტს ჯერ კიდევ არ დაუსრულებია მათი საბრძოლო ვარგისიანობის დასადგენად საკვანძო კვლევები და ვერც დაასრულებს 2016 წლამდე. საერთოდ ამ გემების საბრძოლო ვარგისიანობა უამრავ კითხვას ბადებს. **მიუხედავად ამისა, ამერიკელი გადასახადების გადამხდელები უკვე ანაზღაურებენ სამხედრო კონტრაქტების პირობებით მშენებლობის პროცესში მყოფი 24 ამგვარი გემის შეძენას. ამავე დროს ფლოტი დაიწყებს შემდეგი პარტიის შეძენისთვის მზადებას, რათა მიაღწიოს 52 გემისგან შემდგარ დაგეგმილ რაოდენობას.**



**125-მეტრიანი სამხედრო გემი, ფაქტობრივად, თვალსა და ხელს შუა «დადნა» დიზაინში ერთი რამის გაუთვალისწინებლობის გამო, რომელსაც თავისი ტექნიკური სახელწოდებაც კი აქვს — «გალვანური კოროზია»**

ამავე დროს გაურკვეველია დაგეგმილი სამი „საოპერაციო მოდულის“ ბედი. ისინი ფაქტობრივად წარმოადგენენ იმ აღჭურვილობის შემცვლელ კომპლექტს, რომელიც LCS-გემებს მოთხოვნის შემთხვევაში სანაღმე, სუბმარინებზე მონადირეებად ან მცირე ხომალდებთან საბრძოლველ პლატფორმად გადააქცევს. პირველი მათგანი ყველაზე რთული და ყველაზე კრიტიკულია, ამიტომაც ჯერ საერთოდ ვერ შევიდა საწყისი გამოცდების ფაზაში. მიუხედავად ამისა, აშშ-ის ფლოტი გამოცდამდეც შეიძენს ოთხ ეგზემპლარს. იმ დროისთვის, როდესაც ეს მოდელი საბოლოოდ დაასრულებს გამოცდების პროცესს, 2018 წლისთვის, ფლოტს უკვე, სულ მცირე, 13 ეგზემპლარი ეყოლება.

**აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტის თვალსაზრისით, Independence და სხვა საბრძოლო გემები უნიკალურია. ფაქტობრივად, ისინი უნიკალურად იაფფასიანია. ყოველი გემი 400 მილიონ დოლარზე ნაკლები თუ ეღირება, მაშინ, როდესაც Arleigh Burke-ის კლასის ყოველი ხომალდი მილიარდზე მეტი ჯდება.**

ხომალდების ფასის მინიმუმამდე დასაყვანად მათი დიზაინიდან ამოღებულ იქნა მრავალი რამ, მათ შორის მთავარი კალიბრის იარაღიც. გემის დიზაინიდან ამოკლებული ნაწილების სიაში აღმოჩნდა კიდევ ერთი რაღაც — „კათოდური დაცის სისტემა“, რომელიც სწორედ ელექტროლიზის თავიდან ასაცილებლად იყო განკუთვნილი.

nextbigfuture.com

ბესტსელერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რუსეთისა და ყოფილი სსრკ-ის სხვა ქვეყნების „ჩართვამ“ მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკურ და „დემოკრატიულ“ იდეოლოგიურ სისტემაში გზა გაუხსნა ფართომასშტაბიან გარე გავლენას, ადამიანების ცნობიერების მანიპულაციას და „მსოფლიო მთავრობის“ აგენტების მიერ ჩვენი ერების მართვას.**

ჯონ კოლემანი

# «300-თა კომიტეტი»

## წინასიტყვაობა




**მკითხველისთვის შემოთავაზებული წიგნი მიუკერძოებლად, ობიექტურად და მტკიცებულებების თანხლებით აშუქებს კაცობრიობის მიმართ მტრული ძალების დამანგრეველ საქმიანობას, რომლებიც საკუთარ მიზნებს ახორციელებენ. მათგან ერთ-ერთია ადამიანების დამონება მსოფლიოს მასშტაბით, გლობალური მართვისა და კონტროლის მეშვეობით, რომელიც ბევრისთვის „ახალი მსოფლიო წესრიგის“ სახელითაა ცნობილი.**

წიგნში უმდიდრესი ფაქტობრივი მასალის საფუძველზეა ახსნილი ამ გლობალური ჩანაფიქრის განმახორციელებელთა ორგანიზაციულ-სოციალური სტრუქტურა, საზოგადოების მართვის მექანიზმები, ადამიანთა ინდივიდუალურ და კოლექტიურ ცნობიერებაზე ზემოქმედების საშუალებები, ადამიანებით მანიპულირების მასშტაბები, ინფორმაციულ-პროპაგანდისტული საქმიანობის აგრესიული მეთოდები, როგორიც თვით გებელსის უწყებასაც კი არ დასიზმრებია; ჩამოთვლილია ასე თუ ისე აშკარა დანაშაულები, რომლებიც საიდუმლო და დაუპატიჟებელმა მსოფლიო წესრიგმა ჩაიდინა.

**დივერსიის მასშტაბები განმაცვიფრებელია: დაპყრობილია და მკაცრად კონტროლდება ყველა სახელმწიფო, ფინანსურ-ეკონომიკური, საგანმანათლებლო და სხვა საზოგადოებრივი ინსტიტუტები. მეტიც, ტოტალური კონტროლი ხორციელდება არა მხოლოდ საზოგადოებრივ დონეზე, არამედ დაყვანილია ყოველი პიროვნების ცნობიერების ინდივიდუალური კონტროლის დონემდე. ამ ძალების დანაგრეველ საქმიანობას საფუძვლად ცვლილების პრინციპი უდევს. მიზანმიმართულად, გეგმაზომიერად და შეუქცევადად იცვლება ყველაფერი – ადამიანის გენოტიპიდან და მისი გარემოდან დაწყებული, მენტალიტეტითა და ცნობიერებით, ქცევის ტრადიციული, ბუნებრივი და ჩვეული სტერეოტიპებით დამთავრებული. კაცობრიობის წინააღმდეგ შეტევა ფართო ფრონტით მიმდინარეობს.** ამასთან, ავტორს ძალიან ზუსტად აქვს აღნიშნული ფუნდამენტური კანონზომიერება, რომელიც „300-თა კომიტეტის“ წევრებს საშუალებას აძლევს, დარჩნენ შეუმჩნეველნი და დაუსჯელები — ეს არის კაცობრიობის მტრის მიერ განხორციელებული ცვლილებების თანმიმდევრულობა და შეუმჩნევლობა.

წიგნის შინაარსიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ **დასავლეთის საზოგადოება, რომელშიც ჩართვას ასე ჯიუტად გვიპირებენ „დემოკრატები“ და „ლიბერალები“, ამჟამად ყველა იპოსტასს, მათ შორის, უპირველესად, სახელმწიფო-პოლიტიკურ წყობას, სრულად აკონტროლებს მსოფლიო ქსელი, რომელიც ერთიანი ცენტრიდან მართული ღია და დახურული** (საიდუმლო და გასაიდუმლოებული) **ორგანიზაციების, ინსტიტუტების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და სხვა სტრუქტურებისგან შედგება და რომელსაც ავტორმა „300-თა კომიტეტი“ დაარქვა.** აღმოსავლურ და აზიურ საზოგადოებებს „300-თა კომიტეტმა“ უკვე მიაკუთვნა მორჩილი „მოსამსახურის“ როლი. ასე რომ, მთელი მსოფლიო უკვე მის ფეხქვეშაა.

რუსეთსა და დსთ-ს სხვა ქვეყნებში მიმდინარე მოვლენების გამო წიგნი განსაკუთრებით აქტუალურია ჩვენი მკითხველისთვის და უამრავი პარალელისა და ანალოგიის გატარების საშუალებას გვაძლევს დასავლეთსა და მსოფლიოში უკვე ჩავლილ ხმაურიან მოვლენებსა და იმას შორის, რაც ჩვენში ახლა ხდება. **რუსეთისა და ყოფილი სსრკ-ის სხვა ქვეყნების „ჩართვამ“ მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკურ და „დემოკრატიულ“ იდეოლოგიურ სისტემაში გზა გაუხსნა ფართომასშტაბიან გარე გავლენას, ადამიანების ცნობიერების მანიპულაციას და „მსოფლიო მთავრობის“ აგენტების მიერ ჩვენი ერების მართვას.** წიგნს პატრიოტულად განწყობილი მკითხველის ცნობიერება გარკვეულ სიმაღლეზე აჰყავს, უფლებას აძლევს, სისტემურად და კომპლექსურად შეხედოს თანამედროვეობისა და ახლო წარსულის ბევრ მოვლენას.

ავტორი არ მალავს საკუთარ პოზიციას — **წიგნი გამსჭვალულია ანგლოსაქსური, პროტესტანტული, თავისუფლებისმოყვარული და ამერიკის თეთრკანიანი პირველმოსახლის მეამბოხე სულით და ამ მხრივ იგი უდავოდ თავისი ქვეყნისა და ერის პატრიოტია.** თუმცა ეროვნული ინტერესის ამგვარი დაცვა მასვე ზღუდავს: პრობლემის განხილვის უმაღლესი, ჭეშმარიტად გლობალური დონე ავტორისთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა. სიმართლე კი ისაა, რომ სრულიად საიდუმლო „300-თა კომიტეტის“ უკან (რომელსაც, სხვათა შორის, ავტორმა უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანო უწოდა, ჩნდება კითხვა: ვისი ან რისი ორგანო?) არსებობენ მართლაც საიდუმლო, ძლევამოსილი და კაცობრიობის მიმართ უკიდურესად მტრულად განწყობილი ძალები. ეს ძალები არ არიან მიბმული წარმავალ ფორმებსა და ორგანიზაციულ სტრუქტურებზე, მათთვის „300-თა კომიტეტიც“, მასში შემავალი და მას დაქვემდებარებული მრავალრიცხოვანი ორგანიზაციებიც მხოლოდ შირმას, საკუთარი არაადამიანური ჩანაფიქრების განხორციელების მოსახერხებელ და დროულ ფორმას წარმოადგენს. ასეთი საიდუმლო ძალების მოუწყვლადობა, როგორც ისტორია გვიჩვენებს, მომდინარეობს მათ მიერ არაერთხელ ნაჩვენები უნარისგან — იოლად იცვალონ ფორმა კონკრეტული ცხოვრებისეული, სოციალურ-ისტორიული და სხვა პირობების ცვლილების კვალდაკვალ.

ავტორის უდავო დამსახურებად უნდა ვცნოთ საიდუმლო ძალების საქმიანობის თანამედროვე ფორმების გამოვლენა (ორგანიზაციული სტრუქტურებისა და მათი საქმიანობის აღწერით დაწყებული და კაცობრიობის შემდგომი განვითარების გზის გრძელვადიანი დაგეგმარებისა და პროგრამირების ასპექტებით დამთავრებული), რომელიც კაცთა მოდგმის მიერ არის მომზადებული. ფასეულია ისიც, რომ ავტორი გვიჩვენებს ამერიკულ საზოგადოებას შიგნიდან, იმ საზოგადოებას, რომელიც მთელი დასავლური სამყაროს ციტადელსა და ღერძს წარმოადგენს.

**წიგნი დიდწილად აღიქმება, როგორც სახელმძღვანელო ღრმად დაფიქრებისთვის, რეალობის გადახედვისთვის. დაბოლოს, პატრიოტულად და დამოუკიდებლად მოაზროვნე ადამიანებს მოქმედებისკენ უხმობს, სასწრაფო და გადაუდებელი მოქმედებისკენ, რადგანაც ხვალ ჭეშმარიტად გვიანი იქნება, რამეთუ ხვალინდელი დღე კაცობრიობისთვის შეიძლება აღარ დადგეს.**

წიგნი თარგმნილია 1992 წლით დათარიღებული მე-2 გამოცემის მიხედვით.

**წარმოიდგინეთ ყველაზე ძლევამოსილი ჯგუფი, რომელიც არ ცნობს არანაირ ეროვნულ საზღვრებს და მოიცავს საბანკო საქმეს, დაზღვევას, ქვანახშირის მოპოვებას, მედიკამენტებით ვაჭრობას, ნავთობის მრეწველობას და რომლის წევრებიც პასუხისმგებელნი არიან მხოლოდ ამ ჯგუფის წევრების წინაშე.
ეს არის „300-თა კომიტეტი“.**



## შეთქმულთა იერარქია: «300-თა კომიტეტის» ისტორია

**დაზვერვის ოფიცრის კარიერის მანძილზე არაერთხელ გავცნობივარ მკაცრად გასაიდუმლოებულ დოკუმენტაციას, მაგრამ ანგოლაში ოფიცერ-პოლიტოლოგად ჩემი მუშაობის პერიოდში საშუალება მომეცა, შემესწავლა სრულიად საიდუმლო დოკუმენტები, რომელთა შინაარსიც უჩვეულოდ გულწრფელი იყო. იმან, რაც დავინახე, რისხვითა და აღშფოთებით ამავსო და დავადექი გზას, რომლიდანაც აღარ გადამიხვევია — მიზნად დავისახე, ყველასთვის მეჩვენებინა, თუ რა ძალა აკონტროლებს და მართავს დიდი ბრიტანეთისა და შეერთებული შტატების ხელისუფლებებს.**

მე კარგად ვიცნობდი ყველა ცნობილ საიდუმლო საზოგადოებას, როგორებიცაა **„საერთაშორისო საქმეთა სამეფო ინსტიტუტი“** (Royal Institute for International Affairs (RIIA)), **„საერთაშორისო ურთიერთობათა საბჭო“** (the Council on Foreign Relations (CFR)), **„ბილდერბერგის კლუბი“** (the Bilderbergers), **„სამმხრივი კომისია“** (Trilaterals), **„სიონისტები“** (the Zionists), **„მასონობა“** (Freemasonry), **„ბოლშევიზმ-როზენკრეიცერობა“** (Bolshevism-Rosicrucianism) და ასევე ამ საიდუმლო საზოგადოებების ყველა განშტოებას. დაზვერვის სამსახურის ოფიცრად ყოფნისას და მანამდეც, სტუდენტობისას, როდესაც ლონდონში ბრიტანული მუზეუმის ბიბლიოთეკაში ვმეცადინეობდი, სრულად შევისწავლე ხელმისაწვდომი ინფორმაცია ამ საზოგადოებებისა და ბევრი სხვა ორგანიზაციის შესახებ, რომლებიც, როგორც მეგონა, ამერიკელებისთვის ცნობილი უნდა ყოფილიყვნენ.

მაგრამ, როდესაც 1969 წელს შეერთებულ შტატებში ჩამოვედი, აღმოვაჩინე, რომ ისეთი დასახელებები, როგორიც **„წმ. იოანე იერუსალიმელის ორდენი“** (the Order of St. John of Jerusalem), **„რომის კლუბი“** (Club of Rome), **„მარშალის** ▶

მოკლედ

## ფანტაზიას გასაქანი ხომ უნდა მისცენ?!

**ყოფილი გენერალური პროკურორი ოთარ ფარცხალაძე ალაპარაკდა და იმ მიზეზებზეც ისაუბრა, რომელთა გამოც სამსახურიდან რამდენიმე ადამიანი გაუშვა. გათავისუფლებულმა პროკურორებმა განაცხადეს, რომ ფარცხალაძემ ისინი შეგნებულად მოხსნა, რათა სერიოზული საქმეებისთვის ჩამოეცილებინა. საკუთარ გადაწყვეტილებას ნამთავარპროკურორალი ასე განმარტავს:**

„ერთ-ერთი პროკურორი, ნოზაძე, ამბობდა, რომ სერიოზული საქმე მებარა და იმ საქმისთვის რომ ჩამოვეცილებინე იმიტომ გამიშვესო. მე რომ მივედი, იმ სალამოს ფიზიკური დაპირისპირება მოხდა მთავარ პროკურატურაში. ამ ნოზაძემ ერთ-ერთი პროკურორი დახატა ფოტოშოპში შიშველი, უხერხულ სიტუაციაში, თითქოს ცხენი მასთან სექსუალურ ურთიერთობას ამყარებდა. ეს რომ იმ პროკურორმა ნახა, რომელიც სურათზე იყო დახატული, გაგიჟდა, ასაკოვანი კაცია“.

**რა არის ამაში გასაკვირი? რაც ხმარებიდან „დუბინკა“ და ცოცხი ამოიღეს, ქველმა ძალოვანებმა ფანტაზიას გასაქანი ხომ უნდა მისცენ?!**



**ხალხი ცხოვრობს სრულ სიბნელეში, დიდწილად სრულებით არ ღელავს იმაზე, თუ საით მიექანება ქვეყანა და მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ მას არასოდეს არაფერი დაემართება. მოსახლეობის უდიდეს ნაწილში სწორედ ასეთი ცხოვრებისეული პოზიცია იყო აღზრდილი და ეს პოზიცია პირდაპირ უწყობს ხელს საიდუმლო მთავრობას.**

ბესტსელერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



◀ **გერმანული ფონდი“** (the German Marshall Fund), **„ჩინის ფონდი“** (the Cini Foundation), **„მრგვალი მაგიდა“** (the Round Table), **„ფაბიანის საზოგადოება“** (Fabianists), **„ვენეციური შავი არისტოკრატია“** (the Venetian Black Nobility), **„მონ პელერინის საზოგადოება“** (the Mont Pelerin Society), **„ჯოჯოხეთური ცეცხლის კლუბი“** (Hellfire Clubs) და ბევრი სხვა აქ სრულიად უცნობი იყო ან, უკეთეს შემთხვევაში, მათი ნამდვილი დანიშნულება ცუდად ან საერთოდ არ ესმოდათ.

1969-1970 წლებში გადავწყვიტე, გამომესწორებინა ეს ვითარება და მონოგრაფიებისა და აუდიოჩანაწერების სერია გამოვუშვი. ჩემდა გასაკვირად, მალევე აღმოვაჩინე უამრავი ხალხი, რომლებიც ხალისით ციტირებდნენ ამ დასახელებებს, თითქოს მთელი თავისი სამწერლო კარიერის მანძილზე იცოდნენ მათ შესახებ. ამასთან, ისინი სრულიად ვერ ერკვეოდნენ საკითხის არსში და არ სურდათ, მიეთითებინათ ამ ახლახან გახმაურებული ინფორმაციის წყარო. მე თავს ვიმშვიდებდი იმით, რომ მიბაძვა შექების ყველაზე გულწრფელი ფორმაა.

გამოძიებას კი ძველებური ენერგიით განვაგრძობდი, ჩემსა და ჩემს ცოლზე თავდასხმის, ფინანსური დანაკარგების, მუდმივი წნეხის, მუქარისა და ცილისწამების რისკის პირისპირ. ეს ყველაფერი იყო ჩემ წინააღმდეგ სათანადოდ შემუშავებული და მიმართული დისკრედიტაციის პროგრამის ნაწილი, რომელსაც ახორციელებდნენ სახელისუფლო აგენტები და ინფორმატორები, რომლებიც ჩანერგილები იყვნენ ე.წ. ქრისტიანი მემარჯვენეების მოძრაობაში (Christian rightwing), „პიროვნულობის განსამტკიცებლად“ (Identity Movement) და მემარჯვენე „პატრიოტულ“ ჯგუფებში. ეს აგენტები მოქმედებდნენ და აგრძელებენ მოქმედებას იუდაიზმის მიმართ ძლიერი, უშიშარი და ღია წინააღმდეგობის ნიღბის ქვეშ ვითომ მათი მთავარი მტრის მიმართ, რაშიც ჩვენს დარწმუნებას ცდილობენ. ეს აგენტ-ინფორმატორები ჰომოსექსუალთა ჯგუფის ხელმძღვანელობითა და კონტროლით მოქმედებენ, რომლებიც ძალიან უყვართ და რომელთაც პატივს სცემენ პოლიტიკური და რელიგიური კონსერვატორები შეერთებული შტატების მთელ ტერიტორიაზე.

**მათი ცილისწამების, ტყუილის, სიძულვილისა და დეზინფორმაციის პროგრამა ჩემი საქმიანობის მიმართ, ბოლო დროს კი ჩემი ნაშრომების სხვათათვის მიწერა დაუღალავად გრძელდება, მაგრამ აქამდე ვერ მიაღწია სასურველ ეფექტს. მე კვლავაც განვაგრძობ ჩემი ამოცანის შესრულებას, ვიდრე ბოლომდე არ ჩამოვგლეჯ ნიღაბს უმაღლეს დონეზე მოქმედ ხელისუფლებას, რომელიც მართავს დიდ ბრიტანეთსა და შეერთებულ შტატებს, ეს წიგნი კი ჩემი შრომის ნაწილია.**

დოქტორი
**ჯონ კოლემანი**
1991 წ., ნოემბერი.

# ზოგადი მიმოხილვა და ზოგიერთი მაგალითი

**ბევრმა თქვენგანმა დანამდვილებით იცის, რომ ადამიანები, რომლებიც ჩვენს მთავრობაში მუშაობენ, არაფერს წყვეტენ პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებზე როგორც შიდა, ასევე საგარეო პოლიტიკაში.** ეს ბევრს უბიძგებს, ეძებონ სიმართლე ალტერნატიულ პრესაში, საინფორმაციო ბიულეტენების იმ ავტორებთან, რომლებიც ჩემსავით ეძებდნენ, მაგრამ ყოველთვის ვერ პოულობდნენ შეერთებული შტატების მომაკვდინებელი სენის ფესვებს. ფორმულა „ეძიებდეთ და ჰპოვებდეთ“ ყოველთვის არ ჭრიდა ამ ჯგუფისთვის. რაც ჩვენ ნამდვილად აღმოვაჩინეთ, არის ის, რომ **ხალხი ცხოვრობს სრულ სიბნელეში, დიდწილად სრულებით არ ღელავს იმაზე, თუ საით მიექანება ქვეყანა და მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ მას არასოდეს არაფერი დაემართება. მოსახლეობის უდიდეს ნაწილში სწორედ ასეთი ცხოვრებისეული პოზიცია იყო აღზრდილი და ეს პოზიცია პირდაპირ უწყობს ხელს საიდუმლო მთავრობას.**



ჩვენ ხშირად გვესმის, რომ „მათ“ გააკეთეს „ეს“ ან „ის“. გვეჩვენება, რომ „მათ“ ეს ყველაფერი შერჩებათ, მკვლელობაც კი. „მათ“ გაზარდეს გადასახადები, „ისინი“ აგზავნიან ჩვენს შვილებს ომებში — სასაკლაოზე, რომლებსაც ჩვენი ქვეყნისთვის არანაირი სარგებელი არ მოაქვს. თითქოს „ისინი“ ყოველთვის ჩვენი თვალსაწიერის მიღმა არიან, და როდესაც „მათ“ წინააღმდეგ რაიმე კონკრეტული ქმედების განხორციელებას აპირებენ, „ისინი“ ლანდებივით ქრებიან. თითქოს არავის შეუძლია დანამდვილებით თქვას, ვინ არიან „ისინი“. ასეთი მდგომარეობა გრძელდება უკვე ათწლეულების მანძილზე. წიგნის კვალდაკვალ ჩვენ დავადგენთ, ვინ არიან ეს იდუმალი „ისინი“, ხოლო ამის შემდეგ თავად ხალხი გადაწყვეტს, თუ როგორ გამოასწოროს მდგომარეობა.

1981 წლის 30 აპრილს მე დავწერე მონოგრაფია, რომელმაც ფარდა ახადა „რომის კლუბის“ არსებობას, განსაზღვრა იგი, როგორც „300-თა კომიტეტის“ ორგანო, რომელიც დივერსიებს აწყობს. შეერთებულ შტატებში ეს პირველი პუბლიკაცია იყო ამ ორი ორგანიზაციის შესახებ. მე ვთხოვე მკითხველს, არ დაეჭვებულიყო, რომ ეს სტატია სინამდვილისგან შორს იყო და გავავლე პარალელი ჩემს სტატიასა და ბავარიული ხელისუფლების მიერ გაკეთებულ გაფრთხილებას შორის, როდესაც მათ ხელში ჩაუვარდა „ილუმინატების“ საიდუმლო გეგმები. შემდეგ წიგნში ჩვენ დავუბრუნდებით „რომის კლუბს“ და „300-თა კომიტეტის“ როლს აშშ-ის პოლიტიკაში.

1981 წლის სტატიაში გაკეთებული ბევრი პროგნოზი უკვე გამართლდა: მაგალითად, ესპანეთის პრემიერმინისტრის პოსტზე უცნობი პოლიტიკოსის, ფელიპე გონსალესის, დანიშვნა, საფრანგეთში მიტერანის ხელისუფლებაში დაბრუნება, ჟისკარ დ'ესტენისა და ჰელმუტ შმიდტის დამხობა, შვედი არისტოკრატისა და „300-თა კომიტეტის“ წევრის, ულოფ პალმეს, ხელისუფლებაში დაბრუნება, რეიგანის პრეზიდენტობის შედეგების განადგურება და ასევე აშშ-ის ინდუსტრიის ისეთი დარგების ნგრევა, როგორებიცაა ფოლადის, საავტომობილო და სამშენებლო ინდუსტრიები, რაც „300-თა კომიტეტის“ მითითებით ჩატარებულ პოსტინდუსტრიული ნულოვანი ზრდის პოლიტიკის შედეგად განხორციელდა.

პალმეს მნიშვნელოვანი როლი მდგომარეობდა იმაში, რომ „რომის კლუბმა“ გამოიყენა ის საბჭოთა კავშირისთვის ტექნოლოგიების მიწოდებისთვის, რაც აკრძალული იყო აშშ-ის საბაჟო კანონმდებლობით; გამოიყენა, აგრეთვე, მსოფლიო კავშირების ქსელში, ირანში მძევლებთან დაკავშირებულ ფსევდოკრიზისზე საერთო ყურადღების გადასატანად; როდესაც პალმე მიმოდიოდა ვაშინგტონსა და თეირანს შორის, ცდილობდა, დაერღვია აშშ-ის სუვერენული ერთიანობა და ფსევდოკრიზისი „300-თა კომიტეტის“ ერთ-ერთი დაწესებულების, კერძოდ, ჰოლანდიაში ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციის ქვეშ გადაეცა.

**ღმერთისა და ადამიანის წინააღმდეგ ღია შეთქმულება, რომელიც მოიცავს ომების, კატასტროფებისა და მასობრივი მკვლელობების შემდეგ ცოცხლადდარჩენილი ხალხის უმრავლესობის დამონებას, დაუფარავად მოქმედებს. მზვერავებს წესად აქვთ: რამის დამალვის საუკეთესო ხერხია მისი გამოსაჩენ ადგილზე დადება. მაგალითად, როდესაც 1938 წელს გერმანიას ახალი სუპერგამანადგურებლის, „მესერშმიდტის“ შესახებ ინფორმაციის დამალვა სურდა, თვითმფრინავი პარიზის საავიაციო გამოფენაზე გაიტანეს. იმ დროს, როდესაც საიდუმლო აგენტები და ჯაშუშები ინფორმაციას აგროვებდნენ და გადასცემდნენ საიდუმლო ადგილების, ხის ფუღუროებისა და აგურის კედლების გამოყენებით, ინფორმაცია, რომელზეც ისინი ნადირობდნენ, ცხვირწინ ედოთ.**

გაგრძელება
შემდეგ ნომერში




## პროკურატურის საცხობი

ბაჩანა ახალაიასთვის ახალი ბრალის წაყენებამ, როგორც ჩანს, მისი კოლეგა (ყოფილიც და მოქმედიც) ივანე მერაბიშვილი გააბრაზა. შეგახსენებთ, რომ ახალაიას 2006 წელს ჩადენილ ქმედებას ედავებიან, რასაც, საბოლოო ჯამში, სამი ადამიანის ჩაცხრილვა მოჰყვა. როგორც ჩანს, ერთი ადგილი **ვანო მერაბიშვილსაც აეწვა და მან სასწრაფო წესით განცხადება გაავრცელა.**

„უკვე ერთ წელზე მეტია, რაც ბაჩო ახალაია წინასწარ პატიმრობაში იმყოფება. ამ დროის განმავლობაში ივანიშვილის მთავრობამ და პროკურატურამ მას არაერთი ბრალი წაუყენა, თუმცა ბაჩოს წინააღმდეგ სასამართლოში განხილულმა ყველა საქმემ სრული კრახი განიცადა. მიუხედავად ამისა, პროკურატურა ყველა შესაძლო კანონიერი თუ უკანონო მეთოდით განაგრძობს მისთვის წინასწარი პატიმრობის გახანგრძლივების მცდელობას. თითოეული წარუმატებელი საქმის შემდეგ პროკურატურა ახალ ბრალდებას აცხობს“, — წერს მერაბიშვილი.

**ბატონო ვანო, ბრალდებების ეგ საცხობი თავის დროზე რომ დაგეხურათ, ეგებ ახლა მანდ არ ყოფილიყავით არც ერთი?!**



იუბილე

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქცია ულოცავს სახელოვან ქართველ მეცნიერს, ექიმს, საზოგადო მოღვაწესა და მამულიშვილს ბატონ ფრიდონ თოდუას 70 წლის იუბილეს და უსურვებს ულევ სიხარულს, ბედნიერებასა და გამარჯვებებს ჩვენი სამშობლოს სასახელოდ.**

# ფრიდონ თოდუა — 70

**ბატონი ფრიდონ თოდუა რომ სუპერპროფესიონალი ექიმია მოწოდებით, ცხოვრების წესით, საყოველთაოდ ცნობილია.**
**ბატონი ფრიდონ თოდუა რომ სანიმუშო ადამიანია, კეთილი, გულმოწყალე, მხარში ამომდგომი, საქართველოში ყველამ იცის.**
**ბატონი ფრიდონ თოდუა, როგორც მედიცინის უბადლო ორგანიზატორი, აღიარებული რომაა საქართველოშიც, რუსეთშიც და ექიმთა საერთაშორისო საზოგადოებაშიც, ესეც ფაქტია.**

პირველი სტაციონარული ტომოგრაფი ბატონ ფრიდონს 90-იანი წლების დასაწყისში ჩამოაქვს თბილისში, ისეთი, რომელიც მაშინ სამედიცინო ტექნიკის უმაღლეს მიღწევად ითვლებოდა. შარშან კი 640-შრიანი ულტრათანამედროვე ტომოგრაფი შეიძინა და დაამონტაჟა თავის ინსტიტუტში, რომელიც ბევრი ევროპული კლინიკისთვის მხოლოდ ხვალინდელი დღეა.

არნახული ამპლიტუდაა, გნებავთ, ნახტომი წარსულის შედარებითი სიმარტივიდან დღევანდელ სუპერთანამედროვეობამდე.

მანამდეც არაერთი სიახლე დაინერგა თოდუას კლინიკაში, და განსხვავებით საზოგადოებრივ-პოლიტიკური სფეროსგან, რომელშიც „სექონდ ჰენდის“ პროვინციული მეორადობა მძლავრობს, პროგრესის ტონის მიმცემი, მნიშვნელოვანი ცენტრი გახდა არამარტო რეგიონის მასშტაბით, არამედ მსოფლიოს მედიკოსთა თანამეგობრობისთვისაც.

იშვიათი შემთხვევაა! საამაყო თავისი გამონაკლისობით და უმეტესად სასურველი.

**უამრავ გაჭირვებულს ეხმარება ბატონი ფრიდონი.**

**— ჩვენს ფულს როგორც გვინდა, ისე დავხარჯავთ – ადამიანებს მოვახმართ, უწინარეს ყოვლისა, და არავითარ შემთხვევაში არ გავმდიდრდებით მოსახლეობის ხარჯზე.**

ასეთი მორალის პატრონია. სოვდაგრის პრინციპები შორსაა ამ მაღალი ზნეობის კაცისგან.

ამ ყველაფრის შესახებ ილაპარაკეს 9 იანვარს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის საგანგებო სხდომაზე, სადაც ღირსეულად აღნიშნეს ბატონ ფრიდონ თოდუას საიუბილეო 70 წელი.

სხვა ბევრი სიკეთეც თქვეს და მაინც ვერ ამოწურეს მისი მამულიშვილური მოღვაწეობის მასშტაბურობა და მრავალფეროვნება **აკადემიის პრეზიდენტმა ოთარ კვესიტაძემ, ვიცეპრეზიდენტმა როინ მეტრეველმა, აკადემიკოსებმა ვლადიმერ პაპავამ, რომან შაქარაშვილმა, გუჩა კვარაცხელიამ, პროფესორმა რევაზ გაგუამ, ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ ბაკურ გულუამ.**

სხდომის დამთავრებისთანავე ვკითხე ბატონ **ოთარ კვესიტაძეს:**

**— აკადემიის პრეზიდიუმის საგანგებო სხდომის მიძღვნა კოლეგის სიუბილეო თარიღისთვის იშვიათი მოვლენაა. რამ გადაგაწყვეტინათ?**

— დავიწყებ იმით, რომ ბატონი ფრიდონი წლების განმავლობაში იყო აკადემიის პირველი ვიცეპრეზიდენტი. ეს იყო ურთულესი წლები, როცა ყველა ემუქრებოდა აკადემიას დახურვით. სამწუხაროდ, ამის ნარჩენი განწყობილებები დღესაც არ არის ბოლომდე აღმოფხვრილი... იმ დროს ბატონი ფრიდონის თავდაუზოგავმა და პრინციპულმა პოზიციამ (მაშინ ბატონი ფრიდონი პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეც იყო), მისმა ჭეშმარიტმა თანადგომამ აკადემიას უდიდესი საქმე გაუკეთა. აკადემია დღეს რომ არსებობს, ამაში მისი წონადი წვლილი არის. საგანგებო სხდომა კი არა, მეტის ღირსია ამიტომ.

შემდეგ: იგი ჭეშმარიტი აკადემიკოსია; არის ყველა ჩვენგანის მკურნალი. ყველა, ვინც აქ ზის, მისი პაციენტია.

— **თანაც უანგარო მკურნალი!**

— აბსოლუტურად! არავის არასოდეს შაური არ გადაუხდია.

**— არც გამოართმევდნენ.**

— რასაკვირველია! ავ-კარგიანი კაცია. მიმაჩნია, რომ იგი იმსახურებდა იმ პატივს, რომელიც დღეს მას მივაგეთ. ეს ხშირად არ ხდება, რა თქმა უნდა.

**P.S. სხდომის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე ბატონ ფრიდონს დაურეკა სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა ილია II-მ, მიულოცა დაბადების დღე და აცნობა, რომ იგი — ფრიდონ თოდუა — დაჯილდოებულია წმინდა გიორგის ორდენით.**

**არმაზ სანებლიძე**



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ილია II გადასცემს წმინდა გიორგის ორდენს ფრიდონ თოდუას

## კაცი!

**დიდი ხნის წინათ ერთ ჩემს მეგობარს სამედიცინო დახმარება დასჭირდა და მოსკოვს გაემგზავრა. იმ დროს მეც იქ აღმოვჩნდი და მისი თხოვნით კონსულტაცია გავიარე კომპეტენტურ ადამიანებთან, რჩევა ვიკითხე საუკეთესო მკურნალის შერჩევის თაობაზე. ლეგენდარულმა ქირურგმა-აკადემიკოსმა, თბილისში დაბადებულ-გაზრდილმა ვლადიმერ ბურაკოვსკიმ რომ მოისმინა უარყოფითი პასუხი მის მიერ დასმულ შეკითხვაზე, ვიცნობდი თუ არა ფრიდონ თოდუას, მირჩია: გაიცანი და ანდე შენი მეგობრის ჯანმრთელობა, ჩინებული ექიმი, ერთობ საიმედო კაციაო!**

**ახლაც მახსოვს, რა ინტონაციით მითხრა: ჩინებული ექიმი!.. საიმედო კაცი!**

**მას შემდეგ გავიდა ნაცნობობის, თანამშრომლობისა და მეგობრობის 35 წელიწადი.**

**და ამ ხნის მანძილზე არ მახსოვს, ყოფილიყო ისეთი შემთხვევა, რომელიც სულ მცირე, პაწაწინა ეჭვს შეიტანდა დიდი ვლადიმერ ბურაკოვსკის რეკომენდაციაში.**

**ფრიდონ თოდუა დიდი დასტაქარია!**

და ეს იცის არამარტო სამედიცინო საზოგადოებამ და მთელმა საქართველომ, არამედ უამრავმა კოლეგამ, მეცნიერმა-მედიკოსმა ძალიან ბევრ ქვეყანაში!

**ფრიდონ თოდუა ნაღდი კაცია, უღალატო მეგობარი!**

და ბევრ ადამიანს რეალურად გამოუცდია მისი ექიმობის შედეგი, რაც პირდაპირ კავშირშია მის ვაჟკაცურ ბუნებასთან, რისკთან, გაბედულებასთან, უანგარობასთან. და ყველაფერი ეს იმაზე ღაღადებს, რომ იგი მართლაც დასაყრდენია, გაჭირვებულის დამხმარე, უშურველი! ასევე უღალატოა მეგობრების მიმართ. და მის ამ თვისებაზე არა და არ მოქმედებს არც პოლიტიკური კონიუნქტურა და არც ბიოგრაფიულ-კარიერული გარდატეხები.

ამ ხნის მანძილზე მასთან დაკავშირებით, ზემოჩამოთვლილის გარდა, კიდევ ბევრი სასიამოვნო და დასაფასებელი „აღმოჩენა“ გაკეთდა. და მათგან უმთავრესად დასაფასებელია ის, რომ

**ფრიდონ თოდუა საქმის(!) კაცია — საქმისმკეთებელი, სხვისი საქმის მხარდამჭერი, წამხალისებელი, ხელისშემწყობი.**

მის მიერ შექმნილი უნიკალური, თანამედროვე სამედიცინო ცენტრი და მისი კოლექტივის საქმიანობა იმაზე მეტყველებს, რომ **აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა გახლავთ ბრწყინვალე ორგანიზატორი, სტრატეგი, ტაქტიკოსი, შედეგზე ორიენტირებული და, რაც მთავარია, პროგრესული აზროვნების, სიახლეების მოტრფიალე და პრაქტიკაში მისი დამნერგავი, ახალგაზრდა სპეციალისტების უანგარო გამზრდელ-დამაოსტატებელი, ნამდვილი პედაგოგი!**

და კიდევ ერთი, რაც, ჩემი აზრით, ღირს, რომ ახლა, სწორედ დღეს ითქვას, თანაც იმათ გასაგონად, ვისაც საქმისა და სიკეთის კეთების მაგივრად შური და ქილიკი ხელეწიფებათ (და ვინაიდან ბატონი ფრიდონი ანგელოზი არ არის, არც მოშურნე და მოქილიკე აკლია მას): ასეთი რანგის, ავტორიტეტული სპეციალისტებისადმი, მეცნიერებისადმი, კულტურის მოღვაწეებისადმი, მით უმეტეს, გამოჩენილი ექიმებისადმი „ლტოლვა“ ყველა დროის ხელისუფალს ახასიათებს. გამონაკლისი არც გასული ათწლეული იყო.

ობიექტურობა მოითხოვს იმის ხაზგასმით აღნიშვნას, რომ იმდროინდელი ხელისუფლების ინიციატივით არჩეულ მეცნიერებათა აკადემიის პირველ ვიცეპრეზიდენტ ფრიდონ თოდუას მოუხდა დიდი სიბრძნის, მოქნილობის, თმენის, ზოგჯერ კი თავგანწირვამდე მისული პრინციპულობის გამოჩენაც, რათა ეროვნული მეცნიერებათა აკადემიისთვის აერიდებია, რბილად რომ ვთქვათ, არაკომპეტენტური ჩარევა, მავანის და მავანის უგუნურება, რომლის საბოლოო მიზანი რეფორმა კი არა, ამ დიდი აკადემიის საბოლოო განადგურება იყო.

ასევე, თავად ვარ მოწმე იმისა, რომ **აკადემიის ვიცეპრეზიდენტს ძალისხმევა არ დაუკლია, რათა აკადემიის სისტემის ცალკეული სტრუქტურების, ცალკეული მეცნიერებისთვის არ გამოეტანათ დედაუნივერსიტეტის პროფესურისადმი გამოჩენილი სამარცხვინო დამოკიდებულების მსგავსი სავარაუდო „გამანადგურებელი განაჩენი“, რომელიც დღევანდელი გადასახედიდან არამცთუ სუბიექტური და უსამართლო იყო, არამედ პრიმიტიული ანგარიშსწორების გამოვლინებაც იყო მაშინდელი ხელისუფლების ზოგიერთი გათავხედებული მაღალჩინოსნის მხრიდან!**

და ყოველივე ამას ფრიდონ თოდუა აკეთებდა უხმაუროდ, უანგაროდ! მეცნიერული სინდისის და პატრიოტული სულისკვეთების, თავმდაბლობის, ზნეობრივი პრინციპების მაქსიმალური დაცვით.

**ასე კაცები იქცევიან!**
**ასე ცხოვრობენ საიმედო ადამიანები!**

ამის დაუნახაობა და დაუფასებლობა უმადურობა იქნებოდა.

კეისარს კეისრისა!

გაიხარეთ, ბატონო ფრიდონ!

**ნუგზარ ფოფხაძე**



უკვე წლებია, ვსარგებლობთ თქვენი ექიმების მომსახურებით. ჩვენ უკვე ასაკში ვართ და სწორედ ამის გამო ჩვენთვის ორმაგად სასიამოვნოა „თოდუას კლინიკის“ ექიმების ის თბილი და ყურადღებიანი დამოკიდებულება, რომელიც ყოველთვის იგრძნობა კლინიკაში ვიზიტის დროს.

ძალიან გვიხარია თქვენი კლინიკის წარმატებები. გულწრფელად ვფიქრობთ, რომ ეს სწორედ თქვენი დამსახურებაა. თავის დროზე ჩვენმა ბებიამ, სოფია არღუთინსკაია-მხარგრძელმა, ქალაქს საჩუქრად გადასცა გიმნაზია.

**პატივისცემით,**
**თქვენი კეთილისმსურველი პაციენტები**
**ს. და ე. არღუთინსკაია-მხარგრძელები**

ჩემი მოლოცვა მხოლოდ თქვენს დაბადების დღეს არ ეხება, არამედ თქვენს მისწრაფებასა და მიღწევებს საქართველოში ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესების საქმეში. იმ პერიოდში საქართველოში არსებული პოლიტიკური მდგომარეობის მიუხედავად, თქვენი თამამი და დაუღალავი მცდელობისა და დიდი ძალისხმევის შედეგად შექმენით სრულიად ახლებური და მაღალპროფესიული სამედიცინო დაწესებულება არამხოლოდ საქართველოს, არამედ კავკასიის რეგიონის მასშტაბით. გვეამაყება, რომ უკვე 20 წელზე მეტია, რაც იყენებთ ჩვენი უახლესი თაობის აპარატურას რადიოლოგიურ დიაგნოსტიკაში.

დიდ მადლობას მოგახსენებთ, რომ ასე ენდობით „სიმენსს“.

**გულწრფელად თქვენი**
**ჰერმან რექუარდი,**
**პროფესორი, „სიმენსის“ ჯანდაცვის სექტორის აღმასრულებელი საბჭოს წევრი**

თქვენმა ღრმა ცოდნამ მედიცინასა და დიაგნოსტიკაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს ჯანდაცვის სისტემის განვითარების საქმეში საქართველოს საზოგადოების საკეთილდღეოდ.

თქვენ ხართ უაღრესად აღიარებული პიროვნება და ექსპერტი არა მხოლოდ საქართველოში, არამედ რუსეთსა და უცხოეთის ქვეყნებშიც.

ძალიან მადლიერი და ამაყი ვარ, რომ „სიმენსმა“ ჩვენი აპარატურის წყალობით შეძლო თქვენთან ერთად ამ წარმატებული გზის გავლა.

**საუკეთესო სურვილებით,**
**ვოლფგანგ კიოპელი,**
**„სიმენსის“ ჯანდაცვის სექტორის აღმასრულებელი საბჭოს წევრი**

**შალვა კერესელიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ისტორია დაეხმარება მრავალ ჩვენგანს, გასცეს პასუხი კითხვას — როგორ უნდა იცხოვროს კაცმა, რომ მრავალი წლის შემდეგაც არ მიეცეს დავიწყებას მისი სახელი. ბატონი შალვა იყო ნიმუში, თუ როგორ უნდა ეშრომა და ეღვაწა ქართველ ადამიანს.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## აღიარებული მეცნიერი და მოღვაწე

**დიაგნოსტიკურ რადიოლოგიაში არსებობს ასეთი გამოთქმა „მხოლოდ წარმატებული თერაპია ამტკიცებს და ადგენს სწორ დიაგნოზს“. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის კლინიკური მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელი, აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა თავისი 40-წლიანი მეცნიერული მოღვაწეობით ამ დებულებას ადასტურებს.**

1982 წელს ფრიდონ თოდუამ ჩემი ყურადღება, თავისი ინტელექტის წყალობით, ჩვენი ნაცნობობის პირველი დღიდანვე მიიპყრო. **იგი გახლდათ ერთ-ერთი პირველი, ვინც დანერგა ენდოვასკულარული ქირურგია ყოფილ სსრკ-ში, რომელიც დასავლეთში ინტერვენციული რადიოლოგიის სახელით არის ცნობილი.** მაშინ იგი ბევრი ინოვაციური იდეით იყო განთქმული რუსეთსა თუ ევროპაში. ამ მოწინავე იდეებით დაბრუნდა თბილისში 1990 წელს. იგი იყო ერთ-ერთი პირველი იმ ქართველთა შორის, რომლებიც ასე მოიქცნენ — მიატოვეს ხანგრძლივი წარმატებული კარიერა მოსკოვის აკად. ა. ვ. ვიშნევსკის სახელობის ქირურგიის ინსტიტუტში. **ჯანმრთელობის დაცვის სისტემის გაუმჯობესებისა და თავისი ხალხის დახმარების მიზნით მან დააფუძნა ახალი ტიპის სამედიცინო დაწესებულება — საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის კლინიკური მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი.**

მისი პიროვნული თვისებები — კომუნიკაბელურობა და გულისხმიერება კარგად აისახა სამედიცინო საერთაშორისო საზოგადოებებში, კერძოდ, როგორიცაა ევროპის რადიოლოგთა ასოციაცია, მიუნხენისა და გრაცის სამედიცინო უნივერსიტეტები და სხვ.

**1997 წელს ფრიდონ თოდუას ინიციატივით საქართველოში დაარსდა საქართველოს რადიოლოგთა ასოციაცია, რომელიც პირველი იყო პოსტსაბჭოთა სივრცეში და რომლის უცვლელი პრეზიდენტიც თავადაა დღემდე.**

ბატონი ფრიდონის მოწინავე ხედვის შედეგად მისი ინსტიტუტის თანამშრომლები მუდმივად მონაწილეობენ მსოფლიოს უმთავრეს კონგრესებსა თუ კონფერენციებში, რომლებზეც წარმოადგენენ თავიანთი უახლესი სამედიცინო მიღწევების შედეგებს. პირადად მას ახლო მეგობრობა აკავშირებს მედიცინის სხვადასხვა დარგის მსოფლიოში აღიარებულ ბევრ თვალსაჩინო მეცნიერთან.

სულ მალე ინსტიტუტში ამუშავდება სხივური თერაპიის განყოფილება, რომელშიც დამონტაჟდება უახლესი თაობის ხაზოვანი ამაჩქარებლები, რაც დიდ დაეხმარებას გაუწევს ონკოლოგიურ ავადმყოფებს როგორც საქართველოში, ასევე რეგიონში.

**თქვენი მეგობრები და საერთაშორისო სამედიცინო საზოგადოება გისურვებთ ჯანმრთელობას, წარმატებებს თქვენს შემდგომ საქმიანობაში, მომავალი გეგმების განხორციელებაში.**

**თქვენი**

**რენე რინშიულერი**
**პროფესორი (ავსტრია)**

# გამოჩენილი მეცნიერი და პედაგოგი, რომელმაც სიცოცხლე ეროვნულ საქმეს მიუძღვნა

**ბატონი შალვა კერესელიძის ძალისხმევით შეიქმნა პირველი მცირეგაბარიტიანი ტრაქტორი „რიონი“, რომელიც საფუძვლად დაედო ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნის დაარსებას. ამ გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, კონსტრუქტორს, პედაგოგს, საზოგადო მოღვაწეს დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდებოდა.**



სამთო მიწათმოქმედებისა და სუბტროპიკული კულტურების მექანიზაციისთვის განკუთვნილი მანქანების ფუძემდებელი, სამთო მიწათმოქმედებისა და სუბტროპიკული კულტურების მანქანათა გენერალური კონსტრუქტორი, ლენინური პრემიის ლაურეატი, სოციალისტური შრომის გმირი, მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული გამომგონებელი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სასიქადულო მამულიშვილი შალვა კერესელიძე დაიბადა 1913 წლის 26 დეკემბერს ონის რაიონის სოფელ უწერაში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მან სწავლა განაგრძო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1936 წელს და მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება სოფლის მეურნეობის შრომატევად პროცესთა მექანიზაციის საქმეს მიუძღვნა.

1937 წელს ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (ანასეული) ასპირანტმა სწავლა განაგრძო მოსკოვში, საიდანაც პირველი დღეებიდანვე გაიწვიეს მეორე მსოფლიო ომში. 1943 წელს ფრონტზე დაჭრილი თბილისში დაბრუნდა და მუშაობა დაიწყო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ტრაქტორებისა და ავტომობილების კათედრის ასისტენტად. 1946 წელს, საკანდიდატო დისერტაციის დაცვის შემდეგ, ბატონი შალვა აირჩიეს კათედრის დოცენტად და მექანიზაციის ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ. იგი დიდი შემართებით იწყებს სამეცნიერო პედაგოგიურ მოღვაწეობას. მაღალი ინტელექტი, შრომისმოყვარეობა, მეცნიერული სიახლეებისკენ დაუოკებელი სწრაფვა, ცოდნის შეძენისა და სხვებისთვის ამ ცოდნის ოსტატურად გადაცემა იყო მისი საქმიანობის არსი. ძნელია, მოიძებნოს აგროინჟინერთა შორის ისეთი მრავალმხრივი მოღვაწე, რომლის პიროვნებაში ასე ჰარმონიულად ყოფილიყო შერწყმული თეორიული აზროვნებისა და სამეურნეო პრაქტიკის გარდაქმნისთვის მუდმივად მზადყოფნის უნარი.

**1949 წელს თბილისში გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სახელმწიფო სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ახალგაზრდა მეცნიერი, დოცენტი შალვა კერესელიძე. მან გარშემო შემოიკრიბა ახალგაზრდა სპეციალისტები და მათ პირადი მაგალითით ჩაუნერგა სამშობლოსა და საქმისადმი დიდი სიყვარული. სწორედ ამ პერიოდში ჩაეყარა საფუძველი ჩაის, სხვა სუბტროპიკული კულტურებისა და სამთო მიწათმოქმედებისადმი საჭირო მანქანათა სისტემების ძირითად მიმართულებებს.**

აღსანიშნავია, რომ ასეთ მანქანებს იმ პერიოდის მსოფლიოში ანალოგი არ მოეპოვებოდა. საქართველოში აქედან იღებს სათავეს სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა, რომლის ფუძემდებელი შალვა კერესელიძე გახლდათ. 1954 წელს ცნობილი მოვლენების გამო (შეიცვალა რესპუბლიკის იმჟამინდელი ხელმძღვანელობა), ბატონი შალვა კერესელიძე მის მიერვე ჩამოყალიბებულ საკონსტრუქტორო ბიუროს ჩამოაშორეს და იგი იძულებული შეიქნა, სამუშაოდ ქუთაისის ახალგახსნილ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში (შემდგომ საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტი) ტრაქტორებისა და ავტომობილების კათედრის გამგედ გადასულიყო, ხოლო მოგვიანებით — პრორექტორად სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის დარგში. **მან ჩაატარა ურთულესი სამეცნიერო და კვლევითი სამუშაოები, რომელთაც მოჰყვა 1962 წელს ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველოს“ სერიული გამოშვება.**

**ბატონ შალვას ძალისხმევით შეიქმნა პირველი მცირეგაბარიტიანი ტრაქტორი „რიონი,“ რომელიც საფუძვლად დაედო ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნის დაარსებას.**

შალვა კერესელიძეს დიდი წვლილი მიუძღვის 1959 წელს ინსტიტუტის ქუთაისიდან სოხუმში გადატანაში.

1961 წელს ბატონმა შალვა კერესელიძემ წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, მალე კი პროფესორის წოდებაც მიენიჭა. ამავე წელს ბატონი შალვა გახდა საქართველოს დამსახურებული გამომგონებელი.

1962 წლიდან შალვა კერესელიძე კ. ამირეჯიბის სახელობის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე და ინსტიტუტთან არსებული ჩაის მოვლა-მოყვანისა და კრეფის მანქანათა საპრობლემო სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო ლაბორატორიის ხელმძღვანელი იყო. **განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი წვლილი თბილისის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხნის დაარსებასა და მშენებლობაში, სადაც საფუძველი ჩაეყარა ჩაის მოვლა-მოყვანისა და საკრეფი მანქანების სერიულ გამოშვებას.**

**1967 წელს ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველოს“ დამუშავებისა და წარმოებაში დანერგვისთვის პროფ. შალვა კერესელიძეს და კონსტრუქტორთა ჯგუფს მიენიჭა ლენინური პრემია. ამავე პერიოდში იგი აირჩიეს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. 1971 წელს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება.** იმავე პერიოდში მისი თაოსნობით წარმატებით დაგვირგვინდა ჩაის მანქანათა საპრობლემო ლაბორატორიისა და სახელმწიფო სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს ბაზაზე მსოფლიო პრაქტიკაში პირველი სამთო მიწათმოქმედებისა და სუბტროპიკული კულტურების მანქანათა საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის შექმნა, სადაც, ძველ კადრებთან ერთად, თავი მოუყარა დიდი შემოქმედებითი პოტენციალის მქონე ახალგაზრდა მეცნიერებს, კონსტრუქტორებსა და ტექნოლოგებს. ამ ინსტიტუტის შექმნა საქართველოში ეროვნულ საქმედ აღიარეს.

1972 წელს შალვა კერესელიძე დაინიშნა სამთო მიწათმოქმედებისა და სუბტროპიკული კულტურების მანქანათა გენერალურ კონსტრუქტორად. 1974 წელს ქვეყნისა და საქმის საზიანოდ შალვა კერესელიძე ჩამოაშორეს მის მიერვე შექმნილ ინსტიტუტს, რაც რესპუბლიკის იმჟამინდელი ხელმძღვანელობის დიდი შეცდომა იყო. მიუხედავად დიდი გულისტკივილისა, შალვა კერესელიძე სამუშაოდ გადავიდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ლაბორატორიის გამგედ, სადაც სიცოცხლის ბოლომდე განაგრძობდა სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს.

**1994 წელს აირჩიეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. დიდია ბატონი შალვა კერესელიძის დამსახურება საქართველოს სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეში. განსაკუთრებით გამოკვეთილია მისი ღვაწლი ჩაის მოვლა-მოყვანისა და საკრეფი მანქანების კომპლექსის დამუშავებისა და წარმოებაში დანერგვის საქმეში. ეს კომპლექსი 36 დასახელების სპეციალიზებულ ტექნიკურ საშუალებებს ითვლიდა. აბსოლიტური უმრავლესობა მრავალი წლის განმავლობაში გამოდიოდა სერიულად და გამოიყენებოდა ჩაის მეურნეობებში.**

ზემოაღნიშნულმა მანქანებმა მნიშვნელოვნად შეამსუბუქეს და თავის დროზე ფრიად პრესტიჟული გახადეს მეჩაიეთა მძიმე შრომა. ბუნებრივია, რომ **მადლიერმა საზოგადოებამ ძეგლიც კი დაუდგა ჩაის ფოთლის საკრეფ მანქანებს „საქართველოს“ და „C-900“-ს ლაითურისა და წალენჯიხის ჩაის მეურნეობებში.**

განსაკუთრებით აღსანიშნავია ბატონი შალვას უაღრესად კეთილსინდისიერი დამოკიდებულება საქმისადმი, საზოგადოებრივი ინტერესების უზენაესობა, პროფესიონალიზმი, პრინციპულობა და შრომისმოყვარეობა.

**შალვა კერესელიძე იყო მრავალი სამეცნიერო-სადისერტაციო და სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს წევრი. იგი ავტორია 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა, მათ შორის, მონოგრაფიების, დამხმარე–მეთოდური და ძირითადი სახელმძღვანელოებისა სამთო მიწათმოქმედებისა და სუბტროპიკული კულტურების მექანიზაციის საკითხებზე. ბატონ შალვას მიღებული ჰქონდა 80-ზე მეტი საავტორო მოწმობა გამოგონებაზე ტრაქტორების, სოფლის მეურნეობის, მანქანათმშენებლობის, სუბტროპიკული კულტურების მექანიზაციისა და ტექნოლოგიების დარგში, რომელთა უმეტესი ნაწილი დაინერგა წარმოებაში და დიდი მოგება მოუტანა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობას.**

შალვა კერესელიძე სამეცნიერო-კვლევით და საკონსტრუქტორო მუშაობასთან ერთად განუწყვეტლივ ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას. მან საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში და განსაკუთრებით საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტში საფუძველი ჩაუყარა ახალ საინჟინრო დისციპლინას — „სამთო მიწათმოქმედებისა და სუბტროპიკული კულტურების მექანიზაციას“. მას მომზადებული ჰყავს 70-ზე მეტი დოქტორანტი, ასპირანტი და მაძიებელი, რომლებმაც წარმატებით დაიცვეს დისერტაციები. მათ შორის ბევრია აკადემიკოსი, პროფესორი, დოცენტი, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი და უნივერსიტეტის რექტორი.

**დღეს ჩვენ გავიხსენეთ ყოველმხრივ ღირსეული ადამიანი. იმედი გვაქვს, რომ შალვა კერესელიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ისტორია დაეხმარება მრავალ ჩვენგანს, გასცეს პასუხი კითხვას — როგორ უნდა იცხოვროს კაცმა, რომ მრავალი წლის შემდეგაც არ მიეცეს დავიწყებას მისი სახელი. ბატონი შალვა იყო მაგალითი, თუ როგორ უნდა ეშრომა და ეღვაწა ქართველ ადამიანს. ასეთი ადამიანის ხსოვნა კი დიდხანს დარჩება მისი ახლობლების, მოწაფეებისა და კოლეგების მეხსიერებაში.**

**თამაზ ცანავა,**
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს საინჟინრო მეცნიერების აკადემიის აკადემიკოსი;

**რანი ჭაბუკიანი,**
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ახალი ქვეყანა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სწორედ სტალინი (და არა ლენინი) იყო სახალხო ბელადი, რადგან ლენინს აკლდა სწორედ ის თვისებები, რომლებსაც სტალინს მიაწერენ და რომელთა მეშვეობით სახალხო ბელადი გახდა.**

ევგენი გუსლიაროვი

# სტალინი ცხოვრებაში

**ალექსანდრე გუსლიაროვის წიგნს „სტალინი ცხოვრებაში“ წინ უძღვის ალექსანდრე ზინოვიევის, ცნობილი საბჭოთა დისიდენტის, შესავალი წერილი-ესე. უფროსი თაობისთვის ეს პიროვნება ცნობილია, მაგრამ ნუ გამოვრიცხავთ, რომ ახალგაზრდა თაობისთვის შესახსენებელი იყოს მისი ბიოგრაფია, რამდენიმე ძირითადი შტრიხით მაინც.**



კონტრასტულ შეხედულებებსა და პოზიციებზე (ურთიერთგამომრიცხავზეც კი) მდგომი მეცნიერი, მწერალი და მოღვაწე გახლდათ ალექსანდრე ზინოვიევი. თუ, ერთის მხრივ, იგი საბჭოთა სისტემის შეურიგებელ მოწინააღმდეგედ ითვლებოდა და სწორედ ამით გაითქვა სახელი მსოფლიოში, სიცოცხლის ბოლო წლებში გლობალური კაპიტალიზმის წინააღმდეგ მებრძოლ კრიტიკოსად მოგვევლინა. ასეთი ევოლუცია განიცადა მისმა მსოფლმხედველობამ.

მედავითნე არ ყოფილა: ბრძოლის გამოცდილება დიდი ჰქონდა. იბრძოდა დიდი სამამულო ომის ფრონტებზე, მამაცურად, დაჯილდოებული იყო წითელი ვარსკვლავის ორდენით, მედლებით. მაგრამ, როგორც თვითონ იხსენებს, უკვე მაშინ ჩათვალა, რომ სტალინიზმი ნამდვილი კომუნიზმის ღალატი იყო.

**დემობილიზაციის შემდეგ დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი, მისი სადოქტორო დისერტაციის თემა იყო კარლ მარქსის „კაპიტალის“ ლოგიკა. 1952 წელს დააარსა მოსკოვის ლოგიკური წრე, რომელშიც სხვებთან ერთად მონაწილეობდა ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი მერაბ მამარდაშვილი; იყო მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლოგიკის კათედრის გამგე; ავტორია მრავალი წიგნისა და სამეცნიერო სტატიის. მისი შრომები თარგმნილია არაერთ უცხოურ ენაზე. იყო უცხოეთის მრავალი პრემიის ლაურეატი და არაერთი ქალაქის საპატიო მოქალაქე.**

**წიგნისთვის „უფსკრულის პირველი მწვერვალები“, რომელიც ანტისაბჭოურად იქნა მიჩნეული, ჩამოართვეს ყველა ჯილდო და გაუუქმეს წოდებები, 1978 წლის ივნისში ოჯახთან ერთად გადაასახლეს დასავლეთ გერმანიაში, 1999 წელს დაბრუნდა რუსეთში.**

**გარდაქმნის წლებში მიჩნეული იყო საბჭოთა სისტემის ერთ-ერთ გამორჩეულ კრიტიკოსად. ამასთანავე, უარყოფითად ეკიდებოდა დასავლურ ლიბერალურ ფასეულობათა გავრცელებას პოსტსაბჭოთა სივრცეში. ბოლო დროს გამოცემულ შრომებში უკიდურესად ნეგატიურად აფასებდა საბჭოთა სისტემის დანგრევას.**

გარდაიცვალა 2006 წლის 10 მაისს. ანდერძის თანახმად, კრემინირებულ იქნა და მისი ფერფლი ვერტმფრენიდან გაფანტეს მშობლიური კოსტრომის ოლქის ჩუხლომის რაიონის თავზე.

ალექსანდრე ზინოვიევს სტალინის თაყვანისმცემლად ვერავინ ჩათვლის. პირიქით, ზოგჯერ აშკარად ჩანს მისი მიკერძოებულობა, ანტიპათიაც კი. მაგალითად, ამ შესავალში იგი წერს: **„არ ვიცი, იყო თუ არა სტალინი ავტორი იმ ნაწარმოებების, რომლებსაც მას მიაწერენ“** *(გვ. 7).* ეს მაშინ, როცა უინსტონ ჩერჩილი დარწმუნებით აცხადებს: **„თავის სიტყვებსა და სტატიებს სტალინი თვითონ წერდა“.** *(იხ. ვლადიმირ სუხოდეევი, სტალინის ეპოქა, გვ. 609).*

**როცა ასეთი პიროვნება — მეცნიერი, მწერალი, დისიდენტი — იოსებ სტალინზე იწყებს საუბარს, ჩვენ, მკითხველებს, სრული უფლება გვაქვს, მივიღოთ მისი ნააზრევი ობიექტურობასთან მიახლოებულ პოზიციად, რომელიც რადიკალურად განსხვავდება ხრუშჩოვის მემკვიდრეთა აშკარად ცალმხრივი, პროპაგანდისტული ნაყალბევისგან.**

წაიკითხეთ ალექსანდრე ზინოვიევის ესე „სტალინისა და სტალინიზმის შესახებ“, რომლითაც იხსნება ევგენი გუსლიაროვის ფუნდამენტური (750-გვერდიანი) ნაშრომი „სტალინი ცხოვრებაში“ (ციკლიდან „ბიოგრაფიული ქრონიკები“) და, ვიმედოვნებ, რომ ინტერესით დაელოდებით ამ წიგნის ქართულ თარგმანს, რომლის პუბლიკაციასაც „საქართველო და მსოფლიო“ ახალი, 2014 წლის მე-2 ნომრიდან იწყებს.

**არმაზ სანებლიძე**

## სტალინისა და სტალინიზმის შესახებ

**ამ წიგნის ხელნაწერის წაკითხვის შემდეგ სხვა არაფერი დამრჩენოდა, გარდა იმისა, რომ საერთო ხასიათის მხოლოდ რამდენიმე შენიშვნა დამემატებინა.**

წიგნი, როგორც მკითხველი შენიშნავს, სტალინის უაღრესად კერძო, პირად, გარკვეული თვალსაზრისით, ინტიმური ბიოგრაფიის მომენტებს ეხება, თუკი შეიძლება ასეთის განცალკევება მისი ცხოვრების საერთო მდინარებისგან. რაც, უნდა ითქვას, ყოველთვის არ გამოსდის ავტორს. თუმცა ეს, სხვათა შორის, შეუძლებელიცაა. ისეთი ადამიანების კერძო ცხოვრება, როგორიც ე. გუსლიაროვმა მორიგი კვლევისთვის აირჩია, იმდენად მჭიდროდაა გადახლართული საზოდოებრივთან, რომ მკვეთრი საზღვრის გავლება აქ სრულიად შეუძლებელია.

მე ადრეც მიფიქრია სტალინზე, ამიტომ აქა-იქ დავუბრუნდები ჩემს იმ ნააზრევს, რომელსაც მკითხველი, განსაკუთრებით — უცხოელი, შესაძლებელია, იცნობს.

ამგვარად, **სტალინის პიროვნების შეფასება წარმოუდგენელია იმ ეპოქის შეფასების გარეშე, რომელიც განუყრელად დაკავშირებულია მის სახელთან — სტალინიზმის ეპოქასთან.**

ვინ არის სტალინი სტალინიზმის გარეშე? საშუალო სიმაღლის, სწავლადაუმთავრებელი, მცირემცოდნე სემინარისტი, ჩოფურა, ქართული აქცენტით მოლაპარაკე; იყო ცბიერი, შურისმგებელი და სასტიკი...

ძალიან წყალწყალა ხომ არ არის ასეთი შეფასება იმ ადამიანის, რომელიც დღესაც კი ბატონობს მილიონობით ადამიანის გულსა და გონებაზე?! **სტალინის პერიოდის საშინელებათა მხილების ქარიშხლის გადავლის შემდეგ, რომელიც დაიწყო ხრუშჩოვის ცნობილი მოხსენების შედეგად და აპოგეას სოლჟენიცინის არანაკლებ ცნობილი „არქიპელაგ გულაგის“ პუბლიკაციის კვალზე მიაღწია, სტალინის პერიოდის შესახებ დამკვიდრდა შეხედულება, როგორც მხოლოდ და მხოლოდ ბოროტების, ისტორიის შავი პერიოდის შესახებ, ხოლო სტალინი წარმოაჩინეს ყველაზე საშინელ ბოროტმოქმედად კაცობრიობის ისტორიაში. შედეგად დღეს ჭეშმარიტებად აღიარებულია მხოლოდ და მხოლოდ სტალინიზმის წყლულებისა და მისი სულისჩამდგმელის დეფექტების მხილება, ხოლო მეტ-ნაკლებად ობიექტური აზრის გამოთქმის მცდელობა ამ პერიოდისა და სტალინის პიროვნების შესახებ — როგორც სტალინის აპოლოგეტიკა. და მაინც გავრისკავ, გადავუხვიო მამხილებელკრიტიკულ ხაზს და ობიექტურად შევაფასო არა სტალინი და სტალინიზმი, არამედ დავიცვა ობიექტურად მათი გაგების შესაძლებლობა.**

ამ თემასთან დაკავშირებულმა ემოციურმა დრომ ჩაიარა. **დადგა დრო არა მხოლოდ დანაშაულის მხილების, არამედ მისი ისტორიული არსისა და სათავეების დაფიქსირების...**

ვფიქრობ, მაქვს მორალური უფლება, გავწიო ასეთი რისკი. ჭაბუკობიდანვე არავითარი სიმპათია არ მქონდა სტალინისა და სტალინიზმის მიმართ. ჯერ კიდევ 1939 წელს დაუფარავად გამოვედი სტალინის კულტის წინააღმდეგ, რის გამოც გამრიცხეს კომკავშირიდან და ინსტიტუტიდან, გამოსაკვლევად გამაგზავნეს ფსიქიატრიულ დისპანსერში, შემდეგ კი მიმიყვანეს ლუბიანკაზე. დისპანსერში დაასკვნეს, რომ ფსიქიკურად ნორმალური ვიყავი, რასაც არ გააკეთებდნენ ლიბერალურ პოსტსტალინურ დროში. სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ხელიდან თავის დაღწევა მოვახერხე, და ხრუშჩოვის მოხსენებამდე ჩემი ფარული მოწოდება ანტისტალინური პროპაგანდა იყო. უნდა ვაღიარო, რომ მე ერთადერთი არ ვიყავი. **ხრუშჩოვის წლებში სტალინიზმის კრიტიკის საქმე ხელში აიღეს თვით ყოფილმა თავგამოდებულმა სტალინისტებმა. და მე ვპოვე მის მიმართ მშვიდი დამოკიდებულების შესაძლებლობა, ანუ არა ზიზღის, არამედ არაფრად ჩაგდების დამოკიდებულების შესაძლებლობა.**

დედაჩემს კი სიკვდილამდე (იგი 1968 წელს გარდაიცვალა) სახარებაში სტალინის პორტრეტი ჰქონდა ჩადებული. მან გადაიტანა კოლექტივიზაციის, ომისა და ომისშემდგომი წლების ყველა საშინელება. დეტალურად რომ აღმეწერა ის, რაც მას გადახდა, მკითხველი ვერც დაიჯერებდა... და მაინც ინახავდა სტალინის პორტრეტს.

რატომ?

ამ კითხვაზე გაცემულ პასუხში დევს სტალინიზმის არსის გაგების გასაღები. საქმე ისაა, რომ, სტალინის ყველა საშინელებათა მიუხედავად, **ეს იყო ჭეშმარიტი სახალხო ხელისუფლება. ეს იყო სახალხო ხელისუფლება ღრმა (არ ვიტყვი, რომ საუკეთესო) გაგებით, თვით სტალინი კი ჭეშმარიტად სახალხო ბელადი იყო.**

ხალხის ხელისუფლება იმ პერიოდში აუცილებლად კარგს არ ნიშნავდა... და ეს სულაც არ ეწინააღმდეგება იმას, რომ ამავე დროს ეს ხელისუფლება ნიშნავდა ძალადობას თვით ხალხზე. სახალხო ბელადი, აუცილებელი არ არის, იყოს ბრძენი და კეთილი ადამიანი. ზოგჯერ სახალხო ბელადები ხელიდან წასული არამზადებიც ყოფილან. ზოგჯერ მათ თავად სძულთ ხალხი, რადგან უწყიან, თუ რას წარმოადგენს ხალხის მასა რეალურად და არა წიგნებისა და დოქტრინების მიხედვით.



ალექსანდრე ზინოვიევი

**სწორედ სტალინი (და არა ლენინი) იყო სახალხო ბელადი, რადგან ლენინს აკლდა სწორედ ის თვისებები, რომლებსაც სტალინს მიაწერენ და რომელთა მეშვეობით სახალხო ბელადი გახდა.**

სტალინიზმის არსის შესახებ შეკითხვას რომ ვუპასუხოთ, უნდა დავადგინოთ, ვის ინტერესებს გამოხატავდა სტალინი, ვინ მიჰყვებოდა მას. რატომ ინახავდა დედაჩემი სტალინის პორტრეტს? იგი გლეხის ქალი იყო. კოლექტივიზაციამდე ჩვენი ოჯახი ცუდად არ ცხოვრობდა, მაგრამ როგორი ძალისხმევით? უმძიმესი შრომის ფასად გამთენიიდან დაღამებამდე. რა პერსპექტივა ჰქონდა მის შვილებს (შვიდი შვილი ჰყავდა!)? შეიძლება გლეხები გამხდარიყვნენ, უკეთეს შემთხვევაში, ხელოსნები. დაიწყო კოლექტივიზაცია, სოფლის დაქცევა-აოხრება. ადამიანები ქალაქებში გაიხიზნენ. შედეგი? ჩვენს ოჯახში ერთი ადამიანი პროფესორი გახდა, მეორე — ქარხნის დირექტორი, მესამე — პოლკოვნიკი, სამნი — ინჟინრები. მსგავსი რამ ხდებოდა მილიონობით სხვა ოჯახში.

**არ მინდა აქ გამოვიყენო შეფასებითი გამოთქმები „ცუდი“ და „კარგი“. მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ ამ ეპოქაში ხდებოდა კაცობრიობის ისტორიაში უპრეცედენტო მილიონობით ადამიანის აღმასვლა საზოგადოების უმდაბლესი ფენებიდან ოსტატობამდე, ინჟინრობამდე, მასწავლებლობამდე, ექიმობამდე, მსახიობობამდე, ოფიცრობამდე, მეცნიერობამდე, მწერლობამდე, დირექტორობამდე და ა. შ. და ა. შ.** მნიშვნელობა არ აქვს, შეიძლებოდა თუ არა, მსგავსი რამ მომხდარიყო სტალინიზმის გარეშე. პროცესის მონაწილეთათვის ეს, ფაქტობრივად, ხორციელდებოდა სტალინიზმის დროს და, როგორც ჩანდა, მისი წყალობით. მართლაც — სწორედ მისი წყალობით. აი, ეს მილიონობით ადამიანი, რომლებმაც თავიანთი განცდების სფეროში ჩაითრიეს მილიონობით სხვა, იყო კიდეც სტალინიზმის საყრდენი და დამკვრელი ძალა. რასაკვირველია, აქ არა მხოლოდ ადამიანების რეალური წარმატებები, არამედ ილუზიებიც თამაშობს გარკვეულ როლს. მაგრამ ილუზიები არა მარქსისტული ზღაპრების (მათი ნაკლებად სჯეროდათ), არამედ ძალიან უბრალო რამის: საყოფაცხოვრებო პირობებისა და ადამიანებს შორის გულითადი დამოკიდებულების გაუმჯობესების. **ჩემთვის და ბევრი ჩემი თანატოლისთვის ცალკე საწოლი სუფთა ზეწრით და სამჯერადი რეგულარული კვება ოცნების მწვერვალი იყო, თუმცა ბევრ ჩვენგანს არ სჯეროდა მარქსისტული ზღაპრების, სამაგიეროდ, ვიცოდით რეალური კომუნიზმის არსი, იმედი გვქონდა, რომ ჩვენც გვექნებოდა ის ცალკე საწოლი და ყუათიანი სადილი. ეს იმედი ჯაბნიდა ჩვენს ნეგატიურ დამოკიდებულებას საზოგადოებისადმი, რომელიც მყარდებოდა. გვინდოდა თუ არა, იმედები სტალინის სახელს უკავშირდებოდა.**

**პიროვნების შეფასებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ არა** ▶

უბედური ქვეყანა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ძალიან დაბალი კულტურული დონის მქონე მილიონობით მოსახლეობისთვის განკუთვნილ იდეოლოგიურ ტექსტებს შორის სტალინის ნაწარმოებები იყო ყველაზე საუკეთესო, რაც მარქსიზმზე დაუწერიათ ოდესმე.

**◀ მხოლოდ მისი სუბიექტური თვისებები, არამედ ისიც, თუ როგორ აისახება იგი გარშემო მყოფთა შეგნებაზე. გარშემო მყოფთა შეგნებაში სტალინი აისახებოდა არა ყალთაბანდის სახით, არამედ როგორც სიმბოლო ამ დიადი პროცესის. ეს იყო სერიოზული ისტორია და არა ერთი მუჭა დაუნდობელი ბოროტმოქმედების ძალადობა კეთილ და მოტყუებულ ხალხზე.**

ხალხი არ იყო მოტყუებული. არ დაგავიწყდეთ, რომ სტალინის დროინდელ ყველაზე მასობრივ რეპრესიებში, რომლებმაც მილიონობით უბრალო ადამიანი დააზარალა, ერთი და იგივე ადამიანები ხშირად ჯალათისა და მსხვერპლის როლს თამაშობდნენ. ეს რეპრესიები ასევე იყო მოსახლეობის ფართო მასების თვითშემოქმედების გამოვლენა. და დღეს ძნელია გაარკვიო, ვისი წვლილია უმეტესი — უმაღლეს ბოროტგამზრახველთა სტალინის ხელმძღვანელობით, თუ წილი ამ თითქოს მოტყუებული მოსახლეობის ფართო მასების.

ეს თემა რომ ამოვწურო, კიდევ ერთ მწვალებლურ აზრს გამოვთქვამ: სტალინიზმის მსხვერპლნი მხოლოდ ნახევარი სიმართლეა მის შესახებ. არის მეორე ნახევარიც, კერძოდ კი ის, რომ მსხვერპლნი იყვნენ თავიანთი ჯალათების თანაშემწენი და თანამონაწილენი. **მსხვერპლნი იყვნენ ადეკვატურნი მათი მშობელი ეპოქის. კომუნიზმის ჩამოყალიბების ეპოქის საშინელება არა იმდენად მსხვერპლის არსებობის ფაქტია, რამდენადაც ის, რომ უპირატესობას მოიპოვებს, შეირჩევა და გადარჩება ადამიანის ტიპი, რომელიც მზად არის, გაიღოს მსხვერპლი და საკუთარ მსხვერპლად აქციოს სხვა ადამიანები.**

**სტალინი ამ ფსიქოლოგიური რევოლუციის უზრწყინვალესი გამომხატველი იყო. ვფიქრობ, რომ რეპრესიებმა სტალინს უფრო მეტად ღვთაებრივი თაყვანისცემა მოუპოვა, ვიდრე კვების პროდუქტებზე ფასების ყოველწლიური შემცირების განუხრელმა პოლიტიკამ.**

სტალინი ლენინის მემკვიდრე იყო, სტალინიზმი კი — ლენინიზმის. სხვადასხვა მოსაზრება არსებობს მათი ურთიერთობის შესახებ: ერთნი ამბობენ, რომ სტალინი ლენინის ერთგული მოწაფე და მისი საქმის გამგრძელებელი იყო. სხვები ამბობენ, რომ სტალინმა უღალატა ლენინის საქმეს. ვფიქრობ, რომ ერთნიც და მეორენიც თავისებურად მართლები არიან, მაგრამ აქ იჩენს თავს აღქმის სხვა ჭრილი, რომელიც უფრო არსებითია სტალინისა და სტალინიზმის შესაფასებლად.

მე განვასხვავებ დინების ორ მიმართულებას ცხოვრების იმ ნაკადში, რომელმაც რევოლუციის შედეგად გადაუარა საბჭოთა კავშირს, კერძოდ, კონკრეტულ-ისტორიულ ნაკადს და საერთო სოციოლოგიურ ნაკადს. მათგან პირველის დროს ადამიანები ძვრებოდნენ ჯავშანავტომობილებზე, ატრიალებდნენ მაუზერებს, ხელთ იგდებდნენ სატელეფონო სადგურებს, ხვრეტდნენ და „ვაშას“ შეძახილით დაქროდნენ გაშიშვლებული ხმლებით...

ეს ჩანდა.

ამ დროს მეორე ნაკადში ჩუმად და შეუმჩნევლად ძალას იკრებდა ახალი ბავშვი — მომავალი კომუნისტური საზოგადოება. იგი იზრდებოდა სრულიად პროზაულად: იქმნებოდა ურიცხვი დაწესებულებები და თანამდებობები, იზრდებოდა და დიფერენცირდებოდა ძალაუფლების აპარატი, რომელიც თავისი საცეცებით საზოგადოების ყველა უჯრედს სწვდებოდა, ანიჭებდნენ წოდებებს, ანაწილებდნენ მატერიალურ კეთილდღეობას...

**დრამატული ისტორიის ნაკადი ისტორიაში რომ ჩაინთქა და მისით ავარდნილი მტვერი დაჯდა და დაიწმინდა, აშკარა გახდა, სინამდვილეში რის გამო წარმოთქვამდნენ სიტყვებს, ლაპლაპებდა მახვილები, გრგვინავდა „ვაშა!“, რეალური ახალი საზოგადოება, ძალაუფლებისა და მართვის თავისი კირკიტა სისტემით, უკვე იშვა და ისტორიულ ასპარეზზე თავისი ჭეშმარიტი მოღვაწენი წამოსწია. ლენინი და მისი გვარდია პროცესის პირველ ნაკადს წარმოადგენდა, სტალინი, თავისი თანამზრახველებით, — მეორეს.** ლენინზე საუბრისას რატომღაც მისაღებად თვლიან სიტყვა „გვარდიას“, სტალინზე ლაპარაკისას ხმარობენ სიტყვას „თანამზრახველები“. **ლენინის სახელთან დაკავშირებულია პარტიის რევოლუციამდელი პერიოდი და ქვეყნის გადარჩენის პერიოდი, რომელსაც ახალი საზოგადოების ბავშვი ჰყავს საშოში ჩასახული. სტალინის სახელთან კი დაკავშირებულია ახალი საზოგადოების ჩამოყალიბება, სუსტი ჩანასახის გადაქცევა ძლიერ არსებად.** ძლიერში, ხაზს ვუსვამ, აუცილებელი არ არის, ვიგულისხმოთ კარგი...

ლენინი რეალური კომუნიზმის წინარე ისტორიაა. კომუნიზმის რეალური, საკუთარი ისტორია სტალინიდან იწყება. სწორედ ამით და არა უარყოფითი პიროვნული თვისებებით აიხსნება სტალინისა და მისი თანამზრახველების (არა გვარდიის, რა თქმა უნდა) გამარჯვება ტროცკიზე, ზინოვიევზე, ბუხარინსა და სხვა მოლაყბეებზე ლენინური გვარდიიდან. საქმე ის კი არ არის, რომ ერთნი უფრო ჭკვიანები იყვნენ, მეორენი კი — სულელები, საქმე მოვლენათა დამთხვევაა. საქმე ის არის, თუ რა სოციალური ძალები გამოდიოდნენ ისტორიის ასპარეზზე და გიგანტური საზოგადოების მილიონობით უჯრედში ინიციატივას ხელთ იგდებდნენ. **სტალინიზმი და არა ლენინიზმი არის ყველაზე უფრო სრული გამოვლინება კომუნიზმის არსის. ლენინიზმი მხოლოდ მომზადებაა სტალინიზმის, მისი ჩანასახია, უფრო ზუსტად კი, ადგილია, სადაც მწიფდებოდა ნაყოფი. და მას ის ბედი ერგო, რომელსაც ისტორიულად იმსახურებდა.** სხვათა შორის, ამასწინათ გადავიკითხე სტალინის ზემოთ დასახელებული მოწინააღმდეგეების ზოგიერთი ნაწარმოები. მე ვერ შევნიშნე მათი ვერავითარი ინტელექტუალური უპირატესობა სტალინთან შედარებით...



...ის დროა, რამდენიმე სიტყვა ვთქვათ სტალინზე, როგორც თეორეტიკოსზე. აღიარებულია, რომ სტალინმა თითქოს მოახდინა მარქსიზმის ვულგარიზება, მაგრამ დავსვათ ასეთი შეკითხვა: სტალინის გარდაცვალების შემდეგ საბჭოთა ფილოსოფოსებმა მარქსიზმს ახალი რა შემატეს, მათთვის ჩვეულ სიტყვამრუშობას თუ არ მივიღებთ მხედველობაში? შევეცადოთ, მიუკერძოებლად უპასუხოთ ამ შეკითხვას, და შეიძლება ეჭვი დავგებადოთ, რამდენად სწორადაა ნახმარი სიტყვა ვულგარიზება. რა თქმა უნდა, მოხდა მარქსიზმის ფუძემდებლების ცალკეული მოსაზრებების ერთგვარი ვულგარიზება... არის კი ეს ნამდვილად ვულგარიზება?! ვულგარიზებაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა პირველწყაროები სიბრძნის მწვერვალებია ან სიღრმითაა გამორჩეული. მაგრამ, თუ მათ მკაცრი მეცნიერული კრიტერიუმებით გამოწვლილვით განვიხილავთ, აღმოვაჩენთ, რომ სავულგარიზებო არც არაფერი იყო. იყო ის, რაც სიტყვიერი ჩენჩოსგან უნდა გაწმენდილიყო. იყო რაღაც ისეთიც, რასაც ადვილად მოსანელებელი სახე უნდა მისცემოდა და ნორმალურ, ადამიანურ ენაზე უნდა აჟღერებულიყო. მაგრამ ვულგარიზება?! **არ ვიცი, იყო თუ არა სტალინი ავტორი იმ ნაწარმოებების, რომლებსაც მას მიაწერენ, მაგრამ ერთი რამ ზუსტად ვიცი: სტალინის ნაწარმოებები იყო ის ცოცხალი თაგვი, რომელიც მარქსიზმის ტექსტების მთამ შვა. დიადი იდეოლოგიური რევოლუციის საჭიროებისთვის მათგან უკეთესი ვერ გამოდნებოდა. ძალიან დაბალი კულტურული დონის მქონე მილიონობით მოსახლეობისთვის განკუთვნილ იდეოლოგიურ ტექსტებს შორის სტალინის ნაწარმოებები იყო ყველაზე საუკეთესო, რაც მარქსიზმზე დაუწერიათ ოდესმე.**

**ნაშრომი „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ“, რომელსაც სტალინს მიაწერენ, წარმოგვიდგა, როგორც მარქსიზმის იდეოლოგიის მწვერვალი. საბჭოთა კავშირში, ფაქტობრივად, დღემდე მთელ იდეოლოგიურ მუშაობას, ასე თუ ისე, საფუძვლად უდევს იდეოლოგიური რევოლუციის შედეგები, რომლებიც სტალინის სახელით განხორციელდა.**

თუ გსურთ, მარქსისტული სწავლების სიღრმისეულ შინაარსს ჩასწვდეთ, წაიკითხეთ სტალინის ნაწარმოებები... რა თქმა უნდა, მარქსიზმის ფუძემდებელთა ნაწარმოებებში არის ზოგი რამ, რისი შეფასება შეიძლება, როგორც მაღალი სულიერი კულტურის მოვლენის. მაგრამ ეს „ზოგი რამ“ არ არის მარქსიზმის სპეციფიკური პროდუქტი. ნასესხებია თანამედროვეთაგან და წინამორბედებიდან, უმთავრესად, მათი განადგურების მიზნით. უნდა ითქვას, რომ **„პოგრომები“, რომლებიც მარქსმა, ენგელსმა და ლენინმა თავიანთ ნაწარმოებებში მოუწყვეს მოწინააღმდეგეებს, აღმოჩნდა ერთგვარი მოსამზადებელი ეტაპი, რეალურ კომუნისტურ საზოგადოებაში მოწყობილიყო „პოგრომები“ მარქსიზმის იდეოლოგიური დროშის ქვეშ.**

**სტალინი ყველაზე უფრო ნამდვილი და ერთგული მარქსისტია. როცა მას ანიჭებენ ეშმაკის როლს ანგელოზების კრებულში, ამით რაღაც ნათელ მარქსიზმს კი არ განწმენდენ სტალინიზმის შავი ლაქებისგან, არამედ მხოლოდ ისწრაფვიან, დამალონ მარქსიზმის ჭეშმარიტი არსი, რომელიც გასაოცარი სისრულით და ნათლად წარმოაჩინეს სტალინმა და მისმა თანამებრძოლებმა.**

სტალინის პერიოდში შეიქმნა კომუნიზმის სხეულის ყველა ორგანო და ზუსტად განისაზღვრა მათი ფუნქციები, შემუშავდა ყველა რიტუალი და ქცევის წესი. სტალინის გარდაცვალების შემდეგ, რა თქმა უნდა, ზოგი რამ შეიცვალა. ხრუშჩოვი, მაგალითად, გაიტაცა სტალინისთვის უცხო უსაშინელესმა ლაყბობამ და მთელ მსოფლიოში უაზროდ ყიალმა, მაგრამ სტალინის სახე მაინც მის აზროვნებაზე ბატონობდა. ბრეჟნევს მეორე ილიჩის როლზე ჰქონდა პრეტენზია. მაგრამ ლაყბობითა და მოგზაურობისადმი მიდრეკილებით ხრუშჩოვს გადააჭარბა, თუმცა, ორატორული მონაცემებით, მას სტალინის ვარიანტი უფრო მოუხდებოდა. არ არის აუცილებელი, იყო ფსიქოანალიზის სპეციალისტი, რომ მიხვდე — **სტალინის სახემ ახალგაზრდობიდანვე დაიპყრო ბრეჟნევის სული. ხრუშჩოვმა, რა თქმა უნდა, ამხილა სტალინის დროინდელი საშინელებანი, ხოლო ბრეჟნევმა ვერ გაბედა მასობრივი რეპრესიების მოწყობა დისიდენტების წინააღმდეგ, რომელთა წარმოდგენაც კი შეუძლებელი იყო სტალინის დროს. მაგრამ არის კი ეს მათი პიროვნული თვისებები?**

ანტისტალინური განწყობილება პარტიასა და ხალხში ხრუშჩოვის მოხსენებამდე დიდი ხნით ადრე გაჩნდა. ეს უკანასკნელი იყო შედეგი წინა ისტორიის, ვიდრე ახლის დასაწყისი. ეს იყო ახალი ისტორიის ეტაპი და არა მამოძრავებელი მიზეზი. მამოძრავებელი მიზეზები ძველი დარჩა. მათ შესახებ ლაპარაკი დისიდენტებსაც კი არ სურთ. ბრეჟნევის „ლიბერალიზმიც“ არ არის მისი პირადი თვისება. ეს არის მტკიცე მონაპოვარი საბჭოთა საზოგადოების გაბატონებული ფენების, რომლებმაც მხოლოდ სტალინის გარდაცვალების შემდეგ (ანუ სტალინის პერიოდის დამთავრების შემდეგ) თავი უსაფრთხოდ იგრძნეს.

საბჭოთა კავშირში ოფიციალურად იყო მიჩნეული, რომ სტალინის დროს ირღვეოდა პარტიულ-სახელმწიფოებრივი ცხოვრების ნორმები, რომლებიც აღმოიფხვრა შემდგომ პერიოდში. ამასთან დაკავშირებით გაისმის კრიტიკული ხმები. „მსგავსი არაფერი მომხდარა, — ღაღადებენ ეს ხმები, — ხსენებული ნორმები ყოველთვის ირღვეოდა“. ამ ხმებს მიაჩნიათ, რომ, თუ ქვეყანაში საქმე ცუდადაა, მაშასადამე, ნორმები ირღვევა. მაგრამ, როგორც ოფიციალური შეხედულება, ასევე მისი კრიტიკა, მოცემულ შემთხვევაში, აზრსაა მოკლებული. საქმე ის კი არ არის, დაცულია თუ არა ნორმები, არამედ ის, როგორია თვით ეს ნორმები. სტალინის ეპოქა იყო ამ ნორმების გამოგონებისა და დამკვიდრების ეპოქა. **საქმე ისე არ იყო, როგორც წარმოუდგენიათ: თითქოს მაშინ, სტალინი რომ მოვიდა, უკვე არსებობდა ეს ნორმები. ისინი იბადებოდა და განმტკიცდებოდა იმ საშინელ პროცესში, რომელიც შემდეგ განმარტეს, როგორც მათი დარღვევის ჟამი. არ შეიძლებოდა იმის დარღვევა, რაც ჯერ კიდევ არ არსებობდა. საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესს აქვს თავისი ნორმები, რომელთა მიხედვითაც ყალიბდება წარმოქმნილი საზოგადოების ნორმები. სტალინის მთელი პერიოდი მიმდინარეობდა პირველთან ზუსტ შესატყვისობაში.**

**სტალინი ადეკვატური იყო იმ ისტორიული პროცესის, რომელმაც იგი შვა. მან კი არ შექმნა ეს პროცესი, არამედ თავისი ხელი დაატყო, თავისი სახელი და თავისი ფსიქოლოგია დაანათლა. ეს იყო მისი ძლიერება და მისი დიდება.**

გამორიცხული არ არის, რომ ახალგაზრდობას ოდესმე მოენატრება სტალინის დრო. ხალხი (სწორედ ის, ვითომ მოტყუებული და ნამუსახდილი) უკვე დარდობს და აპლოდისმენტებით ხვდება მისი სახელის ხსენებას.

**ალექსანდრე ზინოვიევი**

**მილიონობით ადამიანი, რომლებმაც თავიანთი განცდების სფეროში ჩაითრიეს მილიონობით სხვა, იყო კიდევ სტალინიზმის საყრდენი და დამკვრელი ძალა**

**P.S. ალექსანდრე ზინოვიევის ესე, რომელიც ეს-ესაა წაიკითხეთ, რა თქმა უნდა, სუბიექტურია (ზოგან აკვიატებამდე სუბიექტური), დისიდენტის გადმოსახედიდანაა დაწერილი. არ აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს მეცნიერული მიდგომის პრეტენზია. ისეთი პუბლიცისტიკაა, რომელიც გახსნილია კრიტიკისთვის.**

**თუმცა ღირს წასაკითხად.**

**ჩვენც მოგაწოდეთ, როგორც ფაქტი, დასკვნების გაკეთება თქვენთვის მოგვინდვია, მით უფრო, რომ წინ გიდევთ მრავალპლანიანი წიგნი სტალინის შესახებ საინტერესო ფაქტებითა და მოსაზრებებით, შეცდომებითა და უტყუარობით — „შიშველი“ ფაქტები შენიშვნებისა და კომენტარების გარეშე.**

**მიუკერძოებელი წიგნია, რომელიც ან გაგიმყარებთ პოზიციას, ან შეიძლება შეგაცვლევინოთ კიდეც. ვფიქრობ, რომ სტალინის მომხრენიც და მოწინააღმდეგენიც ერთნაირი ინტერესით წაიკითხავთ.**

**რუბრიკას უძღვება არმაზ სანებლიძე**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## რობერტ ჯონსონი და შეილა კრამპი

**განქორწინების თარიღი: 2002 წელი**
**კომპენსაცია: 400 მილიონი დოლარი**

მედიამაგნატი რობერტ ჯონსონი გახდა პირველი აფროამერიკელი მილიარდელი, რომელიც Forbes-მა ჩაწერა ყველაზე მდიდარ ადამიანთა სიაში. Black Entertainment-ის დამაარსებელმა განვლო გრძელი გზა წარმატებამდე, ხოლო შეილა მისთვის მუდმივად იყო დამხმარე. განქორწინების საშუალებით შეილა გახდა პირველი აფროამერიკელი ქალი, რომელიც ერთდროულად ფლობს სამ სპორტულ კლუბს. ესენია: ჰოკეის კლუბი Washington Capitals და საკალათბურთო კლუბები: Washington Wizard და Washington Mystics. რაც უნდა გასაკვირი იყოს, ახლა შეილა იმ მოსამართლეზეა დაქორწინებული, რომელიც 2002 წელს უძღვებოდა ჯონსონთან მისი განქორწინების საქმეს.



# ყველაზე ძვირადღირებული განქორწინებები



## კრეიგ და ვენდი მაკკოი

**განქორწინების თარიღი: 1998 წელი**
**კომპენსაცია: 460 მილიონი დოლარი**

კრეიგ მაკკოი მიიჩნევა მობილური კავშირგაბმულობის პიონერად, რადგან მან არჩევანი გააკეთა მობილურ კავშირგამბულობაზე ჯერ კიდევ 80-იან წლებში. მაშინ მისი არავის სჯეროდა, რადგან ანალიტიკოსები მიიჩნევდნენ, რომ მობილურები მსოფლიოში არ გავრცელდებოდა. ამასობაში მაკკოიმ მაინც ჩამოაყალიბა კომპანია McCaw Cellular და შემდეგ მიჰყიდა კომპანია AT&T-ს 10.5 მილიარდ დოლარად. ამ ფულიდან მას მხოლოდ 1.5 მილიარდი შეხვდა, ამის მესამედი კი თავის ცოლს მისცა, რადგან ცოტა ხანში გაშორდნენ კიდეც. წყვილმა ერთმანეთი გაიცნო სტუდენტობის დროს და 21-წლიანი თანაცხოვრების შემდეგ ხასიათთა შეუთავსებლობის გამო გაიყარნენ.



## სტივ და ელეინ უინები

**განქორწინების თარიღი: 2010 წელი**
**კომპენსაცია: 750 მილიონი დოლარი**

აზარტული თამაშების მაგნატისა და მისი ექს-მეუღლის ისტორია რომანტიულად დაიწყო. ახალგაზრდობაში ისინი კოლეჯში ხვდებოდნენ ერთმანეთს. სტივი იყო უჭკვიანესი ადამიანი კურსზე, ხოლო ელეინი — სილამაზის დედოფალი. 1963 წელს ისინი დაქორწინდნენ. 23 წლის შემდეგ გაშორდნენ ერთმანეთს, ხოლო ცოტახანში ისევ დაქორწინდნენ და 2010 წელს კვლავ დაშორდნენ. ელეინს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კომპანია Wynn Resort-ის საქმეების მართვაში და მისი ქონება შეფასებულია 1.7 მილიარდ დოლარად.



## ადნან და სორაია ჰაშოგები

**განქორწინების თარიღი: 1974 წელი**
**კომპენსაცია: 874 მილიონი დოლარი**

ადნან ჰაშოგმა ფული გამოიმუშავა საუდის არაბეთის სამეფო ოჯახის იარაღების გაყიდვით და დააარსა თავისი კომპანია Triad-ი. კომპანიაში შედიოდნენ დედამიწის ნებისმიერ ცენტრში მდებარე ბანკები და სასტუმროები. 1961 წელს მან ცოლად მოიყვანა სორაია, მაგრამ 1974 წელს ისინი დაშორდნენ და ეს განქორწინება ითვლებოდა 70-იან წლებში ყველაზე ძვირადღირებულ განქორწინებად. მიზეზი იყო ის, რომ ბავშვი, რომელსაც ისინი ზრდიდნენ, არ იყო ადნანის და ეს დე-ენ-ემის ტესტმა დაამტკიცა. ბავშვის მამა იყო ინგლისის პარლამენტარი ჯონათან აიტკენსი.



## ბერნი და სლავიკა ეკლსტოუნები

**განქორწინების თარიღი: 2008 წელი**
**კომპენსაცია: 1.2 მილიარდი დოლარი**

სლავიკა სრულიად შეესაბამეობდა იმ მოთხოვნებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს მილიარდელის ცოლი — იგი იყო მაღალი, გამხდარი, ელეგანტური და მოხდენილი, ის იყო დიზაინერ ჯორჯ არმანის საყვარელი მოდელი. 159 სმ სიმაღლის ბერნი ეკლსტოუნი, რომელიც არის „ფორმულა 1-ის“ პრეზიდენტი, მასთან შედარებით აქსესუარი იყო. ისინი ერთად ცხოვრობდნენ 24 წელიწადი. განქორწინების შემდეგ სლავიკამ იყიდა 60-მილიონიანი კერძო თვითმფრინავი, რომელზეც დიდხანს ოცნებობდა.



## რუპერტ და ანა მერდოკები

**განქორწინების თარიღი: 1998-1999 წ.წ.**
**კომპენსაცია: 1.7 მილიარდი დოლარი**

82 წლის მედიამაგნატის, რუპერტ მერდოკის, ქონება შეფასებულია 11.2 მილიარდად. მის მფლობელობაშია News Corporation, ასევე კინოკომპანია 20th Century Fox, გამოცემა HarperCollins და გაზეთები The Wall Street Journal, The Times, The Sun და New York Post. 1960-იან წლებში ის დაქორწინდა ანა თორვზე. მათ ეყოლათ 3 შვილი და ქორწინებამ 32 წელი გასტანა, მაგრამ ქორწინებას ბზარი გაუჩნდა მაშინ, როდესაც რუპერტი შეხვდა 38 წლის ვენდი დენგს.



## ალეკ და ჟოსლინ უილდენშტეინები

**განქორწინების თარიღი: 1997-1999 წ.წ.**
**კომპენსაცია: 2.5 მილიარდი დოლარი და პლიუს ყოველწლიურად 100 მილიონი 13 წლის განმავლობაში**

1997 წლამდე უილდენშტეინების ოჯახი წარმოადგენდა ხელოვნების ნიმუშების კოლექციონერებს. მათ გააჩნდათ უდიდესი კომპანია სახელად Wildenstein&Co. მათი ქორწინება დასრულდა 1999 წელს, რადგანაც ჟოსლინს სურდა, 13 პლასტიკური ოპერაციის საშუალებით ლამაზმანად ქცეულიყო, მაგრამ ეს ყველაფერი ცუდად დასრულდა და ჟოსლინი სრულიად დამახინჯდა. 2008 წელს 68 წლის ასაკში ალეკი გარდაიცვალა, ხოლო ჟოსლინი აგრძელებს უზრუნველად ცხოვრებას – მისი სატელეფონო გადასახადები წელწადში შეადგენს 60 000 დოლარს, ხოლო კვების ხარჯები 540 000 დოლარია.



## მაიკლ და მაია პოლსკები

**განქორწინების თარიღი: 2006 წელი**
**კომპენსაცია: 184 მილიონი დოლარი**

მაიკლ და მაია პოლსკები კიევში 1970-იან წლებში დაქორწინდნენ, გამოიქცნენ საბჭოთა კავშირიდან და 1976 წელს ამერიკაში გადასახლდნენ. თავიდან მხოლოდ 500 დოლარი გააჩნდათ, მაგრამ ცოტახანში მათი აღმასვლაც დაიწყო – მაიკლმა დააარსა დამოუკიდებელი ელექტროკომპანია SkyGen Energy. მაია თავიდან დიასახლისი იყო, ხოლო შემდეგ გახსნა სურათების გალერეა. ამერიკაში გადასახლებიდან 30 წლის შემდეგ ისინი დაშორდნენ და მაიამ მიიღო 176 მილიონი, მაგრამ შემდეგ მოსამართლემ მოუმატა 184 მილიონამდე.



## მელ და რობინ გიბსონები

**განქორწინების თარიღი: 2009-2011 წ.წ.**
**კომპენსაცია: 425 მილიონი დოლარი**

გიბსონები ერთმანეთს დაშორდნენ 31-წლიანი ქორწინების შემდეგ. რობინმა დაიბრუნა თავისი გვარი — მური და მიიღო უფლება, გაზარდოს თავიანთი საერთო 7 შვილი. მაგრამ 425 მილიონზე საქმე არ შეჩერებულა — მელმა კინოსგან მიღებული ჰონორარების ნახევარი თავისი შვილის დედას უნდა უხადოს.



## რომან და ირინა აბრამოვიჩები

**განქორწინების თარიღი: 2006 წელი**
**კომპენსაცია: 300 მილიონი დოლარი**

16-წლიანი ქორწინების განმავლობაში აბრამოვიჩმა მოახერხა იმდენი, რომ გახდა უზი-ის დირექტორი, ასევე ნავთობთრეიდერი, ჟმქნეფიმ-ის და ევპთზ-ის მფლობელი, ხელოვნების ნიმუშების კოლექციონერი, გუბერნატორი და საფეხბურთო კლუბ Chelsea-ის მფლობელი. ამ ხნის განმავლობაში ირინა მუშაობდა სტიუარდესად და გააჩინა 5 ბავშვი. განქორწინების მიზეზი აბრამოვიჩის ღალატი გახდა.



## მძიმე ჯვარი

60 წლის ლინდსი ჰამონმა თავისი ცხოვრების ბოლო 26 წელი მოგზაურობაში გაატარა. ამ მოგზაურობისას ქალს მხრებით უზარმაზარი ჯვარი დაჰქონდა და ხალხს იესოს შესახებ უყვებოდა.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ყველაზე უცნაური ცხოვრების წესი

**მსოფლიოში ცხოვრობს უამრავი ადამიანი, რომლებიც საყოველთაო სტანდარტებისგან მეტ-ნაკლებად განსხვავებული წესით ცხოვრობენ. მათი ყოველდღიურობა ხშირად ირგვლივ მყოფთა მხრიდან შეუწყნარებლობით, ნორმაში დაბრუნების მუდმივი მცდელობით ან, უბრალოდ, გარიყვით ხასიათდება. არიან ისეთებიც, ვისაც გაუმართლათ და დიდ წინააღმდეგობებს არ აწყდებიან. ადამიანთა შორის ყველაზე უცნაური ახირებების მქონენი კი ამ რეიტინგში მოხვდნენ.**



## ქალი თორმეტ «შავ ქვრივთან», ანუ სტეატოდთან ერთად ცხოვრობს

**Steatoda nobilis-ი არის ობობა, რომელიც ბრიტანეთის გაერთიანებულ სამეფოში ცნობილია, როგორც „კეთილშობილური ყალბი ქვრივი“ და რომელსაც ხშირად მოიხსენიებენ, როგორც „ცრუ ქვრივს“.**

მთელ ქვეყანაში ხალხს ეშინია, არ შეხვდნენ 8 ფეხა არსებები — სტეატოდები, ამიტომაც თავს არიდებენ ფარდულებსა და სარდაფებში შესვლას, თუმცა ერთი ქალი, სახელად ჯეი რეიხი, თავგამოდებით ცდილობდა ამ შხამიანი ობობების შეგროვებას. როგორც ამბობს, სურს, ერთ-ერთმა ობობამ მაინც დაკბინოს, რათა დაამტკიცოს, რომ ისინი უვნებელნი არიან „ცრუ ქვრივის“ ჩათვლით.

ჯეი ცხოვრობს ქალაქ ბრაკნელში, ამ არსებების გარემოცვაში და მისი კოლექცია დღითიდღე იზრდება. ამჟამად მას ჰყავს სამი ზრდასრული და ათი პატარა სტეატოდი. ჯეიმ დედა-ობობას კილა დაარქვა და გაოცებულია იმით, თუ როგორი „საყვარელია“ დედა-ობობა.

უკანასკნელი ინფორმაციით, საგრაფო Gloucestershire-ში სკოლა იმის გამო დაიხურა, რომ იქ შავი ობობები აღმოაჩინეს. ამ ინფორმაციამ საშინლად გაალიზიანა 25 წლის ჯეი რეიხი. „ეს სკოლა აბსოლუტურად უმიზეზოდ დაიხურა, თუ მხოლოდ იმის გამო დახურეს, რომ იქ იპოვეს **„ონავარის ბუდე“, ამ ობობებმა დაუმსახურებლად და უსამართლოდ მიიღეს ცუდი რეპუტაცია“,** — განაცხადა ჯეი რეიხმა.



## მამაკაცი, რომელსაც ტარაკნებთან ცხოვრება მოსწონს

**ბევრისგან განსხვავებით, მიჩიგანის შტატის ქალაქ დირბორნის უნივერსიტეტის სტუდენტ კაილ კანდილიანს ტარაკნების არ ეშინია. პირიქით, იგი ათიათასობით ტარაკანთან ერთად ცხოვრობს. მისი თქმით, ამჟამად მის სახლში ბინადრობს დაახლოებით 200 000 ტარაკანა. სამწუხაროდ, კაილის მეუღლემ ვერ აიტანა ცხოვრება მწერებთან ერთად და ქმარს გაეყარა.**

20 წლის სტუდენტი აგროვებს და ამრავლებს ტარაკნებს არამხოლოდ სიამოვნება-გართობისთვის, არამედ გამორჩენისთვისაც. როგორც ჩანს, ეს უჩვეულო ჰობი ეხმარება მას მიჩიგან-დირბორნის უნივერსიტეტის სწავლის საფასურის გადახდაში.

12 ცალი ჩვეულებრივი ტარაკანა 10 ცენტი ღირს, ხოლო მარტორქა-ტარაკანები, რომელთა სიცოცხლის ხანგრძლივობა 15-17 წელიწადს აღწევს, 200 დოლარამდე ფასობს.

უნივერსიტეტის სტუდენტს ჰყავს კლიენტების ფართო წრე, რომელთა საყვარელი შინაური ცხოველები ტარაკნებით იკვებებიან. ასევე უნივერსიტეტის მეცნიერ-მკვლევარები ყიდულობენ მწერებს კვლევითი მიზნებისთვის.

კაილ კანდილიანმა მოაშენა ტარაკნების დაახლოებით 130 სახეობა, რასაც თითქმის 8 წელიწადი მოანდომა.



## ქალი, რომელიც 700 კატასთან ერთად ცხოვრობს

**ლინეა ლატანზიოს ჯერ კიდევ ბავშვობაში ჰქონდა სურვილი, კატა ჰყოლოდა, მაგრამ დედა სახლში კატის ყოლის სატიკი წინააღმდეგი იყო. ამჟამად კი ლინეა ლატანზიო მარტო ცხოვრობს ასობით კატასთან ერთად თავის ნაკვეთში, რომლის ფართობი დაახლოებით 5 ჰექტარია. ეს მიწის ნაკვეთი მდებარეობს ქალაქ პარლიერის გარეუბანში, კალიფორნიის შტატი, სადაც ლინეას კატების უზარმაზარი თავშესაფარი აქვს.**

მან ცხოველების გადარჩენა მას შემდეგ დაიწყო, რაც განქორწინდა 1981 წელს. მას დრემდე 19 000 კატა ჰყავს გადარჩენილი.

თავშესაფარი The Cat House on the Kings კატების ყველაზე დიდი თავშესაფარია კალიფორნიაში, სადაც ცხოველები არ ჰყავთ გამომწყვდეული გალიებში და არ უკეთებენ ევთანაზიას. ლინეას „კატების თავშესაფარში“ არის მინიმუმ 700 კატა და 15 ძაღლი.

თავშესაფარი საზრდოობს ფულადი გრანტებით და შემოწირულობებით გულუხვი სპონსორებისგან.



## ქალი, რომელიც ვიქტორიანულ ეპოქაში ცხოვრობს

**სარა კრისმანს არასდროს უფიქრია კორსეტის ჩაცმა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მეუღლემ დაბადების დღეზე აჩუქა, სარამ განაცხადა, რომ მისი ცხოვრება შეიცვალა. კორსეტმა შთააგონა მას, ღრმად ჩასწვდომოდა ვიქტორიანული ეპოქის მოდას და მთლიანად გადავიდა ვიქტორიანული ეპოქის სტილზე.**

სარა საკუთარი ხელით იკერავს ტანსაცმელს (ბუნებრივი მასალისგან), არ ატარებს მანქანას, არ ხმარობს მობილურ ტელეფონს, არ უყურებს ტელევიზორს, იყენებს ნავთის ნათურებს თავისი ვიქტორიანული სახლის განათებისთვის, რომელიც მდებარეობს ქალაქ პორტ თაუნსენდში, ვაშინგტონის შტატში. რაც შეეხება საკვების მომზადებას, სარა კრისმანი მე-19 საუკუნის სამზარეულო წიგნით ხელმძღვანელობს.

თავის წიგნში „ვიქტორიანული საიდუმლო“ კრისმანი ამჟღავნებს მისი ცხოვრების სტილის საიდუმლოებას.

## ძაღლური ცხოვრება

**გარი მატეუსი, აფეთქებისგან დაცვის ტექნოლოგიების ლაბორატორიის ყოფილი მეცნიერ- თანამშრომელი, მიიჩნევს, რომ ძაღლია. 48 წლის მამაკაცი ატარებს ძაღლის საყელოს, ჭამს ძაღლის საკვებს თასიდან, მისი საყვარელი საკვებია პედიგრი, რძიანი ძვლები და ძაღლის ორცხობილა.** ის ხშირად ყეფს, მისდევს მანქანებს, საცხოვრებელი სახლის უკანა ეზოში თხრის ორმოებს ძვლების ძიებაში, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ძაღლი. მატეუსს სძინავს თავის საძაღლე ქოხში, რომელიც, მისი თქმით, ბევრად უფრო მოსახერხებელია, ვიდრე ადამიანის საწოლი.

გარიმ, რომელიც ცხოვრობს პენსილვანიის შტატში, თავისი იმიჯი მას შემდეგ შეიქმნა, რაც ნახა პოპულარული



სერიალი „Thats Boomer“. ეს სერიალი იყო შერეული ჯიშის მოხეტიალე ძაღლზე, სახელად ბუმერზე, რომელიც მოგზაურობდა მსოფლიოში და ეხმარებოდა ხალხს უბედურებისას. ეს იდეა ძალიან მოსწონდა მატეუსს და მან მთლიანად შეცვალა მისი ადამიანური ცხოვრება.



## პარალიზებაზე მეოცნებე

**ინვალიდის ეტლზე მიჯაჭვა ცხოვრების ბოლომდე ენით აუწერელი ტანჯვაა ბევრი ადამიანისთვის, მაგრამ არა ჯენინგსუაიტისთვის.** 57 წლის ქიმიკოსს სოლთ-ლეიქ-სიტიდან აქვს არაბუნებრივი სურვილი, გახდეს პარალიზებული წელს ქვემოთ.



## 61 წელი რესპირატორის შიგნით

**მარტა მეისონმა 60 წელზე მეტი დრო დაჰყო ხელოვნური სუნთქვის აპარატში მას შემდეგ, რაც ბავშვობაში პარალიზებულ იქნა პოლიომიელიტის გამო.**

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## საშობაო განათების მსოფლიო რეკორდი

**ავსტრალიის დედაქალაქ კანბერაში მცხოვრებმა ოჯახმა საშობაო განათებით მსოფლიო რეკორდი დაამყარა.** რიჩარდსებმა სახლი 502 165 საშობაო ნათურით მორთეს. ზღაპრული ილუმინაციის სანახავად რიჩარდსების ეზოში უამრავი ხალხი შეიკრიბა. რეკორდი ოფიციალურად დააფიქსირა გინესის მსოფლიო რეკორდების წარმომადგენელმა. საშობაო ნათურების ინსტალაციაში ჯენინ და დევიდ რიჩარდსებს მათი 3 შვილი, მეგობრები, ნათესავები და მეზობლები ეხმარებოდნენ. საერთო ძალისხმევით, საშობაო ნათურების განთავსებას რამდენიმე კვირა დასჭირდა. საერთო ჯამში 2 291 დოლარი დაიხარჯა. ეს ოჯახის პირველი რეკორდი არ არის — 2011 წელს მათ სამასი ათასზე მეტი ნათურით მორთეს სახლი, თუმცა 2012 წელს მათ რეკორდსმენობა ნიუიორკელმა ოჯახმა ჩამოართვა.



# საშინაო ზოოპარკი

**დიმიტრი სუდაკოვმა სახლში ნამდვილი ზოოპარკი მოაწყო. დღესდღეობით დიმიტრის ბინაში ცხოვრობენ ფოცხვერი, მელა, წაულასი, სხვადასხვა ჯიშის ძაღლები, ხოლო რამდენიმე წლის წინ მათთან ერთად ცხოვრობდა ლომის ბოკვერიც.**

დიმიტრის სიამაყეს წარმოადგენს იბერიული ფოცხვერი, რომლის საბინადრო არეალია იბერიის (პირინეის) ნახევარკუნძული. მფლობელმა თავის ფოცხვერს ნაქსი დაარქვა. მისი სიგრძე 82 სანტიმეტრს აღწევს, მას აქვს მოკლე კუდი, ყურების ბოლოებზე გრძელი ფუნჯები და ხშირი ბეწვი ნიკაპის ქვემოთ. შეფერილობით იგი ხალებიანია.

ნაქსის ტერფები ბეწვის სქელი ფენით აქვს დაფარული, რომლის მეშვეობითაც უხმაუროდ გადაადგილებას ახერხებს. ნაქსის სიცოცხლის მაქსიმალური ხანგრძლივობა 12-14 წელია. დიმიტრის განცხადებით, პორტუგალიაში არსებობს საქველმოქმედო ფონდი „SOS Lynx“, რომელიც იბერიული ფოცხვერის გადარჩენაზე ზრუნავს.

ცხოველები ძალიან მეგობრულად ცხოვრობენ, განსაკუთრებით მელა და ძაღლები.





















## არგენტინაში ორსული მამაკაცი და მისი მეგობარი ტრანსსექსუალი დაქორწინდნენ



**ლათინურ ამერიკაში უჩვეულო ქორწილი გაიმართა: დაქორწინდნენ ორსული ნეფე და მისი ტრანსსექსუალი პატარძალი.**

ახალდაქორწინებულები — 28 წლის კარენ ბრუსელარიო და 26 წლის ალექსის ტაბორდა არიან. მათ ერთმანეთი ბუენოსაირესში გაიცნეს. ორივე ტრანსექსუალებისა და ტრანსგენდერების უფლებებისთვის იბრძვიან.

**„ეს ძალიან ემოციური, უნიკალური დღე იყო, რადგან ჩვენი ოცნება, როგორც იქნა, ახდა. ოფიციალურად დაქორწინება შევძელით“,** — ამბობს ორსული მამაკაცი.

ქორწინება უნიკალურია, რადგან ახალდაქორწინებული ცოლი-ქმარი საკუთარ თავს საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლად აღიქვამს, მაგრამ სქესის შეცვლის ოპერაცია არ გაუკეთებიათ. შედეგად, „საქმრომ“ რეპროდუქციის ბიოლოგიური უნარი შეინარჩუნა: ქორწინების დროს ალექსის ტაბორდა 36 კვირის ორსული იყო.

## ნასა მთვარეზე ბოსტნეულს მოიყვანს



**ნასას მეცნიერები მთვარეზე ბოსტნეულსა და მცენარეებს დარგავენ, რათა შეამოწმონ, ოდესმე იქ ადამიანი თუ შეძლებს ცხოვრებას.** კოსმოსში მეცნიერები სხვა მცენარეებთან ერთად რეჰანსა და თალგამს დარგავენ. მცენარეთა თესლსა და ნერგებს მთვარის მტვრისგან სპეციალური კონტეინერებით დაიცავენ. მათ სპეციალური კამერებით დააკვირდებიან, მცენარეებისთვის წყალს მოიმარაგებენ. ექსპერიმენტი 2015 წელს განხორციელდება. მეცნიერებთან ერთად პროექტში სტუდენტებისა და მოხალისეების ჯგუფები არიან ჩართულნი.

**„მეცნიერები მთვარის გარემოს შეისწავლიან. თუ მცენარეები გაიხარებენ, გამოდის, ადამიანიც შეძლებს იქ ცხოვრებას, რადგანაც, ადამიანების მსგავსად, მცენარეებსაც იგივე საჭიროებები აქვს — საჭმელი, სასმელი და ჰაერი“,** — ამბობს ნასას წარმომადგენელი.





## 1986 წელი

**26 წლის ბლერ მაკმილანი და მისი კანადელი მეუღლე, 27 წლის მორგანი, თვალთმაქცობენ, თითქოსდა ჯერ კიდევ 1986 წელია.** ცოლ-ქმარი ამას აკეთებს შვილების — 5 წლის ტრეისა და 2 წლის დენტონის გამო. მათ არ სურთ, რომ მათი ბავშვები მიჯაჭვულნი იყვნენ ტელევიზორს ან კომპიუტერს ეზოში სუფთა ჰაერზე ბურთის თამაშის ნაცვლად. აქედან გამომდინარე, მათ სახლში აკრძალულია ნებისმიერი ტექნიკა, რომელიც გაჩნდა 1986 წლის შემდეგ... მათ დიდ ოჯახში არ არის სმარტფონები, პლანშეტი, მოდური ყავის მადუღარა, საკაბელო ტელევიზია, ინტერნეტი და ადამიანები, რომლებიც დამოკიდებულნი არიან თანამედროვე ტექნოლოგიაზე. მათი აზრით, ეს არ არის სრულფასოვანი და ჯანსაღი ცხოვრება.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მწერალი პროგრამა

**პროფესორმა ფილიპ პარკერმა გამოიგონა კომპიუტერული პროგრამა, რომელიც თავისით წერს წიგნებს.**

ფილიპ მ. პარკერი მარკეტინგის პროფესორია INSEAD-ის ბიზნესსკოლაში და 10 წელზე მეტია, მუშაობს ამ პროექტზე. მან საბოლოოდ მაინც მოახერხა კომპიუტერული პროგრამის შექმნა, რომელსაც შეუძლია, ადამიანის მიერ მითითებულ საგანზე დაწეროს წიგნი დაახლოებით 20 წუთის განმავლობაში.

მისმა შემუშავებულმა ალგორითმმა უკვე ასიათასობით წიგნი „დაწერა“. Amazon-ზე უკვე დევს გასაყიდად 100 000-ზე მეტი წიგნი, რომლებიც პარკერს ეკუთვნის და 700 000-ზე მეტი წიგნი, რომლებიც იმ კომპანიას ეკუთვნის, რომელშიც პარკერი მუშაობს.

ეს წიგნები არ არის ტიპიური. ისინი დამყარებულია სპეციალურ ტექნოლოგიურ და ბიზნეს გათვლებზე. ისინი ასევე შეიცავენ სხვადასხვა დაავადების განხილვასა და მათი მკურნალობის გზებს. პროგრამას შეუძლია შეადგინოს Puzzle, რომელიც დაგეხმარებათ ენების შესწავლაში.

პროგრამა იყენებს ინფორმაციას, რომელიც თავისივე მონაცემთა ბაზაშია შენახული, რათა შემდეგ დაწეროს თემა ამა თუ იმ საგანზე. მარტივად გასაგები რომ იყოს, შემდეგნაირ მაგალითს მოგიყვანთ:

პროგრამა მონაცემთა ბაზიდან მხოლოდ ინფორმაციას იყენებს, სტატიას თუ თემას კი მხატვრულობას მატებს ალგორითმი.

რეალურად ეს არა კომპიუტერი პროგრამა, არამედ მთელი კომპიუტერული სისტემაა, რომელიც განკუთვნილია თემების წერისთვის.

პროგრამის იდეალურობა პარკერის შესანიშნავმა ალგორითმმა განაპირობა. ამის წყალობით პროგრამა თემის წერის დროს ყველა იმ დეტალს ითვალისწინებს, რომელთაც ექსპერტები რაიმე თემის წერის დროს იყენებენ. პარკერს ამ ალგორითმის შემუშავებაში თავისი გამოცდილება დაეხმარა, რადგან მას,



სულ ცოტა, 3 წიგნი აქვს დაწერილი წარსულში. პარკერის პროგრამის მიერ დაწერილი წიგნი „The 2007-2012 World Outlook for Wood Toilet Seats“ 755 დოლარი ღირს, მას კი ამ წიგნის დაწერა 0,25-0,50 დოლარი უჯდება (ელექტროენერგია და მეხსიერება).



# სიგნალიზაცია სასაფლაოებზე

**იოჰანესბურგში სასაფლაოები ხშირად იძარცვება და ადგილობრივებმა პრობლემის გადაწყვეტის მარტივ ხერხს მიაგნეს.**

კრიმინალის ალმოსაფხვრელად Avalon-ის სასაფლაოზე სიგნალიზაციის დამონტაჟებას გეგმავენ. Memorial Alert უსაფრთხოების დაცვის პირველი კომპანიაა მსოფლიოში, რომელიც სიგნალიზაციას სასაფლაოებზე ამონტაჟებს.

როგორც კომპანიის დირექტორი მარკ პრინგლი ამბობს, საფლავის პატრონს განგაშის სიგნალს მოკლე ტექსტური შეტყობინების საშუალებით გაუგზავნიან. სიგნალიზაცია ჩაირთვება მაშინ, როდესაც საფლავის ქვას ან ყვავილებიან ლარნაკს ვინმე შეეხება.

**„ეს მხოლოდ ფულს არ ეხება. ოჯახები ნერვიულობენ, როდესაც ვიღაც მათი საყვარელი ადამიანის ხსოვნას შეურაცხყოფს“,** — ამბობენ კომპანიაში.

# მშობლებს ჩვილის საკუთარ ლოგინში ჩაწვენა აუკრძალეს



**ექსპერტებმა შვედ მშობლებს 3 თვემდე ჩვილის ლოგინში ჩაწვენა აუკრძალეს, რადგანაც ამან, შესაძლოა, პატარას უეცარი სიკვდილი გამოიწვიოს.**

ქვეყანაში ბავშვისთვის მშობლების ლოგინის გაზიარება ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ მეცნიერები მშობლებს სთხოვენ, ეს პრაქტიკა დაივიწყონ.

„მნიშვნელოვანია, რომ 3 თვემდე ბავშვი საკუთარ ლოგინში იწვეს. აუცილებელია, პატარამ კვამლით ან ალკოჰოლით გაჟღენთილი ჰაერი არ ისუნთქოს“, — ამბობს მკვლევარი კერსტინ ნორდსტრენდი.

SIDS — ჩვილის უეცარი სიკვდილის სინდრომი დღემდე ამოუხსნელ ფენომენად ითვლება. ამ სინდრომის დროს პატარა სრულიად მოულოდნელად ძილში კვდება. გაკვეთისას ექიმები ვერასდროს სვამენ ზუსტ დიაგნოზს, კონკრეტულად რის გამო გარდაიცვალა ჩვილი.

სწორედ ამიტომ ამ სინდრომს ხშირად ლოგინის სიკვდილსაც უწოდებენ. სინდრომის პრევენციისთვის არსებობს რამდენიმე სტრატეგია: პატარა ზურგზე დააწვინოთ და არ გამოიყენოთ მოშვებული ქვეშაგები.

ბრიტანულ სამედიცინო ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიაში წერია: უეცარი სიკვდილის სინდრომით გარდაცვლილთა ანალიზისას გაირკვა, რომ გარდაცვლილთა 22%-ს მშობლის ლოგინში ეძინა.

# ბრაზილიაში მინდორზე ამოუცნობი წრეები გაჩნდა



**ნოემბრის დასაწყისში ბრაზილიის შტატ სანტა კატარინაში ერთ-ერთ მინდორზე, სადაც ხორბალი ჰქონდათ დათესილი, უცნაური წრე გაჩნდა. მალე ადგილობრივებმა ოდნავ მოშორებით მეორე ასეთ წრეს მიაგნეს. ორივე წრის დიამეტრი 54.06 მეტრია.**

ფერმერთა მინდვრებზე მსგავსი შემთხვევები არაერთხელ მომხდარა, თუმცა ამ დრომდე მომხდარს სამეცნიერო ახსნა ვერ მოუძებნეს.

როგორც წესი, ასეთი წრეების გამოჩენა უცხოპლანეტელების თემას უკავშირდება ხოლმე.

ადგილობრივები აცხადებენ, რომ პირველი რგოლი 2 ნოემბერს, დილით, 6-დან 7 საათამდე გაჩნდა. ერთ-ერთი ბრაზილიური უფოლოგიური ჟურნალის რედაქტორი აცხადებს, რომ ადამიანს, რომელიც დაამტკიცებს, რომ „მინდვრის მოხატულობა“ გაყალბებულია, 20 000 დოლარით დააჯილდოვებს.



# ნასას ტელესკოპმა «ღმერთის ხელი» დააფიქსირა

**„ღმერთის ხელი“ — ასე უწოდეს ნასას მეცნიერებმა ვარსკვლავის აფეთქების შედეგად წარმოქმნილ ღრუბელს, რომელიც დაახლოებით 17 ათასი სინათლის წელიწადით არის დედამიწიდან დაშორებული.**

კოსმიური „ღმერთის ხელის“ გამოსახულება მაშინ გამოჩნდა, როდესაც ვარსკვლავი აფეთქდა და გამოტყორცნილი ღრუბელი ნასას სპექტროსკოპულმა ტელესკოპმა NuSTAR-მა დააფიქსირა.

ნასას მიერ გავრცელებულ ფოტოზე ცისფრად წარმოდგენილია მატერია, რომელიც ვარსკვლავის აფეთქების შემდეგ გამოიტყორცნა, ხოლო მწვანე ფერებში რენტგენული კოსმოსური ობსერვატორიის მიერ მიღებული მონაცემებია. წარმოქმნილი ღრუბლის ნაწილაკები მატერიის გარშემო არსებულ მაგნიტურ ველებთან ურთიერთქმედებენ, რაც რენტგენის სხივებში გატარების შემდეგ ნათებას იწვევს. შედეგად, რჩება შთაბეჭდილება, რომ ღრუბელი გაშლილი ხელის ფორმისაა.

მეცნიერების ნაწილი დარწმუნებული არაა, გამოტყორცნილ ნივთიერებას ნამდვილად აქვს თუ არა ხელის ფორმა.

„ზუსტად არ ვიცით, შეიძლება ეს უბრალოდ ოპტიკური ილუზიაა. NuSTAR-ის ფოტოთი თუ ვიმსჯელებთ, მუშტის ფორმა იკვეთება“, — ამბობენ McGill-ის უნივერსიტეტის მეცნიერები.

# მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული წიგნი



THE
VVHOLE
BOOKE OF PSALMES
Faithfully
TRANSLATED into ENGLISH
Metre.
Whereunto is prefixed a discourse declaring not only the lawfullnes, but also the necessity of the heavenly Ordinance of singing Scripture Psalmes in the Churches of God.

**აშშ-ის ტერიტორიაზე დაბეჭდილი პირველი წიგნი Sotheby's-ს აუქციონზე რეკორდულ თანხად გაიყიდა. წიგნში 14.2 მილიონი დოლარი გადაიხადეს.**

1640 წელს კემბრიჯში გამოცემული The Bay Psalm Book (ფსალმუნების წიგნი) ამიერიდან ყველაზე ძვირადღირებული წიგნია. ამასთან, აუქციონის დაწყებამდე ვარაუდობდნენ, რომ ლოტი 15-30 მილიონ დოლარად გაიყიდებოდა.

წიგნის მფლობელი გახდა ამერიკელი ბიზნესმენი და ფილანტროპი დევიდ რუბინშტეინი. ლოტის ყიდვის მომენტში რუბინშტეინი ავსტრიაში იმყოფებოდა და ვაჭრობაში ტელეფონის საშუალებით მონაწილეობდა. ჯერჯერობით უცნობია, როგორ განკარგავს ახალ შენაძენს ბიზნესმენი.

აღნიშნული წიგნი მასაჩუსეტსის შტატში 1640 წელს 1700 ეგზემპლარად დაიბეჭდა. ამასთან, ჩვენ დრომდე მხოლოდ 11-მა მოაღწია, რომელთაგან მხოლოდ ხუთია სრულად შემონახული. აუქციონზე გამოტანილი წიგნი ბოსტონში არსებულ ეკლესიას — Old South Church-ს ეკუთვნოდა. გაყიდვიდან მიღებული თანხა ეკლესიის შენობის შენარჩუნებას მოხმარდება.

# ჭეშმარიტად აურაცხელ არს ღვაწლი თქვენი ერისა და ბერის წინაშე

## ღია წერილი მამა ბასილი მკალავიშვილს

„განა ღმერთი არ დაიცავს თავის რჩეულთ, რომელნიც დღე და ღამე მას შეჰღაღადებენ“
(ლუკა. 18,7).

„თითოეული ჩვენგანი მიწიერ ცხოვრებაზე დროებითა ვართ მოვლენილნი, ვალი რომ მოვიხადოთ ერისა თუ ბერის წინაშე. ყოველი დღე ჩვენი არსობისა გამოცდა არს უფლისგან, რამეთუ ანგელოზთაგან აღირიცხება ყოველი კეთილი თუ ბოროტი ჩვენ მიერ ქმნულნი, ვინ როგორ წარსდგება სამარადისო განსასვენებელში. ყოველი მორწმუნე, მართლმადიდებელი ვალდებულნი ვართ, დღის ბოლოს უთქმიდეთ საკუთარ თავს, თუ რა ქველის საქმე აღვასრულეთ ამას დღეს, ან რა შევცოდეთ მუნ, მერე სინანულით შეუერთდეთ უფალს, ყოვლადწმიდა დედას შინაგანი აღსარებით. ტაძრისკენ მიმავალ გზაზე ვიდოდეთ თავმდაბლობით, მოთმინებით, რწმენით, რამეთუ მხოლოდ ამით ვცხონდებით. უნდა ვერიდებოდეთ განდიდებას, რამეთუ „კაცთა შორის მაღალ, საძაგელ არს წინაშე ღმრთისა“
(ლუკა. 16-15).



დღეს, სამწუხაროდ, იშვიათია მოძღვარი, რომელიც ამ პრინციპებით ცხოვრობს, რამეთუ უმრავლესობა მომხვეჭელობის მანიით არის შეპყრობილი და ღმრთის მსახურებაზე წინ საკუთარ მეს აყენებს. საბედნიეროდ, არიან სასულიერო პირნი, რომლებიც მთელი არსებით უფალს და მისი მცნებების დაცვას ემსახურებიან.

ყოველგვარი შელამაზების გარეშე ეს მოძღვარი თქვენ ხართ, მამაო ბასილ, ყველასგან გამორჩეული და განსხვავებული. მფარველი ანგელოზი ბავშვობიდანვე ქრისტეს გზით გატარებდათ და საკმაოდ რთული ცხოვრებისთვის გამზადებდათ.

გადმოცემით ვიცით, რომ კომუნისტების პერიოდში, როცა ეკლესიაში ხალხი თითქმის არ დადიოდა, თქვენ მაშინ ერისკაცმა მოიარეთ საქართველოს ეკლესიები, რომლებშიც ლოცულობდით სამშობლოსთვის. სასულიერო მოღვაწეობას კი საკმაოდ მომზადებული შეუდექით. თავიდანვე შეურიგებელი იყავით მათ მიმართ, ვინც არღვევდა ეკლესიურ კანონებს, ამხელდით მათ, ვინც ერთმანეთს განადიდებდნენ, სამღვდელო მსახურებას კი არას დაგიდევდნენ.

**სწორედ იმიტომ განუდექით უღირს სამღვდელოებას, რომ მათგან მხოლოდ ლამაზი სიტყვები გვესმის, საქმით კი ვერაფერს ვხედავთ ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ აღსრულებულს. მტკივნეულად განიცდით ყოველ ქმედებას, რომელიც ერის ტრადიციებსა და სარწმუნოებას ვნებს. სულით ხორცამდე შეგძრათ იმ ფაქტმა, როდესაც საპატრიარქოს კედლებში, სინოდის კრებაზე, კუდის უფროს სოსო თოფურიძის მოთხოვნით, სამარცხვინო გადაწყვეტილება მიიღეს და ყველა სექტის უფლებები მართლმადიდებლობას გაუტოლეს.** განიცდით სხვა უამრავ ანტიმართლმადიდებლურ ქმედებას, რომელთაც აღასრულებდნენ ქართველი ტრადიციების, გენის, სარწმუნოების მოღალატენი ვაიქართველთა მეშვეობით. თქვენ ყოველთვის შეუპოვრად ებრძოდით საქართველოს მოღალატეებს და მათ დღესაც მკაცრად ამხელთ.

**მამაო ბასილ, თქვენი სიტყვები, ქადაგებები უთყუარ მასალად დარჩება ქართული ეკლესიის ისტორიაში. თქვენი ხელით ნაშენი ტაძრები საამაყოდ დარჩება ახალგაზრდობას, ხოლო თქვენი სახელი ოქროს ასოებით ამოიტვიფრება იმ წმიდა მამათა გვერდით, რომლებიც სიმართლისთვის იდევნებოდნენ, არ უფრთხოდნენ ერისა და სარწმუნოების მტრებს.**

გვინდა, ვამცნოთ სრულიად საქართველოს, რომ, რასაც დღეს ერისა და სარწმუნოების გულშემატკივრები აცხადებენ, თქვენ მას ათეული წლის წინ ქადაგებდით — ევედრებოდით ერს, საპატრიარქოს, ვიდრე გვიანი არ იყო, მიგვეხედა ჩვენი ქვეყნისთვის, რამეთუ მსოფლიოს მასონური ორგანიზაციების მიერ შემოგზავნილი იელოველთა სექტა აგენტურულ საქმიანობას ეწეოდა ქართული გენის, მართლმადიდებლობის ამოსაძირკვად, მაგრამ, **სამწუხაროდ, თქვენი შეგონება რჩებოდა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. იმჟამინდელი დუმილის ნაყოფი დღეს ვიწვნიეთ: გაყიდული, დანაწევრებულ-გასხვისებული მიწა-წყალი; ზნეობადაცემული ქართველები; მშობლიურ მიწა-წყალზე ლტოლვილებად ქცეული ადამიანები; მართლმადიდებლობა — ბოლო ბასტიონი, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში ვერ ერეოდნენ, — ყოფნა-არყოფნის ზღვარზე...**

**ახლა ხშირად გვესმის, — მამა ბასილისთვის რომ მოგვესმინა, ამ ყოფაში არ აღმოვჩნდებოდითო.**

თქვენ ასწავლით სულიერ შვილებს შრომის ხიბლს და მადლის მოხვეჭას, ხშირად შეახსენებთ წმიდა მამათა გამონათქვამებს: **„ხორციელი განსვენება ადამიანისგან განაგდებს ღმრთის შიშს და წარუწყმედს მას ყველა კეთილ საქმეს“** *(წმიდა პიმენ დიდი).*

თითქმის საჩვენებელ მუზეუმად აქციეთ ეკლესიის ეზო და მიმდებარე ტერიტორია. თითქმის დაუჯერებელია, რომ ყოველივე ეს მრევლის უანგაროდ შემოწირული თანხით კეთდება.

**მამაო ბასილ! ჭეშმარიტად აურაცხელ არს ღვაწლი თქვენი ერისა და ბერის წინაშე. თქვენ ყოველთვის ჰბაძავდით წმიდა მამათა ცხოვრებას და მაგალითს იღებდით მათგან. მათი იდეებით სულდგმულობდით, სულიერ შვილებსაც ამ მრწამსით გვავსებდით.** ახლაც გვინერგავთ სამშობლოს სიყვარულს, ერთგულებას, მართლმადიდებლობისა და უფლის კანონების მკაცრ დაცვას, თავგანწირვასაც კი. თქვენი ხუთწლიანი პატიმრობით მოგვეცით ჩინებული მაგალითი — საკუთარი სიცოცხლე მიიტანეთ უფლის სამსხვერპლოზე.

**„და ეს ღვთისაგან არის, რადგანაც ქრისტეს გულისთვის მარტო რწმენა კი არ მოგეცათ, არამედ ვნებაც მისთვის, იმავე ღვაწლით, რა ღვაწლითაც ჩემში გიხილავთ“** *(ეფესელთა 2,8,9).*

იქნებ მავანმა თქვას: ზედმეტად ხომ არ აქებსო? ქება რა საკადრისია, ეს ღმრთისთვის მიუღებელია, თვით თქვენთვისაც, რადგან ყოველგვარ განდიდებას ერიდებით. თქვენი სიტყვა და საქმე განუშორებელ არს. თითოეულ ჩვენგანს, სრულიად საქართველოს თვალწინ გვაქვს თქვენი ნამოღვაწარი. ვამაყობთ თქვენით და გვიხარია, როცა ვამბობთ: **„მე მამა ბასილის სულიერი შვილი ვარ“.** ეს სიტყვები ბევრს მიგვანიშნებს, დრო და ჟამი ყოველივეს წარმოაჩენს, დიდება უფალს!

არც წინაპართა ფუძეს, მშობლიურ ნახშირძირას ტოვებთ უყურადღებოდ. თქვენ მიერ აღდგენილ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძარსა და წვერის წმიდა გიორგის ახლადაგებულ სალოცავში რეგულარულად ადიხართ და აღავლენთ სადიდებელ და სავედრებელ ლოცვებს.

**მამაო ბასილ, უფალი ზეციდან აკურთხებს, ყოვლადწმიდა დედა კი ლოცავს და ხარობს მისი რჩეული შვილის გულმოდგინებით; რომ არა ღმრთის მადლი, ღმრთისმშობლის შეწეობა, ყოვლად შეუძლებელია, ერთმა ადამიანმა ამდენი ტანჯვა, გვემა, პატიმრობა, გატაცება აიტანოს და ისევ მუხლჩაუხრელად იშრომოს.**

სრულიად საქართველო უნდა ამაყობდეს და აფასებდეს თქვენს ნამოღვაწარს — ხუთი ეკლესიის აგებას. გლდანის რაიონში აგებული უნიკალური ტაძარი კი ყველამ უნდა იხილოს; აილოს მაგალითი, როგორ უნდა ცხოვრობდეს ღვთის ჭეშმარიტი მსახური.

**მართალო, უანგარო, სუფთა წარსულის მქონე, აწმყოში ფუტკარივით მოფუსფუსე, ერის ტრადიციების, მართლმადიდებლობის უზადო დამცველო, პატიოსანო, მწყემსო კეთილო, სულის მკურნალო, გულისხმიერო, გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ეკლესიის მოძღვარი მამა ვახტანგი (მარგიანი) მრავალრიცხოვან მრევლთან ერთად გილოცავთ ქრისტეს შობის ბრწყინვალე დღესასწაულს, ასევე გილოცავთ თქვენი დაბადებიდან 68-ე წლისთავს! დიდხანს იცოცხლეთ, იხარეთ და იყავით ჯანმრთელად! თქვენთან ერთად ვისურვებდით დავითისეულ, თამარისეულ, ვახტანგისეულ საქართველოს დაბადებას!**

**დედა ღმრთისმშობლის შეწეობა არ მოჰკლებოდეს თქვენს ქრისტიანულ ოჯახს, შვილებს, შვილიშვილებს, ერთგულ მეუღლეს, ყველა ახლობელს.**

ვისარგებლებ შემთხვევით და ამჯერად გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ეკლესიის წინამძღვრის — მამა ბასილის (მკალავიშვილი) სახელით, მამა ვახტანგთან და მრევლთან ერთად, გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ მთავარ რედაქტორს, ბატონ ირაკლი თოდუას, ვულოცავთ შობის ბრწყინვალე დღესასწაულს!

თქვენ, ბატონო ირაკლი, ქრისტეს ეკლიანი ბილიკით მიემართებით, რადგან სიმართლეს აწვდით საზოგადოებას და მომავლის იმედს უსახავთ. უფლის მადლი და ძალა არ მოგკლებოდეთ. გფარავდეთ ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის მადლიანი კალთა, ყველა წმიდა სალოცავი! გისურვებთ წარმატებებს პირად და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში!

ღმერთმა დაგლოცოთ!

**ქრისტესმიერი სიყვარულით,**

**გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ეკლესიის მოძღვარი**
**მამა ვახტანგი (მარგიანი)**
**მრავალრიცხოვანი მრევლით**

---


## უცნობი პუტინი




არასამთავრობო ორგანიზაციამ „ისტორიული მემკვიდრეობა“ გამოსცა წიგნი „უცნობი პუტინი“. წიგნში მოთხრობილია რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის პირადი ცხოვრების და სახელმწიფოს უმაღლეს თანამდებობებზე მუშაობის დროს მის მიერ განხორციელებული პროექტების, ქვეყნის გაძლიერებისკენ მიმართული ღონისძიებების, აგრეთვე, ბოლო ათი წლის განმავლობაში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ცალკეული მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ.

ვლადიმერ პუტინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი წიგნის შეძენა შეგიძლიათ „ბიბლუსის“ და „ბესტსელერის“ მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, წიგნების მაღაზია „სამშობლოში“ (ყაზბეგის გამზ. №4).




არასამთავრობო ორგანიზაციამ „ისტორიული მემკვიდრეობა“ გამოსცა ცნობილი პოლიტოლოგის, პროფესორ ალექსანდრე ჭაჭიას წერილების, გამოსვლებისა და ინტერვიუების კრებულის მეორე ტომი. პირველი ტომი 2002 წელს გამოიცა. მეორე ტომი ორი ნაწილისგან შედგება, პირველ ნაწილში წაიკითხავთ ალექსანდრე ჭაჭიას 2012-1013 წლების პუბლიკაციებს, ხოლო მეორე ნაწილში — 2001-2011 წლების ინტერვიუებს, წერილებს და გამოსვლებს.

ათეული წლის წინათ გამოქვეყნებული ინტერვიუები და წერილები, სამწუხაროდ, დღევანდელობას ისე ესადაგება, თითქოს არც დრო შეცვლილა და არც ხელისუფლება.

კრებულის შეძენა შეგიძლიათ „ბიბლუსისა“ და „ბესტსელერის“ მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, წიგნების მაღაზია „სამშობლოში“ (ყაზბეგის გამზ. №4)

## ძვლის პრობლემები

მკურნალობა ძვალ-სახსართა ნებისმიერ პრობლემებზე, კოქსართროზი, ოსტეოქონდროზის, ოსტეპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზი, პოდაგრული ართრიტი, დაზიანებული ხრტილის და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, ასევე გახდომა თვეში 5-15 კგ მიღებული შედეგის შენარჩუნებით დიეტებისა და ვარჯიშების გარეშე, ცხიმების აქტიური წვა, ჰორმონალური და ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენებების გარეშე 100% გარანტიით.

**ტელ. 218-46-08 (ოფისი)**
**555-62-09-01 ექიმი ქ-ნი მეგი**

## მკურნალობა მამაკაცებისთვის

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისაგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

პროგრამა შედგენილია ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

**ტელ. 558-15-63-87;**
**218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა**

საქართველო და მსოფლიო — ყოველკვირეული გამოცემა
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია


**http://www.geworld.ge**

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894